

ISSN №1512-0546

სამეცნიერო გარემონტი

აართაშორისო სამეცნიერო-პრაკტიკული ჟურნალი დაებარი, 2009 წ. №2



საქართველო მთავრობა

N2, 2009

საირთაშორისო
სამეცნიერო-პრაკტიკული
ეროვნული

ურნალი აქცენტებს სატყო გოლოგოსა და პიდროლოგის, ტყომცოდნების, ტყების მართვის (ტყოსარგებლობა, ტყის აღდგენა-განახლება, ტყის დაცვა), ხეტყის დამზადების და გადამუშავების, ხუცემ ქმის, ხუცემ სამონადირეო და სანაკრძალო მუურნეობის, სატყოსარკო და მწვანე მშენებლობის, ტყის არამერქნითი რესურსების მოპოვება-გადამუშავების, რეკურსული ტყეთსარგებლობის, ტყის სამკურნალო რესურსების გამოყენების, სატყო დარგების ეკონომიკის, ორგანიზაციის და მართვის, ასევე ტყის მუურნეობის და სატყო მრეწველობის ისტორიის და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ სამცნიერო და საწარმოო-პრაქტიკული მიმართულების სტატიებს.

ურნალში ფართოდ გაშუქდება სატყეო კანონმდებლობის სიახლეები, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ტყის მუურნეობის გაძლილის, კადრების მომზადება-გადამზადებისა და სხვა საკითხები.

განთავსებული იქნება ინფორმაციები (მიმოხილვება) ტყის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამუნიციურო კონფერენციების, სემინარების და სხვა ღონისძიებათა შესახებ.

სტატიები ქვეყნდება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გრძმანულ და ფრანგულ ენებზე.

ფასი 3 ლარი

დამფუძნებელი და პროექტის ხელმძღვანელი – რევაზ რბოლაძე ტელ.: 23-72-19
893 24-75-27

მთავარი რედაქტორი – იამაზ ანონაძე ტელ.: 899 10-75-44

რედაქტორები – ბიძინა თავაძე, ტარიელ სავიასი, ტოგო ბერიზაშვილი, ელდარ ლობზანიძე, ლერი ჭოჭუა, ნუგზარ გერსამია, გიგა კუპრაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი – რთარ დვალიშვილი ტელ.: 33-05-60

საკონსულტაციო საბჭო: შოთა ჭალაგანიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ნიკა ბურდული, ნინო ჩხრაძე, ირაკლი ლომთაძე, ბორის პოერლიშვილი, აეტონ ლუდია, შოთა ჯარშვილი, დავით გიგაური, ლაშა ლოლიძე, არჩილ სუპატაშვილი, თემიშვილ კალელაკი, გიორგი გაგონიძე, ვანო კაპუნიძე, ტრისტან ჩერქეზიშვილი, ჯუმბერ ლომიძე, ლევან გვარავა, ვახტაგი ვალდიაშვილი, ირაკლი გაჭარაშვილი, გოგი შუვარაშვილი, ჯუმბერ კუჭურელიძე (აჭარა), კარლო გერსამია (ავხაზეთი), რთარ გვევლია, პრეზიდენტის, ინდიკო მაგანია (სამხრეთი), ავთალი ნიგურიანი (ზემო სავანეთი), რევაზ იმანაძე, კონსტანტინე თავათიძელაძე, რეზო გაბედავა (გურია), გოგი ლაჭმებიანი, ნოლარ მაშავერიშვილი, ილია ჯიბაძე, გია აზოთია, როსტომ დეკანონიძე (იმპრეზი), რთარ ლვალაძე, თამაზ ლომთაძე, ზაქარია ჩიხრაძე, მურთაზ გაზლელიანი (რაჭა-ლეჩე უმი-ევერ სავანეთი), ლევან გოცინიძე, გოგი უზრამაშვილი, მიხეილ ზელელაშვილი, გურამ ივევლორიაძე (მესხეთ-ჯავახეთი), დემა ბლიაძე, იური ლომიძე (შიდა ქართლი), ივო მახმიშვილი (გორი-სამაჩაბლი), ანზორ ჩავიძე, უშაგი ინანაშვილი, მალხაზ სამადაშვილი, უჩა ჯავარიძე, ბიძინა ნერსეზაშვილი (კახეთი).

ტექნიკური მენეჯერები: ირაკლი ჩაგელიშვილი, დავით კერასელიძე, ჯონი გევერიძე.

რედაქტორები, საკონსულტაციო საბჭოს მემკვიდრეობის, რეგიონული კორესპონდენტები და ტექნიკური მენეჯერები მეცნიერებების არამერქნითი რესურსების მოპოვება-გადამუშავების, რეკურსული ტყეთსარგებლობის, ტყის სამკურნალო რესურსების გამოყენების, სატყო დარგების ეკონომიკის, ორგანიზაციის და მართვის, ასევე ტყის მუურნეობის და სატყო მრეწველობის ისტორიის და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ სამცნიერო-პრაქტიკული მიმართულების სტატიებს.

გამომცემელი იულიონ ტოლიაშვილი ტელ.: 899 40-52-37, 96-00-67
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნანა მასურაშვილი ტელ.: 893 50-42-44

ი.მ. იულიონ ტოლიაშვილი ურნალი „ეთნოპოლიტიკა“
დაიბეჭდა შპს „მდგარე ველში“

ტირაჟი 200 ეგზემპლიარი

I. ტექსტების განვითარება

გიორგი გიგური, მარაზ სვანიძე

მთის ტყების პიროვნების არსი

დედამიწის ბიოლოგიური მრავალფეროვნება დიდი ხანია მეცნიერების შესწავლის საგანია. ტყეთმოდნეობის, მეტყველების, ბოტანიკის, ნიადაგმცოდნეობის და სხვა სამეცნიერო დარგების თეორიული საკითხები ყოველთვის ისწავლებოდა, მაგრამ ცნობილი არ იყო როგორც ცნება „ბიოლოგიური მრავალფეროვნება“. ტერმინი „ბიოლოგიური მრავალფეროვნება“ პირველად გ. ბეიტსმა იმარა 1892 წელს, მაგრამ ამ ვთარებამ შემდეგი განვითარება ვერ ჰპოვა.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ბიომრავალფეროვნება, ყველაზე უფრო გავრცელებული ცნება, უკანასკნელ 20 წელიწადში დამკვიდრდა. მტკიცედ შეისისხლხორცეს ბუნების დაცვასთან დაკავშირებულმა მოძრაობებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

თანამედროვე მეცნიერულმა კვლევებმა დაამტკიცა, რომ ბიომრავალფეროვნების სათანადო დონე ბიოსფეროს ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა და ის პარამეტრია, რომელიც ასასიათებს ცოცხალ ორგანიზმებს. ამჟამად ბიომრავალფეროვნება ბევრ ქვეყანაში ეკოლოგიური პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაზე 1992 წელს მიღებულ იქნა კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ. ბიომრავალფეროვნების ცნება კონვენციამ განმარტა შემდეგნაირად: „ბიომრავალფეროვნება ნიშანას ყველა წარმოშობის ეკოსისტემების ერთობლიობას, მათ შორის სხვადასხვა, ზღვის, წყლის ეკოსისტემებსა და ეკოლოგიურ კომპლექსებს,

რომლის შემადგენელ ნაწილსაც ეს ორგანიზმები წარმოადგენენ“.

საქართველო ამ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა. კონვენციის ძირითადი მიზნებია: 1. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;

2. ბიომრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება;

3. სიკეთის (იგულისხმება პროცესების) ერთობლივი მიღება სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე.

კონვენცია საქართველოსაგან მოითხოვს ეროვნული სტრატეგიის, გეგმების ან პროგრამების შემუშავებას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ მცენარეულობის ბიომრავალფეროვნების შესწავლა სახეობრივ, ეკოსისტემურ (ტიპოლოგიურ) და გენეტიკურ დონეზე წარმოებს (გ. გიგაური, 2000).

სახეობრივი ბიომრავალფეროვნება სახეობათა შემადგენლობის, მათი სიმრავლის (სიუხვის) და გეოგრაფიული განსახლების კანონზომიერებათა შენარჩუნებას გულისხმობს.

ეკოსისტემური ბიომრავალფეროვნება დაკავშირებულია ეკოსისტემების მრავალფეროვნებასთან და სხვადასხვა გარემო პირობებში მიმდინარე ეკოლოგიურ პროცესებს მოიცავს.

გენეტიკური მრავალფეროვნება დამატიზებული გავრცელებული მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების გენებში არსებული გენეტიკური ვარიაციების ჯამია.

უიტიკერმა 1972 წელს შემოგვთავაზა ალფა, ბეტა და გამა მრავალფეროვნებების ცნებები.

– ალფა-მრავალფეროვნება ისწავლება ერთი ადგილსამყოფელის (ეკოტოპის) ფარგლებში;

– ბეტა-მრავალფეროვნება სხვადასხვა ადგილსამყოფელთა (ეკოტოპებთა) მრავალფეროვნებას მოიცავს;

– გამა-მრავალფეროვნება დიდი რეგიონების მრავალფეროვნებას წარმოადგენს.

არსებობს ბიომრავალფეროვნების 2 ძირითადი სახე (ნ. ბერუბაშვილი, 2000).

1. ტაქსონომიური მრავალფეროვნება;

2. ტიპოლოგიური მრავალფეროვნება;

– ტაქსონომიურ მრავალფეროვნებაში რამდენიმე იქრარქიული დონე გამოიყოფა;

– სახეობრივი;

– პოპულარულ-გენეტიკური;

– გენოტიპური;

– გენური.

– ტიპოლოგიური მრავალფეროვნება ეკოსისტემური ბიომრავალფეროვნების ცნებაში შედის, რომელიც არის ერთერთი მისი სახე და ცოცხალ ორგანიზმებს სტრუქტურულ, ფუნქციონალურ, გეოგრაფიულ, ეკოლოგიურ და სხვა ნიშანთვისებების მიხედვით აჯგუფებს.

ტაქსონომიური და ტიპოლოგიური მრავალფეროვნება ერთმანეთს ავსებს. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ინტერესი ბიოლოგიური მრავალფეროვნებისადმი ძირითადად გაპირობებულია:

– ბიოლოგიური რესურსების ინტენსიური სამეურნეო გამოყენებისა და შესაბამისად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საჭმეში მათი მზარდი როლით;

– ადამიანის ინტენსიური სამეურნეო მოქმედებისა და ბუნებრივი რესურსების დიდი ოდენობით გამოყენების გამო ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირების საშიშროებით;

– ბიოლოგიური მრავალფეროვნების ყველა დონეზე – (გენეტიკურ, სახეობრივ, ეკოსისტემურ) – შენარჩუნების აუცილებლობით, როგორც ეკოსისტემების ფუნქციონირების სტაბილიზაციისა და მათი მდგრადი განვითარების საფუძველი.

– ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის გადაწყვეტილებების შესაბამისად თითოეული ქვეყანა, რომელმაც კი ხელი მოაწერა ამ კონვენციას, ვალდებულია შეიმუშაოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, ადგენისა და გამოყენების რეგულირების რაციონალური სტრატეგია და პროგრამა.

ტყემცენარეობის ბიოლოგიური მრავალფეროვნება ყველაზე მეტად გამოსახულია მთიან პირობებში.

საქართველოს მთის ტყეები გეოგრაფიული გავრცელების, ბიოლოგიური, ეკოლოგიური და სხვა მაჩვენებლების მიხედვით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მრავალფეროვნებით ხასიათდება.

საქართველოს მთის ტყეების ეკოსისტემების ბიოლოგიური მრავალფეროვნება მეტად მრავალმხრივია.

ტყეების ბიოლოგიური მრავალფეროვნების გამომხატველი ერთერთი შემადგენელი ნაწილია რელიეფი. მთები, მთაგრეხილები, ხევები, დაბლობები, ტერასები, ზეგნები და სხვა იმ ფონსა ქმნიან, სადაც ტყეების წარმოშობა, ზრდა-განვითარება და ფორმირება მიმდინარეობს. ამასთან, ზღვის დონიდან სიმაღლე ფერდობის დაქანება და ექსპოზიცია განსაზღვრავენ ტყემცენარეულობის სითბოთი, სინათლით, წყლით და საკვები ნივთიერებებით მომარაგებას.

მთის ტყეების ბიომრავალფეროვნების ერთერთი განმსაზღვრელი ნაწილია მათი ვერტიკალური გავრცელება. საქართველოში ტყეები ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული. ზღვის დონიდან 1000 მ სიმაღლემდე გავრცელებულია ტყეების 27%, ხოლო 1000 მ-დან ზევით – 73%.

ცნობილია, რომ ლიხის ქედი საქართველოს სხვადასხვა ნაწილების კლიმატის კონტრასტულობას განაპირობებს. დასავლეთ საქართველოს კლიმატი ნოტიო სუბტროპიკულია, აღმოსავლეთ საქართველოსი – მშრალი და ზომიერად ტენიანი, ხოლო სამხრეთ საქართველოსი – კონტინენტულური.

არსებითად განსხვავებული კლიმატის გამო, დასავლეთ და აღმოსავლეთ

საქართველოს ტყეების გერტიკალური სარტყელიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. დასავლეთ საქართველოში არიდული მცენარეულობის სარტყელი არ არსებობს. შავი ზღვის ნაპირიდანვე ვაკეები და მთების წინა კალთები დაფარულია სუბტროპიკული ტყეებით, მაშინ, როცა აღმოსავლეთ საქართველოში ნახევარულაბონ ზონის შემდეგ ზღვის დონიდან 300-500 მ სიმაღლემდე არიდული მეჩხერების, ანუ ნათელი ტყეების სარტყელია წარმოდგენილი. საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს კერტიკალური სარტყელიანობა უფრო რთულია: გ. გულისაშვილის მიერ (1964), გამოყოფილია არიდული ტყეების (ზღვის დონიდან 500 მდე), ქართული მუხის (500-1000 მ), წიფლის (1000-1500 მ), მუქიწვიანი ტყეების (ნაძვისა და სოჭის) (1500-1900 მ), სუბალპური (1900-2500 მ), ალპური (2500-3000 მ), სუბნივალური (3000-3700 მ) და ნივალური (>3700 მ) სარტყლები. ამრიგად, ტყეების გავრცელება კერტიკალური სარტყელების მიხედვით, ანუ კერტიკალური ზონალობა აპირობებს მათ ბიომრავალფეროვნებას.

ტყეების ბიომრავალფეროვნებას განსაზღვრავს აგრეთვე მთის ფერდობთა დაქანება და დახრილობის მიმართულება (ექსპოზიცია). ცნობილია, რომ დამრეც (10^0 -მდე) დაქანების ფერდობებზე განლაგებულია ჩვენი ტყეების 5,5%. დაფერდებულ ($11-20^0$) ფერდობებზე – 16,5%; ციცაბო ($21-35^0$) ფერდობებზე – 54,4%; ძლიერ ციცაბო (35^0 და მეტი) – 23,6% (გ. გიგაური, 2000).

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩვენი ტყეების დიდი ნაწილი (78%) ციცაბო და ძლიერ ციცაბო ფერდობებზე განლაგებული. ტყეების ასეთი არათანაბარი განაწილება ფერდობის დაქანების სიმკვეთრის მიხედვით განსაზღვრავს მათ ბიომრავალფეროვნებას. ტყეების ბიომრავალფეროვნებას აგრეთვე განსაზღვრავს მათი გავრცელების ხასიათი ფერდობთა ექსპოზიციების მიხედვით, რომლებიც განლაგებული არიან როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის რუმბის ექსპოზიციებზე.

საქართველოს ტყეების სახეობრივი ბიომრავალფეროვნება გამოისახება

იმაში, რომ ტყეებში იზრდებოდა დაახლოებით 400-მდე სხვადასხვა სახეობის ხე და ბუჩქი. თითოეული მათგანი მცენარეთა თავისებურ ერთობლიობას ქმნის. რასაკვირველია, ყველა მათგანი ვერ ქმნის ცალკე დამოუკიდებელ ეკოსისტემას. მათი უმრავლესობა სხვადასხვა მერქნიანი სახეობების შერეულ კორომებს წარმოადგენს, სადაც ისინი ცალკეული ბიოჯგუფების სახით გახვდება და ამ ტყეების ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას ასახავს.

საქართველოს ფლორის შემადგენლობაში ჭურჭლოვან მცენარეთა 4100-ზე მეტი სახეობაა, მთელს კავკასიაში კი 63550-მდე სახეობაა აღწერილი (რ. გაგნიძე, 2000). ფლორის დაახლოებით 21%, ანუ 860 სახეობა ენდემურია. ტყეებში იზრდება 395 ხე და ბუჩქი, მათ შორის ხეების 153 სახეობა, ბუჩქების 202 სახეობა, ნახევარბუჩქების – 29 და ლიანების 11 სახეობა (გ. გიგაური, 2000). ჩვენი ტყეების სახეობრივი შემადგენლობა, მათი გადაადგილება სივრცეში დამოკიდებულია ტერიტორიის კონფიგურაციისა და კლიმატურ-ნიადაგობრივ პირობების ნაირგვარობაზე, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს სახეობრივ ბიომრავალფეროვნებას.

მიუხედავად მერქნიან სახეობათა სიმრავლისა, ისინი მაინც წარმოდგენილი არიან ერთი ან რამდენიმე სახეობით გაბატონებული კორომებით. ასეთი წმინდა და შერეული კორომების ბუნებაში არსებობა მათ ბიომრავალფეროვნებაზე მიუთითებს.

საქართველოს ტყეებში ყველაზე მეტად გავრცელებულია წიფლით გაბატონებული კორომები, მათ უკავიათ ტყით დაფარული ფართობების 48,5%; მუხნარებს – 10,5%, სოჭნარებს 8,5%, რცხილნარებს – 6,6%, ნაძვნარებს – 5,7%, ფიჭვნარებს – 4,7%, მურყნარებს – 3,2%, არყნარებს – 3,1%, წაბლნარებს – 2,5% და სხვა სახეობების ტყეებს – 6,6% (გიგაური, 2000).

საქართველოს ტყეების ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე მეტყველებს მათი ეკოსისტემური (ტიპოლოგიური) ნაირგვარობის ფართო სპეცირი. ყოველი

ფორმაციის ტყეებში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ტიპის ბიოგეოცენოზები, რომელიც გამოირჩევიან მათთვის დამახასიათებელი სტრუქტურითა და მეტყველებულ-სატაქსაციო მაჩვენებლებით. მთის ფერდობების დაქანებისა და ექსპოზიციების, ნიადაგის სიღრმის და ტენიანობის მიხედვით ყალიბდება სხვადასხვა ტყის ტიპის კონსისტენციები), რომლებიც ზრდის განსხვავებულ გარემო პირობებში (ეკოტოპებში) ინდიკატორული ბალახების სხვადასხვა ბიოლოგიური და ეკოლოგიური ნიშანთვისებებით ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან. მაგალითად, ნაძვნარები, სოჭნარები და წიფლნარები ძირითადად წარმოდგენილია წივანიანი, წვრილბალახოვანი, მაყვალ-გვიმრიანი და სხვა ინდიკატორული ბალახების საფარით, აგრეთვე ფოთოლმცვენი და მარადმწვანე ქვეტყის (მ. სვანიძე, 2000).

ცნობილია, რომ ზღვის დონიდან ყოველი 100 მ-ის ზემოთ ჰაერის ტემპერატურა 0,5-0,6°-ით კლებულობს, ხოლო ნალექების მატებასთან ერთად გარკვეულწილად მატულობს ნიადაგის ტენიანობა, იცვლება ტყის ტიპების შედგენილობა, აღნაგობა და რაც მთავარია, პროდუქტიულობა (ბონიტეტი).

ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე გამიჯნულია განსხვავებული ბონიტეტის ტყის ტიპები ერთნაირი ბალახოვანი ინდიკატორის საფარით. მაგალითად, წვრილბალახოვანი წიფლნარი ზღვის დონიდან თავისი გავრცელების ოპიმალურ სიმაღლეზე (1400 მ) I ბონიტეტის კლასითაა წარმოდგენილი, ხოლო მის ზემოთ (ზღვის დონიდან 1700 მ) III ბონიტეტისაა, ქვემოთ კი (ზღვის დონიდან 1100 მ) II ბონიტეტის კორომებს ქმნის. ტყის ტიპების ასეთი კომპლექსი ერთსა და იმავე ბუნებრივ ზონაში წარმოქმნის ტყის ეკოსისტემების ჯგუფს, ანუ ვერტიკალურად ჩანაცვლებულ სხვადასხვა ბონიტეტის ტყის ტიპებს ერთი და იმავე ბალახოვანი ინდიკატორით (მ. სვანიძე, 2008).

ტყის ზრდის ადგილსამყოფელი სხვადასხვა პირობებში (ეკოტოპებში) ტყის კონსისტენციი ტიპოლოგიურად არაერთ-

გვაროვანია. მშრალი, გრილი და ტენიანი ეკოტოპების ტყის ტიპები გამოირჩევა მერქნიანი სახეობების, ქვეტყის ბალახოვანი საფარის განსხვავებული შედგენილობითა და პროდუქტიულობით.

ადსანიშნავია, რომ ტყის ტიპისათვის დამახასიათებელი ბალახოვანი საფარის წარმომადგენლები (ინდიკატორები) უშუალოდ არიან დაკავშირებული ტყის ზრდის ადგილსამყოფლის პირობებთან (ეკოტოპებთან). მაგალითად, მშრალ ეკოტოპები გამოვლენილია ბერსელიანი და თივაქასრიანი, გრილ, საარსებო პირობებში – წიგანიანი, ნაირბალახოვანი, მკვდარსაფარიანი, წვრილბალახოვანი (ჩიტისოვალიანი და ქრისტებეჭდიანი), მოცვიანი; ტენიანი ეკოტოპებისავის კი დამახასიათებელია გვიმრიან-მაყვლიანი, ფართოფოთლოვანი და მაღალბალახოვანი (შამბიანი) ტყის ტიპები (მ. სვანიძე, გ. ბახსოლიანი, ზ. ტიგინაშვილი, 2009).

ამრიგად, ბალახოვანი ინდიკატორები ტყის ტიპების გამოვლენის დიაგნოსტიკური მაჩვენებლებია, რომელთა საშუალებითაც მშრალ, გრილ და ტენიან ეკოტოპებში შეიძლება უშეცდომოდ გამოიყოს ტყის ტიპები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ტყის ეკოსისტემების ტიპოლოგიური მაჩვენებლები ზღვის დონიდან სიმაღლესთან, ფერდობის დაქანებასთან, ქვებოზიციასა და სხვა ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირდით ბიოლოგიურად საკმაოდ მრავალფეროვანია.

ადსანიშნავია, რომ მთის ტყეების ბიომრავალფეროვნების თავისებულებების შესწავლა გენეტიკურ დონეზე ჯერ არ მომხდარა. ეს აისხება მერქნიანი ცენარეების გენეტიკის შემსწავლელი სამეცნიერო კადრების ნაკლებობით და სათანადო მატერიალური და ტექნიკური ბაზის უქონლობით. მაგრამ აღნიშვნის დირსია ის ფაქტი, რომ ხე-მცენარეებს აქვთ ბუნებრივ ფაქტორებთან შეგუების უნარი. ზოგიერთი ნიშან-თვისება, როგორიცაა ტენისადმი დამოკიდებულება (ქსეროფიტები, მეზოფიტები, ჰიდროფიტები და ჰიდროფიტები); სითბოსადმი დამოკიდებულება (სითბოს მო-

ყვარული და სიცივის ამგანი თერმოტროპური სახეობები); ნიადაგის ნაყოფიერებისადმი დამოკიდებულება (ოლიგოტროფები – მინერალური საკვები ნივთიერების ნაკლებად მომთხოვნი სახეობები; მეზოტროფები – საშუალოდ მომთხოვნი; ეუტროფები, ანუ მეგატროფები – ნიადაგის მდიდარი ნაყოფიერების მომთხოვი ტროფოტოპული სახეობები).

ყველაფერი ეს დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ხე-მცენარეთა ამ ნიშანთვისებების გამოკვლევის გენეტიკური მექანიზმები დადგენილი არ არის.

საქართველოს ტყეების ცალკეული ეკოსისტემების ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მათი სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების გაძლიერების უზრუნველსაყოფად საჭი-

როა დამუშავდეს სათანადო ბიოლოგიური, ეკოლოგიური, მეტყველებითი და ეკონომიკური ხასიათის დონისძიებების მთლიანი კომპლექსი. საჭიროა თითოეული ფორმაციის, როგორიცაა მუხნარები, წიფლნარები, რცხილნარები, ფიჭვნარები, სოჭნარები, ნაძვნარები და სხვა, გენეზისის, ზრდისა და განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით შემუშავდეს მათი ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვისა და გამრავლების, აგრეთვე ეკოლოგიური მნიშვნელობის ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებული კლასიფიკაციები და ამის საფუძველზე მიზნობრივი ტყეების აღზრდაფორმირების სათანადო პროექტები და პროგრამები.

ლიტერატურა

1. ბერუჩაშვილი ნ. – საქართველოს ბიომრავალფეროვნება მსოფლიო ფონზე. საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. I ეროვნული კონფერენციის მასალები, თბილისი, 2000.
2. გაგნიძე რ. – საქართველოს ფლორის ბიომრავალფეროვნება. კრებულში: საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური ბიომრავალფეროვნება, თბილისი, 2000.
3. გიგაური გ. – საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება, თბილისი, 2000.
4. სვანიძე მ. – აღმოსავლეთ საქართველოს წიფლის ტყის ეკოსისტემების ტიპოლოგიური ბიომრავალფეროვნება. ქურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, №1-3, თბილისი, 2000.
5. სვანიძე მ. – ტყის ტიპების დადგენისა და გამოყოფის ბუნებრივი კრიტერიუმები. გამომცემლობა „გულანი“, თბილისი, 2003.
6. სვანიძე მ, ბახსოლიანი ტ., ტიგინაშვილი ზ. – ბორჯომის ხეობის ნაძვნარ-სოჭნარ ეკოსისტემების ტიპოლოგიური ბიომრავალფეროვნება. საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ.2, №1 (46), თბილისი, 2009.
7. ადენათაევე ა.ც. – ტემპარატურული ცირკულაციები და მათი გავრცელების მიზანი. აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ.2, №1 (46), თბილისი, 2009.
8. Whittaker R. H. – Evolution and measurement of species diversity (Taxson, 1972).

ÃÈÄÀÓÐÈ ÃÅÍÐÄÈÉ, ÑÂÀ ÍÈ ÄÇÅ ÌÅÐÀÁ

Ñ Ó Ù Í ÎÑÒÜ ÁÈÍÐÀÇ ÍÎÍÁÐÀÇÈß ÁÎÐÍÈÕ ËÅÑÎÂ

(Ðåçþìå)

Â ñòàòüå ðàñìàòðèâàòñÿ ñó ù í îñòü âèäàíâî ãî è òèïîëîæ÷åñêî ãî (ýêî ñèñòåííâî) áèîðàçíîáðàçèÿ ãîðíûõ ëåñîâ â çàâèñèîñòðè îò ååðòðèåëüííé çííàüíñòðè, óôëííà è ýêñííçèöè ñêëííâ. Íî ååðòðèåëüíûì ííyñàì ðàñïðîñòðàíýþòñÿ ðàçíûå ëåñíûå ôîðìàöèè, ÷òî óêàçûâååð íà áèîðàçíîáðàçèå ëåñííé ðàñòðèðåëüíñòðè. Áèäàíâå áèîðàçíîáðàçèå çàâèñèò îò íðèñíñíáëåííñòðè äðåâåñíûõ ðàñòðåíèé è êëèìàòðè÷åñêèì è íí÷ååííûì óñëíâÿí áíåøíåé ñðåäû. Íîùíñòðü è íëäàíðàëèå íí÷åû íà áîðíûõ ñêëííàð ýâëýþòñÿ íñííâíûìè ñàðàëòåðíûìè íðèçíàëàìè óñëíâèé íåñòíðîèçðàñòàíèÿ (ýêî òïïà), ãäå íáðàçó þòñÿ òèïîëîæ÷åñêè ðàçíîáðàçíûå ëåñíûå ýêî ñèñòåíû.

Â ñòàòüå íðèâî äyòñÿ ðåéîìàíäöèè íí ñïðàíåíèþ è íðåóì í ïæåíèþ áèîðàçíîáðàçèå áîðíûõ ëåñîâ.

II. მეზოგვარია

ო. ფალიშვილი, რ. ჩაგალიშვილი, ლ. დოლიძე,
ზ. მანალიძე (ვასილ გულისაშვილი, სახურ ინსტიტუტი)

ზედაპირული ჩამონაღების ცვალებადობა მთავარი სარგებლობის ჭრებთან დაკავშირებით მთიანი აჭარის წიფლნარ კორომებში

შესწავლითია ზედაპირული ჩამონაღები სხვადასხვა სისტემის მთავარი სარგებლობის ჭრებთან დაკავშირებით მთიანი აჭარის წიფლნარ კორომებში. დადგენილია ამ ტყეების პიდროლოგიური ფუნქციები და მათი ცვალებადობის თავისებურებანი სხვადასხვა სისტემის ჭრებთან დაკავშირებით. მიღებულია რეკომენდაციები ზედაპირული ჩამონაღენისა და ეროზიული პროცესების მაქსიმალურად აღკვეთისათვის.

ქვეყნის ეროზიული მოვლენებისაგან დაცვისათვის, მდინარეთა ჩამონაღენის რეჟიმის დარეგულირებისა და წყლის რესურსების მატების მიზნით აუცილებელია ტყეების პიდროლოგიური როლის შესწავლა. ამ პრობლემის საფუძვლიანი გადაწყვეტა კი მოითხოვს ზედაპირული ჩამონაღენის ფორმირების შესწავლას ტყეების სისშირეების, ხნოვანების, შემადგენლობის, აღნაგობის, ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე კომპლექსურად, რაც ჯერ კიდევ შეუსწავლელია საქართველოს სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატურ ზონებში. კერძოდ, ისეთი რეგიონისათვის, როგორიცაა უხვნალექიანი აჭარა. აქ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით ხშირია ისეთი ბუნებრივი კატასტროფიული მოვლენები, როგორიცაა: წყალდიდობები, წყალმოვარდნები, მეწყერები, თოვლის ზეავები და ა.შ. ასე მაგალითად, როგორც 1 მაისის 1989 წლის №102 გაზეთი „კომუნისტი“ იუწყება, მთიან აჭარაში ბუნებრივი სტიქიური უბედურების შედეგად დატრიალებული ტრაგედიის შედეგად დაიღუპა

34 კაცი, დაინგრა ან მნიშვნელოვნად დაზიანდა 1255 საცხოვრებელი სახლი, მწყობრიდან გამოვიდა 300-ზე მეტი სახლით მეურნეობის ობიექტი, დაზიანდა 4137 პექტარი სავარგული, საცხოვრებელი ადგილიდან გაისიზნა 1455 ოჯახი, ხოლო სახიფათო ზონაში აღმოჩნდა 3733 ოჯახი. იგივე შინაარსის უბედურებას იუწყება №1 (21) 1999 წლის ეურნალი „გარემო და განვითარება“. იგი გვატყობინებს, რომ 1996 წელს აჭარის რეგიონში დიდოვლებისას თოვლის ზევი ორმოცჯერ ჩამოწვა, დანგრეულია გზები, ხიდები და ა.შ. აჭარის მთიანეთში მოსულმა წვიმამ დააზიანა საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო ნაგებობები, დააზიანა 300 ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთები და გაანადგურა სასოფლო-სამეურნეო ნათესები. 1998 წლის 14 თებერვალს და 24 აპრილს მეწყერმა დაანგრია საცხოვრებელი სახლები, გზები, ხიდები, დააზიანა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ანალოგიური შემთხვევებია აღნიშნული სხვა წლებშიც, საქართველომ განიცადა აურაცხელი ზარალი და აღნიშნა პირუტყვისა და ადამიანის მსხვერპლი. დღემდე აღნიშნულის გამო აჭარიდან არ წყდება დაზარალებულთა გასახლება საქართველოს სხვა რაიონებში. გარდა ამისა, საქიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ისე, როგორც საქართველოს მთის მდინარეთა სათავეები, აქაც აჭარაში მდინარეთა სათავეები განადგურებულია მაღალმთიანეთში, სუბალპურ ზონაში, სადაც ანთროპოგენული (ტყეების უსისტემო და გადაჭარბებული ჭრები, პირუტყვის

მოუწესრიგებელი ძოვება) ზემოქმედებით აჭარის ტყეების ზედა საზღვარმა საგრძნობლად დაბლა დაიწია, რამაც განაპირობა ნიადაგის წყალმართავი თვისებების მკვეთრი გაუარესება, ზედაპირული ჩამონადენის მომატება, წყალდიდობების, ღვრაცოფული მოვლენების, თოვლის ზვავებისა და მეწყერების ჩამყალიბება თანმდევი უარყოფითი შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გარდა, ტყეების წყალმარებულირებელი და წყალდაცვითი ფუნქციების, მათი პიდროლოგიური როლის დაქვეითებას ხელს უწყობს ჰაერის მაქსიმალური ტენიანობა და ატმოსფერული ნალექების უწვევულო სიდიდე (ქობულეთი 3000 მმ თვეში, ხელოს რაიონში, სარეიჯეროში, მტირალაზე 6 მეტრი თოვლის საფარის სიმაღლე), როდესაც საზღვარგარეთის (იაპონია, ჩინეთი) სატყეო პიდროლოგია ცნობილი მეცნიერების (ხიროტატ 1929 წ; მა-ცზი – 1960) მონაცემების თანახმად უწვევულო უხვნალექიან ზონაში აღინიშნება ტყეების პიდროლოგიური როლის, ტყის ნიადაგების ატმოსფერული ნალექებით მაქსიმალურად გადაჯირჯვების საფუძველზე, დადაბლება, რაც საფუძველი ხდება ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების წარმოქმნისა.

ზედაპირული ჩამონადენი – ნიადაგში ჩაუქონავი ატმოსფერული ნალექების რაოდენობაა. ზედაპირული ჩამონადენის შესწავლა, როგორც მდინარის შემადგენელი ელემენტისა, წყალმოვარდნების, წყალდიდობების, ერთზოული მოვლენებისა და ღვარცოფების წარმოშობის მიზეზებისა და სიდიდეების დადგენის შესაძლებლობას ქმნის. ასევე წყლის ბალანსისა და ხარჯების დადგენისას ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ატმოსფერული ნალექების სახით წყლის მოპოვების დროს, მისი გარკვეული ნაწილის ამ სახით უყალირათოდ დაკარგვის და წყლის რესურსების ამდაგვარი დანაკარგების მაქსიმალურად შემცირების საქმეში მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

ზედაპირული ჩამონადენის სახით წყლის რესურსების დანაკარგისა და მი-

სი დამანგრეველი ქმედების აღმავეთ ღონისძიებად მიჩნეული იყო, რაც დღემდე კიდევ შემორჩენილია – პიდროტექნიკური ძვირადლირებული ნაგებობები. ამ ნაგებობების საშუალებით მხოლოდ ნაწილობრივ ხდებოდა დასახლებული და სახალხო-სამეურნეო ობიექტების დაცვა ზემოხსენებული სტიქური გამანადგურებელი ზემოქმედებისაგან. ამ ჩამონადენის აღმავეთ ყველაზე პროგრესიულ და იაფ მეთოდად ითვლება ფიტომელიორაციული ღონისძიება, რომელიც დორულად, ჩანასახშივე სპობს ზედაპირული ჩამონადენის წარმოშობას საუკუნეების მანძილზე. სწორედ ასეთი ღონისძიებებია ტყეების წყალდაცვითი, წყალმარებულირებელი, ნიადაგდაცვითი, პიდროლოგიური მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია იმის დაღვენა, თუ რა როლს ასრულებს უხვნალექიანი აჭარის მთის წიფლნარები თხიერი და მყარი ჩამონადენის აღკვეთის საქმეში. ამ მიზნით ჩვენს მიერ 2009 წელს, აჭარაში, ქედის სარეინჯეროში (ქედის სატყეო მეურნეობაში) წიფლის ტყის სარტყელში ისწავლებოდა ამ ტყეების პიდროლოგიური მნიშვნელობა.

ქედის სარეინჯეროში ტყეებს უავავია 36019 ჰა ფართობი. აქ ძირითადად გავრცელებულია III ბონიტეტის კორომები (47,7%); II ბონიტეტის ტყეებს უჭირავს 6034,0 ჰა (32,8%), 5-ე ბონიტეტისას 620,0 ჰა (5,8%), დანარჩენი კი 4-ე ბონიტეტის ტყეებს.

ქედის სარეინჯეროში ტყეების საშუალო სიხშირეა 0,5, რომელიც ცალკეული მერქნიანი სახეობების მიხედვით იცვლება 0,39-დან 0,59-მდე. მეურნეობაში ჭარბობს 0,5 (8193 ჰა) და 0,6 სიხშირის (3735 ჰა) კორომები. დაბალი (0,3-0,4) სიხშირის კორომებს 5012 ჰა ფართობი უკავიათ. 0,7 და მეტი სიხშირის კორომებს მხოლოდ 1350 ჰა ფართობი უკავია. მცირეა 0,8 სიხშირის კორომები და მხოლოდ 184,9 ჰა-ს შეადგენს. რაც შეეხება 0,9 სიხშირის კორომებს, აქ მეტად უმნიშვნელო ფართობზე არიან განთავსებულნი. 1,0 სიხშირის კორომები აქ საერთოდ არ გვხვდება.

შემაშფოთებელი მდგომარეობაა შექმნილი ქედის ყოფილ საკოლმეურნეო ტყების ტერიტორიაზე. შ. ხიდაშელისა და ვ. პაპუნიძის (1975) მონაცემებით მაღალი სიხშირის ტყების აქ მხოლოდ 1,8% ტერიტორია უკავიათ. 0,6-0,7 სიხშირის კორომებს მხოლოდ 26,2%. რაც შეეხება 0,5 და უფრო დაბლი სიხშირის კორომებს, ტერიტორიის მთელი ფართობის 72,0% შეადგენს.

ზემოაღნიშნული ვითარება იმაზე მიგვანიშნებს, რომ შემდგომში თუ გათვალისწინებული არ იქნა ამ ტყების პიდროლოგიური როლის ამაღლების ხელისშემწყობი ღონისძიებების გატარება მაღალკალიფიცირებული დიპლომირებული მეტყველინების სპეციალისტებით და არა თუ ამ ბოლო წლებში უჩვეულო გადაწყვეტილების საფუძველზე მათ ადგილას ჩანაცვლებული არასპეციალისტების, ძირითადად პედაგოგების, ექიმების, პოლიციელების, დალაქების მეშვეობით, დაჩქარდება ტყების განადგურება და ეკოლოგიური კატასტროფა გარდაუვალია.

ქედაში, ჩვენი კვლევის ობიექტი, წიფლის სარტყელი, მდინარე აჭარისწყლის აუზში გავრცელებულია ზღვის დონიდან 1000-1600 მეტრის ფარგლებში და წარმოადგენს მაღალი წარმადობის წიფლის კორომებს, სადაც შერეულია რცხილა, ცაცხვი, მურყანი, ნაძვი, სოჭი, ნეკერჩხალი. არის სუფთა შემადგენლობის წიფლნარი კორომებიც. ქვე-ტყეში გვხვდება წყავი, შქრი, ჭყორი და სხვა. ეს სარტყელი წარმოდგენილია მთაბეჭის ყომრალი ნიადაგებით.

კვლევის ობიექტებზე (ცხრ. №1) ისწავლებოდა ციფლის ტყების გავლენა ნიადაგის ზედაპირული ჩამონადენის ფორმირებაზე. ზედაპირული (თხიერი და მყარი) ჩამონადენის შესასწავლად გამოყენებული იქნა ხელსაწყო, შექმნილი ა. ს. ვოზნესენსკის, მ. ს. გაგოშიძისა და ვ. ბ. გუსაკის მიერ (1940).

კვლევის ობიექტებზე გვხვდება როგორც მაღალი, ასევე საშუალო და დაბალი სიხშირის ერთსართულიანი წიფლის კორომები. ამ კორომებში ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა (ცხრ. №1),

რომ საშუალო (0,5-0,6) და მაღალი (0,7-0,8) სიხშირის ტყის ნიადაგებში აგმოსვერული ნალექების ნიადაგის ღრმა ფენებში ინფილტრაციის სასურველი მონაცემები არსებობს. ამიტომაც ეს კორომები წარმოადგენენ ძლიერ ბუნებრივ მექანიზმს თხიერი და მყარი ჩამონადენის რეგულირებისთვის.

იხ. ცხრილი №1.

№1 ცხრილიდან ჩათლად ჩანს, რომ თუ მაღალი სიხშირის (0,7-0,8; 0,8) წიფლნარ კორომებში ზედაპირული თხიერი ჩამონადენი 0,5-დან 1,1 ლ/მ²-მდე მერყეობს (მყარი ჩამონატანი არ აღინიშნება), ჩამონადენის კოეფიციენტი 0,02-დან 0,04-მდეა, სიხშირის დაწევის შემთხვევაში, ე.ი. შედარებით დაბალი სიხშირის (0,5; 0,5-0,6 და 0,6-0,7) კორომებში იგი მომატებულია და 0,7-დან 1,6 ლ/მ²-მდე, ჩამონადენის კოეფიციენტი 0,4-დან 0,06-მდე მერყეობს. მყარი ჩამონატანი მხოლოდ 0,5 სიხშირის მქონე უნებურამორჩევით ჭრაგავლილ ობიექტებზე აღინიშნება და 0,2 გრ/მ² შეადგენს. მაღალი სიხშირის წიფლნარ კორომებთან შედარებით აქ წიფლნარების წყალმარებულირებელი და ნიადაგდაცვითი ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციები თვალნათლივა დაქვეითებული. რაც შეეხება წყალმარებულირებელი ფუნქციების ცვალებადობას, ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრების ფანჯრებში ვხედავთ, რომ თუ ზედაპირული თხიერი ჩამონადენი პატარა ზომისაა (7მX14მ) და საშუალო (12მX16მ) ზომის ფანჯრებში 1,3 ლ/მ²-მდეა, ჩამონადენი კოეფიციენტი 0,04-ია, არ აღინიშნება ეროზიული ჩამონატანი, დიდი (25მX30მ) ზომის ფანჯრაში თხიერი ზედაპირული ჩამონადენი მომატებულია და 1,5 ლ/მ² შეადგენს, შესაბამისად მომატებულია ჩამონადენის კოეფიციენტი და 0,05-ის ტოლია. არც ამ ობიექტებზე აღინიშნება მყარი, ეროზიული ჩამონატანი. ყველაზე დაბალი თხიერი ჩამონადენი №8-ე ობიექტზე წიფლნარებში აღინიშნა და 0,4 ლ/მ² – შეადგინა. შესაბამისად დაბალია ჩამონადენის კოეფიციენტი და შეადგინა 0,01.

ცხრილი №1

ზედაპირული ჩამონადენის ცვალებაზე მთავარი სარგებლობის
მოწყვეტილი და აუცილებელი მიზანი აჭარის წილადარ კორომებში

რამონადენი. I კვ-დან 30 მმ ნალექისა და I,5 68/წ ინტენსივობის ლრის	რამონადენი. II კვ-დან ნის კო ეფექტ ენტი		
თხიერი (ლტ)	მყარი. (გრ)	(K)	
I	2	3	4
3 3 4 0 3 0 8 ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ი ს დ ა ს ა ხ ი თ დ ე ბ ა	თხიერი (ლტ) 0,6-0,7; საბურცველის შეკრულის 0,8;	I, I	- 0,04

სანიტურული უარობი # 2 ვრაგავლილი წილის კორომი (კონტროლი). სიმ. ზ.ღ. I500 მ. ექს- პოზიცია სამხრო - აღმისავლეთი. დაქანება 25-30° : შეკრულის 0,8; საბურცველის შეკრულის 0,9.	0,5	-	0,02
სანიტურული უარობი # 3 ვაშულურ-ამინისტერი ჭრის ჟუვაჟა. (ფანჯარა 70X 140). სიმ. ზ.ღ. I500 მ. ექსპოზიცია სამხრეთი. დაქანება -I5-20°; შემაღენლობა I0 წ. ფორმა მარტი- ვი. ბონიტეტი III. სიხშირე 0,5. საბურცვე- ლის შეკრულის 0,6.	I, 3	-	0,04
სანიტურული უარობი # 4 მისგავლილი წილის კორომი (კონტროლი). სიმ. ზ.ღ. I500 მ. ექსპოზიცია-სამხრეთი. დაქანება 20-25°. შე- მაღენლობა I0 წ. ფორმა მარტივი. ბონიტეტი III. სიხშირე 0,7. საბურცველის შეკრულის 0,8.	0,7	-	0,03
სანიტურული უარობი # 5 ჯგუფურ-ამინისტერი ჭრის ჟუვაჟა. (ფანჯარა 120X 160). ს.ზ.ღ.			

I	2	3	4
I600 მ. ექსპოზიცია ჩრდილოეთი. დაქანება I0°; შე- მაღენლობა I0 წ. ფორმა მარტივი. ბონიტეტი I.II. სიხშირე 0,5; საბურცველის შეკრულის 0,6;	I, 3	-	0,04
სანიტურული უარობი # 6 უნებურ-ამინისტერი ტყევაჟა. ს.ზ.ღ. I600 მ. ექსპოზიცია სამხრეთ-აღ- მოსავლეთი. დაქანება 20-25°. შემაღენლობა I0 წ. ფორმა მარტივი. ბონიტეტი III, სიხშირე 0,5. საბურ- ცველის შეკრულის 0,6	I, 6	0,2	0,06
სანიტურული უარობი # 6 ვრაგავლილი წილის კორომი (კონტროლი) სიმ. ზ.ღ. I600 მ. ექსპოზიცია აღმო- სავლეთი. დაქანება 25-30°. შემაღენლობა I0 წ. ფორ- მა მარტივი. ბონიტეტი III. სიხშირე 0,7. საბურცველის შეკრულის 0,8.	0,8	-	0,03
სანიტურული უარობი # 7 ჯგუფურ-ამინისტერი ჭრის კა- რიბი. სიმ. ზ.ღ. I650 მ. ექსპოზიცია სამრეოთი. დაქანება 5-I0°. შემაღენლობა I0 წ. (ფანჯარა 25X30მ). შემაღენლობა I0 წ. ფორმა მარტივი. ბონიტეტი III. სიხშირე 0,3. საბურცველის შეკრულის 0,4.	I, 5	-	0,05
სანიტურული უარობი # 8 ვრაგავლილი წილის კორომი (კონტროლი). სიმაღლე ზღვის დონედან I650 მ. ექს- პოზიცია დასავლეთი. დაქანება I0°. შემაღენლობა I0 წ. ფორმა მარტივი. ბონიტეტი III. სიხშირე 0,6. საბურცველის შეკრულის 0,7.	0,4	-	0,01

აღმოჩნდა, რომ ჯგუფური-ამორჩევითი ჭრების ფანჯრებში წყალმარებულირებელი, ნიადაგდამცველი ფუნქციები ფანჯრების სიდიდეების, მათი ფართის ცვალებადობასთან დაკავშირებით იცვლება.

ჩვენმა კვლევებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ტყის ჰიდროლოგიური მნიშვნელობა ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების: წყალდიდობების, წყალმოვარდნების, დგარცოფული, ეროზიული მოვლენების დროულად აღკვეთის საქმეში. რაც მთავარია, გამოვლენილ იქნა მთავარი სარგებლობის ჭრების გავლენა ტყების ჰიდრილოგიური ფუნქციების ცვალებადობაზე და მიღებული იქნა შესაბამისი სატყეო-სამეურნეო დონისძიებები წიფლნარი კორომების ჰიდროლოგიური ფუნქციების გაუმჯობესების საქმეში.

უნდა ითქვას, რომ მცენარეული საფარის დაღებითი გავლენა ზედაპირული აღკვეთის საქმეში შესწავლილია: ლ. ს. აზმაიფარაშვილის (1980); ვ. ზ. გულისაშვილის (1957); ს. ი. ნებოლსინის (1937); ა. ი. რეზენიკოვის (1945); გ. ი. ლოვიჩის (1963); მაცხის (1966); ა. ა. მოლჩანოვის (1960); რ. გ. ჩაგელიშვილის (2005); გ. ი. ხარაიშვილის (1970); გ. გ. გარასაშვილის (1956); შ. ა. ხიდაშელის (1967) და სხვათა მიერ. რაც შეეხება ადამიანის სამეურნეო ზემოქმედებას, მთავარი სარგებლობის ჭრების გავლენის შესწავლას მრავალფეროვანი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე საქართველოში და კერძოდ, აჭარაში, იშვიათი ხასიათი აქვს. ამიტომ ამ მეტად აქტუალური საკითხის გაშუქებისათვის ჩვენმა მოკრძალებულმა კვლევებმა არ შეიძლება გარკვეული როლი არ შეასრულოს ქვეყნის ეკოლოგიის, ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესების საქმეში. მაქსიმალურად უნდა აღმოიფხვრას აჭარის რეგიონისათვის დამდუმკველი, დამანგრევებელი ეკოლოგიური მოვლენები: წყალდიდობები, წყალმოვარდნები, დგარცოფები, მეწყერები, ეროზიები და ა.შ.

დასპანები და რეკომენდაციები კვლევებმა მიგვიყვანა შემდეგ დასკნებამდე:

1. მაღალი (0,8) სიხშირის წიფლნარი ტყებუნევების გადამსფერული ნალექების ტრანსფორმირებას ნიადაგის ღრმა ფენებში, რაც არამარტო არეგულირებს ზედაპირულ ჩამონადენს, არამედ სპობს ეროზიულ პროცესებსა და წყალდიდობებს, წყალმოვარდნებს, აუქჯობესებს მდინარეთა წყლის რეჟიმს, მის წყლიანობას. მთის წიფლნარების ამდაბარი დაღებითი ჰიდროლოგიური როლი საფუძველია იმისა, რომ ხელი შეეწყოს ამ ზონაში მაღალი სიხშირის ტყის დაცვითი ფუნქციების შენარჩუნებას, ასევე საჭიროა აღდგენა მაღალი სიხშირის წიფლნარებისა მთის იმ ფერდობებზე, რომელებმაც გარკვეულ პერიოდში მათი არასწორი ექსპლოატაციის შედეგად დაკარგეს დაცვითი და ჰიდროლოგიური ფუნქციები, რის გამოც ისინი ეროზიისა და წყალმოვარდნების, დგარცოფების წარმოშობის კერებად გადაიქცნენ.

2. საშუალო (0,5-0,6) და მაღალი (0,8 და მეტი) სიხშირის ტყები წყალმარებულირებელი და ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციების მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან. ტყის სიხშირის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად უმჯობესდება ნიადაგის წყალმარეგულირებელი თვისებები, რაც ხელს უწყობს ზედაპირული ჩამონადენის მკვეთრ შემცირებას, ეროზიული პროცესების მაქსიმალურად აღკვეთას, აქედან გამომდინარე საჭიროა ამ ტყების სიხშირის 0,6-0,7-მდე ამაღლება ტყის ბუნებრივი განახლების ხელისშეწყობისა და უკიდურეს შემთხვევაში ტყის ხელოვნური გაშენებით.

3. მართალია მაღალი (0,8) სიხშირის წიფლნარებთან შედარებით (0,5-0,6) სიხშირის წიფლნარ ტყებში წიფლნარების წყალმარებულირებელი თვისებები დაკვეთებულია, მაგრამ მათ მაინც გააჩნიათ ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებისა და ეროზიული პროცესების აღკვეთის უნარი.

4. წიფლის სარტყელში პიდროლოგიური როლის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა სუბალპური ტყის ზონაში თანდათანობით განხორციელდეს ტყის ზედა საზღვრის აწევა მისი ბუნებრივი გავრცელების არეალამდე ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ინსტრუუმენტის შესაბამისად (1985).

ო. 0. დვალიშვილი, რ. გ. ჩაბელიშვილი, ლ. 01. დოლიძე, ზ. ქ. მანველიძე
(პ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი)

ზედაპირული ჩამონადენის ცველებადობა მთავარი სარგებლობის ჰრებიან
დაკავშირებით მთიანი აჭარის ზოვლიან კორომებში

၁၃၀

შესწავლილია ზედაპირული ონიერი და მყარი ჩამონადენი სხვადასხვა სისტემის მთავარი სარგებლობის ჭრაგავლილ მთიანი აჭარის წიფლნარ კორომებში. გამოვლენილია ამ ტექნიკის პიდროლოგიური მნიშვნელობა და მისი ცვალებადობა სხვადასხვა სისტემის მთავარი სარგებლობის ჭრებთან დაკავშირებით. მიღებულია რეკომენდაციები ზედაპირული ჩამონადენისა და ეროზიული პროცესების მაქსიმალურად აღკვეთისათვის.

Î. È. ÄÀÄËÈØÂÈËÈ, Đ. Ä. ×ÀÄÄËÈØÂÈËÈ, Ë. Ø. ÄÏËÈÄÇÅ, Ç. È. ÌÀÍÅÄËÈÄÇÅ
(Èíñðèðóò èäñà Äàñèëèÿ Äöëèñàøâèëè)

ÍÎÂÅÐÕ Í ÎÑÒÛÉ ÑÒÎÊ Â ÄÎÐÍÛÕ ÁÓÉÎÂÛÕ ËÅÑÀÕ ÀÄÆÀÐÈÈ ÏÄ
ÄËßÍÈÀÌ ÐÀÇÍÛÌÈ ÑÈÑÒÀÌÀÌÈ ÁÓÁÎÊ ÄËÀÄÍÎÃÍ Í ÏËÜÇÎÀ Í Èß

ĐÀO TẠO

Èññëääâàáàíà ôíðí è ðíàáàíéå iíâåðöíñòðííñäí ãèðöéí ãí è ðååðäâñü ñòðí èà á ãíðíúð áóéïåûð ëåñäð Áäæàðèè iðíèääíüð ðàçíùìè ñèñòåïàìè ðóáîé ãèàáííñäí iíñüçí âàíéè. Í ið åääëéäíà ãèäðíèïäè ÷åññèäý ðíèü ãíðíüð áóéïåûð ëåññäí Áäæàðèè è åûýëæäíà ðåðàëøåð ñçïåíáíèý å, á çàåèñèïñòðè ìò ðàçíüð ñèñòåï ðóáîé ãèàáííñäí iíñüçí âàíéè. Íðéíýðû ðåéíïåíäàöèè äëý ìàèñ è ìàëüííñäí iðåä ìòåðàø ÷åíéèý áïçíèéííåíèý iíååðöíñòðííñäí ñòðí èà è ýðíçèéííüð ýäéäåíèè iíñäí ãéñâ, íñéíåíäéè ìññçàáííüð ñíéíè.

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କ

1. აჭარის ა/რ სატყეო მეურნეობის კომიტეტის, ქედის სატყეო მეურნეობის ტყეობის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტი. თბილისი. 1994-95წ.
 2. გაზეთი „კომუნისტი“ №102, 1 მაისი 1989 წ.წ.
 3. ურნალი „გარემო და განვითარება“ №1 (21) 1999 წ.
 4. დოკუმენტ ლ. თ. – აღმოსავლეთ საქართველოს ჭრაგავლილ წიფლნარებში დაცვით-ეკოლოგიური ფუნქციების ცვალებადობა. ვ. ზ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყველეობის ინსტიტუტის შრომები, ტომი 39. თბილისი, 2003წ.
 5. ესტონეთის იურიდიკური სამსახურის მიერ 1985 წელს მიმღები დოკუმენტი. 1985 წ.
 6. არქივის მიერ 1985 წელს მიმღები დოკუმენტი. 1985 წ.
 7. არქივის მიერ 1985 წელს მიმღები დოკუმენტი. 1985 წ.

8. Æóëèñàøâèëè Ä.C. – Íáùåå ëåñîâi äñòâi. Òáèëèñè. Èçä-âi Äðóç Ñ-Ö èí-ðà (fà äðóç. ýç) 1957 à

9. Íåáñëñéí N.È. – Ýëåìåíòàðíûé iiâåðõíñòíûé ñòîê. Äèäðíåòåïèçäàò 1937ä.

10. Ðâøåðíèéíâ Á.È. – Ñðìé ñíåðíûõ è äíæäåûõ âí á ñ ýé åìåíðáðíûõ íëîñ÷àäíê á ðàéíâå Áàëäàéñéíé âí ç áû øåííñòè. Òððäû ÍÈÓ æ. Óíð. Áèäðñ åðñëóæáû Ñâåðäéíâñé, ñåððéý IV, Óí 17. 1945þ

11. Ëüâîâè÷ Ì. - ×åëîâåê è âî äû. Ååîãðàôåèç. Ì. 1963ä.

12. Ìf ë÷àíîâ À.À. – Äè äðïêíäè÷åñëàÿ ðïëü ëåñà. Èçä-âî ÀÍ ÑÑÑÐ. Ì. 1960

13. ÌÀ-ÖÇÈ – Èåñà è âî äû Èàòàÿ. Ååñâðàòè÷åññéè ñåíðíè. Ìåðåâî ä ñ èèòàèñëî âî Á. À. Ìèòáðåíòà è ß. Ì. Áåðñåðà. Èçä-âî èíñòðàííîé èèòåðàòóðû. Ì. 1966

14. ×àãäéèøâèëè Ð. Ä. Äâàëèøâèëè Ï. È. – Äèëýíèå ðàçëë÷íûõ ñèñòåí ðóáîê íà áî äíðåäóëèðóþùèå ôóíêöèè áïðíûõ ëåñíâ Äðóçèè. Èçåñòëÿ àáðàðííé íàóëè. Òì 3. 12 2005ä

15. Œèäàøåëè Ø. À. Íäï óíè äçå Å. D. – Èåñà Àäæàðèè. (íà ãðóç. ýç.) Áàòóìè. 1976 á

16. Òàðàñàøâèëè Ä. I. – Ìàðåðèàëû ïî âëèÿíèþ ñèñòåì ðóáîé íà âäà îñðàíûå è çàùèòíûå ñâíéñòåà áîðíûõ ëåññâ Äðóçèè Òðä-û èíñòèðóòà ëåñà ÁÍ ÄÑÐ. Òáéëèñè 1956.

17. Ŏàðàèøâèë Æ.È. – Åëýíéå ðàçíûô ôîðì àöèè åíðíûô èåññâ Äîñòî ýíé Äðóçèè íà î ïåððóíñòíûé ñòðîé. Òð-äü Òá. èíñòðòðå äåññà. Òì i ÕÓØ. Òáéëèñè, 1970å

18. Öèäàøäëè Ø. À. – Èíòåíñèâíñòü ðíñòà ñíñ íââï-åëïâûõ ìïë ïäýëtâ íà êðóðûõ ñéëííàõ è èõ åëèýíèå íà ïíâåðõíñòíûé ñòïë â ñäýçë ïíñòåïáíûõ ðóáêàìè. Øðóä û Öàèëèññëî ãäéí-ðà èäñà. ð. ÖVI, 1967.

19. Hirota T. - Contribution to the problem of the relation between the forest and water in Japan Impire forestry export. Sta Wegguro. Tokyo, 1929.

ოთარ დვალიშვილი, რევაზ ჩაგალიშვილი, ლაშა დოლიძე

ლაპანურისა და მუნიციპალიტეტის წყალსაცავების გარშემო არსებული მთის ტყეების წყალმარეგულირებელი და ეროზის საჭიროადმდეგო ფუნქციები, გამოვლე- ნილია ტყის ისეთი ტიპები, რომლებიც ყველაზე საუკეთესოდ ასრულებენ წყალ- მარეგულირებელ და ეროზის საწინა- ადმდეგო ფუნქციებს. მეურნებას ეძღვა რეკომენდაციები წყალსაცავების ერო- ზიული ნატანისაგან დაცვისა და მათი საექსპლოატაციო პერიოდის გახანგრძ- ლივების შესახებ.

საქართველოს წყალსაცავების დაცვა
ეროზიული პროცესებისაგან საშუალე-
ბას იძლევა მისი საექსპლოატაციო პე-
რიოდის გახანგრძლივების და ამით
მოსახლეობის ცხოვრების პირობების
გაუმჯობესების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს
მთის წყალსაცავების აუზები მეტად
რთული რელიეფისაა, ბევრგან მოკლე-
ბულია ტყის საფარსა და განიცდიან
ეროზიულ, აბრაზულ და დენტიფიციურ
პროცესებს, დახრამვას, ხრამები კი თავის
მხრივ ხელს უწყობენ ეროდირებული
ნიადაგების წყალსაცავებში გადაადგი-
ლებას, რის შედეგადაც მცირდება წყალ-
საცავის მოცულობა, მისი საექსპლო-
ატაციო პერიოდი, სახელმწიფო განიც-
დის აურაცხელ ზარალს. ამ მხრივ სა-
ქართველოს მთის წყალსაცავებიდან:
ხრამის წყალსაცავის აუზის ფერდობები
სრულიად უტყეოა, ასევე უტყეოა თბი-
ლისის წყალსაცავის ერთი მხარე და

განიცდის ეროზიულ პროცესს, ხოლო
ლაპანურის, სიონის, გუმათის, უნგალის,
შაორის, ტყიბულის, ენგურის წყალსა-
ცავების ფერდობები ძირითადად ტყე-
ებითაა დაფარული. ზემოთჩამოთვლილი
წყალსაცავებიდან: ენგურის, შაორისა და
უნგალის წყალსაცავების ფერდობები
დაფარულია მაღალი სიხშირის ტყებით,
რის გამოც ეს წყალსაცავები არ საჭი-
როებენ დამატებითი სატყეო-სამეურნეო
და სამელიორაციო სამუშაოების ჩატა-
რებას. ცნობილია, რომ წყალსაცავების
ეროზიული ნატანით დასილვა ხდება
წყალსაცავებში ჩამდინარე მდინარეები-
თა და გვერდითი მცირე მდინარეების
მეშვეობით, ხევ-ხრამებით. ასე, მაგალი-
თად, ლაპანურის წყალსაცავის მოსილ-
ვა ძირითადად ხდება მდ. ლაპანურისა
და მდ. ცხენისწყლის მიერ. ამავდროს
აქ დიდი ოდენობით ეროზიული ნატანი
შედის გვერდითი შენაკადებიდან; უსახე-
ლო ლელებან, უსახელო და ლია მდვრიე
ლელებან. წყალსაცავის მოლამვაში
დიდი როლი შეაქვთ აბრაზიულ და
მეწყერულ პროდუქტებს, რაც არც თუ
ისე მცირება ლაპანურის წყალსაცავის
აუზის სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთ ნაწილში. ლ. გველე-
სიანისა და ნ. შმაცელის (1968) მონა-
ცემებით 7,5 წლის ექსპლოატაციის პერი-
ოდში ლაპანურის წყალსაცავში დაი-
ლექა 6,1 მლნ კბმ ნატანი, ანუ 2-ჯერ
უფრო მეტი ვიდრე საპროექტო მონა-
ცემებით იყო განგარიშებული, 9 წლის
ექსპლოატაციის პერიოდში გუმბათის

წყალსაცავში დაიღექა 32,7 მლნ კბმ ნატანი და მისი მოცულობა 83,5%-ით შემცირდა. ტ. კვარაცხელიას (1949) მონაცემებით შტეროვის წყალსაცავი (დონბასი) 5 წლის მანძილზე 85%-ით ამოიგო ეროზიული ნატანით, ხოლო აკ-სუს წყალსაცავი (დაღესტანი) სამ წელიწადში მთლიანად დაიღამა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მთის წყალსაცავების ინტენსიური მოლამვა ეროზიული ნატანით დღის წერიგში აყენებს ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის გააქტიურებას, სატექო-სამჭურნეო, ფიტომელიორაციული ღონისძიებების გატარების საფუძველზე არა მარტო წყალსაცავების გარშემო, არამედ მასში ჩამდინარე მდინარეთა წყალ შემკრებ აუზებშიც. ეს კიდეც იმიტომ, რომ ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია წყალსაცავის გარშემო არსებული ტყეების დაცვა და განადგურებულის აღდგენა. ნათელი გახდა, რომ მთის ტყეების მოსპობაშ საფუძველი ჩაუყარა ნიადაგის ფიზიკური თვისებების გაუარესებას, წყალგამტარობის შემცირებას, ზედაპირული ჩამონადენის მატებასა და ეროზიული მოვლენების განვითარებას.

ლაჯანურის (ცაგერის რ-ნი) და მშენებარე ნამახვანის (წყალტუბოს რ-ნი) წყალსაცავების გარშემო არსებული ტყეები მცენარეული სამყაროს ძირითად ტიპს წარმოადგენს მოცემულ რეგიონში, რომლებიც ამჯერად საგრძნობლადაა სახეშეცვლილი ანგროპოგენული ზემოქმედების შედეგად. ძირითადად აქ გავრცელებულია წაბლნარი ტყეები წყავის ქვეტყით, წაბლნარი ტყეები წიგანას საფარით, წაბლნარი ტყეები იელის ქვეტყით, რცხილნარ-მუხნარი ტყეები წიწვანას საფარით.

მეცნიერი მკვლევარების: ვ. ზ. გულისაშვილის (1957, 1977), ა. ა. მოლჩანოვის (1960); ლ. ზ. აზმაიფარაშვილის (1963); გ. ი. ხარაიშვილის (1971); რ. გ. ჩაგელიშვილის (1967, 1972) და სხვა მონაცემებით ტყეების წყალმარეგულირებელი და ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციები საფუძველი ხდება წყალსაცავების ეროზიული ჩამონადენისაგან დაცვისა და

მათი საექსპლუატაციო პერიოდის გახანგრძლივების საქმეში. ამიტომაცაა, რომ წყალსაცავების დაცვა ეროზიული ჩამონატანისაგან, წყალდიდობებისა, თოვლის ზავებისაგან, დვარცოფებისაგან მიმდინარეობს არა მარტო ძვირადღირებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების მეშვეობით, არამედ იაფფასიანი ფიტომელიორაციული ღონისძიებების საშუალებითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს წყალსაცავების გარშემო არსებული ისეთი ტყის ტიპების გამოვლენა, რომელსაც კველაზე კარგი წყალმარეგულირებელი და ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციები გააჩნიათ, რის საფუძველზეც მოხდება წყალსაცავების ეროზიული ჩამონატანით დასილვისაგან დაცვა და ამით მისი საექსპლუატაციო პერიოდის გახანგრძლივება. ამისათვის კვლევის ობიექტებზე ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა თხიერი და მყარი ჩამონადენის ფორმირების თავისებურებანი.

ზედაპირული ჩამონადენის ფორმირებას ვსწავლობდით ა. ს. ვოზნესენსკის, ვ. ბ. გუსაკიასა და მ. ს. გაგოშიძის (1940) შემოთავაზებული ხელოვნური დასხურების აპარატით, ტყეების მეტყველურაქსაციურ აღწერას ვაწარმოებდით სანიმუშო ფართობების გამოყენების საფუძველზე. ნიადაგის ძირითად ფიზიკურ თვისებებს – ვიგნერის მეთოდით, წყალგამტარობას – პ. კოპეცის მეთოდით (ვ. გულისაშვილი, ა. სტრატანოვიჩი 1948), ვ. გულისაშვილის სახელობის სამორ მეტყველების ინსტიტუტის (ლ. აზმაიფარაშვილის, გ. ხარაიშვილის, რ. ჩაგელიშვილის, 1972) მიერ შექმნილი „მთის ტყეების წყალდაცვითი ფუნქციების მეთოდიკის გათვალისწინებით“.

კვლევის ობიექტებზე ზედაპირული ჩამონადენის ფორმირების შესწავლამ დაგვანახა (ცხრ.I), რომ საშუალო (0,5 – 0,6) სიხშირის ტყეებს გააჩნიათ მაღალი წყალმარეგულირებელი და ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციები, ვიდრე სხვა ჩვენი კვლევის ობიექტებს. ასე, მაგალითად, 25-30°-ის დაქნების ფერდობებზე ზედაპირული ჩამონადენი საშუალო სიხ-

შირის ტყეებში 4-ჯერ ნაკლები აღმოჩნდა უტყეო ადგილებთან, ველობებთან შედარებით. საჭიროა აღინიშნოს, რომ უტყეო ადგილებთან შედარებით ეროზიული ჩამონადენი 2,5 მმ/წთ ინტენსიონის დასხურების დროსაც არ აღინიშნება. საშუალო სიხშირის (0,5-0,6) ტყეებში ზედაპირული ჩამონადენის კოეფიციენტი არ აღემატება 0,06-0,12-ს, მაშინ, როდესაც 0,4-0,5 სიხშირის ტყეებში 0,33-ს აღწევს. მისი ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აღნიშნულია უტყეო ნაირბალახოვანი საფარით დაფარულ ველობებზე, სადაც ჩამონადენის კოეფიციენტი მაქსიმალურია და 0,43-დან 0,47-მდე მერყეობს. აქვე აღნიშნავთ, რომ თხიერი ზედაპირული ჩამონადენის კოეფიციენტის მატებასთან ერთად იზრდება ეროზიული ჩამონადენიც.

კვლევებმა დაგვანახვეს, რომ ლაჯანურისა და მშენებარე ნამახვანის წყალსაცავების გარშემო კვლევით ობიექტებზე ერთნაირი დაქანების ფერდობებზე არსებულ ერთსა და იგივე სიხშირისა და ტიპის ტყეებში ერთნაირი სიდიდის (30 მმ) ატმოსფერული ნალექის, ერთი და იგივე ინტენსივობით დასხურების შემთხვევაში, თითქმის ერთი და იგივე რაოდენობის ჩამონადენი გაქონდა. ასე, მაგალითად საშუალოდ (0,5-0,6) სიხშირის წაბლნარი ტყის ტიპებში ჩამონადენის კოეფიციენტი თითქმის ერთნაირია და მერყეობენ: 1) 1,5 მმ/წთ ინტენსიონით დასხურების შემთხვევაში 0,06-დან 0,07-მდე; 2) 2,5 მმ/წთ ინტენსიონით დანარჩენ კვლევის ობიექტებზედაც.

ზედაპირული ჩამონადენის ფორმირების შესწავლისას თვალნათლივ გამოვლინდა ლაჯანურისა და მშენებარე ნამახვანის წყალსაცავების გარშემო არსებული ტყეების წყალმარეგულირებელი და ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციების შესწავლის საფუძველზე მივეღით შემდგადება დასკვნამდე:

საც ლაჯანურის წყალსაცავის გარშემო არსებულ ტყეებში ზედაპირული თხიერი ჩამონადენი 1,0-დან 9,0 ლიტ²-მდე მერყეობს, მყარი – 0,38-დან 1,68 გრ/მ²-მდე, ჩამონადენის კოეფიციენტი 0,06-დან 0,30-მდე, მშენებარე ნამახვანის წყალსაცავის გარშემო არსებულ ტყეებში ზედაპირული ჩამონადენი 2,2-დან 10,0 ლ/მ²-ის, მყარი ჩამონადენი 0,51-დან 2,0 გრ/მ²-ის, ჩამონადენის კოეფიციენტი 0,07-დან 0,33-ის ფარგლებშია. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ნამახვანის წყალსაცავის აშენების შემდგადების გარშემო ტყეებსა და მცენარეული სამყაროს ზრდა – განვითარების პირობები არ გაუარესდება. არ მოხდება წყალსაცავის უარყოფითი გავლენა შემოგარენის ეკოლოგიურ პირობებზე, პირიქით, მოსალოდნელია მისი გაუმჯობესება.

შედებები და რეკომენდაციები

ლაჯანურისა და მშენებარე ნამახვანის წყალსაცავების გარშემო არსებული სხვადასხვა ტიპისა და სიხშირის ტყეების წყალმარეგულირებელი და ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციების შესწავლის საფუძველზე მივეღით შემდგადება დასკვნამდე:

1. საშუალო (0,5-0,6) სიხშირის სხვადასხვა ტიპის ტყეები სასიათდებიან წყალმარეგულირებელი და ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციების მაღალი მაჩვენებლებით, ვიდრე უტყეო ფართობები და დაბალი სიხშირის ტყეები.

2. სხვადასხვა ტიპის 0,4-0,5 სიხშირის ტყეების წყალმარეგულირებელი ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციები 0,5-0,6 სიხშირის ტყეებთან შედარებით თვალნათლივად დაქვეითებული. ამ ფუნქციების ყველაზე მეტად დაქვეითება აღინიშნება მათი სიხშირის 0,3-0,4-მდე და კიდევ დაბლა დაწევით, თუმცა ეშირი მარადმწვანე გვეტყის არსებობის შემთხვევაში მათი წყალმარეგულირებელი და ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციები საგრძნობლად უმჯობესდება.

3. ერთნაირი ტიპისა და სიხშირის ტყეებში ზედაპირული ჩამონადენის

ლაჯანურისა და მუქნებარე ნამახვანის წყალსაცავების
გარშემო 25-30°-ის დაჭანების მქონე ველობებზე არსებული ტყის ტიპების
გავლენა ზედაპირულ თხიერ და მუარ ჩამონადენზე

№ №	რო- გზე	აღგილდებარება	სიმა- ლუ ბ.დ.	ექსპ- ზიცია (მ)	ტყის ტიპი	1,5 მმ/წთ ინტენსივობისას			ჩამონადენი I გართობიდან		
						თხიერი (ლიტ)	მყარი (ბრ)	ჩამონადენის პოფიციენცი (ლიტ)	თხიერი (ლიტ)	მყარი (გრ)	ჩამონადენის პოფიციენცი (გრ)
1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.	10.	11.	
1	ლაჯანურის წყალსაცა- ვის შემზარები	840	ჩ.დ	0,5-0,6 სიხშირის წაბლნარი ტყები წყავის ქვეტყით	1,9	-	0,06	3,4	-	0,11	
2	მშენებარე ნამახვანის წყალსაცავის შემზარები	800	ჩ.დ	0,5-0,6 სიხშირის წაბლნარი ტყებით წყავის ქვეტყით	2,2	-	0,07	3,7	-	0,12	
3	ლაჯანურის წყალსაცავის შემზარები	880	ს.დ	0,5-0,6 სიხშირის წაბლნარი ტყები წყავის ქვეტყით	1,8	-	0,06	3,3	-	0,11	
4	მშენებარე ნამახვანის წყალსაცავის შემზარები	785	ს.დ	0,5-0,6 სიხშირის წყალნარი ტყები წყავის ქვეტყით	2,3	-	0,07	3,6	-	0,12	
5	ლაჯანურის წყალსაცავის შემზარები	700	ს.დ	0,4-0,5 სიხშირის წაბლნარი ტყები იქლის ქვეტყით	3,5	-	0,11	4,5	0,31	0,15	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
6	გშენებარე ნამახვანის წყალსაცავის შემოგარენი	660	ს.ღ	0,4-0,5 სიხშირის წაბლნარი ტყეები იქლის ქაუჩქით წივანიანი	3,6	-	0,12	4,8	0,37	0,16
7	ლაჯანურის წყალსაცავის შემოგარენი	630	ს.ღ	წივანიანი 0,4-0,5 სიხშირის რცხილნარ-ტუნარი ტყე	3,6	-	0,12	4,7	0,33	0,16
8	გშენებარე ნამახვანის წყალსაცავის შემოგარენი	610	ს.ღ	წივანიანი 0,4-0,5 სიხშირის რცხილნარ-ტუნარი ტყე	3,7	-	0,12	4,9	0,40	0,17
9	ლაჯანურის წყალსაცავის შემოგარენი	600	ს.ღ	წივანიანი 0,3-0,4 სიხშირის მუხნარ- რცხილნარი ტყე	4,9	0,38	0,16	9,0	1,68	0,30
10	გშენებარე ნამახვანის წყალსაცავის შემოგარენი	570	ს.ღ	ნაირბალახოვანი საფრიანი ყალთაღი	5,5	0,51	0,18	10,0	2,00	0,33
11	ლაჯანურის წყალსაცავის შემოგარენი	630	ს.ღ	ნაირბალახოვან საფრიანი ყალთაღი	8,6	1,71	0,29	14,0	21,31	0,47
12	გშენებარე ნამახვანის წყალსაცავის შემოგარენი	510	ს.ღ	ნაირბალახოვანი საფრიანი ყალთაღი	8,2	1,48	0,27	13,0	2,29	0,43

ოდენობას შორის არსებითი განსხვავება
არ აღინიშნება.

4. დადგინდა, რომ კვლევის ობიექტები დიდან წყალმარეგულირებელი და ეროვნის საწინააღმდეგო ფუნქციების ყველაზე კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება წყავიანი წაბლნარები. დანარჩენი ფორმაციები წყალმარეგულირებელი და ეროვნის საწინააღმდეგო ფუნქციების კლებადობის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით წარმოგვიდებიან: იელიანი წაბლნარები, მუხნარ-რცხილნარი ტყეები, რცხილნარ-მუხნარი ტყეები.

ଲୋକେରାତିଶୀଳା - EÈÒÅÐÀÒÓÐÀ

1. აზმაიფარაშვილი ლ.ს – ნაძვნარ-სოჭნარების ხნოვანების სტრუქტურის გავლენა მათ დაცვით თვისებებზე. სატყეო ინსტიტუტის შრომები ტომი 12-ე თბილისის, 1963.

2. გულისაშვილი გ. ზ. – ხოგადი მეტყველება. ობილისი 1957

3. გელისაშვილი გ. გ. – ხოგადი მეტყევეობა. თბილისი 1974.

4. ხარიაშვილი გ. ი., დვალიშვილი ო.ი., დოლიძე ლ. თ. – დასავლეთ საქართველოს მთის ტყების წელმარეგულირებელი და ეროზის საწინააღმდეგო როლი. პ. გულისაშვილის სახ. სამთო მეტყველების ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებელი. ტომი 28-ე. თბილისი 2001 წ.

5. კვარაცხელია ტ. - ნიადაგის ჩამორღვევა და მისი შედეგი. თბილისი 1949.

6. Åâåëåñèàíè Ë.Å Øìàëöåëü ɿ.ɿ., - Çàèëåíèå âi ä iõðàíèëèù äèäðîâëåêöd iñòàíöè. Äüi. 4þ „Ýáðãÿ,, lññêâà, 1968.

7. Äääëëøäëëë È.È., ×àääëëøäë

ñâièñòå iïñâå aïðíúô áóéïåûô èåññîå iïä åé ýíèåì ìåðåíèçéðåàâåíûô èåññîçå aï ðò åâé. Ñïöðæèí-ýéï ëïñâå ÷åññéèå ðóïíéòëè aïðíúô èåññîå. Òððåû èíñòðèðòðå aï ðííåì èåññîå añðå èì. Å.C. Áðéëñàøåéèë. ðò i. ÕÕÕIII Óæéèñè 1985.

8. li e=aiia A.A – Ae a diee=aneay dieu eana . li neaa 1960.

9. *×aaaeeøaeee ðA.* – Aeeyiea ðaçee÷uo nenoai ðoaie ia oeçे÷aneea naienoaa i fänñðeëèè â ñâýçë ñ ðóáèàìè ãëàííâî ï iëçî ââífëy. Ðòðäû Òáèëèñëi ãí Èíñðòëðòòå eãñà, ði i XIX-XX Óaèëèñè 1972.

10. Öàðàèøâèëè Ä.È. ×àãäåëèøâèëè ÐÄ. – îáðíïðýðèå íí çàøèôà áîðíûô áî ä îñðàíèëè ø ï ò ÿðíçèííèö íðîöâññâ. Äóðíàë „Ñàéàððåâëîñ ñíèëñ îáðóðíåâà,, 12, Öàèëèñè 1970.

11. Òàðàèøâëè Æ. – Áîðáà ñ ýðîçèåé ïï÷âû ëåñ ñ åëè ðîòèèíûìè ìåðiiðèýðèìè. Òàèëèñè 1971.

5. წყალსაცავების გარშემო არსებული ტყეების წყალმარებულირებელი და ერთზიის საწინააღმდეგო ფუნქციების ამაღლების მიზნით საჭიროა არსებული ტყეების სიხშირის გაზრდა 0,7-0,8-მდე, უტყეო ფართობების გატყვევება, სატყეო-სამეურნეო და სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების ჩატარება.

6. ნამახვანის წყალსაცავის გარშემო
საჭიროა აირძალოს საქონლის ძოვება
და ტყეებში მთავარი სარგებლობის
ჭრების ჩატარება. დასაშვებია მხოლოდ
სანიტარული ჭრების ჩატარება.

Î.È. ĀÂÀÈÈØÂÈÈÈ, ĐÂ. ×ÀÄÅÈÈØÂÈÈÈ, È.Ò. ÄÎÈÈÄÇÄ
(Èíñðèòòò èåñà Ä.Ç. Äóëèñàøâèëè)

Â ÎÄÐÅÄÓËÈÐÓÞÙÈÅ È ÏÐÎÒÈÂÎÝÐÎÇÈÎÍÍÚÅ ÔÓÍÉÖÈÈ ÄÎÐÍÈÖ
ËÅÑÎÂ ÄÎÈÐÓÄ ËÀÄÆÄÍÓÐÑÎ ÄÎ È ÑÒÐÎ ÞÙÅÄÎ Ñß ÄÄÄ ÎÐÀÍÈÈÙÄ
ÍÀÌÀÖÄÄÄÍÈ ÎÍ ÎÑÍÍÄÄÍÙÌ ÒÈÄÀÌ ËÅÑÀ

ĐÂÇPÌÅ

Âûýâëåíû ðèïû èåñîâ äîêðóä Ëàäæäíóðñîëì àí è ñòð îýùååñ ñý àí à ïòðàíèëèùà Íàìäðåàíè,
ëí ðîðûå íàëëö÷øèì íáðàçî à û i ìëíþò Äääîðååöëèðóþùèå è iðîðèâî ýðîçèííúå ôóíéöèè.
Öíçyéñðåô ääíû ðåçí íåíäàöèè äëý ïðåä äîðåùåñèý àí à ïòðàíèëèù ïò çàëëåñèý ýðîçèííúìè
íàííñàìè è iðîäëåíèý ñòðîëà èõ ýéññëöàðàöèè.

O.I. DVALISHVILI, R. G. CHAGELISHVILI, L.T. DOLIDZE
(Institute of a wood of name V. Z. Gulisavili)

WATER REGULATING AND ANT EROSION FUNCTIONS THE BASIC TYPES OF WOODS AROUND LAJANURI AND BUILDED RESERVOIR NAMAKHVANI

THE SUMMARY

The types of woods around Lajanuri and builded reservoir Namakhvani are revealed which in the best way will execute water regulating and ant erosive functions. The recommendations for prevention of reservoirs from occurrence of silt by erosive sand and prolongation of term of shear operation are given to facilities.

ო.ო. დვალიშვილი, რ.გ. ჩაგელიშვილი, ლ.თ. დოლიძე

ლაჯანურისა და მშენებარე ნამახვანის წყალსაცავების ბარგეზო არსებული
მთის ტყეების წყალმარებულირებელი და ეროზიის საწინააღმდეგო უზრუნველყოფის
ტყის ძირითადი ტიპების მიხედვით.

რეზიუმე

შესწავლით და მშენებარე ნამახვანის წყალსაცავების შემო-
გარენში არსებული მთის ძირითადი ტყის ტიპების წყალმარებულირებელი და
ეროზიის საწინააღმდეგო უზრუნველყოფის ტყის ისეთი ტიპები, რომ-
ლებიც კველაზე საუკეთესოდ ასრულებენ წყალმარებულირებელ და ეროზიის
საწინააღმდეგო უზრუნველყოფის მიზანის გათვალისწინების უზრუნველყოფის
შესახებ.

III. განვითარების აღმდებარების უზრუნველყოფის სამიზნო დოკუმენტი

3.1. განვითარების აღმდებარების უზრუნველყოფის სამიზნო დოკუმენტი

აჭარის მთის დეპარტამენტის აღმდებარების უზრუნველყოფის შემუშავება

აჭარის უნიკალური მცენარეული საფარი და განუმეორებელი ბუნებრივი ლანდშაფტები საყოველობრივი ცნობილი. ქველ ფილოსოფოსებსა და ისტორიკოსებს: პერიდოდებებს, სტრაბონს, პიპიკრატეს, ქსენოფონტეს და სხვებს მოხსენიებული აქვთ კოლხეთის დაბლობის და მათ შორის ბათუმის ოლქის მოსახლეობის ცხოვრების, მათი კულტურის ამსახველი ისტორიის, ამ მხარის მდიდარი მცენარეულობის, განსაკუთრებით ძვირფასი ჯიშებისაგან შემდგარი გაუვალი ტყეების შესახებ. მაგრამ შემდეგში საქართველოს მტრები – მონდოლები, არაბები, სპარსელები, თურქები და სხვები თავდასხმების დროს ანადგურებდნენ არამარტო მოსახლეობას და ქართული კულტურის ძეგლებს, არამედ ტყებსაც. ტყეებს დიდ ზანს აყენებდა ადგილობრივი მოსახლეობაც.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ცნობილი ეთნოგრაფი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია აჭარაში მოგზაურობის დროს ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ტყეების განადგურების შესახებ წერდა „...სათიბის სიცოტავი იძულებულს ჰყოფს აქაურ გლეხს ეს მრავალ საუკუნოვანი ხეები ძირში სჭრას და ტყე ჩეხოს, რომ ორიოდე მტკაველი მეტი სათიბი შეიძინოს. მოჭრილი უზარმაზარი ხეები იქვე ლპება და უგზობისა გამო კაცს მისი გამოყენებაც ვერ მოუხერხებია. ზოგან ჭრის მაგივრად ასეთ მდიდარ ტყეებს პირდაპირ ცეცხლს უჩენენ, რომ უფრო ადგილად გაიწინდოს ნიადაგი საბალახოდ...“ (3).

აჭარის ტყეების წარსული და თანამედროვე მდგომარეობის, აგრეთვე მისი სამეურნეო-სტრატეგიული დანიშნულე-

ბის გაანალიზებისას მხედველობაშია მისაღები, რომ ევრო-აზიის არც ერთი მთიანი მხარე ერთმანეთისაგან არ განსხვავდება თავისი საეციფიკურობით და სიჭრელით, განსაკუთრებული სივრცობრივი, გეოგრაფიული მდგბარეობის განმაპირობელი ფონით, მისი ოროგრაფიულობითა და ზღვის გავლენით, ტყის მცენარეულობის დიდი სახეობრივი ნაირფეროვნებით, მათი რთული აღნაგობით, სტრუქტურით, სხვა მეტყველებითი და ტაქსაციური ნიშნების ცვალებადობით, როგორც ეს ახასიათებს საერთოდ კავკასიის და განსაკუთრებით აჭარის ტყეებს, და ბოლოს ტყეების მრავალმიზნობრივი ინტენსიური სამეურნეო ათვისების სანგრძლივომა ისტორიაში, მერქნის პირდაპირი დანიშნულებით არაორგანიზებული, ინდივიდუალური და კომპლექსური გამოყენების შედეგად მკვეთრად შეიცვალა რეგიონის ტყით დაფარული ფართობები და ვერტიკალური საზღვრები. დაირღვა მათი ბუნებრივი განახლების პროცესი, ეროზიული პროცესების გაზრდის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა ასობით პექტარი სახნავ-სათესი სავარგული (1).

მაგრამ, საზოგადოების განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით ტყეები, თავისი მაჩვენებლების ცვლილებების ხასიათით დინამიურად ყალიბდებოდა. ამ ცვლილებების ხასიათი სახელმწიფო პოლიტიკის ტყისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება, მათში სამეურნეო მოქმედების მიმართულებით, იმ ტექნიკით და ტექნოლოგიით, რომელიც გამოიყენება ტყის მეურნეობაში. აქვდან გამომდინარე აჭარის ტყის მაჩვენებლების დინამიკა, ერ-

თის მხრივ წარმოადგენს ტყის მეურნეობის გაძლოლის შედეგების პირდაპირ შეფასებას, ხოლო მეორეს მხრივ – მასში მეურნეობის წარმოების ახალი მეორდების გამონახვისა და გამოყენების მნიშვნელოვან კრიტერიუმს. ეს უკანასკნელი კი გვიჩვენებს, თუ რამდენად ვართ დაუფლებული ბუნებრივი პროცესების ცვლილებების კანონზომიერებასა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის ამა თუ იმ მეცნიერული მიღწევების სწორ და გონივრულ გამოყენებაში. ტყის რესურსების გონივრული, ეფექტური გამოყენების საზომად კი მიღებული უნდა იქნას ის ტენდენციები, რომელიც გვიჩვენებს დადებით ცვლილებებს ტყის ხარისხობრივ მაჩვენებლებში. მაგრამ ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, პირველ რიგში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთის ტყების ისეთ მდგომარეობას, რომელიც მაღალ დონეზე შეასრულებს სახალხო მეურნეობის განვითარების ოვალსაზრისით მათზე დაკისრებულ ამოცანას, კერძოდ ნიადაგდაცვით, წყალშენახვით, წყლისმარევულირებელ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სხვა ფუნქციებს, ამის შემდეგ კი ტყის ჭრის სანგარიშო ტყებაზის შემატებასთან მკაცრი ბალანსირებით ფართობის ერთეულზე დიდი რაოდენობით მერქნის მიღებას.

ჩვენი მრავალწლიანი სტაციონარული, სავალგაექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ აჭარის პირობებში მაღალი დონის ტყიანობის წყალშემკრებ აუზებში, ტყის ეკოსისტემები ეფექტურად ვერ ასრულებენ ნიადაგდაცვით, წყალმარევულირებელ და სხვა სასარგებლო ფუნქციებს, რაც კორომების ბალზე დაბალი სიხშირით, ტყეების ბუნებრივი შემადგენლობისა და პროდუქტიულობის ცვალებადობით უნდა აიხსნას (1,2,4,6). ამდენად, აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიან ტყებში მნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო ამოცანად უნდა ჩაითვალოს დაბალისიხშირიანი კორომების რეკონსტრუქცია, მათი ტრანსფორმაცია ნორმალურად შეკრული, მაღალი წარმადობის მქონე ძვირფასი ტყის შემქმნელი ჯიშების კორომებად ჩამოყალიბებისათვის.

დეგრადირებული სატყეო ფართობების მნიშვნელოვანი ფართობები მოგვეპვება წაბლნარი, რცხილნარი და მუხნარი ტყის ფორმაციებში. ისინი უმთავრესად წარმოდგენილია მე-3 და მე-4 გენერაციული ამონაყრის ტყის ეკოსისტემებით, მერქნის დაბალი მარაგით (40-70 მ² ჰა-ზე), დაბალი სიხშირით და მძლავრად განვითარებული მარადმწვანე ქვეტყით.

აჭარის მთის განუახლებელი მეჩხრების, დაბალი და საშუალო სიხშირის კორომების, აგრეთვე მარადმწვანე ქვეტყიან, შამბისა და ხორბლოვანი ბალახებით დასარევლიანებულ უბნებში რეკონსტრუქციის მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებული ცდები ძირითადად ემყარება არასასურველი მცენარეების ჯგუფებად, თარგებად ან ზოლებად მოსპობას. მათი მთლიანი მოსპობის მიზნად დასახვა, მთაგორიან პირობებში დაუშვებელია წყლისმიერი ეროზის წარმოშობა-განვითარების სერიოზული საფრთხის გამო.

რეკონსტრუქციის ჩატარების არსებული რეკომენდაციები, ძირითადად ემყარება არასასურველი ფიტოცენოზების გაჩეხვას 15-20 მ სიგანის ფანჯრებში, ხოლო ფერდობებზე, ზოლებრივ (5 მ სიგანის) დერეფნებში. ფერდობებზე განლაგებული ყოველი დერეფნის შემდეგ დარჩენილი კულისების სიგანე, სარეკონსტრუქციო დერეფნის საშუალო სიგანის (არანაკლებ 5 მეტრისა) ტოლია, სიგრძე კი 50-70 მეტრია.

სარეკონსტრუქციოდ დაგეგმილ ნაკვეთებზე უნდა ჩატარდეს წინამოსამზადებელი სამუშაოები: ნიადაგის ჭრილების მოწყობა და ფერდობებზე მერქნისა და მწვანე მასის მატერიალურ-ფულადი შეფასების შედგენა (თუ ის ეპემდებარება რეალიზაციის), რეკონსტრუქციის პროექტისა და შესრულებულ სამუშაოთა ტექნოლოგიური სქემის შედგენა.

ჩვენს მიერ შემუშავებული დეგრადირებული მთის ტყეების რეკონსტრუქციის დერეფნული წესი დეტალურადაა მოცემული გამოქვეყნებულ შრომებში (1,5,6). ამიტომ ტყის აღდგენის ტექნოლოგიის სპეციფიკური პროცესების და მათი შემადგენელი ოპერაციების აღწერაზე აღარ შევჩერდებით.

განსაკუთრებული მეცნიერული მიღვმაა საჭირო სუბალპური ტყეებისადმი, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება სატყეო, სოფლის მეურნეობისა და სარეკურსაციო ინტერესები. ეს ტყეები აკონტროლებენ მთის მაღალ სარტყელში მეწყრულ მოვლენებს, თოვლის ზვავებს, მინერალური წყაროების კვებას და არსებითად რესპექტლივის ყველა ქვემოთ განლაგებულ მაღალი წარმადობის ტყის სარტყელის მცენარეულობას, რაზედაც მთლიანადაა დამოკიდებული მტკნარი წყლის მომარაგება. ამდენად სუბალპური ტყეების შენარჩუნება უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანად ითვლება.

დღემდე შენარჩუნებული სუბალპური ტყეების დიდი ნაწილი ფრაგმენტაციი განლაგებით ხასიათდება. აქ უმეტესად პატარა ზომის ტყის ფართობები და კორომთა ჯგუფები გვხვდება, რაც მკაცრი ბუნებრივი და ანთროპოგნული ფაქტორების გავლენითაა განპირობებული. ასეთი ტყის მცირე ჯგუფებიდან თესლის არათანაბრად გავრცელების გამო, ხშირ შემთხვევაში, დაბალია სუბალპური ტყის აღდგენითუნარიანობა, ამიტომ საჭიროა ტყეების ხელოვნური განახლების გზით ამაღლდეს კორომთა სიხშირე და გაუმჯობესდეს სუბალპური ტყეების საერთო მდგომარეობა.

რაც შეეხება ხშირი ქვეტყით დაკავებულ ისეთ ბიოჯგუფებში, სადაც ტყის მთავარი ჯიშის თესლის გაღივება და დაფეხვიანება შეწყვეტილია, აუცილებელია ჩატარდეს მარადმწვანე ქვეტყისაგან ნაწილობრივი განადგურება 1,5-2 მეტრი სიგანის ზოლებში ან 6-12 მეტრი დიამეტრის „ფანჯრებში“. სამუშაო ხორციელდება მოტორიზებული ხელის აგრეგატებით და სხვა ჩვეულებრივი ხელის იარაღებით.

ტყის კულტურების წარმოების, ან ბუნებრივი განახლების გზით სუბალპური ტყეების აღდგენისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უტყვეო ფართობებზე დაუშვებელია ნიადაგის მინერალიზაცია დიდ ნაკვეთებზე ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიული პროცესების თავიდან აცილების მიზნით. ამიტომ აქ უპირატყესობა უნდა მიენიჭოს

თესლების თესვას ან 2-3 წლიანი ნერგების რგვას.

იმ ადილებში, სადაც ცივი ქარების გავლენით გამეჩერებულ ნაძვნარ-სოჭნარ კორომებში მასიურად იღუპება აღმონაცენი და მოზარდი, აუცილებელია მათი დაცვა მავნე ქარებისაგან მურყანისა და ტირიფისგან შექმნილი წყალსაცავი ზოლებით. მეზოფილურ და ზომიერად მშრალ ადგილებში ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას არყი, მთის ბოყვი, ლამაზი ნეკერჩხალი, მაღალმთის ნეკერჩხალი, ვერხვი და სხვა. ამ დამცავი კულტურების მიერ შეკრული თაღების შექმნის შემდეგ შესაძლებელია უკვე ბუნებრივი და ხელოვნური განახლება 3-5 წლიანი ნერგების დარგვის გზით.

ჩვენმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ აჭარის სუბალპური ტყეები, შუა და განსაკუთრებით სუბალპური ზონის ქვედა ნაწილში, დარიბი ფლორისტული და მარტივი სტრუქტურული შემაღგენლობით ხასიათდება.

სუბალპური ტყის მასივების ტყის შექმნების ჯიშების შემაღგენლობისათვის დამახსასიათებელია მონოდომინანტობა. იგი განსაკუთრებით მკეთრად გამოიხატება სუბალპური ტყის ყველაზე მაღლა, 1500-2000 მეტრი სიმაღლის ფარგლებში. ამიტომ აქ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, ხელი შევუწყოთ მონოდომინანტური შემაღგენლობის კორომთა ფორმირებას, როგორც ბუნებრივი განახლების ხელის შეწყობის, ასევე ხელოვნური ნარგაობის შექმნით. მაგრამ ეს ყოველთვის და ყველგან არ არის შესაძლებელი. მაგალითად, ცდებით დადგენილ იქნა, რომ სუბალპურ ტყეებში ხელოვნურად გაშენებული სოსნოვსკის ფიჭვის მონოდომინანტმა კორომებმა ყველგან ვერ გამოავლინეს ბიოლოგიური მდგრადობა.

უკანასკნელ ხანებში, საქართველოს მაღალმთიანი ზონების სატყეო მეურნეობებში, კერძოდ, ბოგდანოვების, ხელოს, ნინოჭმინდის, დმანისის, წალკის რაონებში აღინიშნა სოსნოვსკის ფიჭვის მონოდომინანტი ნარგაობის მნიშვნელოვანი მრავალჯერადი დაზიანებები.

ამდენად შეიძლება გავაკეთოთ დას-

კვნა, რომ სოსნოვსკის ფიჭვი ტყის კულტურებში შეიძლება გამოყენებულ იქნას შერეული ნარგაობების ფორმირების დროს, როგორც სხვა ჯიშთან მისი თანმდევი ჯიში.

ჩვენი ხანგრძლივი კვლევის შედეგად დადგენილია, რომ აჭარის სუბალპური ზონის გამეჩერებული და დაბალი სიხშირის ტყების რეკონსტრუქციისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს აღმოსაფლეთის წიფელსა და კავკასიურ სოჭს, შეიძლება, ამასთან ერთად, გამოყენებულ იქნას აგრეთვე აღმოსაფლეთის ნაძვი, შავი ფიჭვი, კავკასიური ფიჭვი, მაღალმთის ნეკერჩხალი, წიოელი ნეკერჩხალი.

სუბალპურ ზონაში ჩვენს მიერ საკვლევად გამოყოფილ ტერიტორიაზე ნარგაობების შექმნისას კარგი შედეგები მოგვცა ევროპული ნაძვის, ტირიფისა და თხილის ზოგიერთი სახეობის გამოყენებამ.

აჭარის სუბალპურ ზონაში ტყის ხელოვნური განახლების გზით აღდგენითი სამუშაოები უნდა დავიწყოთ შეჩერიდა და დაბალი სიხშირის, აგრეთვე საშუალო სიხშირის მარადმწვანე ფართობების აღდგენით.

უტყეო ადგილებში, აღდგენითი სამუშაოები უნდა ჩავატაროთ 15-20⁰-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე.

სუბალპური ტყების ტყის აღდგენის სარეკონსტრუქციო ღონისძიებების დაპროექტებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობისათვის საკვები რესურსების მოთხოვნილებები. ამიტომ მთიან აჭარაში მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, საქონლის ძოვებისა და სათიბებისათვის გამოყენებული უნდა იქნას 15⁰-ზე ნაკლები დაქანების ტყის ფერდობები. ამასთან ყველაფერი უნდა ვიღონოთ არსებული ტყის კორომების სტაბილურობის შენარჩუნებისათვის მიმართული პროფი-

ლაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად.

მეორე მხრივ, ტყის ფართობებზე, სადაც მიმდინარეობს აღდგენითი ან სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აუცილებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა, მაგალითად, „ტყე ისვენებს“, რაც იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ასეთი ნაკვეთები საქონლის შეღწევისაგან იზოლირებულია. არანაკლებ მნიშვნელობას იძენს აგრეთვე აღპური სამოვრებისა და სათიბ-საგარეულების პროდუქტიულობისა და ბიოლოგიური მდგრადობის ამაღლება-აღდგენის სამუშაოების დონისძიებების განხორციელება. გარდა ამისა, მკაცრად უნდა დარეგულირდეს აჭარის სუბალპურ სარტყელში საქონლის ძოვების ნორმა, ანუ ძოვებისათვის ერთ პირუტყვზე უნდა მოდიოდეს არანაკლებ 4-5 ჰექტარი. სამწუხაროდ, როგორც აღინიშნა, დღეისათვის იგი ამ დატვირთვას 10-15-ჯერ აღემატება.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის სუბალპურ სარტყელში ყველა ტყის აღდგენითი სამუშაო პირველ რიგში უნდა დაიწყოს მუქწიწვიან ტყის ზედა მიმდებარე საბალახოსთან 150-200 მეტრ ზოლში.

ვითვალისწინებოთ რა აჭარის მაღალმთიანი სარტყელის სხვადასხვა სახის სარეკონაციო და სხვა რესურსებით ათვისების პერსპექტივებს, უაღრესად აქტუალურ პრობლემად უნდა ჩაითვალოს სუბალპური ტყის ზედა საზღვრების ამაღლება, როგორც აღინიშნა უკანასკნელი 30-40 წლის მანძილზე, მან 300-400 მეტრით დაბლა დაიწია.

ჩვენს მიერ ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა პრაქტიკულად დაამტკიცა ამ, არცოუ მარტივი ამოცანის რეალიზაციის შესაძლებლობა, განსაკუთრებული მეტყეობითი ღონისძიებების გამოყენების გზით.

1.Â. Íäi ó íè äçå.-Íàó÷íúå ìñíîâû ðàöèííàëüííâî è ñííëüçî âàíèà è îõðàíû ëåñííé ðàñòèðåëüíñòè Áäæàðèè // Äîêòîðñèàÿ äèñåðòåöèà. 1990, .369-405.

2. ვ.პატუნიძე აჭარის მთის ტყების თანამდეროვე მდგომარეობა და მეურნეობის გაძლოლის მეცნიერებლი საფუძვლები // ქურნ. „რეგიონალური ეკონომიკა“. გამომცემელი – აჭარის არ სავაჭრო სამრეწველო პალატა. ბათუმი. 2008. გვ. 48-52

3. თ.სახოვია – მოგზაურობა საქართველოში, აჭარაში, სამურზაყანოში და აფხაზეთში. ბათუმი. „საბჭოთა აჭარა”, 1985. 414 გვ.

4. შ.ხიდაშელი, ვაჟაპუნიძე-აჭარის ტყეები (კომპლექსური ათვისებისა და აღდგენის პრობლემები). გამომც. „საბჭოთა აჭარა”. ბათუმი, 1976. 122 გვ.

5. შ.ხიდაშელი, ვ.პაპუნიძე, ქ.ნიშნიანიძე – სუბალპური ტყეების როლი ბუნების დაცვაში, მათი აღდგენისა და მდგომარეობის გაუმჯობესების უახლესი ამოცანები საქართველოში// მცენარეული სამყაროს დაცვის პრობლემები. ვ.პაპუნიძის რედაქტორობით, ბათუმი: საბჭოთა აჭარა, 1981 (ბ), გვ. 53-60

6. Ø. Öèäàùåëè, Å. I:ääëëøâëëë -Øåö í ñëïäëý ðåëííñòðóëëè ìæëîöåííûö íàñàæäåíèé
â ãïðíëö óñëîâëýö // ëän í âö õïçýéñòâî. - 1985.-110. n. 40-42

ეპოლოგიური პატასტროგების შემცირების მთავარი მიმართულება - ტყეების შენარჩუნება და აღღგენა-განახლება

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ტყე დედამიწაზე გარემოს ეკოლოგიურ-კოსმიური და გკონომიკური წონასწორობის – მდგრადობის, ძირითად ბერქეტს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ბრძოლა ტექნიკურ პროგრესსა და მწვანე საფარს შორის ახალი დაწყებული არ არის. რასაც მოსახლეობის სწრაფი ზრდაც განაპირობებს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, კ. ტიმირიაზევმა, ტყეს „კოსმიური ფაქტორი“ უწოდა და მანვე უილიამ ტომსონის მიერ გამოთქმულ პიპოთებას, კაცობრიობის „თბური სიკვდილის“ საწინააღმდეგო მოსაზრება გამოხატა და დაასაბუთა, რომ კაცობრიობა არ დაიღუპება ნახშირორეანგის გაზის მომატებით ატმოსფეროში, ინდუსტრიის გნივითარებასთან დაკავშირებით, თუ გავუფრთხილდებით მცენარეულობას და განსაკუთრებით ტყეს. ამდენად მწვანე მცენარე და კერძოდ, ტყე, რომ გარემოს ეკოლოგიური კოსმიურ და ეკონომიკური მდგრადობის გარანტიის ძირითადი ფაქტორია, ამას დღეს არავითარი მტკიცება, რომ არ სჭირდება, ეჭვს არ იწვევს. და რომ მას გრივრული მოპყრობა და გაფრთხილება ჭირდება, ესეც ეჭვს გარეშეა. გამომდინარე აქედან მეცნიერთა მიერ შემუშავებულია ტყიდან მერქნით სარგებლობის წესები და მეთოდები, რომელთა დაცვის გარეშე ტყე კარგავს მასზე დაკისრებულ ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციას, როგორიცაა მდგრადი ეკოლოგიურ-ეკონომიკური ფუნქციები.

თუმცა არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა ტყიდან მერქნით სარგებლობის წესები და პრინციპები რომ ირდევა, წარმოებს გადაჭარბებული ჭრები და სხვა. რაც ეკოლოგიური კატაკლიზ-

მებისა და კატასტროფების მიზეზი ხდება.

ეს პროცესი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატება მთიან პირობებში, სადაც უაღრესად რთულია გზების მშენებლობა და არ არსებობს შესაბამისი ტექნიკური ბაზა.

უველივე აღნიშნულის დასამტკიცებლად ისიც იქმარებს, რომ ამ უკანასკნელ სანებში, საქრაოველოს მთაგორიანი რელიეფის პირობებში საგრძნობლად შეიცვალა კლიმატური პირობები, გახშირდა კოკისპირული წვიმები, რაც თავის მხრივ მთის მდინარეთა აღიდებას იწვევს, რომელთაც უდიდესი დამანგრეველი ძალა აქვს. უამრავი ხალხი რჩება უსახლკაროდ და უშემოსავლოდ და ა.შ.

დღეს უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მომხდარი წყალდიდობებისა და ლვარცოფების წარმოშობის ძირითადი მიზეზი ტყეების უსისტემო და უმოწყალო ხეხვის შედეგია, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდგომ განვითარებულ ენერგეტიკულ და ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხდებოდა.

დღეს ყველგვარი ექსპერიმენტებისა და მეცნიერული კვლევების გარეშე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ტყეების უსისტემო, უმოწყალო ჭრის შედეგად დაირღვა, როგორც რეგიონალური, ისე გლობალური ეკოლოგიური მდგრადობა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ნალექების რაოდენობის კატასტროფული ზრდა, ამას თან მოჰყვა მდინარეთა აღიდებები, დარცოფები, შესაბამისი ნგრევის პროცესებით. აქვე ხაზი გვინდა გავუხვათ იმ გარემოებას, რომ წყალდიდობები და კოკისპირული წვიმები მხოლოდ ტყით დაფარული რეგიონების ტერიტორიებზე ხდება, კერძოდ:

ლაგოდები, ყვარელი, ახმეტა, თიანეთი, ღუშეთი, რაჭა, მერეთი, სვანეთი, გურია, აჭარა და ა.შ. ყოველივე აღნიშნული უდავოდ მიგვითითებს იმაზე, რომ სწორედ ამ რაიონებში წარმოებდა ტყეების უმოწყალოდ ჩეხება.

ამასთან დღეს საქართველოში კლიმატის მკვეთრი ცვლილებების მიზეზად გლობალურ დათბობასაც ასახელებენ და გვთავაზობენ, რომ უნდა ვისწავლოთ ასეთ პირობებში ცხოვრება და მუშაობაო. რაშიც კატეგორიულად არ შეგვიძლია დავთანხმოთ. ჩვენ ვთვლით, რომ გლობალური დათბობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ტყეების გლობალური განადგურებაა. ტექნიკური პროგრესისა და მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად, ეს უკანასკნელი, არა მარტო რესურსებზე მოთხოვნილების, არამედ უანგბადის მოხმარების ზრდასთანაცაა და კავშირებული, რაც თავის მხრივ ნახშირორეანგის მომატებას იწვევს, ხოლო ეს კი გლობალური დათბობის ძირითადი მიზეზია, მით უმეტეს, როცა უანგბადის მწარმოებელი, მწვანე ფოთოლი კატასტროფულად მცირდება. არადა მეცნიერთა მიერ ისიც დამტკიცებულია, რომ 60% უანგბადის წარმოება, მწვანე საფარზე მოდის, შესაბამისად იგი იგივე რაოდენობის ნახშირორეანგს მოიხმარს. ამდენად, თუ ჩვენ გვინდა გადავარჩინოთ, არა მარტო საქართველო, არამედ მსოფლიო ეკოლოგიურ კატასტროფას საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ ტყეების აღდეგნის სამუშაოთა მასშტაბების გაზრდას და არა შექმნილ მდგომარეობასთან შეგუება ვისწავლოთ. აქ ვფიქრობთ საინტერესო იქნება გავიხსენოთ ჩვენს მიერ 1970 წელს, ურნალ „საქართველოს ბუნებაში“ გამოქვეყნებული სტატია, სადაც აღვნიშნავდით, რომ უკანასკნელ სანებში აშენდა ენგურჰესი და უინვალჰესი – რისთვისაც დაგუბებული იქნა მთის მდინარეები, რამაც განაპირობა წყლის აორთქლების ზედაპირის ეწ. აორთქლების „სარკის“ გაზრდა. ასეთ შემთხვევაში, საზღვარგარეთის ქვეყნებში, ჯერ ტყეს აშენებენ და შემდგომ აგუბებებს მდინარეებს, რათა არ მოხდეს ეკოლოგიური მდგრადობის დარღვევა, თუმცა მდგრადობის დარღვევა, თუმცა

ცა ჩვენს შემთხვევაში ტყეების გაშენება კი არა, ტყეების უმოწყალო ჩეხება ხდებოდა, სწორედ ამან მოგვცა საფუძველი გამოგვეხატა შეშფოთება და აღვნიშნავდით, რომ თუ არ მოხდა ტყეების აღდეგნით სამუშაოთა მასშტაბების ზრდა, საქართველოს ეკოლოგიური კატასტროფა არ ასცდებოდა. იქვე აღნიშნულ იქნა, რომ დმერიმა ნუ ქნას, ჩვენი პროგროზი გამართლებულიყო, მაგრამ სამწუხაროა, რომ მას შემდეგ ტყეების აღდეგნა კი არა, მისი ინტენსიური ჩეხება წარმოებდა.

მართალია ამ ბოლო პერიოდში ტყის ჩეხების პროცესი საკმაოდ შემცირდა, მაგრამ როგორც ვხედავთ, დღეს ტყეების ჩეხების შეჩერება საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭიროა მათი აღდეგნის სამუშაოთა მასშტაბის გაზრდა, რისთვისაც პირველ რიგში, საჭიროა შედგეს თითოეული რეგიონისთვის „ტყეების აღდეგნის სახელმწიფო პროგრამები“, წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო ნაპირსამაგრ სამუშაოთა წარმოება საკმარისი არ იქნება.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღნიშნულა მსგავსი ეკოლოგიური კატასტროფის შემთხვევები, მაგრამ მთავრობის გონივრული გადაწყვეტილებების შედეგად გამოსულა ქვეყანა მძიმე მდგომარეობიდან. სწორედ ამის იმედი გვავქვს ჩვენც.

აღნიშნული პროგრამები, ასევე საგალდებულო უნდა გახდეს ტყეების მესაკუთრეებისათვისაც, რადგანაც ტყე ვის საკუთრებაშიც არ უნდა იყოს, წარმოადგენს მდგრადი ეკოლოგიური გარემოს უზრუნველყოფის საფუძველს, ცხადია ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას. ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტყეების აღდეგნის პროგრამის შემუშავება და განხორციელება, დაკავშირებულია გარკვეული მოცულობის დანახარჯებთან, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის რდგვევის შედეგების აღმოსაფხვრელად იხარჯება, ეს დანახარჯი 2-3-ჯერ და მეტჯერაც უფრო ნაკლები იქნება – იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ტყეების აღდეგნის დროს გამონთავისუფლებული

მერქნული ნაწილის და მწვანე მასის ეფექტურად გამოყენებასთან ერთად, აღდგენილი მაღალპროდუქტიული ტკმ, მერქნით სარგებლობის ზრდის წყაროსაც წარმოადგენს დროში, ცხადია, ტკმების აღდგენის სამუშაოთა მასშტაბების გაზრდას ალტერნატივა არ გააჩნია.

განსაკუთრებული მადლიერებით
გვინდა აღვნიშნოთ საქართველოს პატ-
რიარქის კურთხევით წამოწყებული
თბილისის გამზანების სამუშაოები.
თუმცა დღეს გლობალური დათბობის
პირობებში, სასურველი ქვეყნის სხვა
ქალაქებთან ერთად პატრიარქის კურთ-
ხევით, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ქა-
ლაქები ჩაეცნენ ამ საერო საქმეში. მით-
უმეტეს, როცა დღეს (2009 წ. 15.12) კოპენ-
ჰაგენში გლობალური დათბობის წინა-
აღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გან-
ხორციელების მიზნით, 100 მლდ. დო-
ლარის გამოყოფა დაიგეგმა, ვფიქრობთ,
მწვანე მცენარეთა და ტყეების აღდგენის
ღონისძიების განხორციელება ერთ-ერთ
მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს, თუ-
მცა კონფერენციაზე ამ მიმართულებით
მკაფიო პოზიცია არ დაფიქსირებულა,
რაც ვფიქრობთ, არა სწორია, რადგანაც
მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ

მწვანე მცენარე და საერთოდ ტყე, ბიოსფეროს მდგრადი ეკოლოგიურ-კოსმიურ-ეკონომიკური გარემოს დაცვის ძირითადი ბერკეტია.

გამომდინარე აქვთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას მწვანე მცენარეთა და ტყეების აღდგენის სამუშაოთა წარმოების, მართვის საერთაშორისო საკოორდინაციო სპეციალიზირებული საბჭო, რომელიც ტყეების აღდგენის სახელმწიფო პროგრამების შემუშავების გარდა, სახსრების მოზიდვითაც იქნება დაკავებული.

არანაკლები მასშტაბებით ხდებოდა
თბილისი გამწვანება კომუნისტების
დროსაც, მაგრამ სასურველი შედეგები,
შეიძლება ითქვას, მიუღწეველი რჩებოდა.
ამის შესახებ ერთხელ ცნობილი მწერალი
ბ-ნი რეზო ჭეიშვილი გაზეთში
აღნიშნავდა: „თბილისში ყოველწლიურად
იმდენი ნერგი ირგვება, რომ ეხლა
ჩვენ ჯუნგლებში უნდა ვცხოვრობდეთ“.

ასე, რომ მწვანე მცენარეთა და ტკი-
ების აღდგენა, ერთჯერადი გაუპიროვ-
ნებელი მართვის პირობებში, შეუძლებ-
ელი ხდება და უდავოდ მოითხოვს სპე-
ციფიკურ-პროფესიულ მიდგომას და
მართვას.

È. ÄÀÀÇÀÄÀ, Ò. ÄÀÀÇÀÄÀ

ÏÓÖÜ ÑÏÀÑÅÍÈß ÌÈÐÀ ÏÒ ÝÊÎ Ë ÏËÄÎÈ×ÅÑÊÎÉ ÊÀÒÀÑÒÐÎ ÔÈ ÏÐÎ ÕÎ ÄÈÒ
ÍÀ CÅËÅÍÌ ÏÍÈÐÎÅÅ - ÍÀ ËÄÑ.

DÅCPÌÅ

Â ñòàðüå àâðîð, ðàññìàðòðéåâåð äëèÿíèå ëåññèñðîñðè, íà èçìåíáíèÿ èëèìàðè÷åññèð óññèïåèé. Îòìå÷åíí, ÷òî â ãïðíûõ ðàéíåð Äðóçèé å ñäýçû ñ áåçñèñðåìííé, èíòåñèåííé ðóáéè åññà, ðåññít èçìåíèéàñü. Èéèìàðè÷åññèå óññèïåèÿ, ÷òî íàõí äèò åèðåæáíèå â íïåûøåíèé î ñääéïå, â áûüåå èíðåíñèåíûõ äïæååé, áûçååàùèå íàååäíåøÿ, ííïëüçíû è ò. ä. ññòåðååð ñòåôðþùèå ðàçðóðøåíèåí èåñíûõ íàñååëåííûõ íïññëüêå.

Аâðîð æëý ïðåäðâðàøâíèý ýêî ëïâè÷åñëîé êî ðî ñððîôû, íðåäëëåâàåðò ðàññþøðâðåíèå ì àêþàáâî ëåññîâî ññòà íåæåíèÿ. Äëý þåãî íååðî ãëèìî ðàçðàáîòà „Åñ ñðääðñòåâåíûå íðîâðàìû èåññîâîññðàíîâéåíèÿ,, iî ïðåäëüíû ðåäåéíàì, ðåññóäåéèëè. íðë ÿðòîì ôèíàíñèðîâàíèå èåññîâî ñðàíîâèðåëüíèð ðåáâîò, íååðî ãëèìî ïñóøåñðåèòü, êàé çà ñ÷åðò áþäæåðà, ðåé è ñíåññðåâåíûö ñðåäññðå.

ეპოლოგიური კატასტროფების შემცირების მთავარი მიმართულება – – ტყების შენარჩუნება და აღდგნა-ბანახლება

რეზიუმე

სტატიაში ავტორი განიხილავს ტყის როლს კლიმატური პირობების ცვალებადობაზე.

აღნიშნავს, რომ საქართველოს მთაგორიანი რელიეფის პირობებში, ტყის უსისტემო ინტენსიური ჭრების შედეგად მკვეთრად შეიცვალა კლიმატური პირობები, რამაც ასახვა პპოვა კოკისპირულ წვიმებსა და წყალდიდობებში, ღვარცოფებში და ა.შ. რომელსაც თან ხდებს მთის სოფლების ნგრევა.

ავტორი ეკოლოგიური კატასტროფების შემცირების მიზნით, გვთავაზობს ტყის აღდგენის სამუშაოთა მასშტაბების გაზრდას, რისთვისაც საჭირო ტყეების აღდგენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, როგორც რეგიონალური, ისე გლობალური მასშტაბებით. ამასთან დაფინანსება უნდა განხორციელდეს, როგორც ბიუჯეტიდან, ისე საკუთარი შემოსავლებიდან.

ბამოზენებული ლიტერატურა:

1. გვაზავა ლ. – ტქმ. ეკოლოგია, ეკონომიკა. გაზ. „ქართული სოფელი“ 1995. მაისი.
2. გვაზავა ლ. – ტყეში მეურნეობის წარმოების ეკოლოგიური-ეკონომიკური საფუძვლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. სსუ საიუბილეო კრებული „აგრარული მეცნ. პრობლემები“. თბ. 1999.
3. გიგაური გ. კანდელაკი თ. – საქ. სატ. მეურნეობის მდგრადი განვითარების ძირითადი პრობლემები. საქ. მეცნირებათა აკადემიის ვ. გულისაშვილის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი. შრ. ტ. 37. თბილისი. 1998.
4. გვაზავა ლ. გვაზავა თ. – ტყეთსარგებლობისა და კვლავწარმოების თანამედროვე პრობლემები საქართველოში. თბილისი 2003.
5. გვაზავა ლ. – ტყის როლი ბუნების დაცვის საქმეში. უურნ. „საქართველოს ბუნება“. თბ. 1985 №8.

IV. ტესტის გამოყენება

მოთა ჯარში, პირველი დანართი

ეროვნული სატყეო სტანდარტების შემუშავება და დანერგვა - რაციონალური ტყითსარგებლობის საფუძველი

ცნობილია, რომ საბჭოურ ეპოქაში სატყეო მრეწველობაში, ისე როგორც სხვა დარგებში მოქმედებდა ყოფილი სსრკ სტანდარტიზაციის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებული სახელმწიფოთაშორისო სტანდარტები, ეწ. სტანდარტები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერტიფიკაციის სახელმწიფოთაშორისო კავშირის 1993 წლის 21 ოქტომბერს დადგებული ხელშეკრულების თანახმად, დსთ-ს სივრცეში ამოქმედდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტანდარტიზაციის კომიტეტის მიერ შემუშავებული ყველა დარგის სტანდარტები. საქართველო ამ ხელშეკრულებას შეუერთდა 1995 წლიდან. ამრიგად, დსთ-ს სივრცეში (მათ შორის საქართველოშიც) ფაქტიურად შენარჩუნდა პოსტსაბჭოთა პერიოდის სახელმწიფო სტანდარტების სისტემა.

2008 წლის ივნისის თვეში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოს დსთ-დან გამოსვლის თაობაზე. ამავე დროს, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესორების მიერ წამოწებულმა რუსეთ-საქართველოს ომის მოვლენებმა, რომელმაც შელახა საქართველოს სუვერენიტეტი, დაარღვია სახელმწიფოს მთლიანობა და მოახდინა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია, საქართველოს მთავრობამ შეწვიტა რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა. ამრიგად, დღეს რუსეთის მიმართ რადიკალურად შეცვალილი პოლიტიკური გენერაციის პირობებში მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამართლებრივი და მორალური პრინციპებიდან გამომდინარე დაუშვებელია, რომ ყოველმხრივ შეურაცხოფილი დემოკრატიული საქართველო, კვლავაც აგრძელებდეს სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პოლიტიკის წარმართვას მტრად შემდგარი რუსეთის ფალერაციის ინტეგრირებული სახელმწიფო სტანდარტებზე დაყრდნობით.

ამავე დროს, საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ თავისი 10.07.09 №398 წერილით ოფიციალურად გვაცნობა: იმის მიუხედავად, რომ საქართველო გამოვიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კავშირიდან, საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, კვლავ რჩება „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერტიფიკაციის დარგში შეთანხმებული პოლიტიკის გატარების შესახებ“ (1992 წლის 13 მარტის) ფარგლებში და აგრძელებს თანამშრომლობას სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფოთაშორისო საბჭოში.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთაშორისო სტანდარტები, ეწ. „გოსტები“, კვლავაც განაგრძობენ მოქმედებას საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ნებაყოფლობითი დოკუმენტების სტატუსში.

ბუნებრივია, ამ სიტუაციაში საქართველოს ყველა დარგი იძულებულია პირველ ეტაპზე გააგრძელოს მუშაობა

ნებაყოფლობითი სტატუსით მოქმედი სახელმწიფოთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით. ასევე ცხადია, რომ საქართველოს სატექნიკურნეო კომპლექსში დღის წესრიგში აქტიურად დგება ეროვნული სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების ფორმირებულ რეჟიმში შემუშავების აუცილებლობა, საქართველოს უნიკალური ტყის სპეციფიკური პირობების, სატექნიკური მრეწველობის ტექნიკური ბაზის ინფრასტრუქტურისა და საერთაშორისო (ISO) სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების ჩარჩო-პარამეტრების გათვალისწინებით.

ამჯერად შპს „საქტექნიკურმა“ და „საქსტანდარტის“ ეროვნული სააგენტოს სტანდარტების და ეროვნული რეგლამენტების დეპარტამენტმა თავისი ინიციატივით დამუშავეს სატექნიკურნეო-სამრეწველო) კომპლექსის ორი მეტად მნიშვნელოვანი „ტექნოლოგიური მოხმარების მრგვალი საშეშე მერქნის“ და „სათბობი შეშის“ საქართველოს ეროვნული სტანდარტები.

წარმოგიდგენთ აღნიშნული სტანდარტების ტექნიკურ-ეკონომიკური და-საბუთების განმარტებით ბარათს:

ადსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ტყითსარგებლობის კომპლექსში შეშასთან მიმართებაში არსებულმა უხეშეკანონდამრღვევი ფაქტების ტენდენციამ კატასტროფულ ზღვარს მიაღწია.

იმ ძირითადი მიზეზის გამო, რომ შეშასთან დაკავშირებული მთელი რიგი შედარებით მარტივი კანონდამრღვევი ქმედებათა „წყალობით“, პრაქტიკულად ადგილად ხელმისაწვდომი გახდა საშეშე მერქნის არალეგალური მოპოვების შესაძლებლობა. დღეს დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სათბობი შეშის ნედლეული, რომელიც „საჭიროების“ ხშირ შემთხვევაში არაფრით არ განსხვავდება სტანდარტული სამასალე მერქნისაგან, ღირსეულ კონკურენციას უწევს სამასალე მერქნის ნედლეულს.

ამრიგად, დღეს საშეშე ნედლეული, უკელა თავისი ნეგატიური და ეკონომიკური ღირსებათა წყალობით, ხე-ტყის „შავი ბიზნესის“ განვითარების სტრატეგიული ნედლეული გახდა. 2005-2008

წლების სააუქციონო „ბაზრობის“ პრაქტიკამ დაგვანახა, რომ აუქციონზე შეშის დამზადების ლიცენზიებს განსაკუთრებით დიდი ენთუზიაზმით შეისყიდიან მხოლოდ შეძლებული კერძო ადგილობრივი ფირმები და ე.წ. უცხოელი ინვესტორები, რომლებიც ათი ათასობით კუბმეტრი შესყიდული სათბობი საშეშე კატეგორიის მერქნიდან (კანონდარღვევით) დიდი წარმატებით და მაღალი რენტაბილურით აწარმოებენ ძირითადად საექსპორტოდ განკუთვნილი დახერხილი მასალისა და სხვადასხვა ნომერკლატურის ხის ნაწარმის დამზადებას.

ამავე დროს კი, ტყის რეგიონებში მცხოვრები გადატაპებული სოფლის მოსახლეობა ფაქტიურად სათბობი შეშის გარეშე რჩება, რაც ბუნებრივია იწვევს სოფლის მოსახლეობის მწვავე აგრესიას.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით 2005-2007 წლებში კერძო ფირმებისა და ე.წ. „სასიკეთოდ“ მოვლენილი უცხოელი ინვესტორების მიერ, მარტო ფიცრად დაიხერხა სულ მცირე 180 ათ. კუბმეტი წიფლისა და წიწვოვანი ჯიშის სათბობი საშეშე მერქანი, რომლის შედეგადაც (საშუალოდ 20% გამოსავლიანობის ფარგლებში) წარმოებული იქნა 36 ათ. კუბმ სხვადასხვა სორტიმენტის დახერხილი მასალა. 1 კუბმ წიფლისა და წიწვოვანი ჯიშის ნედლი სტანდარტული ფიცრის საბაზრო კონიუნქტურული ფასი 2005-2007 წლებში საშუალოდ შეადგნდა სულ მცირე 230 აშშ დოლარს. ამრიგად, 36 ათ. კუბმ დახერხილი მასალის საერთო ღირებულება, რომელიც თითქმის 100%-ით იყო რეალიზებული ექსპორტით, შეადგენდა მინიმუმ 8,28 მლნ აშშ დოლარს.

ამავე დროს, გონივრული ლოგიკიდან და ტექნიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე ერვლად წარმოუდგენელია, რომ სათბობი შეშის კატეგორიის მერქნიდან (თუ ის ნამდვილად სათბობი შეშის მერქანია) წარმოებულიყო წიფლის და წიწვოვანი ჯიშის 3-დან 6 მ-მდე სიგრძის, 25-დან 60 სმ-მდე სიგანის და 40,50, 60, 80 -100 მმ სისქის საექსპორტო სტანდარტული ფიცრი და სამშენებლო დანიშნულების ძელები. ამას ვიზუალური

შემოწმების გარეშე მიამიტი დილეგანტიც კი მიხვდება, რომ ასეთი გაბარიტების საექსპორტო ფიცარი და ძელები წარმოებულია არა საშეშე, არამედ მსხვილი სამასალე კატეგორიის მორებიდან. ვისაც ნათქვამის არ სჯერა, შეუძლია ნებისმიერი რეგიონის საბაჟო არქივში გაეცნოს გასულ წლებში სათბობი შეშის მორებიდან წარმოებული დახერხილი საექსპორტო მასალის სპეციფიკიას, ასევე ელიავას ბირჟაზეც შეუძლია იხილოს შეშიდან დამზადებული წიწვიანი ჯიშის ხის ფიცრები და სამშენებლო ძელები.

ამ ნებატიური მოვლენების ტრაგიკომედია კი იმაში გამოიხატება, რომ სათბობი შეშის პოსტსაბჭოთა სტანდარტის (AİNÖ 3243-88) თანახმად შეშის სიგრძე უნდა შეადგენდეს არაუმეტესად ერთი მეტრისა, სისქე 3 სმ და ზევით.

ამავე დროს, სტანდარტის ტექნიკური პირობების თანახმად 14 სმ-ზე მსხვილი ხის ღეროები (მორები) 16 სმ-დან 26 სმ-დე, როგორც წესი, აუცილებლად უნდა იქნას დაპობილი ორ ნაწილად, 28 სმ-დან 40 სმ-დე სისქის მორები კი უნდა დაიპოს ოთხ ნაწილად და ა.შ.

ამავე დროს (ისევე როგორც განვლილ წლებშიც), სატყეო დეპარტამენტის რეგიონალური სატყეო სამმართველოები თითქოს იმ „ობიექტური“ მიზეზის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ მორის დაკოტვრისა და დაპობის სათანადო ტექნიკა, იძულებული არიან დაარღვიონ შეშის მოქმედი სტანდარტით დადგენილი ტექნიკური პირობების მოთხოვნები და შეშის მომხმარებელ ლიცენზიანგებზე დაკოტრილი და დაპობილი შეშის ნაცვლად გასცემენ საშეშე მერქანს მორების სახით.

ამ „კომფორტულმა“ სიტუაციამ მეტად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ხეტყის ბიზნესში აქტიურად ჩართულ არაკეთილსინისერ კერძო სექტორის მეწარმე-ექსპორტორებს და ეგრეთ წოდებულ ტყის „სასიკეთოდ“ მოვლენილ უცხოელ ინვესტორებს, რათა საშეშე მერქნის ნედლეული (რომელიც ხშირ შემთხვევაში სამასალე კატეგორიის მერქანს მიეკუთვნება) რაციონალურად

გამოიყენონ არა შეშის, არამედ სხვადასხვა სორტიმენტის საექსპორტო დახერხილი მასალისა და მერქნული ნახევრადფაბრიკატების დასამზადებლად.

ამ საკითხთან დაკავშირებით პირველ რიგში ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სატყეო მეურნეობის მესვეურთა მიერ მოყვანილი არგუმენტი, თითქოს ვერ კოტრავენ და ვერ აპობენ საშეშე მორებს შესაბამისი ტექნიკის უქონლობის გამო, კატეგორიულად მიუღებელია შემდეგი გარემოების გამო: 1999 წელს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „ტყის კოდექსის“ და ასევე მთავარი სარგებლობისა და მოვლითი ჭრების დადგენილი წესის შესაბამისად (პუნქტი 1) ნებისმიერი ხეტყის სორტიმენტის დამზადების ყველა პროცედურები (ხის მოჭრა, გაწმენდა, გამოზიდვა, დამორვა-დაკოტრვა, დაპობა და ტრანსპორტირება) ხეტყის კერძო მოსარგებლე ლიცენზიანტის პრეროგატივას წარმოადგენს.

ამრიგად, საშეშე მერქნის დაკოტვრის და დაპობის პროცედურები ლიცენზიანტის საზრუნავია და არა სატყეო მეურნეობის. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ შეშის მოსარგებლე ლიცენზიანტი შეშის სტანდარტის შესაბამისად ვერ დაკოტრავს და არ დააპობს საშეშე ნედლეულს უშეალოდ ტყეპაფის დამზადების უბანზე, მასზე არ უნდა გაეცეს საშეშე მერქნის წარმოშობის და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამ აღნიშნული სტანდარტქვემდებარება გადაცდომის აღსაკვთად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ 2007 წლის 9 სექტემბრის №1350 ბრძანებით, საშეშე მერქნის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესში (შეშის პოსტსაბჭოთა სტანდარტის გოსტ 3243-88 ტექნიკური პირობის შესაბამისად) მე-3 მუხლის 2 გქეპუნქტით შეიტანა დამატება, სადაც საშეშე მერქნის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის გამცემ ორგანოებს დაევალა, რომ შეშის მოსარგებლეზე არ გასცენ საშეშე მერქნის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ „4 სმ და მეტი დიამეტრის მქონე საშეშე მერქნის შემთხვევაში არ

არის დაკოტრილი სიგრძით არაუმეტეს ერთ მეტრამდე“. ამ გადაწყვეტილებამ კი თავის მხრივ რადიკალურად შეზღუდა სოფლის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი 2, 3, 4 მეტრი და მეტი სიგრძის საშეშე მერქნის მოპოვების შესაძლებლობა, რომელიც მათ მუდმივად ესაჭიროებათ თავისი საყოფაცხოვრებო-სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ამრიგად, ამ შეშის პოსტსაბჭოთა სტანდარტის „გადამკიდე“ ტყის რაიონში მაცხოვრებელი სოფლის მოსახლეობა (სიღარიბის დაძლევის სამთავრობო პროგრამის ფონზე) ფაქტიურად რჩება ხე-ტყის მასალის გარეშე. ამ გარემოებამ ბუნებრივია გამოიწვია სოფლის მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება, რომელსაც მოჰყვა (და დღესაც არ ცხრება) მეტად სერიოზული ინსინუაციები.

ახლა, რაც შეეხება თვით ხის კოტებთან დაკავშირებულ მეტად სერიოზულ და დღეისათვის ჯერ კიდევ დაუძლეველო ნეგატიური მოვლენების პრობლემებს:

ცნობილია, რომ სამასალე მერქნის რესურსების არალეგალურად მოპოვების მთელი რიგი პირტექნილოგიებიდან, პრაქტიკულად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომად მიიჩნევა ხის კოტრის ფენომენთან დაკავშირებული „ოპერაციები“. საქმე იმაშია, რომ ხე-ტყის ბიზნესის თავკაცებმა, სადაც („მყიდველისა“ და „გამყიდველის“) ინტერესთა მეტად ფართო სპეციალისტთა ჩართული, მრავალი წლის წინ შექმნეს მითი იმისა, თითქოს ერთ მეტრამდე სიგრძის ნებისმიერი დიამეტრის ხის კოტრი მიეკუთვნება საშეშე კარგორიის მერქანს. სამწუხაროდ, ეს მეოთლოგია დღესაც განსაკუთრებული წარმატებით მოქმედებს ლეგიტიმური ფორმით.

სწორედ ამ სიტუაციამ განაპირობა უნიკალური ეროვნული ტყების განდალური „დაკოტრებისა“ და „გაკოტრების“ ფართომასშტაბიანი პროცესები. ხის დაკოტრების მიზანი და სქემა მეტად მარტივია. მაგალითად, წიფლის ჯიშის მაღალი ხარისხის, უპირატესად მსხვილ

დიამეტრთა ჯგუფის (26 სმ და ზემოთ) 60-80 წლის ხელმისაწვდომობის ხელმისაწვდომი დამამზადებლები თავხედურად ანაწერებენ, საშეშე ნედლეულის მოსარგებლე ლიცენზიანტის მიერ წინასწარ დაკვეთილი ერთ მეტრამდე სხვადასხვა სიგრძის კოტრებად, რომელიც მეტარმე ლიცენზიანტს, საშეშე მერქნის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტით უპრობლემოდ გააქვს თავის ობიექტზე გადასამუშავებლად. ხშირ შემთხვევაში ამავე „წესით“ გაძევთ ტყის რაიონის მოსახლეებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ბილეთებით და ვაუჩერებით გამოყოფილი თავისი კუთვნილი შეშა. იმ შემთხვევაში, თუ ამ „ცილისწამებას“ უარყოფს რომელიმე „პეთილსინდისიერი“ რეინჯერი, მიბრძანდეს თავის საკურატორო ტყის ზონის ნებისმიერ მიმდებარე თუ მომიჯნავე სოფელში და გადახედოს მოსახლეთა კარმიდამოებში მის მიერ გაცემული საშეშე მორებისა და კოტრების ხარისხს:

ამავე დროს ცნობისათვის მოგახსნებოთ, რომ ფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყის სტანდარტის (გოსტ 9462-88) და წიწვოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყის სტანდარტის (გოსტ 9463-88) მუხლი 1.3 ცხრილი №2-ის შესაბამისად, 0,5 მ და 0,7 მ სიგრძის კოტრი, რომელსაც საღი მერქანი აქვს, მიკუთვნება სამასალე ნედლეულს (და არა შეშის) კატეგორიას.

დაგუშვათ, რომ ტყის მცველი ეწ. რეინჯერი ან გარემოს დაცვის გამოუცდელი ინსპექტორი ასე დეტალურად ვერ ერკვევა ხე-ტყის ნედლეულის სტანდარტებში, მაგრამ ის დალოცვილი იმას მაინც ხომ უნდა ხედავდეს, რომ საღი წიფლის და წიწვოვანი ჯიშის ხის კოტრები, საღი სამასალე მორებიდანაა გამოჭრილი და არა საშეშე ნახევრად დამპალი მორებიდან.

ადსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში მრგვალი ხე-ტყის დაკოტრების ფართომასშტაბიან პროცესებს (რომელსაც ჩვენ სამწუხაროდ არ „ვამჩნევთ“) ძირითადად ხელი შეუწყო იმ მნიშვნელოვანმა ფაქტორმა, რომ საქართველოში

დღეს არსებული ხის დამუშავების ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობის საკმაოდ მაღალი დონე იძლევა მცირე გაბარიტების ხე-ტყის გადამუშავების ფართო შესაძლებლობას.

აქედან გამომდინარე, დღეს ე.წ. კოტრის ფენომენმა „დირსეული“ ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის მზარდი ტემპით განვითარების საქმეში.


ამ მდგომარეობის გამო დღეს ხის კოტრზე ორიენტირებულია საქართველოს თითქმის ყველა ავეჯისა და ხის დამუშავების ლეგალური თუ არალეგალური სამრეწველო სფერო, ერთ მეტრამდე სიგრძის ე.წ. საშემშე კოტრებიდან ძირითადად აწარმოებენ საყოფაცხოვრებო, საკანცელარიო, სასკოლო, საბავშვო და სხვა ფუნქციონალური დანიშნულების მცირე გაბარიტის ავეჯს (განსაკუთრებით სკამებს), პარკეტს, საპარკეტ ფრიზას, პანელებს, შავაღნამზად საავეჯო დეტალებს და სხვა მცირე ზომის ხის ნაწარმს.

სტატდეპარტამენტის 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია ავეჯისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის 1617 საწარმო, მათ შორის 29 მსხვილი, 78 საშუალო და 1510 ინდივიდუალური. ეჭვსგარეშეა, რომ ამ მძლავრი და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განლაგებული ხე-ტყის გადამუშავების სამრეწველო კომპლექსის ყველა ის იურიდიული სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავისი სამრეწველო-კომერციული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აწარმოებს მასიური მერქნის გადამუშავებას, გვერდს არ აუვლის მაღალხარისხისინი, იაფფასიანი და ადვილად ხელმისაწვდომი საშემშე კოტრის ნებისმიერი მეთოდებით მოპოვების შესაძლებლობას.

შეშასთან დაკავშირებული სიტუაციის სიღრმისეულმა ანალიზმა და ნეგატიური მოვლენების აღეკვატურმა შეფასებამ ნათლად დაგვანახა, რომ აბსოლუტურად ყველა შეშასთან მიმართებაში დღეისთვის არსებული უხეშკანონდამრღვევი გადაცდომების ფაქტები გამომდინარეობს საქართველოს ტერიტორი-

აზე მოქმედი პოსტსაბჭოთა პერიოდის მორალურად მომველებული სათბობი შეშის სტანდარტიდან (გოსტ 3243-88).

საქმე იმაშია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სათბობი შეშის სტანდარტი, დღევანდელ ეტაპზე არ პასუხობს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციების (EN და ISO-ს) მიერ სათბობ შეშაზე გათვალისწინებული მერქნის სიდამპლის ზღვრულ პარამეტრებს. ასე მაგალითად: შეშის მოქმედი სტანდარტის ტექნიკური პირობების შესაბამისად სათბობი კატეგორიის შეშაზი მერქნის დასაშვები (ცილისა და გულის) საერთო სიდამპლე უნდა შეადგენდეს შეშის ტორსის ფართის 30%-დან 65%-მდე (იხ. სქემა).



სათბობი შეშის სტანდარტით დადგენილი მერქნის სიდამპლის დასაშვები პრამეტრები (%)

აქედან გამომდინარე, ფოთლოვანი და წიწვოვანი ჯიშის მრგვალი სამასალე ხე-ტყის მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების (გოსტ 9462-88 და გოსტ 9463-88) შესაბამისად, სადაც განისაზღვრება მხოლოდ სამი ხარისხის სამასალე მორი, მე-3 ხარისხის სამასალე მორში დასაშვები საერთო სიდამპლე უნდა შეადგენდეს მორის ტორსის ფართის არა უმეტეს 30%-ისა. ამრიგად, ზღვრული 30% სიდამპლის ზევით მე-3 ხარისხის სამასალე მორი გადადის სათბობი შეშის კატეგო-

რიაში, რომელსაც თან გაჟყვება 70% საღისამასალე მერქანი.

ევროსტანდარტით კი ფოთლოვანი და წიწვოვანი მრგვალი სამასალე ხე-ტყე განისაზღვრება ოთხი კლასის ხარისხით (A, B, C, D), (იხ. დანართი 1);

A – უმაღლესი ხარისხის კლასი, მინიმალური მანკიანობით, სადაც დასაშვებია სიდამპლე არა უმეტესი 10%-ისა;

B – ნორმალური ხარისხის კლასი, მინიმალური მანკიანობით. სადაც დასაშვებია გულის სიდამპლე 15%-მდე;

C – შედარებით დაბალი ხარისხის კლასი, სადაც გარკვეულწილად შემცირებულია ნორმალური ხარისხის B კლასის ხარისხობრივი მაჩვენებლები და დასაშვებია გულის სიდამპლე არაუმეტეს 25%-ისა;

D – დაბალი ხარისხის კლასი, სადაც დასაშვებია აბსროლუტურად ყველა სახის (რაოდენობის და სიდიდის) მერქნის მანკი, იმ სავალდებულო მოთხოვნით, რომ ყველა კლასის მახასიათებლის მიხედვით, მერქნის მოცულობის 40%-ზე მეტი ვარგისი უნდა იყოს გამოსაყენებლად, ე.ი. პრინციპში ევროსტანდარტის ტექნიკური პირობებით წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის მრგვალი სამასალე ხე-ტყის მერქანი (მორი), რომლის სიდამპლე შეადგენს მორის მოცულობის არაუმეტესი 60%-ისა, მიეკუთვნება დაბალი ხარისხის (D – კლასის) მრგვალი სამასალე ხე-ტყის კატეგორიას.

როგორც ხედავთ, ევროსტანდარტების შესაბამისად სამასალე მორი მხოლოდ 60% სიდამპლის ზევით გადადის საშეშე მერქნის კატეგორიაში. ამ შემთხვევაში მორის საღი მერქნის მინიმალური მოცულობა შეადგენს 40%. მრგვალი ხე-ტყის და შეშის პოსტსაბჭოთა სტანდარტის შემთხვევაში კი, სამასალე მორი უკვე 30% სიდამპლის ზევით უშუალოდ გადადის სათბობი შეშის კატეგორიაში. და ამ შემთხვევაში სათბობი კატეგორიის შეშაში საღი მერქნის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 70%-ს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ევროსტანდარტით (საერთო ჯამში) პრაქტიკულად საშუალოდ 20-25%-ის ფარგლებში იზრდება სამასალე კატეგორიის

ხე-ტყის რესურსები, რუსეთის ფედერაციას არაფრით არ აწყობს მრგვალი ხე-ტყის და შეშის სტანდარტის ევროსტანდარტების შესაბამისობამდე დაყვანა. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რუსეთს ზამთრის მკაცრ კლიმატურ პირობებთან და ტერიტორიულ სირთულეებთან დაკავშირებით უკიდურესად უჭირს მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო, სამხედრო ობიექტების და შორეული უტყეო რაიონების დაბალკალორიანი შეშის რესურსებით ორგანიზებული უზრუნველყოფა.

ადსანიშნავია ის მნიშვნელოვანი ფაქტორიც, რომ რუსეთის ფედერაციაში მძლავრად განვითარებული ცელულოზაქალადის, მუქაოს, მერქანბურბუშელისა და მერქანბოჭკოვანი ფილების სტრატეგიული მნიშვნელობის ფართომასშტაბიანი ინდუსტრია მოითხოვს კოლოსალური რაოდენობის წიწვოვანი და რბილფოთლოვანი საშეშე ნედლეულის რესურსებს, რაც ბუნებრივია, გარკვეულწილად აფერხებს მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების პრობლემას, მაგრამ ამავე დროს, მეტად რაციონალურად და რენტაბელურად იყენებს წიწვოვანი და რბილფოთლოვანი ჯიშის საშეშე ნედლეულს.

ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ 1970 წლის მონაცემებით რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ტერიტორიის ფონდის საერთო მარაგი შეადგენს 72,482 მილიარდ კუბმ-ს, მათ შორის: წიწვოვანი 84%, რბილფოთლოვანი 13,5%, მაგარფოთლოვანი 2% და ხევა ჯიშები 0,5%.

ამრიგად, იმ მიზეზის გამო, რომ რუსეთს ესაჭიროება მეტად დიდი რაოდენობის საშეშე ნედლეულის რესურსები, იძულებული ხდება დღემდე შეინარჩუნოს ყოფილი საბჭოთა კავშირის სტანდარტიზაციის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1946 წელს (ე.ი. 63 წლის წინ) პირველად შემუშავებული სათბობი შეშის სტანდარტის (Äðiâà äëëü ïðtïëåîëü ÄÍÑÖ 3243-46) მოძველებული (შეღავათიანი) ტექნიკური პირობების პარამეტრები. ამავე დროს, საქართველოს უნიკალური ტყის ფონდის პირობებში, სადაც ტყით

დაფარული ფართობის 73% შეადგენს მაგარმერქნიანი ძვირფასი ჯიშის ხე-ტყეს (მათ შორის 50%-მდე სამრეწველო გამოყენების წიფლის კორომებს), სა-ხელმწიფო ენერგეტიკული დანაშაულის ტოლფა-სად მიგვაჩნია გასული საუკუნის 40-იან წლებში შემუშავებული სათბობი შეშის პოსტსაბჭოთა სტანდარტის სა-ქართველოში გამოყენება.

დღეს საქართველოში მრგვალი ხე-ტყის გადამუშავების თანამერდოვა ტექ-ნიკისა და ტექნოლოგიის ფართო შესაძლებლობის პირობებში ბუნებრივია, რომ არარენტაბელურად მიიჩნევა მერქნის სიდამპლის 30%-ს გადასული წიწვიანი და მაგარფოთლოვანი ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის ნედლეულის სათბობი შეშის კატეგორიაში გადაყვანა, რომელიც აშ-კარად იწვევს ჩვენს მიერ ზემოთ აღწე-რილ მთელ რიგ ნეგატიურ მოვლენებს.

ამავე დროს, სათბობი შეშის მოქმედი პოსტსაბჭოთა სტანდარტიდან გამომდინარე, არსებული ნეგატიური პრობლე-მების დაძლევა შესაძლებელია უმტკივ-ნეულოდ გადაწყდეს ტექნიკური იერარ-ქიის მარტივი რეფორმატორული მიდ-გომის პრინციპით.

ამრიგად, შემასთან მიმართებაში არსებული კორუფციული უხეშექანონ-დამრღვევი ქმედებათა აღკვეთისა და ასევე საშეშე მერქანში არსებული საღი-სამასალე და დაბალხარისხისანი მერქნის მაქსიმალური, რაციონალური და ეკონო-მიური გამოყენების ფართო შესაძლებლობის მისაღწევად, გთავაზობთ მოქმედი პოსტსაბჭოთა შეშის სტანდარტის დიფე-რენცირებას ორ განსხვავებულ ხარის-ხობრივ კატეგორიად: „ტექნოლოგიური მოხმარების მრგვალი საშეშე მერქნის სტანდარტი“ და „სათბობი შეშის სტან-დარტი“. ამ ორივე ეროვნული სტანდარ-ტის ტექნიკური პირობები შემუშავებუ-ლია მოქმედი სათბობი შეშის სტან-დარტის (AÍNÖ 3243-88) და მრგვალი სამასალე ხე-ტყის ეკროსტანდარტების (EN 1927, EN 1316) ტექნიკური პირობების ჩარჩო-პარამეტრების ბაზაზე.

„ტექნოლოგიური მოხმარების მრგვა-ლი საშეშე მერქანი“ წარმოადგენს მრგ-ვალ, ნებისმიერი სიგრძისა და დიამეტ-

რის მორს და არა კოტრებად დაჭრილ და დაპობილ შეშას. ტექნიკური პირობების თანახმად, ტექნოლოგიური მოხმარე-ბის საშეშე კატეგორიის მორში მერქნის ცილისა და გულის საერთო სიდამპლე უნდა შეადგენდეს მორის მოცულობის 30%-დან არა უმეტესი 50%-ისა, ხოლო 50%-ს ზღვარს გადაცილებული სიდამპ-ლის მერქანი მიეკუთვნება სათბობი შე-შის კატეგორიას.

ტექნოლოგიური მოხმარების საშეშე მერქნის ეროვნული სტანდარტის მოქმე-დებაში მოყვანის შედეგად შეიქმნება საშეშე მერქნის ლეგიტიმური მოხმარე-ბის სამართლებრივი სისტემა, რომელიც დაარეგულირებს სახელმწიფოს ინტე-რესთა ფარგლებში იმ კორუფციულ უხ-ეშექანონდამრღვევ გადაცდომებს, რაც დღეს ტყის „შავი მიზნების“ სასარგებ-ლოდ წყდება.

ტექნოლოგიური მოხმარების მრგვა-ლი საშეშე მერქანი, რომელიც მორის მოცულობის 70%-დან 50%-მდე შეიცავს საღი სამასალე კატეგორიის მერქანს, სა-ქართველოში არსებული ხე-ტყის გადა-მუშავების თანამედროვე იმპორტული დანადგარების გამოყენების პირობებში, იძლევა ამ არსებული საღი მერქნის მაქ-სიმალური გამოყენების ფართო ტექნი-კურ შესაძლებლობას.

უკანასკნელი ხუთი წლის პრაქტი-კულმა გამოცდილებად და შპს „საქტექ-მრეწვის“ მიერ ჩატარებულმა ცდებმა ცხადჰყო, რომ ამ კატეგორიის საშეშე მორიდან, შესაძლებელია წარმოებული იქნას სხვადასხვა სიგრძის, სიგანისა და სისქის შედარებით დაბალხარისხისანი სტანდარტული და არაკონდიციური და-ხერხილი მასალა სასარგებლო გამოსაგ-ლიანობის 15-25%-ის ფარგლებში.

ტექნოლოგიური მოხმარების მრგვა-ლი საშეშე მერქნიდან წარმოებული შედარებით დაბალხარისხისანი დახერ-ხილი მასალა წარმატებით გამოიყენება მრავალმიზნობრივი დანიშნულებით სამ-რეწველო, სამშენებლო, სოფლის მეურნე-ობისა და სხვა დარგების სფეროში. ასევე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფ-ლის მოსახლეობის სოციალური და ეკო-ნომიკური პირობების გაუმჯობესებაში.

ჩვენი საორიენტაციო გაანგარიშებით წიწვოვანი და ფოთლოვანი შეკრეული ჯიშის ტექნოლოგიური მოხმარების მრგვალი საშეშე კატაგორიის მერქანი ყოველწლიურად შეადგენს დაახლოებით 100-120 ათ. კუბმ-ს, რომლის გადამუშავებით (საშუალოდ 20% გამოსავლიანობის ფარგლებში) სამართლებრივად მიიღება 22 ათ კუბმ შედარებით დაბალი სორტიმენტის დახერხილი მასალა, რომლის საბაზო დირებულება (1 კუბმ-ზე 150 ლარის გათვალისწინებით) შეადგენს მინიმუმ 3,3 მლნ ლარს.

ამ კატეგორიის საშეშე მორზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადასახადს სავარაუდო ვითვალისწინებო მრგვალ სამასალე ხეტყეზე დადგენილი ტარიფის 50%-ის ფარგლებში.

დღეს, როდესაც საქართველოს მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და სოციალური პრობლემატიკა – „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ – მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა, მიგვაჩნია, რომ ხეტყის ხედლეულის უკიდურესად მწვავე დაფიციტის პირობებში, ტექნოლოგიური მოხმარების მრგვალი საშეშე მერქნის რესურსები

უნდა განაწილდეს მხოლოდ სოციალურად დაუცველ ადგილობრივ მოსახლეობაზე მათი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პირობების გასაუმჯობესებლად.

ეროვნული სტანდარტების მოქმედებაში მოყვანა არ მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებებს და არც დამატებით ფინანსირებას, მოითხოვს მხოლოდ ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტროების კეთილ ნებას და ადექვატური გადაწყვეტილებების მიღებას.

მოხსენებით ბარათს თან ერთვის აღნიშნული ეროვნული სტანდარტების პროექტები.

პატივცემულო მკითხველო,

საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საექსპერტო საბჭო გთხოვთ შეშის ეროვნული სტანდარტების გამოქვეყნებულ პროექტებზე წარმოგვიდგინოთ ოქვენი მოსაზრება, შენიშვნები და წინადადებები.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგალის ქ. №67

ფაქსი (99532) 940913 ტელ. 61-25-30

Å Â Ð Ì Ñ Ò À Í Ä À Ð Ò

Фабрика 1

EN 1315-1, EN 1316 Классификация лиственных круглых лесоматериалов

Таблица 3 ПРАВИЛА СОРТИРОВКИ БУКА

Характеристики	КЛАСС			
	F-A	F-B	F-C	F-D
Наименьшие размеры: длина, м (1)	3 (2)	3 (2)	2 (2)	не огранич. (2)
срединный диаметр без коры, см (1)	35 (2)	30 (2)	25 (2)	не огранич. (2)
Заболонь (по радиусу), см	не более 3	не более 4	допуск.	допуск.
Прирост, мм	не более 4 (2)	допуск.	допуск.	допуск.
СУЧКИ: Заросшие и открытые	не допуск.	3 штуки на 3 м длины	здоровые открытые сучки и заросшие сучки до- пускаются	допуск.
Из них открытые	не допуск.	сумма ди- аметров до 200 мм на	сумма диа- метров гни- лых до	допуск.

(5) для всех характеристик в классе F-D, более чем 40 % от объема древесины должны быть пригодны для применения.

		40 мм гнилых)		
Сpirальные волокна, см/м	не более 5	не более 9	допуск.	допуск.
Смещенная сердцевина, %	не более 10	не более 20	допуск.	допуск.
Кривизна, см/м	не более 2	не более 4	не более 8	допуск.
Овальность, %	не более 15	допуск.	допуск.	допуск.
Гофрированность	не допуск.	не допуск. (2)	допуск.	допуск.
Сердцевинная трещина	не допуск.	допуск.	допуск.	допуск.
Звездчатая трещина	не допуск.	не допуск.	допуск.	допуск.
Червоточина	не допуск.	не допуск.	не доп.	допуск.
Белая гниль, % от диаметра	не более 10 в центре	не более 15 в центре	не более 25 в центре	допуск.
Красная сердцевина, % от диаметра	не более 20 (3)	не более 30 (4)	допуск.	допуск.
Звездчатая красная сердце- вина, % от диаметра	не допуск.	не более 10	не более 40	допуск.
Обесцвечивание	не допуск.	не допуск.	допуск.	допуск.
Т Болезнь	не допуск.	(1)	допуск.	допуск.

Примечания:

(1) - длина и диаметр должны быть измерены по методу, изложенному в ргEN 1309-2,

(2) - кроме пунктов, предусмотренных в контракте,

(3) - в подклассе "А красный" допускается 100 % здоровой равномерно окрашенной красной сердцевины,

(4) - в подклассе "В красный" допускается 100 % здоровой равномерно окрашенной красной сердцевины

(5) для всех характеристик в классе F-D, более чем 40 % от объема древесины должны быть пригодны для применения.

სსტ

საქართველოს ეროვნული სტანდარტი

ტექნოლოგიური მოხმარების მრგვალი საშეშე მერქანი

ტექნიკური პირობები

საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური
რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

თბილისი

საინფორმაციო მონაცემები

1. შემუშავებულია შპს „საქტყემრეწვის“ (შ. ჯაოშვილი, პ. დუნდუა, ბ. ქევანიშვილი, ჯ. კაზარიანი);

საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების დეპარტამენტის მიერ.

2. დამტკიცებულია და შემოღებულია სამოქმედოდ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის

3. პირველად

4. რეგისტრირებულია საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს რეესტრში: 2009 წლის

წინამდებარე სტანდარტის სრული ან ნაწილობრივი აღწარმოება, ტირაჟირება და გავრცელება საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე არ დაიშვება.

საქართველოს ეროვნული სტანდარტი

ტექნოლოგიური მოხმარების მრგვალი საშეშე მერქანი.
ტექნიკური პირობები

1. გამოყენების სფერო

წინამდებარე სტანდარტი ვრცელდება წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის მერქანზე და ადგენს ტექნოლოგიური მოხმარების მრგვალი საშეშე მერქნის ტექნიკურ პირობებს.

2. ნორმატიული მითითებები

წინამდებარე სტანდარტში გამოყენებულია მითითებები შემდეგ სტანდარტებზე:

გოსტ 3243-88	შემა. ტექნიკური პირობები.
გოსტ 17461-84	ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგია. ტერმინები და განმარტებანი.
გოსტ 2140-81	მერქნის ხილვადი მანკები. კლასიფიკაცია. ტერმინები და განმარტებანი. აზომვის მეთოდები.
გოსტ 2292-88	მრგვალი ხე-ტყე. მარკირება. დახასიათება, ტრანსპორტირება, გაზომვის მეთოდები და მიღება.
გოსტ 2708-75	მრგვალი ხე-ტყის მასალა. მოცულობითი ცხრილი. ფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე. ტექნიკური პირობები.
გოსტ 9463-88	წიწვოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე. ტექნიკური პირობები.
გოსტ 16588-91	დახერხილი მასალა. ტენიანობის განსაზღვრის მეთოდები.
გოსტ 9014.0-75	მრგვალი ხე-ტყე. შენახვის საერთო მოთხოვნები.
გოსტ 12.3.015-78	ხე-ტყის დამზადების უსაფრთხოების სისტემა.
გოსტ 21524-76	გაზომვის საშუალებანი.

3. ტერმინები და განმარტებები

წინამდებარე სტანდარტში მოცემული შემდეგი ტერმინები და განმარტებები:

ტექნოლოგიური მოხმარების მრგვალი საშეშე მერქანი – წარმოადგენს წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის მრგვალ მერქანს (მორს), რომელიც თავისი ხარისხოვანი მაჩვენებლებით არ შეესაბამება წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის მრგვალი სამასალე ხე-ტყის მოქმედი სტანდარტებით (გოსტ 9463-88 და გოსტ 9462-88) დადგენილ ხარისხობრივ მაჩვენებლებს და ამავე დროს მერქნის მოცულობის 50%-ზე მეტი ვარგისი უნდა იყოს მრავალმიზნობრივი ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოსაყენებლად;

დახერხილი მასალა – მერქნის მასალა, რომელიც მიიღება მორის გრძივი დანაწევრებით და ასევე ამ ნაწილების შემდგომი გრძივი და განივი დანაწევრებით;

არაკონდიციური დახერხილი მასალა – წარმოადგენს ფიზიკურ მთლიანობაში შენარჩუნებულ სხვადასხვა ზომის ფიცარს, საღაც დაშვებულია ყველა სახის განუსაზღვრელი რაოდენობის და სიდიდიდ მერქნის მანკები, მკვრივი სიდამპლის ჩათვლით.

4. ტექნიკური მოთხოვნები

4.1 ამ კატეგორიის მრგვალი საშეშე მერქნის (მორის) ზომები დგინდება: სიგრძეზე – 0,7 მ და ზევით არაუმეტესი 5 მ-ისა;

სისქეზე – 6 სმ და ზევით;

სიგრძის დასაშვები ზღვრული გადახრები: ორ მეტრამდე სიგრძის მორებზე \pm 0,02 მ, ორ მეტრზე ზევით სიგრძის მორებზე – 0, 05-დან \pm 0,1 მ-მდე;

4.2 ტექნოლოგიური მოხმარების მრგვალი საშეშე მერქანში დასაშვებია გოსტ 2140-81-ით დადგენილი ყველა ტიპისა და სახეობის, ნებისმიერი სიდიდის და რაოდენობის მერქნის ხილვადი მანკები, გარდა სიდამპლისა;

4.3 ამ კატაგორიის საშეშე მერქანში ცილისა და გულის საერთო სიდამპლე უნდა შეადგენდეს მერქნის (მორის) მოცულობის 30-დან არაუმეტესი 50%-ისა;

4.4 არ დაიშვება მერქნის გარე პერიმეტრზე ფუტურო სიდამპლე;

4.5 საშეშე მარქანი გაწმენდილი უნდა იყოს როკებისაგან. დარჩენილი როკების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 20 მმ;

4.6 საშეშე მერქანი შეიძლება იყოს ქერქით ან ქერქის გარეშე.

შენიშვნა: სიდამპლის 50%-ის ზევით მერქანი (მორი) გადადის სათბობი შეშის კატეგორიაში

5. მიღება

5.1 მიღების წესი და აღრიცხვა იწარმოება გოსტ 2292-88 შესაბამისად.

6. კონტროლის მეთოდები

6.1 აზომვა და მოცულობის დადგენა იწარმოება გოსტ 2292-88 და გოსტ 2708-75-ის მიხედვით

6.2 სიდამპლის ზომების დადგენა იწარმოება გოსტ 2140-81-ის მიხედვით

6.3 აზომვის საშუალებაზი გოსტ 21524-76 შესაბამისად.

7. ტრანსპორტირება

7.1 ტრანსპორტირება იწარმოება გოსტ 2292-88 შესაბამისად.

შენიშვნა: ტექნოლოგიური მოხმარების მრგვალი საშეშე მერქანი, რომელიც მორის მოცულობის 70-დან 50%-მდე შეიცავს საღი სამასალე კატეგორიის მერქანს, საქართველოში არსებული ხე-ტყის გადამუშავების თანამედროვე იმპორტული დანადგარების გამოყენების ფართო ტექნიკურ შესაძლებლობას.

უკანასკნელი ხუთი წლის პრაქტიკულმა გამოცდილებამ და „საქტყემრეწვის“ მიერ ჩატარებულმა ცდებმა ცხადჰყო, რომ ამ კატეგორიის საშეშე მორიდან, შესაძლებელია წარმოებული იქნას სხვადასხვა სოგრძის, სიგანისა და სისქის შედარებით დაბალხარისხიანი სტანდარტული და არაკონდიციური დახერხილი მასალა სასარგებლო გამოსავლიანობის 15-25%-ის ფარგლებში.

ტექნოლოგიური მოხმარების მრგვალი საშეშე მერქნიდან წარმოებული შედარებით დაბალხარისხიანი დახერხილი მასალა წარმატებით გამოიყენება მრავალმიზნობრივი დანიშნულებით სამრეწველო, სამშენებლო, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების სფეროში. ასევე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში.

საქართველო ეროვნული სტანდარტი

სათბობი შემა
ტექნიკური პირობები

საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტის და
მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

თბილისი

საინფორმაციო მონაცემები

1. შემუშავებულია შპს „საქტუემრეწვის“ (შ. ჯაოშვილი, პ. დუნდუა, ბ. ქანიშვილი, ჯ. კაზარიანი); საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების დეპარტამენტის მიერ

2. დამტკიცებულია და შემოღებულია სამოქმედოდ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის

3. პირველად

4. რეგისტრირებულია საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს რეესტრში: 2009 წლის

წინამდებარე სტანდარტის სრული ან ნაწილობრივი აღწარმოება, ტირაჟირება და გავრცელება საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე არ დაიშვება

საქართველო ეროვნული სტანდარტი

სათბობი შეშა
ტექნიკური პირობები

1. გამოყენების სფერო

წინამდებარე სტანდარტი ვრცელდება წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის სათბობ შეშაზე და ადგენს მის ტექნიკურ პირობებს, მიღების წესს, კონტროლის მეთოდებს, მოცულობის განსაზღვრას, შენახვის და ტრანსპორტირების პირობებს.

2. ნორმატიული მითითებები

წინამდებარე სტანდარტში გამოყენებულია მითითებები შემდეგ სტანდარტებზე:
გოსტ 3243-88 შეშა. ტექნიკური პირობები.

გოსტ 17461-84 ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგია. ტერმინები და განმარტებანი.

გოსტ 2140-81 მერქნის ხილვადი მანკები. კლასიფიკაცია. ტერმინები და განმარტებანი. აზომვის მეთოდები.

გოსტ 2292-88 მრგვალი ხე-ტყე. მარკირება. დახასიათება, ტრანსპორტირება, გაზომვის მეთოდები და მირება.

გოსტ 2708-75 მრგვალი ხე-ტყის მასალა. მოცულობითი ცხრილი. ფოთლოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე. ტექნიკური პირობები.

გოსტ 9463-88 წიწვოვანი ჯიშის მრგვალი ხე-ტყე. ტექნიკური პირობები.

გოსტ 16588-91 დახერხილი მასალა. ტენიანობის განსაზღვრის მეთოდები.

გოსტ 9014.0-75 მრგვალი ხე-ტყე. შენახვის საერთო მოთხოვნები.

გოსტ 12.3.015-78 ხე-ტყის დამზადების უსაფრთხოების სისტემა.

გოსტ 21524-76 გაზომვის საშუალებანი.

3. ტერმინები და განმარტებები

წინამდებარე სტანდარტში მოცემული შემდეგი ტერმინები და განმარტებები:
სათბობი შეშა – მრგვალი ან დაპობილი მერქნის სორტიმენტები, რომლებიც
თავისი ზომით და სარისხობრივი მაჩვენებლებით გამოიყენება მარტო სათბობი
დანიშნულებით;

მრგვალი სორტიმენტები – სორტიმენტი, რომელიც მიიღება ხის დეროს განივი
გადახერხით;

დაპობილი სორტიმენტი – სორტიმენტი, რომელიც მიიღება მრგვალი
სორტიმენტის დაპობით.

4. ტექნიკური მოთხოვნები

4.1 სათბობი შეშის ზომები დგინდება:

სიგრძეზე – 0,25; 0,33; 0,50; 0,75; 1,00 მ.

სისქეზე – 3 სმ და ზევით;

სიგრძის დასაშვები ზღვრული გადახრა $\pm 0,02\text{მ}$;

მხოლოდ მოსახლეობის მოთხოვნის შემთხვევაში დასაშვებია ჯერადი
სიგრძის მრგვალი სათბობი შეშის გაცემა, რომლის სისქე ზედა გადანაჭერში
არ აღემატება 13 სმ. ამ შემთხვევაში შეშის სიგრძის დასაშვები ზღვრული
გადახრა შეადგენს – 0,05-დან $+ 0,10$ მ;

4.2 სათბობი შეშაში ცილისა და გულის დასაშვები საერთო სიდამპლე
უნდა შეადგენდეს შეშის ტორსის ფართის 50-დან 75%-მდე;

4.3 ამ კატეგორიის შეშაში არ დაიშვება გარეგანი ფუტურო სიდამპლე;

4.4 სათბობი შეშის 1 მეტრიანი და ნაკლები სიგრძის კოტრები სისქით
16-დან-26 სმ-მდე უნდა იყოს დაპობილი ორ ნაწილად, სისქით 28-დან 40 სმ-
მდე – ოთხ ნაწილად, ხოლო სისქით 42 სმ და ზევით უნდა დაიპოს ისეთ
ნაწილებათ, რომ ყველაზე დიდი განაპობის ხაზი შეშის ტორსზე არ უნდა
აღემატებოდეს 22 სმ. მხოლოდ მოსახლეობის მოთხოვნის შემთხვევაში
დასაშვებია 26 სმ-მდე სისქის სათბობი შეშის (კოტრის) გაცემა დაპობის
გარეშე;

4.5 შეშა გაწმენდილი უნდა იყოს როგორისაგან. დარჩენილი როგორის
სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 30 მმ;

4.6 შეშა შეიძლება იყოს ქერქით ან ქერქის გარეშე;

4.7 შეშის გაცემა შეიძლება მშრალ და ნედლ მდგომარეობაში.

4.8 სათბობი შეშიდან, სუვენირებისა და ფართო მოხმარების ნაწარმის
გარდა, დაუშვებელია სამრეწველო დანიშნულების საექსპორტო პროდუქციის
დამზადება.

5. მიღება

5.1 შეშის მიღება ხდება პარტიულიად. პარტიად ითვლება შეშის ნებისმიერი რაოდენობა, რომელიც გაფორმებულია ერთი დოკუმენტით და დსტურებს სტანდარტთან მის შესაბამისობას;

5.2 მიღების წესი და აღრიცხვა იწარმოება გოსტ 2292-88 შესაბამისად შემდეგი ცვლილებებით: პარტია ექვემდებარება მიღებას, თუ შესამოწმებელ ამონაკრებში შეშის რაოდენობის არაუმეტესი 5%-ისა არ შეესაბამება სათბობი შეშის სტანდარტის მოთხოვნებს.

6. კონტროლის მეთოდები

6.1 კონტროლის მეთოდები იწარმოება შეშის სტანდარტის გოსტ 3243-88 შესაბამისად.

7. ტრანსპორტირება და შენახვა

7.1 სათბობი შეშის ტრანსპორტირება, პაკეტირება ან არაპაკეტირებულ მდგომარეობაში, ხორციელდება ყველა სახის ტრანსპორტით, ტვირთების გადატანის შესაბამისი წესების დაცვით;

7.2 შეშის შენახვა ხორციელდება: მკვრივრიგითად, დასტა თაკარებად ან მკვრივ შეშათა წყობად დია საწყობში.

**შეშის წყობითი ზომებიდან მკვრივში გადამყვანი სრულმერქნიანობის
კოეფიციენტი**

სიგრძე მ	შეშის დეროსა და ნაპობის სრულმერქნიანობის კოეფიციენტი							
	წიწვოვანი ჯიშები				ფოთლოვანი ჯიშები			
	მრგვალი		დაპობი ლი	მრგვალის და დაპო- ბილის ნარევი	მრგვალი		დაპო ბილი	მრგვალის და დაპობლის ნარევი
წვრილი	საშუალო	წვრილი	საშუალო	წვრილი	საშუალო	წვრილი	საშუალო	წვრილი
0,25	0,79	0,81	0,77	0,77	0,75	0,80	0,76	0,76
0,33	0,77	0,79	0,75	0,75	0,72	0,78	0,74	0,74
0,50	0,74	0,76	0,73	0,73	0,69	0,75	0,71	0,71
0,75	0,71	0,74	0,71	0,72	0,65	0,72	0,69	0,69
1,00	0,69	0,72	0,70	0,70	0,63	0,70	0,68	0,68
1,25	0,67	0,71	0,69	0,69	0,61	0,68	0,67	0,67
1,50	0,66	0,70	0,68	0,68	0,60	0,67	0,65	0,66
2,00	0,64	0,68	0,66	0,67	0,58	0,65	0,63	0,65
2,50	0,62	0,67	0,64	0,66	0,56	0,63	0,62	0,64
3,00	0,61	0,66	0,63	0,65	0,55	0,62	0,60	0,63

1. წვრილი შეშის დერო-სისქით 3-დან 10 სმ ჩათვლით, საშუალო სისქის – 11-დან 14 სმ-მდე ჩათვლით,

შეშის დეროთა ნარევი – მრგვალი – 40%, ნაპობის – 60%.

2. თუ შეშის წყობაში არის 25%-ზე მეტი შეშის მრუდი დეროები და 1 სმ-ზე მეტი სიმაღლის ტოტები, სრულმერქნიანობის კოეფიციენტი მცირდება მრგვალი შეშისათვის 0,07-ით, ნარევისათვის 0,05-ით, დაპობილისათვის 0,04-ით.

3. თუ შეშის პარტიაში არის წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯამში მერქანი, მაშინ სრულმერქნიანობის კოეფიციენტი აიღება უმეტესად რაოდენობის ჯიშის მიხედვით.

მარადმოწვანე ქვეტყის მერქნის და მწვანე მასის ეფექტურად გამოყენების ძირითადი მიმართულებები

განუსაზღვრელია ტყის როლი მდგრადი ეკოლოგიური გარემოს უზრუნველყოფის საქმეში. ისიც ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალი იქნება ტყების პროდუქტიულობა, მით უფრო სრულყოფილად შეასრულებენ ისინი მათზე დაკისრებულ ფუნქციებს.

დღეს საქართველოს ტყების პროდუქტიულობა, თითქმის 2-3-ჯერ ჩამორჩება, მოწინავე ქვეყნების მაჩვენებელს, ასე მაგალითად: ავსტრიაში შემატება 5-6 მ²-ის ტოლია ერთ/ჰაზე, მაშინ, როცა საქართველოში იგი 2 მ²-დე ვერ აღწევს. თუმცა ამ უკანასკნელ პერიოდში, იგი 2-ზე ბევრად ნაკლები იქნება. ასეთ პირობებში, ტყეში მეურნეობის წარმოების მთავარ მიმართულებად, ამ ტყების პროდუქტიულობის ამაღლებაზე ზრუნვა უნდა გახდეს, თუმცა, ამ უკანასკნელ ხანებში, საერთოდ ტყისადმი და განსაკუთრებით მერქნისადმი მიღება ძირითად შეიცვალა. ფართოდ მოიკიდა ფეხი ტყების ხანგრძლივი პერიოდით გასხვისების პრაქტიკამ, რასაც საფუძვლად ტყიდან მერქნით სარგებლობის ინტერესი დაედო. ცხადია ყველა ნებისმირი მეპატრონეფ-დამამზადებლის მიზანია რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხის მისამართით, მაგრამ ცხადია დღეს ჩვენი ტყეების თანამედროვე მდგომარეობა ამის შესაძლებლობას არ იძლევა ტყისათვის ზიანის მიყენების გარეშე, რაც თავის მხრივ ტყეების დეგრადაციას იწვევს, იჭრება საუკეთესო და ადგილზე რჩება ფაუტი და გადაბერებული. ამდენად, დღეს ტყეში მარტო მერქანზე აქცენტის გადატანა, არასწორია,

შეიძლება ითქვას დანაშაულიც კი არის. გამომდინარე აქედან, პირველ რიგში, ვის საკუთრებაშიც არ უნდა იყოს ტყე, საჭიროა მისი რეკონსტრუქციულ სამუშაოთა წარმოება, ამის რესურსები კი ნამდვილად არსებობს. გამეჩხერებული კორომები, მარადმწვანე ქვეტყით დაფარული ფართობები და სხვა. მართალია სარეკონსტრუქციო სამუშაოები დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ თუ ეფექტურად შევძლებთ გამოყიდვით, როგორც მერქნული, ასევე მწვანე მასა და გავითვალისწინებთ ტყეების პროდუქციულობის ამაღლებას დროში, ცხადია, გაწეული დანახარჯების ამოღება შესაძლებელი იქნება. ყოველივე აღნიშნულის დასამტკიცებლად ჩვენ ქვემოთ მოგვყავს მარადმწვანე ქვეტყით დაფარული დაბალპროდუქტიული ტყეების რეკონსტრუქციის, მეტყევური, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სამუშაოთა წარმოების სქემა, სათანადო დასაბუთებით; ეს საუმჯობელს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ტყეების მრავალფუნქციურ-მრავალმიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება, უდავოდ ხელს შეუწყობს მათ პროდუქტიულობის ამაღლებას დროში – რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ, არა მარტო ჩვენი მოთხოვნილება მერქანზე, არამედ შემოსავლის წყაროც გავხადოთ.

დადგენილია, რომ საქართველოს ტყის ფართობის 1/6-ზე დაახლოებით 500 ათ/ჰა-ზე, ძირითადში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია მარადმწვანე ქვეტყე, (წყავი, შქერი და სხვა).

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მარადმწვანე ქვეტყე, ტყისთვის მავნე მცენარედ ითვლება, რადგანაც იგი ხელს უშლის და ახშობს ძირითადი ტყის ჯიშების ბუნებრივ განახლებას. ამდენად, მის წინააღმდეგ ბრძოლის სამეურნეო ღონისძიებათა გატარება, ყოველთვის იდგა სატყეო მეურნეობის სამეურნეო საქმიანობის წარმოების დღის წესრიგში. თუმცა მის წინააღმდეგ ბრძოლის გატარება არც თუ იოლ საქმეს წარმოადგენდა და დაკავშირებული იყო საქმაოდ დიდ დანახარჯებთან, რაც განპირობებულია მთიანი რელიეფის პირობებში სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა წარმოების უდიდესი შრომატევადობით, მით უმეტეს სათანადო მექანიზმების უქონლობის პირობებში. განსაკუთრებით შრომატევადსა და როველ სამუშაოთა კატეგორიას მიეკუთვნება, ასევე, გზების მშენებლობის პრობლემები, ხოლო ყოველივე ამას დღეს დაემატა დამზადებული ნედლეულისა და პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები, რაზედაც ფაქტობრივად დამოკიდებულია სამეურნეო ღონისძიების ეფექტურობა.

პირველი ეფექტური, საწარმოო საქმიანობა, მარადმწვანე ქვეტყის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ჯერ კიდევ 1970 წლებში ჩატარებულ იქნა სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის მეცნეველეობის კათედრის მიერ (ხელ.-ლი ა. ჯანელიძე; პ/შ ლ. გვაზავა, მონაწილეობდნენ: ა. ასათიანი და ტ. პეტაშვილი), რომელთაც საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, მასარაძის სატყეო მეურნეობის მაგალითზე, მოაწყეს მარადმწვანე ქვეტყის მწვანე მასისაგან ვიტამინოვანი ფქვილის დამზადების სამქრო.

საწარმოო გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ გარდა იმისა, რომ მარადმწვანე ქვეტყის ჭრის შედეგად გაუმჯობესდა ტყების ბუნებრივი განახლების პირობები, ჭრაგავლილ თაობებზე ხელოვნურადაც

შეტანილ იქნა ძირითადი ტყის ჯიშების ნერგები. ექსპერიმენტის პირობებში, გარდა მარადმწვანე ქვეტყის ჭრისა, დამზადებისა, ტრანსპორტირებისა და მერქნული ნაწილისა და მწვანე მასისაგან ვიტამინოვანი ფქვილის დამზადების ტექნოლოგიური ციკლის სქემების შემუშავებისა, შერჩეულ იქნა სათანადო მანქანები და მექანიზმები: კერძოდ, ჭრაზე გამოყენებულ იქნა ბენზოძრავიანი ხერხი „ხუსკვარნა 280S“ შვეიცარული წარმოების, რომელსაც გარდა დაბალი წონისა 8 კგ პეტონდა ჭრის ბრუნვათა სიჩქარის მაღალი მაჩვენებელი (13000 ბრ/წმ) რამაც უზრუნველყო მოძრავი დეროს შეუფერხებელი ჭრა, პირველად ტრანსპორტირებაზე გამოყენებულ იქნა I-E 0-1 გადასატანი საბაგირო მოწყობილობა, დაგვირთვაზე გამოყენებულ იქნა ავტო-ამწე, ხოლო ტრანსპორტირება წარმოებდა სერიული რუსული წარმოების ÇÈË-131 მარკის ავტომანქანებით. მწვანე მასისაგან ფქვილის დასამზადებლად შერჩეულ იქნა A-A I-065 მარკის ლატვიური წარმოების დანადგარი. ცხადია იმ დროისათვის საზღვარგარეთის ქვეყნების ტექნიკურ საშუალებებზე ხელი არ მიგინდებოდა, რაც დღეს შეზღუდვას არ ქმნის, რადგანაც დღეს ნებისმიერი ქვეყანის მანქანებისა და მექანიზმების შერჩევას და შეძენას მხოლოდ ფინანსური მხარე განსაზღვრავს.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ თუ დღეს დაინტერესებული სპონსორის მოძებნა იქნება შესაძლებელი, პრობლემები წარმოების აწყობისათვის უმნიშვნელო იქნება, ხოლო წარმოების ეფექტურობას, მარადმწვანე ქვეტყის ჭრას, ადგილებზე გაშენებული ტყეების პროდუქტიულობა და მერქნული ნაწილის საწვავ-შემადან ტექნოლოგიურ ნაფოტად გამოყენებას და მწვანე მასისაგან ვიტამინოვანი ფქვილის დამზადება-რეალიზაცია განაპირობებს დროში.

ËÅÀÀÍ ÄÀÇÀÅÀ

ÍÓÒÈ ÝÔÔ ÅÈÒÈ ÅÍÌÌ ÈÑÍÎEÜÇÎÅÀÍÈB ÄÐÅÅÅÑÍÎÉ È ÇÅËÅÍÎÉ ÌÀÑÑÙ
ÅÅ×ÍÇÅËÅÍÅÍÅÍ ÏIÄEÅNÑÅ

ĐÀO HỌC

Âñõàðüä àâðî ð ìò iå÷àâîl, ÷ðî âå÷ ííç åéåííûé iïñæëåñîê çàíèìaåð, 1|6 ÷àñð - Ò.Ý. Íñi ëi 500 òûñ./àä èç íâïåè iëíùàäû òåðëòîðéé èäññiä Äðóçèë, ýâëýÿñü åðåäíûì ðàñòåíèàì, çàæöùåþùè ýñòåñòåå í íå áïçíâïíåéåíèë ý iñííùíûô èäññiûò iïðíä.

Â ñòàðòüå ðàéæå åääðöñý iöðè ýóâðèåííäñ îñë ñïññü åðâåâññíé è çääññíé iñññü, â iñðâóþ äëÿ èçäñ ði åéäññèÿ ðaðo í iñññè-åññíé øåðëü è çääññíé iñññü äëÿ èçäñ ði åéäññèÿ åñðàìññíé iñññü, äëÿ ëi ði iñññü è æäññòðíëð.

Àâôîð â ñòàðüå ïïéâçûââåð, ÷òî â óñèïâèÿð ðûññ÷íé ýêî í ñìèêè, êíïïë åêñ í îå èñïïëüçî âàíèå ëåññíûð íåðåðâåðñíûð ðåñóðññâ ÿâëÿåðñÿ äíññëüíðåðüíù ãíññâ.

ლევან გურიაშვილი

მარადმოვანი ქვეტყის მერქნის და მოვანი მასის ეფექტურად გამოყენების ძირითადი მიმართულებები

၁၃၀

სტატიაში ავტორი აღნიშნავს, რომ მარადმწვანე ქვეტყის დაფარული ფართობების ოდენობა სატყეო ფართობის 1/6 ანუ 500 ათ/ჰას შეადგენს, რომელიც წარმოადგენს ტყისთვის სარეველა მცირნარეს, ახშობს ძირითადი ჯიშების ბუნებრივ განახლებას.

სტარიაში ასევე მოცემულია მარადმწვანე ქვეტყის მერქნული ნაწილისა და მწვანე მასის ეფექტურად ათვისების გზები. კერძოდ, მერქანი – ტექნოლოგიური ნაფოტისა – ხოლო მწვანე მასა ვიზამინოვანი ფენილის დასამზადებლად.

სტატიაში აღნიშვნულია, რომ საბაზო ეკონომეკის პირობებში, ტყის მერქნული და არამერქნული რესურსების გამოყენება დამატებითი შემოსავალის წყარო.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოში 2005-2008 წლებში
ტარმოებული და ექსპორტირებული ხე-ტყის
პრდუქციის ანალიზი

დღეს აშკარად გამოიკვეთა ის მეტად სამწუხარო გარემოება, რომ უკანასკნელი 16 წლის პერიოდში საქართველოში განვითარებულმა ეკონომიკურმა და შესაბამისად სოციალურმა პრობლემებმა, თბოენერგეტიკული რესურსების მწვავე დეფიციტმა, სათბობ შეშაზე და მერქნულ მასალებზე მნიშვნელოვნად გაზრდილმა შიდა და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებამ, ხე-ტყის პროდუქციაზე დაუცავი (არაკონტროლირებადი) საბაზრო ფასების ფართო ლიბერალიზაციამ, ხე-ტყის პროდუქციის წარმოებაზე ნედლეულის და მასალების ხარჯვის ნორმატივების სფეროში არსებულმა განუკითხაობამ და ტყის ერთიანი კომპლექსის პოლიტიკისა და სტრატეგიის კოორდინირებულ რეგულირებაზე სახელმწიფოს მართვის სადაცების შესუსტებამ ხელი შეუწყო და არნახული ძალისხმევით გაააქტიურა ხე-ტყის რესურსების არალეგალური მოპოვებისა და უკანონოდ წარმოებული პროდუქციის საერთო მასშტაბები.

მუჟხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ტყის სექტორში უკანონო ქმედებისა და დანაშაულებრივი ფაქტების აღმოფხვრის მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების მიერ მიღებული იქნა მთელი რიგი სამართლებრივი აქტები და ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ღონისძიებები, სახელმწიფოში კვლავაც გრძელდება ეროვნული უნიკალური ტყეების განადგურების ფართომასშტაბიანი პროცესები, რომლებიც ეკონომიკური და მორალური ზიანის გარდა რეალურ საფრთხეს უქმნის ელიტური ტყეების ბიომრა-

გალფეროვნების, ეკოსისტემისა და სახელმწიფოს ბიოსფეროს რღვევის საშიშროებას, რაც საქართველოსთვის კატასტროფის ტოლფასია (რღვევის პროცესები კი უკვე კარგა ხანია დაწყებულია).

საქართველოში ტყის დაცვის დახმატებულობის „იდუმალი“ პრობლემატიკის მთელი დრამატიზმი იმაში გამოიხატება, რომ გარემოს დაცვისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს დაგმდე არ გააჩნიათ არავითარი ხელმოსაკიდი მონაცემები, რომელიც საორიგინაციოდ მაინც განსაზღვრავდეს საქართველოში უკანონოდ ტყითსარგებლობის საერთო მასშტაბებს და სახელმწიფოსადმი მიუწებული ეკონომიკური ზარალისა და ეკოლოგიური ზიანის დონეს. ასევე არ არის შესწავლილი და გაანალიზებული თუ რა ეკონომიკური სარგებლობა მოაქვს ესოდენ არნახულად (სტიქიურად) გაზრდილ ხე-ტყის პროდუქციის ექსპორტს, ფაქტიური ფისკალური შემოსავლებისა და „ტყის შავი ბიზნესით“ მიუწებული ზარალის ურთიერთდაბალანსების გათვალისწინებით.

ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევის მიზნით შპს „საქტყემრეწვმა“ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით დეტალურად შეისწავლა საქართველოს ტყითსარგებლობის კომპლექსში 2005-2008 წლებში (ცალკე წლების მიხედვით) ხე-ტყის რესურსების არალეგალური მოპოვებისა და უკანონოდ წარმოებული ხე-ტყის პროდუქციის საერთო მასშტაბები და სახელმწიფოსადმი მიუწებული ეკონომიკური ზარალის დონე.

ამჯერად წარმოვადგენთ გამოკვლევის შემზარავი შედეგის მოკლეანალიზე:

2005-2008 წლებში გარემოს დაცვისა და პუნქტოვივი რესურსების სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასატყეო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით მრგვალი სამასალე მერქნის (მორის) საერთო ლეგიტიმური რესურსი შეადგენდა – 437,5 ათ. კუბმ-ს. ამავე დროს ამ უკანასკნელ ოთხი წლის პერიოდში „სტატებარტამენტის“ ოფიციალური ცნობით საქართველოში მთლიანად წარმოებული იქნა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სასაქონლო ნომენკლატურის 760,6 ათ. კუბმ ხეტყის პროდუქცია (26,1 მლნ, ავეჯის გარდა). მათ შორის ხეტყის საექსპორტო პროდუქცია შეადგენდა 481,1 ათ. კუბმ-ს, ანუ მთლიანად წარმოებული პროდუქციის 63,3%, ხოლო შიდაბაზრის მოხმარების პროდუქცია შეადგენდა 279,5 ათ. კუბმ-ს, ანუ მთლიანად წარმოებული პროდუქციის 36,7%-ს.

ამრიგად, ამ ფანტასტიკური მონაცემებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ საქართველოს ელიტური ტყის „ბიზნესილუზინისტებს“ თავისი ულტრანოვატორული ტექნოლოგიებისა და უდრანი ტყის მთელი რიგი საკომუნიკაციო ქსელების თანამონაწილებით 1 კუბმ სხვადასხვა ნომენკლატურის ხეტყის პროდუქციის დამზადებაზე გაუხარჯით 0,58 კუბმ ხეტყის მრგვალი სამასალე ნედლეული (437,5 ათ. კუბმ : 760,6 ათ. კუბმ), რაც კომენტარის გარეშე სცილდება გონივრულ საზღვრებს.

ახლა, რაც მთავარია, გასაანგარიშებელია ოუ 760,6 ათ კუბმ სხვადასხვა ნომენკლატურის ხეტყის პროდუქციის დასამზადებლად ფაქტიურად რა რაოდენობის (ძირითადად წიფლისა და წიწვიანი ჯიშის) ხეტყის მრგვალი სამასალე მორი უნდა ყოფილიყო გახარჯული ტექნიკურად დასაბუთებული ხარჯის ნორმატივების გათვლიასწინებით.

ხაორიენტაციონ მოგახსენებთ, რომ 1 კუბმ ჩამოგანული ფიცრის დამზადებაზე მრგვალი სამასალე მორის საშუალოდ გაწო-

ნახწორებული ხარჯის ნორმა შეადგენს 1,45-1,55 კუბმ-ს. 1 კუბმ შევადნაშადი სააგვიურო და სამშენებლო დეტალურის დამზადებაზე ნედლეულის ხარჯის ნორმა შეადგენს 1,9-2,3 კუბმ-ს, შესაბამისად საბარკეტე ფრიზის დამზადებაზე – 2,4-2,6 კუბმ-ს, 1 კუბმ პარკეტის დამზადებაზე 3,2-3,8 კუბმ-ს და ა.შ.

ამავე დროს გარანტირებული დამაჯერებლობისათვის და იმ მიზნით, რომ ჩვენ თპონენტებს ოდნავადაც არ შეეპაროთ ეჭვი ლეგიტიმურად წარმოებული 760,6 ათ. კუბმ სხვადასხვა ნომენკლატურის ხეტყის პროდუქციაზე ფაქტიურად გახარჯული ხეტყის სამასალე ნედლეულის რაოდენობის განსაზღვრის თითქმის 100% უნდა იყოს თანახმად პირობითად ჩავთვალოთ, რომ 2005-2008 წლებში მთლიანად წარმოებული სხვადასხვა ნომენკლატურის 760,6 ათ. კუბმ ხეტყის პროდუქცია შეადგენდა მხოლოდ მარტივ ჩამოუგანავ ფიცრს, სადაც 1 კუბმ ფიცრის დამზადებაზე ხეტყის სამასალე მორის ტექნიკურად დასაბუთებული მინიმალური ხარჯის ნორმა შეადგენს 1,35 კუბმ-ს.

აქედან გამომდინარე, 760,6 ათ კუბმ პირობითად არებული მარტივი ჩამოუგანავი ფიცრის დასამზადებლად ფაქტიურად უნდა გახარჯულიყო სულ მცირე 1026,8 ათ. კუბმ მრგვალი სამასალე ხეტყის მედლეული (760,6 ათ. კუბმ X 1,35 კუბმ).

ამრიგად, როგორც ხედავთ, ხეტყის სამასალე ნედლეულის (მორის) ლეგიტიმურ რესურსებს – 760,6 ათ. კუბმ-ს, მარტივ პირობითი ფიცრის დასამზადებლად დაკლდა დაფიციტის სახით 589,3 ათ. კუბმ მრგვალი სამასალე მორი (1026,8 ათ. კუბმ – 437,5 ათ. კუბმ), რომელიც აშკარად მოპოვებული იყო არალეგალური გზით.

ყოფილი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის 2001 წლის 17 ივნისის №10/73 ბრძანების შესაბამისად წიფლისა და წიწვიანი ჯიშის მორის მინიმალური ზღვრული საბაზრო ფასი საშუალოდ შეადგენდა 63,2 აშშ დოლარს. აქედან გამომდინარე, უკანო-

ნოდ მოპოვებული 589,3 ათ. კუბმ შერეული ჯიშის მრგვალი სამასალე მორის საერთო ღირებულება შეადგენს მინიმუმ 37,2 მლნ აშშ დოლარს (589,3 ათ. კუბმ X 63,2 დოლ), რაც სახელმწიფოს „სუფთა“ ზარალს შეადგენს.

აქედან გამომდინარე, რაოდენობრივი პროპორციის გათვლისწინებით საქსამის პროპორციის წარმოებაზე (63,2%) სახელმწიფოს „სუფთა“ ზარალი შეადგენს მინიმუმ 23,5 მლნ აშშ დოლარს, ხოლო შიდამოხმარების ბაზრის პროდუქციის (36,8%) წარმოებაზე შესაბამისად 13,7 მლნ აშშ დოლარს.

ჩვენი საორიენტაციო გაანგარიშებით ირკვევა, რომ ხე-ტყის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების, აუქციონიდან ბიუჯეტში შემოსული ოანხებისა და ასევე სახელმწიფო ხაზინაში ფისკალური გადასახადებიდან მოზიდული ფულადი სახსრები, საერთო ჯამში მაქსიმუმ 25%-ის ფარგლებში თუ გადახურავს 2005-2008 წლებში ლეგიტიმურად წარმოებული 760,6 ათ. კუბმ ხე-ტყის პროდუქციიდან მიღებულ ეკონომიკურ ზარალს.

შენიშვნა: გასათვლისწინებულია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ „სტატდეპარტამენტის“ მოხაცემებით 2005-2008 წლებში ხის დამუშავების პროდუქციის გარდა საქართველოში წარმოებული იქნა 26,1 მლნ ლარის სხადასხევა ფუნქციონალური დანიშნულების ავჯი. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ამ გაურკვეველი ავჯის წარმოებაზე შეუძლებელი იყო გახარჯული ხე-ტყის ნეკლეულის დადგენა, ამიტომ „დათმობის“ ხახით ჩვენ გათვლებში არ აღირიცხება 26,1 მლნ. ლარის ავჯის წარმოებაზე ფაქტიურად დახარჯული ხე-ტყის ნეკლეულის რაოდენობა.

სამწუხაოდ ამ პარადოქსებით არ მთავრდება ხე-ტყის პროდუქციასთან დაკავშირებული კორუფციული უხეშკანონდამრდვევი პროცესები. ასე მაგალითთად: „სტატდეპარტამენტის“ მონაცემებით 2005-2008 წლებში საქართველოდან ექსპორტირებული 481,1 ათ. კუბმ ხე-ტყის პროდუქციის საერთო საკონტრაქტო დირექტორება (ფასი), რომელიც შემოვიდა საქართველოში შეადგენდა

76,7 მლნ აშშ დოლარს. აღნიშნული საქსამის პროდუქციია მირითადად შეადგენდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის 16 დასახელების სასაქონლო ნომენკლატურას (სხვადასხვა სორტიმენტის დახერხილი მასალა, საავეჯო დეტალები, სამშენებლო ნახევარფაბრიკები, საპარკეტე ფრიზა, პარკეტი, მასიური მერქნის პანელები, ანათალი ფანერა, შპონი და სხვა ხის დამუშავების ნაკეთობანი).

ახლა იმის გასარკვევად, რომ აღნიშნული ექსპორტირებული პროდუქციის (481,1 ათ. კუბმ) საერთო საკონტრაქტო ფასები, რომელიც შეადგენდა 76,7 მლნ დოლარს, თუ რამდენად შეესაბამებოდა რეალურ საბაზრო კონიუნქტურულ ფასებს, ასევე (შეღავათის სახით), პირობითად ჩავთვალოთ, რომ ექსპორტირებული 481,1 ათ. კუბმ ხე-ტყის პროდუქცია მთლიანად წარმოადგენდა მხოლოდ მარტივ ჩამოუგანავ ფაცარს. ამავე დროს, 2005-2008 წლებში წიფლისა და წიგვიანი ჯიშის ჩამოუგანავი ფიცრის საშუალო საბაზრო კონიუნქტურული ფასი შეადგენდა 200 დოლარს, რომელსაც ნებისმიერი უცხოური ფირმა დიდი საიამოვნებით შეისყიდდა.

ამრიგად, ამ მარტივი ფიცრის ფასად მაინც რომ გაყიდულიყო 481,1 ათ. კუბმ ხე-ტყის საქსამის პროდუქცია, ამ შემთხვევაში ექსპორტიდან შემოსულ თანხას უნდა შეედგინა სულ მცირე 96,2 მლნ დოლარი (481,1 ათ. კუბმ X200 დოლ), რომელიც საერთო საკონტრაქტო ფასზე 19,5 მლნ დოლარით მეტს შეადგენს. ამ შემთხვევაში ადგილი მისახვდრია, რომ ამ საქსამის პროდუქციის რეალური საბაზრო ფასისა და უცხოელ პარტნიორებთან წინასწარი კორუფციული გარიგების თანახმად საქონელზე შემცირებული საკონტრაქტო ფასთა სხვაობით მიღწეული არალეგალური მოგება – 19,5 მლნ. დოლარი, ნაღდი ანგარიშსწორებით არაკეთილსინდისიერი ექსპორტირების ჯიბეში იქნა „ჩარიცხული“.

როგორც ხედავთ, ჩვენი ამ მეტად ლიბერალური ტექნიკურად დასაბუთებული მეთოდიკის გათვლებით, რომელიც

მინიმუმ 25%-ის დათმობით არის გაანგარიშებული, გამჭვირვალედ ისახება სახელმწიფოს ის საბეჭისწერო ტრაგიკომედია, რომ ამ არსებული განუკითხობის შედეგად საქართველოს ტყითსარგებლობის ინდუსტრია და განსაკუთრებით კი არნახული მზარდი ტემპით განვითარებული ხე-ტყის პროდუქციის ექსპორტი პრინციპში (ტყის „შავი ბიზნესის“ აყვავების ხარჯზე) ეკონომიკური ზარალისა და ეკოლოგიური ზიანის გარდა, არავითარ სასიკეთოს არ აძლევს სახელმწიფოს.

ასეთია სამწუხაროდ დღეს საქართველოს ეროვნული უნიკალური ტყეების ხე-ტყის რესურსების „რენტაბელური“ გამოყენების და ტყითსარგებლობის სამრეწველო-საექსპორტო ინდუსტრიის მზარდი ტემპით განვითარების რეალური სურათი. გულდასაწყვეტია, რომ ტყითსარგებლობის კომპლექსში ამ მყარად დამკვიდრებულ ფართომასშტაბიან ეკონომიკურ დივერსიისა და აქედან გამომდინარე, საქართველოს უნიკალური ტყეების განადგურების აშკარად გამოპეტილ პროცესებს, რომელიც სამწუხაროდ

ძირითადად საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან დაიწყო, ვერავინ ვერ „ხედავს“ და ვერც ვერავინ ვერ „ამჩნევს“.

ამ აღვირახსნილ განუკითხაობას და ეწ. დაკანონებულ უწესრიგობას არ მოეღება ბოლო, სანამ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა (საბაჟო სამსახურის) სამინისტროები, სამართალდამცავ ორგანოებთან ერთობლივად არ შეიმუშავებენ ეროვნული უნიკალური ტყის ფონდის დაცვისა და ხე-ტყის პროდუქციის უკანონო ექსპორტის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის გაძლიერებას (კოორდინირებულ) კომპლექსურ ღონისძიებებს.

შენიშვნა: ჩვენი მეთოდიკით ტექნიკურად დასაბუთებული მოკლევის მასალები გათვალისწინებული კანონიერად წარმოებულ და აღრიცხულ ხე-ტყის პროდუქციაზე. რაც შევხება უკანონოდ მოპოვებულ და არალეგალურად რეალიზებულ პროდუქციაზე გახარჯული მრგვალი ხე-ტყის რაოდენობის დადგენის საკითხს, ეს პრობლემა სამწუხაროდ შედივად რჩება ამოუხსნელ ამოცანად.


ბორის ბოჭოლიშვილი

გუნდერ-დოზატორის ამძრავის პინემატიკური ანალიზი

წებო-ბურბუშელის წნევ-კომპოზიციებიდან ნაკეთობათა წარმოებებში ოპერაციათშორისი მარაგბის შესაქმნელად და ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა ეტაპზე (ბურბუშელისა და წებოს შერევა ფარდაგის ფორმირება და ა.შ.) ბურბუშელის საჭირო დოზით მისაწოდებლად იყენებენ ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ ბუნკერ-დოზატორებს, რომლებშიც დოზირება ხორციელდება წონითი ან მოცულობითი მეთოდით.

ბუნკერ-დოზატორებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნაა ბურბუშელის უწყვეტი და თანაბარი გამოდინება. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას არსებულ ბუნკერ-დოზატორებში ხელს უშლის მდგრადი თაღების წარმოქმნა, რაც განაპირობებს ტექნოლოგიური პროცესის დარღვევას.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილ იქნა დაქუცმაცებული მერქნის, როგორც ფხვიერი მასალის ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები (ფრაქციულობა, შიგა და გარე ხახუნის კოეფიციენტები, ძვრის საწყისი წინაღობა და ა.შ.) და მათი გათვალისწინებით დამუშავდა ბუნკერ-დოზატორატის ორიგინალური კონსტრუქცია, რომლის სქემა მოცემულია ნახ. 1



ნახ. 1 ბუნკერ-დოზატორის სქემა

გამოდინების პროცესის სრულყოფისათვის ჩვენს მიერ შემოთავაზებულია „მოძრავი ფსევრი“, რომელიც განთავსებულია ბუნკერის ცილინდრული და კონუსური ნაწილების საზღვარზე. მოძრავი დაღარული ცილინდრები არა მარტო ანგრევს წარმოქმნილ თაღებს, არამედ მუშაობს ისე როგორც მადოზირებელი მოწყობილობა. ვერტიკალურად თავისუფლად მდგარი ბურბუშელის კედლის თავიდან ასაცილებლად ბუნკერის ზედა ნაწილის კედლებს აქვთ უარყოფითი, სამგრადუსიანი დახმა.

ბუნკერის გამოსადენი დიობის სიგანე **a** გამოითვლება განტოლებით:

$$a = \frac{(2^* \tau_0(1+\sin\varphi))}{R\gamma}$$

სადაც ფრაქციულობისა და ტენიანობისაგან დამოკიდებულებით τ_0 ძვრის საწყისი წინაღობაა

γ მოცულობითი მასა

φ შიგა ხახუნის კუთხე

R – კოეფიციენტია და უდრის მრგვალი ნასვრეტისათვის 0,5, ხოლო სწორკუთხასათვის – 1-ს.


კონუსური ნაწილის დახრის კუთხე β აიდება ბურბუშელის მასის ბუნებრივი დახრის კუთხეზე $5-10^{\circ}$ -ით მეტი.

დანარჩენი ზომები განისაზღვრება ბუნკერის საჭირო ტევადობიდან გამომდინარებული დარებიანი ცილინდრების კარამეტრები ისეა შერჩეული, რომ მათი ერთი შემობრუნება უზრუნველყოფს ბურბუშელის 25 კგ-იან დოზირებული დარღვევას.

ტექნოლოგიური პროცესის თავისებურებებიდან გამომდინარე ბუნკერ-დოზატორის მწარმოებლობა მერყეობს 70-200 კგ/წთ ფარგლებში. ამის მიხედვით უნდა იყოს შერჩეული დოლების ბრუნვათა სიხშირე. დარებიანი ცილინდრების პარამეტრები ისეა შერჩეული, რომ მათი ერთი შემობრუნება უზრუნველყოფს ბურბუშელის 25 კგ-იან დოზირებული დარღვევას.

ბას. მინიმალური 75 კგ-იანი ოდენობისათვის დაგვჭირდება 3 ბრ/წთ, ხოლო 200 კგ-ისათვის 8 ბრ/წთ გრადაციით 3,4,5,6,7,8 ბრ/წთ/ ე.ი. საჭიროა ექვს სიჩქარიანი სიჩქარის კოლოფი. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ასეთი კოლოფის კინგ-მატიკური სქემა მოცემულია ნახ. 2.

გაანგარიშების სხვადასხვა ვარიანტებმა გვიჩვენა რომ შეუღლებული კბილანების კბილების მინიმალური ოპტიმალური ჯამური რაოდენობა 100 ამის შემდეგ ვანგარიშობთ დოლების ბრუნვათა სიხშირეებს.



ნახ. 2 ექს სიჩქარიანი კოლოფის კინგ-მატიკური სქემა

(1) ელექტროძრავიდან (2) დრეკადი ქუროს საშუალებით ძრაობა გადაცემა I ლილებს, Z_1 კბილანა $i=3/5$ მუდმივი გადაცემის რიცხვით აბრუნებს II ლილებზე დასმულ Z_2 კბილანას და II ლილვთან ერთად ბრუნავს $Z_4Z_6Z_8Z_{10}Z_{12}$, კბილანები და $Z_3Z_5Z_7$ და $Z_9Z_{11}Z_{13}$ კბილანა ბლოკების საშუალებით ექვსი სხვადასხვა სიხშირის ბრუნვა გადაცემა III ლილებს, ხოლო $i=1/50$ ჭია ხრახნის საშუალებით IV ლილებს, 3,4,5,6, და 7 ვარსკვლავებზე მოდებული ჯაჭვი აბრუნებს 8,9,10 და 11 ლარებიან დოლებს.

კბილანათა კბილთა რიცხვის დასადგენად გამოვდივართ დოლების ბრუნვის საჭირო სიხშირეებიდან და შესაუღლებელი წყვილების კბილთა ჯამური რიცხვების მინიმალური რაოდენობიდან.

იქდან გამომდინარე, რომ მუდმივი გადაცემის ფარდობა

$$i_{\text{აშე}} = \frac{3}{5} * \frac{1}{50} = \frac{3}{250}$$

ხოლო მუდმივი ბრუნვის სიხშირე

$$n_{\text{აშე}} = n_{\text{აშ}} i_{\text{აშ}} = 960 * \frac{3}{50} = 12 \text{ ბრ/წთ}$$

ამის შემდეგ ვსაზღვრავთ ცვლად გადაცემის ფარდობებს

$$i_1 = \frac{Z_6}{Z_5} = \frac{20}{80} = \frac{1}{4}$$

$$\mathbf{i}_{II} = \frac{Z_4}{Z_5} = \frac{25}{75} = \frac{1}{3}$$

$$n_3 = 12 \ . \ i_{III} = 12 \ . \frac{2}{5} = 5 \text{ dm/Vm}$$

$$\mathbf{i}_{\text{III}} = \frac{\mathbf{Z}_2}{\mathbf{Z}_3} = \frac{29}{71} = \frac{2}{5}$$

$$n_4 = 12 \cdot i_{IV} = 12 \cdot \frac{1}{2} = 6 \text{ δΘ/V}$$

$$\mathbf{i}_{IV} = \frac{Z_{10}}{Z_{11}} = \frac{33}{67} = \frac{1}{2}$$

$$n_5 = 12 \ . \ i_v = 12 \ . \ \frac{3}{5} = 7 \ \text{dor/}\text{v}\text{m}$$

$$I_V = \frac{Z_{12}}{Z_{13}} = \frac{37}{63} = \frac{3}{5}$$

$$n_6 = 12 \cdot i_{VI} = 12 \cdot \frac{2}{3} = 8 \text{ δσ/V}$$

$$I_{VI} = \frac{Z_8}{Z_9} = \frac{40}{60} = \frac{2}{3}$$

და შესაბამისად ბრუნვათა სიხშორეები

$$n_1 = 12 \cdot i_1 = 12 \cdot 1/4 = 3 \text{ days/mon}$$

$$n_2 = 12 \cdot i_{II} = 12 \cdot \frac{1}{3} = 4 \text{ } \delta\mathcal{O}/\nabla\omega$$

ეველა კბილანასათვის მოდების
მოდულს ვიღებთ $m = 3\bar{m}$ -ის ტოლს
მაშინ I და II ლილვებს შორის ცენტ-
რთა შორის მანძილი

$$A_i = \frac{(Z_1 + Z_2) \cdot m}{2} = \frac{(18 + 29) \cdot 3}{2} = 70,500$$

ხოლო II და III ლილვებს შორის

$$A_2 = 100 \times \frac{3}{2} = 150 \text{ da}$$

სიჩქარეთა ყუთის შემდგომი გაანგა-
რიშება ხორციელდება სტანდარტული
სქემით.

၅၀ဘိရာတိပုဒ်

1.Çàëäàñòàíèøâèëè Í.Ê. Âïïðîñû ñâîäåðàçîâàíèë è ëïðåäåëåíèå êðèòè÷åñëèð ðàçìåðîâ ãüïöñêíäî ïðåâðñòèë, ñòðîèòåëüíàÿ ìåðàíèëà è ðàñ÷åò ñîñðóæåíèé, Ìñêâà, 1985 å.

2. Áîêî ëèøâèëè Á.È. Đàcđàáìòêà ìàò åìàòè÷åñêî é ìïäåëè äèéíàìèêè iđèâî äà áóíêåđà-äíçàòiđà, Óđóäü ÄÒÓ¹² (441), ã Óáèëèñè, 2002 ä

DÅCPÌÅ

Âñòàòüå ïìèñàíà ïðèåæíäéüíåý ñoå ìà áó íêåðà-äïçàðîðà äëý äïçëðîâàíèý èçìåëü÷ åííé äðåâåñèíû. Ðàññïîòðåíà êéíàïàðåðèéà ïðèâíäà, ïðîâåäåíû ïðåäåàðèòåðëüíûå ðàñ÷åðû, íà ïñííåå êí òïðûõ óñòàâéåíû åäí èñõí äíûå ïðàòåïàðû.

၁၃၁

სტატიაში აღწერილია დაქუცმაცებული მერქნის მაღოზირებელი ორიგინალური კონსტრუქციის ბუნებრ-დოზატორის სქემა. განხილულია ამ – ძრავის კინემატიკა, ჩატარებულია წინასწარი გაანგარიშებები, რომელთა საფუძველზე დადგენილია მისი საწყისი პარამეტრები.

V. ტექნიკური დაცვა და გავრცელება

ბიძინა თავაძე

ფიჭვის დაცვადებაზე საქართველოში

შესავალი

ბოლო სააღრიცხვო მონაცემებით, საქართველოში ფიჭვნარების საერთო ფართობი შეადგენს 122050 ჰა-ს (1). იგი წარმოდგენილია, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური კორომებით. ბუნებრივი ტყეები შედგება კავკასიური ფიჭვის ანუ სოსნოვსკის ფიჭვისა (Pinus Sosnovsky Nskai) და ბიჭვინთის ფიჭვისაგან (Pinus pityusa Stev.), ხოლო ხელოვნური ტყეები ანუ ტყის კულტურები ძირითადად წარმოდგენილია: სოსნოვსკის ფიჭვით, შავი ფიჭვით (Pinus nigra Arn.) და ელდარის ფიჭვით (Pinus eldarica Medw.).

ფიჭვის კულტურების გაშენება ინტენსიურად დაიწყო 1926 წელს და მრავალი წლის განმავლობაში გაშენდა ათეული ათას ჰა ფართობზე. ასე, რომ ხელოვნური ფიჭვნარები წარმოდგენილია 30-80 წლის კორომებით. რაც შეეხება ბუნებრივ ფიჭვნარებს, ისინი მწიფე და გადატერებულია.

სოსნოვსკის ფიჭვით წარმოდგენილი ბუნებრივი ფიჭვნარები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფართოდაა გავრცელებული, რადგან ეს სახეობა ნიადაგებისა და კლიმატური პირობებისადმი ნაკლებ მომთხოვნი და ყინვაგამძლეა (2). მისი გავრცელების ვერტიკალური დიაპაზონიც ფართოა – დასავლეთ საქართველოში იგი ჩამოდის 250 მ-მდე ზღ., ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 600 მ-მდე.

ბუნებრივი ფიჭვნარების მნიშვნელოვანი მასივები გეხვდება მესქეთ-ჯავახეთში, მთათუშეთში, შიდა ქართლში და ა.შ. (2). აქამდე საქართველოს ფიჭვნა-

რების ფართომასშტაბიანი სისტემური სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევები არ ჩატარებულა და აქედან გამომდინარე, ფიჭვის დაავადებანი და ფიჭვნარების ხმობის გაოდნობიაც შეუსწავლელია.

ობიექტი და მეთოდები

2006 წელს დავიწყეთ აღმოსავლეთ საქართველოს ფიჭვნარების სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევა და ფიჭვის დაავადებათა შესწავლა.

2006-2008 წლებში გამოკვლევები ჩატარდა შიდა ქართლში (ატენის ხეობაში), ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონში და თბილისის შემოგარენის მტკვრის მარჯვენა ნაპირის ფიჭვნარებში.

აღნიშნული ობიექტებიდან ინტენსიური ხმობა მიმდინარეობს ატენის ხეობის ბუნებრივ ფიჭვნარებში, რაც გამოწვეულია ფიჭვის ფისოფანი კიბოთი; სხვა რეგიონებში ფიჭვნარების სატყეო-პათოლოგიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ტყის კულტურების მაღალი სისტერისა და მოვლითი ჭრების ჩაუტარებლობის გამო, მათში მიმდინარეობს ინტენსიური ხმობით და მეორე მხრივ, ზრდისმიერი დიფერენციაციით.

გამოკვლევებისას გამოვლინდა ფიჭვის დაავადებანი, რომელთაგან ძირითადს ქვემოთ მოკლედ შევხებით.

შედებები და განხილვა

1. ფისოფანი კიბო. დაავადების გამომწევია ჟანგა სოკო *Peridermium pini* Kleb.,

რომელსაც მხოლოდ ერთი – ეციდიალუ-
რი – სტაფია აქს, რომლითაც ვითარ-
დება ფიჭვები (3).

დავადებისთვის დამახასიათებელია
წყლულოვანი სიმსივნეების განვითარება
დეროსა და ტოტებზე, რომლებზედაც
წარმომშობა სოკოს ნარინჯისფერი ბუშ-
ტისებრი ეციდიუმები. დაავადებულ ხეებს
ქერქი ექერცლება და სცვივა; დეროს
შემორგოლვის კვალობაზე ხეების ზრდა-
განვითარება ფერხდება და ისინი თანდა-
თანობით ხმებიან; დაზიანების ადგი-
ლებისათვის დამახასიათებელია უხვფეხ-
ვიანობა და დეროს დეფორმაცია (4).

დაავადება მრავალი წლის განმავ-
ლობაში მიმდინარეობს და იგი 40 წლ-
ზე მეტი ხნოვანების ხეებისა და კორო-
მებისათვისაა დამახასიათებელი. მის
მიმდინარეობას აჩქარებს გვალვიანი
წლები (4,5)

2. ცენანგიოზური კიბო. დავადებას
იწვევს ჩანთიანი სოკო *Cenangium abietis*
Rehm., რომელიც ინვითარებს კონიდიურ
ნაყოფიანობას *Dothichisa feruginosa*
Sacc.

დაავადება იწვევს ყლორტებისა და
ტოტების ხმობას, განსაკუთრებით მაღა-
ლი სიხშირის ხელოვნურ კორომებში,
სადაც თავის დროზე მოვლითი ჭრები
არ ჩატარებულა.

სოკოს ნაყოფსხეულები ვითარდება
ტოტებსა და ყლორტებზე ქერქის ქვეშ
შავი, ჯგუფური წერტილების სახით,
რომელიც მომწიფების შემდეგ გამო-
დიან ზედაპირზე. დასენიანება იწყება
ყლორტების წვეროდან და მიემართება
ქვემოთ.

დავადებულ ყლორტებზე წიწვები
ჯერ წითლდება, შემდეგ ფუქეში მურა
ფერს იღებს, ხმება და ნაადრევად ცვივა
(3,4,5).

ჩანთიანი ნაყოფიანობა აპოტეკიუმე-
ბი მურა ფერისაა, კონიდიური ნაყოფი-
ანობა პიკნიდიუმები კი შავი.

დაავადება აღინიშნა ატენის ხეობაში,
ცნობილი ქართველი მეტყველეცნიერი და პედაგოგი, შემდგომში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტყის კულტურების კათედრის გამგე — გერმოგენ ბრეგვაძე ასე იგონებს ამ დირს-სახსოვარ დროს: „...სოლომონ ქურდიანს, ივანე ჯავახიშვილის მოწოდებით 1919 წლის შუა პეტიონდში საქართველოში ჩამოსულს, ბედმა და გარემოებამ ერთდროულად ორი დიდი საქმის გაძლიერდა დააკისრა: საქართველოს ტყის მეურნე-

ობის შესვეურობა – (იგი საქართველოს ტყეთა ინსპექტორად იქნა დანიშნული) და საქართველოს სატყეო მეცნიერების მოძღვარობა (იგი პროფესორად იქნა მოწვეული ქართულ უნივერსიტეტში). ამ ორ საქმეს ს. ქურდიანი მთელი ჯანდონით, მონდომებით, ცოდნითა და საქმით ორმაგად იყო ხელჩაჭიდებული.

დილით, გარიურაჟიდან სამსახურის დრომდე თავის ბინაში სამეცადინო მაგიდას უჯდა და მუშაობდა, და – ან მის მიერ დაარსებულ დენდროლოგიურ ბაღში ხეებს რგავდა, ანდა ჩემთან ერთად პატარა ორთვალა ეტლში ჯდებოდა და მაშინდელს თბილისის სამთო-საკურორტო სატყეოში ერთად მივდიოდით, (მე ამ დროს იქ ტყის გამგის თანაშემწედ ვიყავი) ჩვენი ნამუშევარის სანახავად, ჩვენთვის ახალი სამუშაოს დასასახავად და საერთო გეზის მოსაცემად. როდესაც სატყეო სამმართველოში წასვლის დრო მოახლოვდებოდა, იგი მაღმალე საათს დახედავდა და იმავე თრთვალათი ქალაქში ბრუნდებოდა, და ჩვენ კი საქმეში გამარჯვების სურვილსა და გამხნევებას გვიტოვებდა.

სამსახურიდან იგი სახლში ბრუნდებოდა, ისაღილებდა, ცოტას დაისვენებდა და შემდეგ უნივერსიტეტში ლექციის წასაკითხად მიდიოდა. ს. ქურდიანი ლექციას გატაცებით ატარებდა, რაც ბუნებრივად სტუდენტობაზეც გადადიოდა და სწავლება ცოცხლად და ხალისით მიდიოდა¹.

სოლომონ ქურდიანის უპირველესი ამოცანა გახდდათ ზრუნვა ტყის აღმოცენებასა და მის შენარჩუნებაზე. იგი აღნიშნავდა, რომ „ის მეტყველე, რომელიც არ ფიქრობს ტყის მომავალზე და ხელს არ შეუწყობს ტყის აღმოცენებას, ტყეს უნდა მოშორდეს“.

ანიჭებდა რა ტყის განახლებას ასეთ დიდ მნიშვნელობას, ქურდიანი მოითხოვდა ტყის განახლების მდგრამარეობის შესწავლას, რისთვისაც თვითონ დაამუშავა ტყის განახლების შესწავლის პროგრამა და აღმონაცენ-მოზარდის

შეფასების შეალა. მანვე შეიმუშავა ტყის ნაყოფმსხმოიარობის შეფასების თვალზომური მეთოდი.

სოლომონ ქურდიანის ხელმძღვანელობით ახალ საწყისებზე გადამუშავდა ყველა საკანონმდებლო აქტები ტყის მეურნეობის დარგში; გამოიცა ტყის დაცვისა და სარგებლობის წესები; გამოცოცხლდა სატყეო-საკულტურო საქმე; შეიქმნა მოკლევალიანი კურსები ტყის დაცვის პერსონალის მოსამზადებლად; ამოქმედდა სანერგებები; ჩამოყალიბდა ტყის მავნებლებთან ბრძოლის ბიურო.

სატყეო მეურნეობის და მეცნიერების განვითარებას სოლომონ ქურდიანმა საფუძვლად დაუდო თბილისის (1918 წ.) და ქუთაისის (1920) მეტყველეთა ყრილობების გადაწყვეტილებანი.

1920 წლის 22 მარტს ქუთაისში გაიხსნა ქუთაისის გუბერნიის ტყის გამგეთა და ერობათა წარმომადგენლების ყრილობა სოლომონ ქურდიანის თავმჯდომარეობით. ყრილობის გახსნისთანავე მისასალმებელი დეპეშები გაეცხავათ მთავრობის თავმჯდომარებს – ნოე ქორდანიას და მიწათმოქმედების მინისტრს ნოე ხომერიქს.

ტყის დაზოგვის მიზნით ყრილობამ წამოაყენა გარკვეული მოთხოვნები მთავრობის მიმართ: ა) გატარებულიყო ლონისძიებები რკინიგზის ტრანსპორტის გადასაყვანად უპირატესად ქვანახშირის საწავზე. ბ) უფრო ინტენსიურად წარმართულიყო კერამიკული ქარხნების მშენებლობა, რათა სახლების გადახურვა წარმოებულიყო უმეტესად კრამიტით ყავარის ნაცვლად; გ) მეტი გავრცელება მისცემოდა უბუნრო სახლების მშენებლობას და ბინების დუმელებით გათბობას; დ) შემოსულიყო, როგორც წესი, საქონლის რეგულარული ძოვება.

ყრილობამ ჩათვალა, რომ ხეტყის დამზადება ძირითადად ეწარმოებინათ სატყეო განყოფილებებს. ტყის დამზადებაზე არ უნდა დაეშვათ ის წვრილი მეწარმეები, რომლებიც ცდილობდნენ

1. გ. ს. ბრეგვაძე – ამაგდარი ქართველი მეცნიერი მეტყველე თბილისის სატყეო ინსტიტუტის მრომები. ტ. XXII. გვ. 52-53.

მხოლოდ ტყის მტაცებლურ ექსპლოატაციას და მიზნად ისახავდნენ პირად, დროებით სარგებლობას.

შემდეგ ნახანძრალის და გაუტყევებელი ტყეეაფების გატყიანებისათვის ეწყობოდა სანერგები.

კლიმატის და სხვა მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით შესაძლებლად ჩაითვალა უცხომერქნიანი, სწრაფმოზარდი ჯიშების აკლიმატიზაცია, რომელთაც შეიძლება მოეცათ არსებითი სარგებლობა, ადგილმდებარეობის გაჯანსაღება და მტკიცე, ძირიფასი მერქანი. ასეთებად მიჩნეულ იქნა კატალბა, ტაქსოდიუმი, სექვოია, ევკალიპტი და სხვა. სასურველად ჩაითვალა მსოფლიო სამეცნიერო მიზნებისათვის შექმნილიყო მუდმივი საცდელი უბნები იმ ტყის ჯიშებისათვის, რომლებიც გადაშენების გზაზეა (ძლიერა, უთხოვარი); ასევე იმ სახეობებისთვის, რომლებიც საჭიროებენ დაცვას, შენარჩუნებას (ბზა, წაბლი).

დემოკრატიული მთავრობა დათმობაზე წავიდა გლეხობის სასარგებლოდ და 1919 წლის 5-დეკემბრის დეკრეტით ის ტყებუჩქოვანი ფართობები, რომელთაც არ გააჩნდათ სახელმწიფო მნიშვნელობა, დატოვა ძველი მფლობელების საკუთრებაში (17 000 ჰა) სახნავებად გადაქცევის მიზნით.

მიწათმოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებასთან არსებობდა სატყეო საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა სოლომონ ქურდიანი. საბჭოზე განიხილებოდა ტყის მეურნეობის წარმოების და მეცნიერების მნიშვნელოვანი საკითხები. მაგ: ა) აკაციის, მიმოზის და სხვა მცენარეთა გაშენების შესახებ; ბ) კაკლის ხეების განადგურებისაგან დაცვის ღონისძოებათა შესახებ და სხვა.

სოლომონ ქურდიანი ტყის ექსპლოატაციის გეგმაში ორ მიზანს ისახავდა: ა) ხევყის დამზადების წარმოებას და ბ) ტყის აღდგენის ღონისძიებათა გატარებას. ეს უკანასკნელი, ქურდიანის თქმით, ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა, ემსახურებოდა უფრო მაღალ გრანდიოზულ მიზნებს: ა) შეგვენარჩუნებინა ტყის დაცვითი ფუნქციები; ბ)

აღგვეკვეთა სამომავლოდ მთის ფერდობების ჩამორცხევა, წყლის რეჟიმის დარღვევა, სელური დვრების წარმოქმნა, არ დაგვეშვა ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებელი, ხელსაყრელი ბუნებრივი ფაქტორების დაქვეითება.

ამ პერიოდის ნორმატიული აქტებიდან განსაკუთრებით გამოიჩევა ხეტყის გაცემის ინსტრუქცია, რომელიც მოიცავდა და არეგულირებდა ტყითსარგებლობის მთელ საქმიანობას. ასევე ყურადსაღებია ამავე სატყეო განყოფილების მიერ შემუშავებული და 1918 წელს გამოცემული ტყეთმოწყობის ინსტრუქცია, რომელშიც განხილული იყო: ა) ტყეთმოწყობა პირწმინდა ტყეეაფვითი მეურნეობის დროს და ბ) ტყეთმოწყობა ამორჩევითი მეურნეობის პირობებში.

1921 წლის მარტში სოლომონ ქურდიანი გადადგა საქართველოს ტყეთა ინსპექტორის თანამდებობიდან. საარქივო მასალებში მისი გადადგომის მიზეზების შესახებ არავითარი ჩანაწერი არ არსებობს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამშობლოს დიდმა პატრიოტმა ეს ქმედება საბჭოთა რესერტის მიერ საქართველოს ანექსიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშად გააკეთა.

ტყეების ნაციონალიზაციის მოქნილიდან, ე.ო. 1918 წლიდან, ბორჯომის შემოგარენი გამოიყო კერძო საკუთრების ტყეების საერთო კომპლექსიდან და, როგორც საქართველოს სხვა ტყეები, შევიდა სახელმწიფო ტყის ფონდში.

ბორჯომის ეროვნული მამულის მმართველად ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა მსოფლიოში გახმაურებული ტყეების მქონე, გამოჩენილი მეტყევე-მეცნიერი პროფესორი პავლე ზაქარიას-ძე ვინოგრადოვ-ნიკიტინი (1869-1938 წწ.). მან 1895 წელში დაამთავრა პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტი და იმავე წელს დაინიშნა თბილისის გუბერნიის ახალციხის სატყეოში უფროსის თანაშემწედ. ის აქვე პარალელურად ასწავლიდა ენტომოლოგიას და ფიტოპათოლოგიას სატყეო სკოლაში, რომელიც ორგანიზებული იყო მეტყევე-კონდუქტორთა მოსამზადებლად. სულ ცოტა ხანში კი ის ინიშნება ჯერ მეტყევედ,

ხოლო შემდგომ ბორჯომის ეროვნული მამულის მმართველად. სწორედ აქ გაიშალა მისი ფართო სამეცნიერო და სატექნო პრაქტიკული საქმიანობა.

გინოგრადოვ-ნიკიტინმა დიდად შეუწყო ხელი ორი ერთიანი სატექნო საქმის – სატექნო მეურნეობის და ტექს მრეწველობის რაციონალურ წარმოებას და შეთანაწყობას.

1918 წლიდან გინოგრადოვ-ნიკიტინი კითხულობდა ლექციებს სატექნო დისციპლინებში საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტში /სპი/, სპის სატექნო განყოფილების სამეცნიერო ძალებით გინოგრადოვ-ნიკიტინს თავისი წვლილი შექმნდა ჩვენი ტექნიკის შესწავლის საქმეში. ვ.ნ.-ი არის მრავალი მეცნიერული შრომის და მონოგრაფიის ავტორი, სატექნო მეურნეობის უმნიშვნელოვანების საკითხებზე. მისი ლგაწლი მარტო გამოქვეყნებული შრომებით არ გაიზომება. ვ.ნ.-ის დამსახურებაა რევოლუციის შემდგომი პერიოდის რაციონალური სატექნო მეურნეობის და სატექნო მრეწველობის საძირკვლის ჩაყრა და ამ საქმეში კვალიფიციური კადრების შერჩევა, ჩამოყალიბება და გამოზრდა.

ვ.ნ.-ის აზრით საქართველოს და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობაში ძირითადი ორიენტირი საქართველოს მეურნეობაზე უნდა აიღოს, რადგან ხეტყის შემოტანა რუსეთიდან არარენტაბელურია ტექნიკის დიდი გაბარიტებისა და ფრახტის სიძვირის გამო.

გინოგრადოვ-ნიკიტინი გახლდათ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს /სმუს/ სატექნო კომიტეტის პირველი თავმჯდომარე /1921 წ./ და კონცესიების განმკარგულებელი დორექტორი.

საეტაპო მნიშვნელობისაა მისი შრომები: „სატექნო განათლების შესახებ“ /1917 წ/ – ვ. ნ. ამ შრომაში წინასწარმეტველურად მიუთითა ყველა ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში ყურადღება მიქცეოდა ტექნიკის შესწავლას, როგორც ბუნების ყველაზე ნათელ, თვალსაჩინო წიგნს.

სხვა შრომის: „რას აძლევს ველური ბუნება ამიერკავკასიის დამშეულ მო-

სახლეობას“ /1919 წ/ პრაქტიკული დასკვნა ის იყო, რომ დიდი ყურადღება დაგვეთმო საკვები სუროგატებისათვის, რათა მზად შევხვედრილიყავით შიმშილის გამწვავების პერიოდს. ამ დროში ბაზარზე ფასობდა მხოლოდ თეთრი წიფელი. წითელი ფერის მერქნის ნაწარმი უმთავრესად წუნდებულ პროდუქციად ითვლებოდა.

გინოგრადოვ-ნიკიტინი ამტკიცებდა, რომ მერქნის წითელი ფერი სრულიად არ არის მიკოლოგიური პროცესებით გამოწვეული დაზიანების რაიმე სტადია. ჩვენი წიფელი გადასცდება რა ჭრის სხვანებას თეთრი ფერის მერქანი გადაიქცავა წითელ ფერად და ამის შემდგები კათოლოგიურ გულს. თუმცა მერქნის სიწითლე ახასიათებს სრულიად ჯანმრთელ წიფელსაც და მას არავითარი საერთო არა აქვს ავადმყოფურ სიწითლესთან, როგორც ამას ადგილი აქვს მაგალითად ნაძვის შემთხვევაში.

ვ.ნ.-ის დაკვირვებით გაუქერქავი წიფელის მორები სწრაფად იწყებენ ლპიტების პროცესებს, რომელიც საწყის სტადიაში იღებს მარმარილოს დაავადების სახეს. გაქერქილი კი სწრაფად სკდება, რაც ამცირებს მაღალი ხარისხის ნაწარმის გამოსვლას. ვ.ნ.-მა ბორჯომში შექმნა მთელი რიგი ახალი წარმოებები: წიწვიანი ჯიშების ნერგებიდან ეფირის ზეთის, სოჭის და ნაძვის ქერქებისაგან კანადური ბალზამის დამზადებისა, რომელიც გამოიყენება მიკროსკოპულ წარმოებაში და რომელიც მანამდე შემოქმნდათ ამერიკიდან.

მის შრომებს შორის აღსანიშნავია გამოკვლევა „საქართველოს სატექნო მეურნეობა“ /1921 წ/, სადაც აღინიშნა, რომ ზრდის აღვილებაში სამყოფელის სხვადასხვაობასთან დაკავშირებით ტექნიკის არა აქვთ ერთნაირი მდგრადობა, ადამიანის უმნიშვნელო ზეწოლამაც კი ტექნიკი შეიძლება უკალოდ გაანადგუროს. კოლეგიუმში კი პირიქით, ადამიანი მუდმივად უნდა ებრძოლოს ტექნიკის და დიდი ძალის ხმევა უნდა გამოიჩინოს, რომ მინდვრები ტექნიკი არ გადაიქცეს. ხეტყის კუსტარული დამუშავების გამო ჩვენი ტექნიკის

მერქანი ხარისხით ჩამორჩებოდა ჩრდ. რუსეთის ტყეების მერქნისაგან ნამზად ხე-ტყის პროდუქციას. მისი აზრით ასეთ პირობებში ჩვენი ხე-ტყის გაშვება მსოფლიო ბაზარზე მორგებად არ იყო მიზანშეწონილი და ეს უნდა წარმოებულიყო მხოლოდ მზა პროდუქციის და ნახევრად ფაბრიკატის სახით.

ვ. 6.-მა გამონახა საშუალებები, რათა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შექმნა ლაბორატორია და საცდელი სადგური მერქნის გადამუშავების და კონსერვაციის საკითხების დასამუშავებლად, რაც ნაკარნახევი იყო ტყეების გამოზოგვისა და მათი გადარჩენის მიზნებისათვის.

დიდი მნიშვნელობის ფასად სატყეო კომიტეტმა ვ. 6.-ის ხელმძღვანელობით დაამუშავა რესპუბლიკის უველა ტყეების ექსპლოატაციის ერთიანი გეგმა ტყის უწყვეტი და თანაბარი სარგებლობის საფუძველზე.

1921 წელს ვ. 6.-მა ხმა აიმაღლა აღმოსავლეთ საქართველოში კულტურული კაკლის ბაღების პირწმინდა გაკაფვის წინააღმდეგ. მაშინ კაკლის მერქნის ექსპორტი მოდაში იყო. ნაღვურდებოდა ხეები, რომლის ნაყოფი უდიდეს როლს ასრულებდა ადგილობრივი მოსახლეობის გამოკვების საქმეში და პურის ხედ იყო ცნობილი.

1917/1922 წლებში თბილისის საკულტურო სატყეოს გამგე იყო პროფ. რომელინი. იმავე დროს ის ითვლებოდა სატყეო მანქანების საცდელ და სატყეო საკულტურო განყოფილების გამგის მოადგილედ. მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა თბილისის მიდამოების გატყევება და ეროზიულ პროცესებთან ბრძოლა. მან გამონახა ელდარის ფიჭვის უფექტური მოვლისა და გაშენების წესები. მანამდე ამ ჯიშის კულტურას სათანადოდ ვერ უვლიდნენ და ულპებოდათ. ი. რომელინმა აღადგინა ელდარის ფიჭვის კულტურა. კვლებში, საფარის ქვეშ ფიჭვი კარგად აღიზარდა და დამუშავდა აგრო-წესები მისი გაშენებისა. შემდგომ ამ ჯიშს ფართო გასაჯანი მიეცა თბილისის ჩამორცხვილ

ფერდობთა გატყევებასა და თვით ქალაქის გამწვანების საქმეში.

ი. რომელინს აღნიშნულ სატყეოში მუშაობამ მისცა დიდი გამოცდილება, სელური ღვარების და ნიადაგის გადარეცხვისაგან ბრძოლის ორგანიზაციულ საქმიანობაში პირომელიორული მეთოდების გამოყენების საშუალებით.

ყოფილი სოდანცდების და კოჯორის სატყეოს უფროსი 6. შ. ზაკლონსკი გვევლინება საქართველოს განუყოფელი ნაწილის, აფხაზეთის სატყეო მეურნეობის პირველ ორგანიზაციორად და საფუძვლის ჩამყრელად.

6. შ. ზაკლონსკის მოთხოვნით ხე-ტყის თავისუფალი ვაჭრობა, რომელიც შესაბამისად ანადგურებდა ტყეკაფის ფონდს, შეიცვალა ტყის სამეურნეო წესით დამზადება-გაცვლით. აფხაზეთი ოდითგანვე გამოირჩეოდა ტყეების მნელად მისადგომობით და სატყეო სატრანსპორტო გზების ნაკლებობით. რის გამო მისი ტყით მდიდარი მასივები მიუწვდომელი გახლდათ დამამზადებელთათვის. ადგილი პქნებდა გადაბერებული მერქნის მარაგების დაგროვებას და ჭრები ატარებდა უნებურ ამორჩევით ხასიათს. ჭრაში ინიშნებოდა მხოლოდ რენტაბელური დიამეტრის სამასალე ხეები /32-96 სმ/, ისიც გამოსაზიდად მისადგომ ადგილებში, ყველა სხვა გადაბერებული მერქნის მასა რჩებოდა ხელუხლებელი. სულ სხვა მდგომარეობა იყო ზღვისპირა ტყის მასივებში, რომელთა ექსპლოატაცია წარმოებდა დაჩქარებული ტემპით და როგორც წესი, პირწმინდა ჭრებით. პირველ მხოცვლიო ომადგელ პერიოდში აფხაზეთის ძირითადი ტყის მასივები ითვლებოდა როგორც „მკვდარი“, ამასთან დაკავშირებით ტყის მოწყობა არ თვლიდა თავის ამოცანად დეტალურად გამოერკვია სატყეო მეურნეობის წარმოების ძირითადი მიმართულებები და იყარგლებოდა უმთავრესად მარაგების ინგენირიზაციით.

1919-1920 წლებში გორის სატყეოს უფროსი იყო ი. ი. ზაკტრეგეგრი. მეტად ფართო იყო ი. ზაკტრეგეგმის სამეცნიერო ინტერესი, რომელიც მოიცავდა სატყეო

მეურნეობას, სატყეო მრეწველობას, ტყის კულტურებს, აგროსატყეო მელიორაციას, ტყის მეთესლეობას, ტყის დაცვას, სატყეო ეკონომიკას, სანერგე მეურნეობას, სატყეო-საცდელ საქმეს, განათლების ორგანიზაციას და სხვა. 1919 წლიდან საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკა-ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე, შემდგე კი ეკონომიკურ ფაკულტეტზე, ი. ზაქტრეგერმა, პირველმა წაკითხა ლექციები კერძო მეტყველებასა და სატყეო მელიორაციაში.

მები ლევ და ილია ზაქტრეგერები იყვნენ თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის მეტყველეთა ყველა კრილობის მოწვევის სულის ჩამდგმელები და ორგანიზატორები. სატყეო მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის ერთიანობისთვის დიდი მნიშვნელობა პქონდა ი. ზაქტრეგერის მიერ კრილობებზე წაკითხულ შემდეგ მოხსენებებს:

„სატყეო მუზეუმის მოწყობის შესახებ“, „ბუნებრივი განახლება ტყის აღდგენასთან დაკავშირებით“, „კერძო საკუთრების ტყეების დაცვის და გადარჩენის ლონისძიებები“ და სხვა.

ბორჯომის ეროვნული მამულის ძირითად ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენდა ტყეები, რომლის მთავარ მეტყველება ცნობილი მეტყველებიცი ი. გ. პახარი.

/1885-1920 წ.წ./. ვინოგრადოვ-ნიკიტინის და პახარის – ამ ორ გამოჩენილ მეტყველებიცი დიდი მცდელობით ბორჯომი გადაიქცა სატყეო მეურნეობის და სატყეო მრეწველობის განვითარების ცენტრად. მათივე წყალობით სატყეო მეცნიერების აკვანი დაირწა ბორჯომში. ბორჯომის ეროვნული მამული წარმოადგენდა მოწინავე სატყეო მეურნეობის, მრეწველობის და სატყეო მეცნიერების გამავრცელებელ კერას.

ბორჯომში დიდი ყურადღება ექცოდა სატყეო საქმის დემონსტრაციულ მხარეს, რისთვისაც გამოყენებული იყო სანიმუშო სატყეო მუზეუმი, რომელსაც გააჩნდა მდიდარი კოლექცია ყველა სატყეო საკითხებზი.

ბორჯომში ყოველწლიურად ტარდებოდა ექსკურსიები და პოპულარული

ლექციები, რომელთა მიზანი იყო საზოგადოებაში ტყეებისადმი ფრთხილი, გონივრული დამოკიდებულების დამკვიდრება.

კურადღებას იქცევდა სახერხი ქარხნის ისეთი ახალი განყოფილებები, როგორიც გახდდათ მერქან-ბურბუშელის, ხილის, მინერალური წყლების და სხვა.

ბორჯომი იყო ერთადეროთი წყარო, საიდანაც იპგებებოდა წიწვიანი ჯიშების ხე-ტყით მთელი ამიერკავკასია. გარდა ამისა ხე-ტყე იყიდებოდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და იქიდან იცვლებოდა სასურსათო პროდუქტებზე: მაგალითად, ირანში იცვლებოდა ბრინჯზე, ძვირფასი ტყის პროდუქტები (სარეზონანსო ხე-ტყე, საკასრე ტკენი, სატარესაყუთე ხე-მასალა და სხვა).

ვ. ნ.-ის და გ. პახარის ხელმძღვანელობით ბორჯომში მოეწყო ნეკერჩხლის შაქრის წარმოება.

დემოკრატიულ საქართველოს სატყეო მრეწველობაში დაშვებული იყო ტყის სიმდიდრეთა დამუშავების კონცესიური წესი, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფო ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით.

წიფლით მდიდარი ტყის მარაგების არსებობის მიუხედავად, მათი დამუშავება თითქმის არ ხდებოდა. წიფლის მასალა ნაკეთობის სახით შემოჰქონდათ გერმანიიდან და ავსტრიიდან.

წიფლის მერქანს სახელი გატეხილი ჰქონდა კერძო ვაჭრების მიერ. თითქმის ამ მასალისაგან დამზადებული კასრი რძის ნაწარმს არასასურველ ფერს და მწარე გემოს აძლევდა, უვარგისი იყო საშპალე და გრეხილ-ავეჯის წარმოებისთვის და სხვა.

გ. პახარმა დაამტკიცა, რომ ჩვენი წიფლის მერქანი ხარისხით არაფრით ჩამოუვარდებოდა საზღვარგარეთისას და აღემატებოდა კიდევაც მას ზოგიერთი მაჩვენებლებით.

გ. პახარის გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ჩვენს ტყეებში შესაძლებელი იყო გვეწარმოებინა საეციალური სარეზონანსო მეურნეობა, ტყემოწყობის დროს უნდა გამოყოფილიყო უბანი „ვიდელი“ სარეზონანსო

ტყისა. სარეზონანსო ხე არ უნდა მოჭრილიყო სამშენებლო მიზნებისათვის. პახარმა საინტერესო გამოკვლევები ჩაატარა სოჭისა და ნაძვის მერქნის ფიზიკო-მექანიკური თვისებების შესასწავლად. მანვე ჩაატარა მრავალი გამოკვლევა ჩვენი ტყის სხვა ჯიშების მერქნის ტექნიკური თვისებების და სხვადასხვა მექანიკური კოეფიციენტის დადგენის მიზნით.

მეტად საინტერესოა პახარის გამოკვლევა იმის შესახებ, რომ მერქნის მექანიკური თვისებები უმჯობესდება გარევეული ხელვანების ფარგლებში, რომლის იქითაც ხის დეროს ტანზე წლიური ნაზარდი – შრე მდორე ხარისხისა რჩება და უარესდება.

ტექნიკური გამოყენების თვალსაზრისით ხორმალურია ოუ სოჭის ხეებს დავტოვებთ იმ დრომდე, ვიდრე მერქნის მექანიკური თვისებები უმჯობესდება. ასეთი პერიოდი სოჭისთვის დაგება დაახლოებით 150 წლის ხელვანებაში.

პახარის ცდებით დადასტურდა აგრეთვე, რომ ზამთარში დამზადებული სოჭის მერქანი უფრო დიდხანს სხლებს. სოჭის მერქანი კარგად ინახება წყალში, ვიდრე პაერზე, ამიტომ ის უმჯობესია გამოვიყენოთ პიდორტექნიკურ ნაგებობებში. სოჭის მერქანი საუკეთესოა ქაღალდის წარმოებისათვის, შესაფუთი ფუთებისა და ბურდუშელის დასამზადებლად, რადგან მას მასიური და გრძელი ბოჭკოები აქვს.

ბურდუშელას წარმოებისათვის საუკეთესო აღმოჩნდა ვერხვი, სოჭი, ფიჭვი, ნაძვი და სხვა. მერქნის ბურდუშელას დამზადება სატყეო მეურნეობის რაციონალური წარმოების თვალსაზრისით პროგრესული იყო, რადგან ხედლეულად იყენებდა ხეტყის ნარჩენებს. ტყის მეურნეობის რაციონალურ წარმოებას დემოკრატიულ საქართველოში საფუძვლად და დაედო შემდეგი პრინციპები: „გაუფრთხილდეთ ტყეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ტყეში უნდა ჩატარდეს რაციონალური ჭრები, მაგრამ იმდაგვარად, რათა გარკვეულ დროში კვლავ აღსდგეს და უნდა მოვჭრათ ის, რაც უოველწლიური ნაზარდია...“.

სამეურნეო წესით დამზადებული ხეტყის პროდუქციის რეალიზაციას გაახარი ახდენდა მზა პროდუქციის სახით, უშუალოდ მომხმარებელზე. იმას ისიც უწყობდა ხელს, რომ მთავრობამ აკრძალა მორების გაყიდვა გადამუშავების გარეშე.

სატყეო მრეწველობის განვითარება კონცესების მეშვეობით, მით უმეტეს კერძო პირების მიერ, გ. პახარს დაუშვებლად მიაჩნდა, რადგან როგორც ის წერდა: „ყოველივე ეს გამოიწვევდა ტყეების განადგურებას და ყოველგვარი ქორვაჭრების, საქმოსნების ჯიბის გასქლლებას მწარმოებელთა ხარჯზე“.

ბორჯომი წარმოაგდენდა რა სატყეო მეურნეობის და სატყეო რაციონალური წარმოების ცენტრს, აქედანვე ხდებოდა მთელი კავკასიის მასშტაბით სატყეო ფასების რეგულირებაც.

რევოლუციით და სამოქალაქო ომით გამოიწვეული მოშლილობის პირობებში ბორჯომის სატყეო მრეწველობა ძლიერ დაეცა; ამას უაღრესად იმანაც შეუწყო ხელი, რომ როგორც გ. პახარი წერდა, მუშები თავისუფლებას აიგივებდნენ არაფრისმკეთებლობასთან.

გ. პახარის მიერ ბორჯომის სახალხო მაშულში დანერგილი შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების შემოღებით, მრეწველობის ეს კრიზისი დიდხანს არ გაგრძელებულა და სულ მაღლ 1-2 თვის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება საშუალოდ ორ-სამჯერ გაიზარდა. საქმე იმაში იყო, რომ გ. პახარმა შემოიღო შრომის ახაზდაურების პროგრესული სანარდო სისტემა, რომელიც პროფესიონების 1919 წლის მაისის კონფერენციის დადგენილებით რეკომენდებული იყო მთელ ქვეყანაში დასახურგად.

პახარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მერქნის დამატებით პროდუქტების მიღებას ქიმიური გადამუშავების გზით. გ. პახაროს მეშვეობით ბორჯომი გახდა მერქნის ქიმიური გადამუშავების პიონერი. აქ პირველად დაიწყეს ფიჭვის გამოფისვა ფრანგული წესით, სკიპიდარისა და კანიფოლის მიღება და სხვა. აქვე ააშენა გ. პახარმა საკუთარი სახსრებით სკიპიდარ-კანიფოლის ქარხანა.

მოწინავე მეთოდების განზოგადების საფუძვლზე გამოქვეყნდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა შორის აღსანიშნავია გ. პახარის შრომა ნეკერჩელის გამოწვენვის შესახებ.

შპრის კრიზისის გამო, მაშინდელი მთავრობის დავალებით ვ. ნ.-თან ერთად გ. პახარი ნეკერჩელის წვენებით ამზადებდა შაქარს, რომლიც მიეწოდებოდა სახელმწიფო და სამედიცინო ორგანიზაციებს; მისი გამოყენებით პეტრიავდნენ დაჭრილ ჯარისკაცებს ბორჯომის სავაკუაციო პუნქტში.

გ. პახარი წლების განმავლობაში სწავლობდა სახერს წარმოებას, სადაც დიდი სისქის ბრტყელი ხერხების გამოყენების პირობებში ძალზე დაბალი იყო ხარისხოვანი ფიცრის გამოსავლიანობა.

მის მიერ რეკომენდირებული იყო მრგვალი ხერხი შეცვლილიყო ლენტისებური და ჩარჩო ხერხით, რათა ნარჩენი დაეყვანათ მინიმუმამდე. ამ ღონისძიებებით სამასალე ფიცრის გამოსავლიანობა 50%-დან გ. პახარმა გაზარდა 65%-მდე, მან შემოიღო აგრეთვე გრძელი მორქის /შოლტების/ გამოზიდვა. ასეთ პირობებში დამორვა ტექაფიდან უშუალოდ ქარხანაში გადადიოდა, რაც შრომის ნაფინანსების გაზრდასთან ერთად იწვევდა სამასალე მერქნის გამოსავლიანობასა და ხარისხის მატებას, ხერხის კბილების ცვეთის შემცირებას. უსაფრთხოების ტექნიკის დაცვას ემსახურებოდა დახერხვის წინ მორის ცხელი წყლით გარეცხვა, ესეც პახარმა შემოიღო. მანვე დაამუშავა ამიერკავკასიის, მათ შორის საქართველოს სატყეო სამრეწველო დარაიონების სქემა. მისი რეკომენდაციით თითოეულ რაიონში უნდა ყოფილიყო ცალკე გადამამუშვებალი ქარხანა. გ. პახარმა გამოიგონა მერქნის სიფრიფანა ნიმუშების საჭრელი ინსტრუმენტი – „მიკროტომი“, რომელიც ამჟამად ინახება სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დენდრომუზეუმში. ვ. ნ.-თან ერთად გ. პახარმა შექმნა კარგად გახმაურებული სატყეო მუზეუმი.

მათ მიერ მოწყობილი ბორჯომის სატყეო მეურნეობა და მრეწველობა წარმოადგენდა ბაზისს სატყეო მეცნიერების

შესწავლისათვის. ამის სადემონსტრაციო მოხერხებულად იყენებდნენ სატყეო მუზეუმს და კითხულობდნენ ლექციებს სახალხო მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, სატყეო კურსებზე დაწყებით სკოლებში და ფართო საზოგადოებრიობისათვის; აცნობდნენ კულტურულ სატყეო საქმეს, აწყობდნენ ექსკურსიებს ტყეში და ა.შ.

უახლოეს მომავალში მათ გათვალისწინებული პქონდათ საწერი და შაქრის შესაფუთი მარტივი ქაღალდის წარმოების მოწყობაც.

დიდია გ. პახარის დგაწლი უმაღლესი სატყეო განათლების საქმეში. ამ საკითხზე მან გამოაქვეყნა სამი წერილი: „თბილისში სატყეო ინსტიტუტის საჭიროების შესახებ“, „კავკასიაში სატყეო ინსტიტუტის გახსნისათვის და „თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის გახსნისათვის“.

ბორჯომში, როგორც რაციონალური სატყეო მეურნეობის და მეცნიერების ცენტრში, ეწყობოდა ყრილობები და კონფერენციები, სხდომა-თათბირები. ასეთ ფორუმებზე გამომუშავებული რეკომენდაციები და დადგენილებები ვრცელდებოდა მთელ საქართველოს ტერიტორიაზე. ასეთ ყრილობები მიეკუთვნება ბორჯომისა და ახალციხის რაიონების მეტყველეობის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ყრილობა, რომელმაც განიხილა სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის საკითხები. ყრილობა შედგა 1920 წლის იანვარს.

ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად:

- ბორჯომის სახალხო /ეროვნული/ მამულის სატყეო დაექვემდებარა მმს-ის სატყეო განფინანსების კონტროლს, ისე, რომ არ დარღვეულა სამეურნეო მთლიანობა.

- ახალციხის რაიონში დაინერგა სარეზონანსო მეურნეობა ნაძვზე, რაც გათვალისწინებული იყო ტყემოწყობის დროს.

- ფორხალოს სატყეოში დაინერგა კანიფოლ-სკი პიდარის წარმოება.

- ბრძოლა გამოცხადა საქონლის თვითხებულ ძოვებას, რომელიც ტყეს

უფრო მეტ ზიანს აყენებდა, ვიდრე ჭრები...

– ბორჯომის მამულის მინერალური წყლების დებეტის შესანარჩუნებლად ციხისჯვრის პლატოზე აიკრძალა ტყით სარგებლობა და თიბვა; შემოიღობა შესაბამისი ადგილები.

– ნახშირის დასაწვავად რეკომენდებული იქნა ტყეში ნაყარის გამოყენება.

– სკიპიონისა და კანიფოლის წარმოების დარგში ფიჭვის ძველი ძირკების გამოსაყენებლად ბაკურიანის სატყეოში მოეწყო მერქნის მშრალი გამოხდის ქარხანა და ღუმელი.

– ყრილობამ პრინციპულად და მნიშვნელოვნად ჩათვალა ტყეში სწორი ნადირობის შემოღების საკითხის გადაწყვეტა და მეტყველების დაავალა შეეღინა ვრცელი მოხსენება საქართველოს ტყების ნადირ-ფრინველის და იმ მდინარის წყლის ოვზებზე, რომელიც საჭიროებენ დაცვას.

– უმაღვე, სანამ ეს საკითხი გადაწყდებოდა, ეთხოვა მმს-ის, კანონმდებლობის წესით მოლად აეკრძალა ნადირობა არამტაცებელ ტუმუმწოვრებზე.

– სატყეო კულტურების სამუშაოების შესასრულებლად ეწყობოდა სანერგები, ერობათა სატყეკულტურო მასალებით მომარაგებისათვის.

ბორჯომის ტყეებზე ზრუნვის შედე-

ბი იყო ის, რომ გ. პახარი წინ აღუდგა ე.წ. „მენშევიკურ“ მთავრობას, რათა ბორჯომის ხეობა გაეცათ ამერიკული კომპანიისათვის კლიმატური კურორტის მოსაწყობად.

გ. პახარის დიდი დამსახურებისა და რაინდული ხასიათებისადმი პატივისცემის ნიშნად, ქუთაისის ტყის გამგეთა ყრილობამ 1920 წლის 22 მარტს მისი თავმჯდომარის, პროფესორ ს. ქურდიანის წინადადებით, ფეხზე ადგომით პატივი მიაგო გარდაცვლილი ტყის გამგის გ. ი. პახარის ხსოვნას.

ცხადია, მოკლე ნარკვევში შეუძლებელია სრულად აისახოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამ მოკლე, მაგრამ მეტად როულ და საინტერესო მოვლენებით აღსავსე პერიოდში ტყის მეურნეობის და ხეტყის მრეწველობის ფუძემდებლური პრინციპები და ფუნქციონირების პროცესი, რაც შემდგომ კალევას და არქივებში ჩაღრმავებას საჭიროებს. მაგრამ გვწამს, რომ სატყეო დარგების ფორმირების იმ პოზიტიური მიმართულებების გააზრება და გათავისებაც კი, რაც ანალიზმა წარმოაჩინა სასიკეთოდ წაადგება დღევანდელ და მომავალ თაობებს, რომელთა ვალია მკერდში დაჭრილი ქართული ტყის გადარჩენა, გაჯანსაღება და აღდგენა-განახლება.

ბამოყვენებული ლიტერატურა:

1. სოლომონ ქურდიანი – სასოფლო მეურნეობა და სააგრანომიო ფაკულტეტი. ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, №7. გვ. 3-9. 1919 წ.
2. სოლომონ ქურდიანი – საქართველოს ტყე. ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, №9, გვ. 37-40“. 1919 წ.
3. ივ. ყიფშიძე – უმაღლესი ტექნიკური განათლების ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი. 1953.
4. გრ. თოდუა – სასოფლო-სამეურნეო განათლების ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი. 1967.
5. ვახტანგ დარახველიძე – სატყეო მეურნეობის სათავეები. თბილისი. 1984.
6. თბილისის სატყეო ინსტიტუტის შრომები (შემდეგი ბერძნების შემდებარებული ბერძნები XXII) – მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი მეტყველე-მეცნიერის სოლომონ ზაქარიასძე ქურდიანის დაბადების 100 წლისთვისადმი. თბილისი. 1973.
8. პ. ე. ესტატიანა. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდები.
9. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდები.

სატყეო მეურნეობა სამურზაყანოში (აფხაზეთი)

მიზანი ერთია, მკითხველს მივაწოდო ინფორმაცია სამურზაყანოს (საქართველოს ისტორიაში ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა მხარეს ეწოდება მისი მფლობელის სახელი) მიწაზე განთავსებული სატყეო მეურნეობის საქმიანობის შესახებ, მეურნეობა, რომელიც 1987-1988-1989-1990-1991-1992-1993 წლებში ფლობდა საქართველოს სატყეო მეურნეობის სისტემაში დაწესებულ გარდამავალ დროშას და ფულად პრემიებს.

შემდეგ ახალგაზრდა მეტყველე საქციალისტებით დაკომპლექტებული კოლექტივი იყო საქართველოში.

1979 წლიდან ამზადებდა და გამოზიდავდა მთელი აფხაზეთის ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვის 80%.

იყო ერთადერთი მეურნეობა საქართველოში, სადაც ტყეში დამზადებული ხე-ტყის გამოტანა ხდებოდა ვიწროლიანდაგიანი რეინიგზით.

იყო ერთადერთი მეურნეობა, სადაც ტყეში დამზადებული ხე-ტყის მოთრევა ვიწრო ლიანდაგამდე ხდებოდა, როგორც ტყესაზიდი ტრაქტორი ტტ-4-ით, ასევე ცოცხალი გამწევი ძალით (კამეჩი, ცენი).

იყო ერთადერთი მეურნეობა საქართველოს სატყეო მეურნეობის სისტემაში, სადაც პქონდათ ფერმა ადგილობრივი ჯიშის ცხენების მოსაშენებლად.

იყო მეურნეობა, რომელსაც გააჩნდა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ფერმა.

იყო მეურნეობა, რომელიც უხვად აწარმოებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს.

იყო მეურნეობა, რომელიც უშვებდა ფართო მოხმარების საგნებს.

იყო ერთადერთი მეურნეობა აფხაზეთის სატყეო მეურნეობის სისტემაში, სადაც სატყეოში გამოდიოდა ყოველთვიური კედლის გაზეთი „მეტყველის ხმა“.

იყო ერთადერთი მეურნეობა აფხაზეთის სატყეო მეურნეობის სისტემაში, რომელმაც სატყეოში ბუნების წიაღში ჩაატარა გასვლითი თათბირი-სემინარი, აფხაზეთის სატყეო სისტემის თანამშრომელთა მონაწილეობით.

იყო მეურნეობა, რომელმაც პირველმა დაიწყო ნაყოფის მომცემი კულტურების (თხილი, კაკალი, ტყემალი, ხურმა, ლელვი) გაშენება.

სამურზაყანოზე მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ცნობილი რუსი მეცნიერი ი. ბართლომე წერდა: „თოთქმის მთელი სამურზაყანო ტყითა დაფარულიო, სახნავი მიწები აქ ცოტაა“.

1847 წელს მეფის ნაცვალი ვორონცოვი წერს ადმირალ ლაზარევს: „მივიღე ცნობა, რომ სამურზაყანოში არის კარგი ხარისხის ტყე, რომელიც ვარგისია ხომალდების ასაშენებლად და დაგავალეთ კაპიტან-ლეიიტენანტ ისტომინს და მაირ ლუკინს წასულიყვნენ ადგილზე და შესწავლათ ტყე. მათ შეისწავლეს ადგილზე ტყე და მომახსენებ, რომ აქ არის კარგი ხარისხის მუხა სახაზინო ტყეში“.

სამურზაყანოზე საინტერესო ცნობებს იძლევა მწერალი და ეთნოგრაფი თედო სახოკია, რომელმაც აქ მოგზაურა XIX საუკუნის უკანასკნელ ათეულ წელს და 1896 წელს ჟურნალ „მოაძეშვი“ გამოაქვეყნა მოგზაურობის შთაბეჭდილებანი.

თედო სახოკია მიუთითებს, რომ სოფლებში სახლების უმეტესი ნაწილი გაკაფულ ტყეშია ჩადგმული, ყოველი სახლის წინ ტყეა, უკან კიდევ ტყე, ორივე მხარეს ისევ ტყე არტყიაო. იმ დროს სამურზაყანოში ქალაქი არ იყო.

ჯერ კიდევ ფრ. დიუბუ დე მონპერიე აღნიშნავდა, სამურზაყანო ტყეებით არის დაფარულიო.

ასი წლის წინ დიდი ქართველი, ახალი სალიტერატურო ქართული ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი „ბუნების კარში“ წერდა: „უეჭველია ბევრი სამურზაყანოს პირველად გაიგონებს, შესაძლებელია ბევრმა ქართველმა არ იცის მისი მდებარეობა, მით უფრო საჭირო სამურზაყანო მოკლედ მაინც აღვწეროთ.

დაგძლიერ დიდი ძალის ხმელეთი ლაბირინთი და მივადექით სამურზაყანოს, რომელიც გადაჭიმულია მდინარე ენგურიდან მდინარე ლალიძგამდე და უჭირავს აფხაზეთის ტერიტორიის 11,6% და მისი ფართობი შეადგენს 100300 ჰექტარს. სამურზაყანოს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება ოჩამირის რაიონი, სამხრეთ-აღმოსავლეთით სამეგრელო, სამხრეთ-დასავლეთოთ შავი ზღვა.

ჩვენ უკვე ვიმუშვებით წინათ სამურზაყანოს სახელით ცნობილ, ამჟამად კი „აფხაზეთის ბედლად“ წოდებულ მხარეში – გალის რაიონში და როგორც უკვე ცნობილი ხდება, რაც ზემოთ იყო ნათესავი, ეხება გალის სატყეო მეურნეობას.

სანამ გალის სატყეო-მეურნეობის საქმიანობას შევეხებოდეთ მკითხველს შევთავაზებ ლექსს გალზე, რომელიც ამ სტატიის ავტორის, 11 წლის შვილი-შვილის ნინო გოგონიას ლექსთა კრებულიდანაა. ლექსი მკითხველს აუცილებლად შეუქმნის წარმოდგენას გალის რაიონზე.

გალი

გალო! ტკივილი და დარდი ხარ ჩვენი, გალო! ფიქრი და ოცნება ხარ ჩვენი, მხარე ხარ, სადაც ცა ყოველთვის ფირუზფერია ბუნება, ხასხასა და ზურმუხფერია.

აქ მზე მწველი და მარად ლალისფერია, აქ ზღვა ლურჯი, ლიკლივა და მწვანე ფერია, აქ მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის სურნელი გათრობს, სამწუხაროდ, ამ მხარეს ახლა სხვაგვარად ათოვს.

ახლა დროა წარმოვადგინოთ გალის სატყეო მეურნეობის მონაცემები; ინტერესმოკლებული არ იქნება, რომ ვიცოდეთ თუ ვის ეკუთვნოდა ტყეები სამურზაყანოში, თუმცა ამაზე პასუხის გაცემა მნელია, ვინაიდან ვერც საზღვარგარეთის ქვეყნებში და მითუმეტეს საქართველოში არ არის დადგენილი თუ ვინ განაგებდა ტყეს. ერთი რამ შეგვიძლია კოქვათ დანამდვილებით, რომ ტყის მფლობელი თავდაპირველად არავინ იყო, იგი ღმერთმა შექმნა ადამიანთა საკეთილდღვეოდ.

ისტორიული მწირი წყაროებიდან ირკვევა, რომ სამურზაყანოში, ისევე როგორც საქართველოში, თითქმის X საუკუნიდან ტყეები სახელმწიფოს, ეპლესია-მონასტრების, თავადაზნაურთა ხელშია.

სამურზაყანოში – გალის რაიონში ტყეების მცირე ნაწილი თავადაზნაურთა ხელშია. ქვედა ზონის ტყეების ნაწილს: ოტობაიში, ნაბაკევში, ბარღევში, რებში, გუდავაში განაგებდნენ ანჩაბაძე, ზვანბაია, მარღანია. მთის ტყეების ნაწილს ოქუმში, საბერიოში განაგებდნენ ემთხვარი, ჩქოტება.

1921 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ტყეები უკლებლივ სახელმწიფო ტყეებად გამოცხადა, ხოლო ნაწილი საკოლმეურნეო ტყეების სახელით გადაეცა კოლმეურნეობებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გალში 1921 წელს გახსნილი იქნა სატყეო უბანი, რომელიც 1931 წელს გადაკეთდა სატყეო მეურნეობად.

გალის სატყეო მეურნეობის საერთო ფართობი შეადგენს 32136 ჰექტარს, მთელი აფხაზეთის სატყეო ფართობის 6,3%, ტყით დაფარულია 29908 ჰექტარი, მთელი აფხაზეთის ტყით დაფარული ფართობის 6,2%.

გალის სატყეო მეურნეობის ტყის კორომები წარმოდგენილია მთაგორიანი და ზღვისპირამდებარე ვაკე რელიეფით – კოლხეთის დაბლობით.

მთაგორიანი ტყეების საერთო ფართობი შეადგენს 23809 ჰექტარს, ხოლო ბარის ტყეების 8227 ჰექტარს.

სატყეო მეურნეობის ტყეები თავისი
ძირითადი ფუნქციონალური დატვირ-
თვით მიეკუთვნება:

მწვანე ზონის ტყეების კატეგორიას,
2710 ჰექტარი.

ნიადაგდაცვითი ტყეების კატეგო-
რიას, 29426 ჰექტარი.

გალის სატყეო მეურნეობის მერქ-
ნის მარაგი შეადგენს 4250000 კუბმ.

გალის სატყეო მეურნეობის ტყის
ძირითადი შემქმნელი მერქნიანი სახეო-
ბებია:

წილელა – 10476 ჰექტარი – მარაგი
2354400 კუბმეტრი.

მურყანი – 12156 ჰექტარი – მარაგი
– 994600 კუბმეტრი.

რცხილა – 3972 ჰექტარი – მარაგი
– 465700 კუბმეტრი.

სოჭი – 519 ჰექტარი – მარაგი –
181500 კუბმეტრი.

ბზა – 407 ჰექტარი – მარაგი –
36500 კუბმეტრი.

გალის სატყეო მეურნეობის საქმი-
ანობის აღწერას ვიწყებთ სატყეო მეურ-
ნეობის ორსართულიანი შენობის ოფი-
სიდან, რომელიც მდებარეობს ქალაქში
მწვანეში ჩაფლულ ეზოში. ფასადს ამ-
შვერებდა წარწერა, რომელიც შორიდან
იკითხებოდა: ტყე ჟანგბადია, წყალია,
დედამიწის ფილტვებია, ცხოვრების
ელექტრია, მისი დაცვა ყველა ჩვენგანის
ვალია, რაც იმის მაუწყებელიც იყო, რომ
თქვენ იმყოფებოდით სატყეო მეურნე-
ობის ოფისში. ოფისის მეორე სართულ-
ზე, დერეფანში გაპრული იყო სხვადასხვა
სახის დიაგრამები, რომლებზეც მითი-
თებული იყო სატყეო მეურნეობის საქ-
მიანობის ამსახველი ციფრები. აქვე იყო
გაკრული რაიონში გავრცელებული
ტყის ყველა მერქნის სახეობათა პერბა-
რიუმები, ერთადერთი აფხაზეთის სატყეო
მეურნეობის სისტემაში. დიდი სილა-
მაზით და გემოვნებით მოწყობილ ამ
ოფისში მუშაობდა ახალგაზრდა მეტ-
ყევე-საციალისტებით დაკომპლექტე-
ბული, შრომისმოყვარე გალის სატყეო
მეურნეობის კოლექტივი, რომელმაც თა-
ვისი საქმიანობით გაითქვა სახელი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პე-
რიოდი 1987 წლიდან 1993 წლის 27 სექ-

ტემბრის იმ ავადმოსაგონარ დრომდე,
როცა აფხაზმა სეპარატისტებმა სხვადა-
სხვა ძალების დახმარებით ხელში ჩაიგ-
დეს ძალაუფლება და ქართველი მეტ-
ყევები დევნილებად აქციეს. გადედ
მეტყევებს აფხაზეთში არავისთვის არ
დაუთმიათ პირველობა და ერთ-ერთ მო-
წინავე მეურნეობად იყვნენ ცნობილი
საქართველოში. ამის დასტურია 1987-1988-
1989-1990-1991-1992-1993 წლები, გალის სატ-
ყეო მეურნეობას საქართველოს სინამ-
დვილეში თვალსაჩინო ადგილი ეკავა.
ამ პერიოდში მერნეობას სათვეში ედგა
თქვენი მონა-მორჩილი, ამ სტატიის ავტო-
რი.

1921 წლიდან 1926 წლამდე სატყეო
უბნის ძირითად მოვალეობას შეადგენდა
ტყის დაცვა ბრაკონიურებისაგან, მავნებ-
ლებისაგან.

1926 წელს სატყეო მეურნეობამ
დაიწყო ახალი ტყე-კულტურების გაშე-
ნება ლია ფართობებზე.

1926 წლიდან 1946 წლამდე მეურ-
ნეობამ 100 ჰექტარზე გააშენა ახალი
ტყე-კულტურები.

1947 წლიდან 1965 წლამდე სატყეო
მეურნეობამ გააშენა ახალ ტყე-კულტუ-
რები 1500 ჰექტარზე.

1947 წლიდან გალის სატყეო მეურ-
ნეობამ ტყის დაცვის, ტყის ხელოვნურად
გაშენების პარალელურად დაიწყო ტყის
ბუნებრივად განახლების ხელშეწყობის
ღონისძიებები, რომლის არსი მდგო-
მარებს იმაში, რომ ტყის იმ უბნებში,
სადაც სხვადასხვა მიზეზების გამო ბუ-
ნებრივი განახლება არადამაკმაყოფი-
ლებლად მიმდინარეობს, ჩატარდეს შემ-
დეგი სახის ღონისძიებები: თესლების
შეთესვა, შედობვა და დაკორდებული
ნიადაგების გაფხვიარება-აჩიჩქვნა.

1947 წლიდან 1965 წლამდე გან-
ხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლე-
ბის ღონისძიებები 3200 ჰექტარზე.

1966 წლიდან 1970 წლამდე სატყეო
მეურნეობის მიერ გაშენებულ იქნა ახ-
ალი ტყე-კულტურები 450 ჰექტარზე.

1966 წლიდან 1970 წლამდე განხორ-
ციელდა ტყის ბუნებრივი განახლების
ღონისძიებები 800 ჰექტარზე.

1971 წლიდან 1980 წლმადე გალელ-
მა მეტყველებმა გააშენეს ახალი ტყე-
კულტურები 1000 ჰექტარზე.

1971 წლიდან 1980 წლამდე გან-
ხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლე-
ბის ღონისძიებები 1700 ჰექტარზე.

1981 წლიდან 1990 წლამდე გა-
ლელმა მეტყველებმა გააშენეს ახალი
ტყე-კულტურები 1500 ჰექტარზე.

1981 წლიდან 1990 წლამდე გან-
ხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლე-
ბის ღონისძიებები 2000 ჰექტარზე.

1991 წლიდან 1993 წლის სექტემ-
ბრამდე გალელმა მეტყველებმა გააშენეს
ახალი ტყე-კულტურები 250 ჰექტარზე.

1991-1993 წლებში განხორციელდა
ტყის ბუნებრივი განახლების ღონისძი-
ებები 400 ჰექტარზე.

ახალი ტყის კულტურების გასაშე-
ნებლად გალელი მეტყველები ძირი-
თადად მათ მიერ სანერგებებში გამოყვა-
ნილ და სკოლებში გამოზრდილი ნერგუ-
ბით სარგებლობდნენ.

გალელი მეტყველების მიერ გაშენე-
ბული ტყეები ახალი ტყეების გაშენების
კლასიკურ ნიმუშს და ცოცხალ ძეგლს
წარმოადგენენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სო-
ფელ აჩიგვარაში გაშენებული ჭადრის

ქარსაფარის ზოლი 20 ჰექტარზე, სოფელ
ქვემო ფარლებში გაშენებული თხილის
პლანტაცია 40 ჰექტარზე, სოფელ ოქუმში
მდინარე ოქუმის პირას გაშენებული 28
ჰექტრიანი ფართობი, გინძე-ეწერში გაშე-
ნებული 10 ჰექტრიანი კრიპტომერია, სო-
ფელ ჩხორთოლში გაშენებული კაკლის
10 ჰექტრიანი, გინძე-ეწერში 20 ჰექტარზე
გაშენებული იფანი, გაგიდაში 15 ჰექტარ-
ზე გაშენებული ეგალი პტი.

ბუნების ეს ძეგლები დღეს თავზა-
ქინდრული ნელა შრიალებენ, თითქოს
თავს დამნაშვაედ გრძნობენ, რომ მათი
გამშენებლები „პატრონები“, გალელი
მეტყველები მათთან არ არიან, თითქოსდა
ელოდებიან მათ დაბრუნებას, გასწორდე-
ბიან და აშოლტილნი მთელი სიმძ-
ლავრით ამაყად აშრიალდებიან და
მთელ არე-მარეს შეატყობინებენ, რომ
მეტყველები დაბრუნდნენ, რათა უფრო
დაამშვენონ გალის ბუნება.

ვინც კი ყოფილა სამურზაყანოში
– გალის რაიონში, შეუძლებელია არ
დაენახა გალელ მეტყველთა ნაღვაწი,
ნაშრომი, მათი ნაოფლარი, გაწეული
შრომა, მაგრამ ამის დაუნახაობაზე ლა-
პარაკიც კი ზედმეტია.



თხილის პლანტაციის ბაღებზე

დირექტორი ნუბჩარ ბერსამია, ტყის მცველი ინგერ ბობოძია, სატყეოს უფ-
როსი ბიორგი ზუხბაია, სატყეოს უფროსის თანაშემწე თემურ ჯგუმია.

ტყითსარბებლობა სამურზაშანოში

განვლილი პერიოდის ტყითსარბებლობის პერიოდიდან – 1847 წლიდან 1921 წლამდე არ არსებობს ცნობები სამურზაშანოს ტერიტორიის რამდენი ჰქებარი იყო ტყით დაფარული, რამდენი კუბმეტრი მოიჭრა, უფრო მეტად რომელი ჯიშები იჭრებოდა, არსებობს მწირი ისტორიული ცნობები, რომ სამურზაშანოში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნეხევარში ბელგიულმა კაპიტალისტმა ფეტერმა, გინძე-ეწერში ტყეში 2 კმ მანძილზე გაიყვანა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ხაზი, დაიწყო ხე-ტყის გამოტანა, აქვე ააშენა ორთქლის ხე-ტყის სახერხი ქარხანა და დახერხილი მასალა ზღვით საზღვარგარეთ გაქონდა.

1921 წლიდან იწყება დაგეგმილი ტყითსარგებლობა სამურზაშანოში, რომელსაც აწარმოებდა გალის სატყეო მეურნეობა.

ტყითსარგებლობა – ხე-ტყის ჭრა რაიმე გარკვეულ სისტემას არ ქმნის. ტყე ცოცხალი ორგანიზმია და მასაც ახასიათებს ყველა ძირითადი ნიშანი: წარმოშობა, ზრდა, განვითარება და ბოლოს კვდომა. ეს პროცესი მუდმივია, ჭრა სატყეო-სამურნეო ღონისძიებაა,

რომლის მიზანი ტყეების საერთო მდგომარეობის, პროდუქტიულობისა და ეკოლოგიური სტაბილურობის გაუმჯობესებაა.

ტყე მოუჭრელ-მოუვლელი ისევე დაბერდება და გადაშენდება, როგორც ვაზი გაუსხლავად.

გალის სატყეო მეურნეობა 1926 წლიდან აწარმოებდა შეშის დამზადებას პატარა მოცულობით და ამარაგებდა რაიონის სკოლებს, სააგადმყოფოებს, საშუალოდ ყოველწლიურად ამზადებდა 3 000 კუბმეტრს.

1948 წლიდან მეურნეობამ დაიწყო ლატნების (ჟერდი) დამზადება, რომლითაც ამარაგებდა აფხაზეთის მეთამბაქოებს. 1993 წლამდე დამზადებული იქნა და მომხმარებელს მიეწოდა 40000 კუბმეტრი ლატანი.

ვართო მოხმარების საბნები

1970 წელს მეურნეობაში ამუშავდა ფართო მოხმარების სამქრო, რომელმაც გაზარდა დამზადება-გამოზიდვა, უშვებდა ბარის, თოხის, უროს, ქლიბების, ჩაქუჩის ტარებს, ბურბუშელას, რითაც ამარაგებდა ქუთაისის ბროლის ქარხანას, ყუთებს რაიონის მეციტრუსებისათვის და რა-



აფხაზეთის სატყეო მეურნეობის მინისტრი ააჩი ბარციცი, გალის სატყეო მეურნეობის დირექტორი ნუბზარ ბერსამია 1988 წ.

ოონის პურის ქარხნისათვის, თოფის კონდახებს, ავეჯის დეტალებს.

1970-1993 წლებში ამ საქმის საჭიროებისათვის მეურნეობამ დამზადა (გალის მეურნეობა აფხაზეთში იყო ერთადერთი, რომელიც აწარმოებდა ბურბუშელას) საქმიანი თხმელის მერქანი 120000 კუბმეტრი.

საშეშე თხმელა 30000 კუბმეტრი.

1978 წელს აფხაზეთში დაიხურა ყველა ტყემრეწვმეურეობები და შემცირდა მთავარი სარგებლობის ჭრები. გამომდინარე აქედან გალის სატყეო მეურნეობას გადეცა გულრიფშის ტყემრეწველობის გეგმები და ამ წლიდან მოყოლებული გალის სატყეო მეურნეობა ამზადებდა და გამოზიდავდა აფხაზეთის დამზადება, გამოზიდვის 80%.

გალის სატყეო მეურნეობას გადმოეცა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მაგისტრალური 15 კმ ხაზი 8 კილომეტრიანი შტოებით.

მეურნეობა ერთადერთი იყო აფხაზეთში, რომელიც კოლხეთის დაბლობიდან ხე-ტყის გამოტანას აწარმოებდა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის საშუალებით.

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობას ემსახურებოდა საეციალური ბრიგადა, იმ ადგილებში, სადაც ათვისებული იყო ტყეკაფი, ხდებოდა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის შეოსდემონტაჟი და მისი გაყვანა აუთვისებელ ტყე-ვაკეებში.

დამზადებული ხე-ტყის მოზიდვა ვიწროლიანდაგიან რკინიგზის ბაქნამდე ხდებოდა საეციალურ ტყესაზიდი ტრაქტორ ტტ-4-ის მეშვეობით, ხოლო იმ ადგილებიდან, სადაც ტრაქტორი ვერ უდგებოდა, ძლიერ დაჭაობებულ ადგილებიდან ხე-ტყის მოზიდვა ხდებოდა ცოცხალი გამწევი ძალით (კამენი, ცხენი).

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ბაქნის ორივე მხრიდან ხდებოდა რკინიგზის ვაგონების დატვირთვა-დახარისხება. ხელით ცალ-ცალკე ვაგონებში იტვირთებოდა საქმიანი და საშეშე, ვაგონების დატვირთვის შემდეგ თბომავლით ხდებოდა ხე-ტყის გამოტანა

საწყობამდე, სადაც ასევე ხელით იტვირთებოდა ტყესაზიდი მანქანები. ყოველდღიურად ტყიდან გამოიზიდებოდა 90-100 კუბმეტრი ხე-ტყე.

სატყერადებოა ის გარემოება, რომ ხე-ტყის დამამზადებლები 80-მდე კაცი ტყეში ცხოვრობდა, საეციალურად მოწყობილ ვაგონებში, ისინი სახლში მხოლოდ შაბათს მიდიოდნენ.

სატყეო მეურნეობა საჭმელ-სასმელით უზრუნველყოფდა იქ მომუშავე პერსონალს.

სოფლის მეურნეობა გადას სატყეო მეურნეობაში

1970 წლიდან გადის სატყეო მეურნეობას, როგორც ყველა მეურნეობებს, დაევალა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და მათი ჩაბარება სახელმწიფოსათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება მოხლ სისტემაში წინა წლებშიც ხდებოდა, მაგრამ მას არ ჰქონდა მასიური ხასიათი, ყოველივე ეს კეთდებოდა მცირე რაოდენობით თანამშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

გალის სატყეო მეურნეობას, აფხაზეთის სატყეო მეურნეობებიდან ყველაზე მეტი გეგმა ერგო და ეს იყო გამოწვეული იმ გარემოებით, რომ მას სახნავ-სათიბი ფართობები, სხვებთან შედარებით, მეტი ჰქონდა.

1970-1980 წლებში მეურნეობამ აწარმოა:

1. სიმინდი – 250 ტონა
2. ჩალა – 200 ტონა
3. თივა – 190 ტონა
4. თხილი – 6 ტონა
5. ხოია – 4 ტონა
6. ლობიო – 2 ტონა
7. თაფლი – 1 ტონა
8. ტყემალი – 10 ტონა

1980-1990 წლებში მეურნეობამ აწარმოა:

1. სიმინდი – 270 ტონა
2. ჩალა – 205 ტონა
3. თივა – 195 ტონა

4. თხილი – 10 ტონა
5. სოია – 5 ტონა
6. ლობიო – 2,5 ტონა
7. თაფლი – 1,5 ტონა
8. ტყემალი – 11 ტონა

1991-1992 წლებში მეურნეობაში აწარმოა:

1. სიმინდი – 80 ტონა
2. ჩალა – 50 ტონა
3. თივა – 40 ტონა
4. თხილი – 3 ტონა
5. სოია – 1 ტონა
6. ლობიო – 0,6 ტონა
7. ტყემალი – 12 ტონა
8. ხურმა – 8 ტონა
9. ლელვი – 1,2 ტონა

1993 წლის მოსავლის აღება მეურნეობაში ვერ შეძლო აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის გამო.

მესამრობლეობა

1976 წელს გალის სატყეო მეურნეობაში შეიქმნა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა, თავდაპირველად შეძენილი იქნა: კამეჩი – 6 სული, ძროხა – 6 სული.

1993 წელს მეურნეობას ერიცხებოდა:

კამეჩი – 26 სული, ძროხა – 24 სული.

წარმოებული რძის პროდუქტები და ხორცი შედაგათიან ფასებში ეძლევოდა სატყეო მეურნეობის თანამშრომლებს, ხოლო ნაწილი ბარდებოდა მაღაზია „ტყის ნობათს“ სოხუმში.

ხარ-კამეჩები გამოყენებული იყო ხე-ტყის გამოსაზიდად კოლხეთის დაბლობში ძლიერ დაჭაობებული ადგილებიდან, სადაც ტყესაზიდ ტრაქტორებს ტტ-4 მუშაობა არ შეეძლოთ.

მეცნიერება

1978 წელს ამ სტრიქონების ავტორის ინიციატივით მეურნეობაში შეიქმნა ადგილობრივი (მეგრული) ჯიშის ცხენების ფერმა. თავდაპირველად შეძენილი იქნა 15 ცხენი, ხოლო 1993 წლისათვის მეურნეობას ერიცხებოდა 160 სული ცხენი. 1981 წლიდან რეალიზებული იქნა 130 სული ცხენი. აქ გამოხ-

რდილი ცხენებით მარაგდებოდნენ აფხაზეთის სატყეო მეურნეობების ტყისადაცვის თანამშრომლები და აფხაზეთის ტურისტული ბაზები.

გალის სატყეო მეურნეობის კოლექტივს ბევრი კარგი ჩანაფიქრი გააჩნდა ცხოვრებაში გასატარებლად, მაგრამ აფხაზი სეპარატისტების მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით წამოწყებულმა ომმა დროებით გადასწია ჩანაფიქრის შესრულების თარიღები.

გალის სატყეო მეურნეობას სახელი გაუთქვეს მთავარმა მეტყველმა მიხეილ ეზუგბაიამ, ტყე-კულტურების ინჟინერმა რაულ მელაიამ, ტყის დაცვის ინჟინერმა ზემა ჯახაიამ, მეურნეობის ინჟინერმა ომარ ზუხბაიამ, სატყეოს უფროსებმა დუშელი შონიამ, თემირ ჯგერენაიამ, სერგო მამფორიამ.

სატყეოს უფროსების თანაშემწებებმა ვალოდია ბულისკერიამ, დავით გერსამიამ.

ცხადია, მოწინავეთა შორის მეცნიერებების დამზადების უბნის უფროსებმა მიტუშა ხვიჩიამ, გიორგი ზაქარაიამ, გახტანგ ზუხბაიამ, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის უფროსმა გიორგი შონიამ, ფართო მოხმარების სამქროს უფროსმა გიორგი ზუხბაიამ, ავტოტრანსპორტის უფროსმა დათო ნაყოფიამ, ტყის მცველებმა ნოდარ შამუგიამ, ინდიქო გოგონიამ, კონდრატე ქანთარიამ, რადიონ შონიამ, რამინ შონიამ, ბოჩია ბერაიამ, ლუდუკ ჭითანავამ, სარდიონ შონიამ, გენო მიქავამ, ინვერ გოგოხიამ, ლენგი ბიგვავამ, იგორ ციკოლიამ, ნაპალეონ ეთერიამ, მიხეილ კვეკვესკირმა, დანიელ ემუხვარმა, ინვერ ემუხვარმა, ზაურ აბდოთიამ, ვენორი ზუხბაიამ, იპოლიტე ბეპურიამ, ქორა ზარაქუამ, ლუკიანე ბეშიამ ჩვენს კოლექტივს სახელი და ღირსება შემატეს.

თავიანთი წვლილი მეურნეობის წარმატებაში შეიტანეს: გელა შონიამ, გუბუ სიხარულიამ, ნოდარ სურმავამ, გრიშა მუშკუდიანმა, არველოდ ნაჭყებიამ, ეთერ ნაჭყებიამ, გალაქტიონ ხვიჩიამ, დუშელი ხვიჩიამ, ნოდარ ბასარიამ, რეზო

მიქავამ, ინდიკო მიქავამ, კაკო ლუკავამ, ვაიკო კორსანტიამ, ლუდა ჭელიამ, კოტე ყოლბაიამ, ჯემალ არდიამ, ლივთერ ბაძალუამ, ჰამლეტ კვარაცხელიამ, მირდენ კვარაცხელიამ, მაჟარა ჭერიამ, ზაურ ტორუამ, დავით ტორუამ, რევაზ უზარა-შვილმა, ბიჭიკო ბერაიამ, ციქორ კიპა-ლიამ, გია გაბუნიამ, ზაურ ჯგურენიამ, ნოდარ ცომაიამ, ჯუმბერ ბიგვავამ, დავით ფაცაციამ, რაულ გვარამიამ, მიტუშა ბეგივვავამ, ნაპო შონიამ.

კოლექტივის ნამუშევარს აჯამებდნენ მთავარი ბუღალტრები: ციალა და გინჯილია, ნური შონია, როზა ჭედია.

ეპონომიკურ ანალიზს უძღვებოდა
გია ხასიათ.

გალელ მეტყველებს სჯერათ, რომ
სულ მაღა დათის მადლითა და მსოფ-

ლიოს ცივილიზაციულ ქვეყნების ხალხთა
ძალისხმევით საქართველო გამოიღიან-
დება, გაბრწყინდება. ღმერთი საქართვე-
ლოს გასაჭირში არ მიატოვებს, საქართ-
ველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი
ქვეყანაა.

ჩვენ აუცილებლად დაგძრუნდებით
ჩვენთვის სანატორელ აფხაზეთში და
გავაგრძელებთ დროებით შეწყვეტილ
საქმიანობას, ეს ჭეშმარიტებაა მიუხე-
დავად იმისა, სჯერათ თუ არა ზოგიერ-
თობს.

დიდი დრამატურგი შილერი წერ-
და: „ჰერმანიტება არ იჩაგრება იმით, რომ
ვინაც მას არ იზიარებს“.

ნუგზარ გერსამია - საქართველოს
დამსახურებული მეტყველე.

ÍÓÃÇÀÐÃÅÐÑÀÌÈÀ
ËÅÑÔÍC ÍÀ CAJIÈÅÑÀJÓÐCAÈÀÍÍ

ĐÀO TẠO

Â ñòàòüå Íoâçàðà Ååðñàìèÿ ðå÷ èääåò î Åàëüñêîì è åñõîçå, eî òîðûé íàõî äèòñÿ à Åõõacéé.

Ãæüñêèé ëåññîç 1987-88-89-90-91-92-92 ãi äàõ áûë íáëàäàòåëåì íåðåõí äýøåâí çíàìåíè è äåíåæíóþ íðàíèþ ãi ñeåññîçà Äðóçè.

Ēāñōīç çāíéíäëñý íññääéé éāññéóëüòöð, ñ 1921 ãí ää íí 1993 ãí ää, ēāñōīç çäëàæüë íññå äáññéóëüòöðñ íá íéññäéé 4800 ãä.

Êåñõî çî ï ðî ååäåíà ìåðîïðèýòëý ii ñîååèñòåûå åñòåñòåå íí ñó áîçàáíàåéåíþ ëåñà ìà iÿøàåü 10100 åà.

Ëåñöîç ñ 1979 ãâ àà çàãàòî âëè ààë è âûâàçèë â ãâ à 32 000 êóá ïåòðîâ äðåâåñèíû ÷òî ñ îñòàâëÿ 80% íäüåìà Áåòàçèé.

Â Èåñöîçå èìåëîñü óçéï ëëüåíàÿ æåëäçíàÿ äïðîâà ïðòjyxå íñòþ 15 êèìñòðîâ, åæíñòååíûè à Àáôacèè.

Ëåñõî ç îñó ø åñòäëÿé âûâîçêó äðåâåñèíû èç ëåñ îñâé òðîêòî ð ï ÒÒ-4, è òàëæå ãóæå â ûì ðòðàíñîðòî í (áóèâî ë, ëîøðäü).


Ëåñõõîç çàíèìäüñý âùõõñêî òî ààðîâ íàðñäíðâî i ñoðåáæåíèý, à òàéæå âùõõñêî òî ààðîâ ñåëüñêî ãî õçýéñòå.

Ëåññöïç åäðèíñðåäáííûé å ñïèñðåäàå èåññíå ðïçÿëñðåä Åððçèë çàíèìäñý êí í å åñðöåî í . Å Ëåññöïçå åæä åññÿ÷íí åûññ åëè ñòøåí àäçåðå „Åí è íñ èåññíå ää”.

VII. საერთაშორისო ორგანიზაციათა გულიკვლევების, მიმღებლების

გერმანიაში კონსულტაციების დროის განვითარების სამსახური
მიერ გამოყენებული არის FAO-ს კონფიდენციალური სტატისტიკური
სამსახურის განვითარების ტემპერატურის შესახებ (რესულ ენაზე)
შენია, 2005 წლის.

ECE/TIM/SP/20



Сектор лесоматериалов, Женева, Швейцария

ДОКУМЕНТ № 20 ИЗ СЕРИИ ПУБЛИКАЦИЙ ПО СЕКТОРУ ЛЕСНОГО ХОЗЯЙСТВА И ЛЕСНОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ

ПЕРСПЕКТИВНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ПО ЛЕСНОМУ СЕКТОРУ ЕВРОПЫ

ОСНОВНОЙ ДОКЛАД



ОРГАНИЗАЦИЯ ОБЪЕДИНЕННЫХ НАЦИЙ
Женева, 2005 год

გამოკვლევის მიზანია ინფორმაცია მიაწოდოს სატყეო სექტორის სადირექტოვო ორგანოებს ტყის მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის დარგებში მიმდინარე პროცესების, განვითარების ტენდენციების და პროგნოზების შესახებ.

გამოკვლევა მოიცავს 38 ქვეყანას; მათ შორის ევროპის უმსხვილეს სახელმწიფოებს და ყოფილ სსრ კავშირის შვიდ ქვეყანას (ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, ბელორუსია, მოლდოვეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა).

ანალიზის ჩატარებისათვის გამოსაკვლევი ობიექტები (ქვეყნები) დაყოფილია სამ ჯგუფად: დასავლეთ ევროპა, აღმოსავლეთ ევროპა და დსთ (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნები 2005 წლამდე მდგომარეობით).

სანგრძლივადიანი ტენდენციების ანალიზი მოიცავს 1961-2000 წლებს, ხოლო განვითარების პროგნოზები წარმოდგენილია 2000-2020 წლების პერიოდისათვის.

მიღებული განსაზღვრების შესაბამისად სატყეო სექტორში მოიაზრება ტყის რესურსები (სატყეო მეურნეობა), ტყის რესურსების დამზადება და გადამუშავება, სატყეო ვაჭრობა, ტყის პროდუქტების დამზადება და მოხმარება (არამერქნითი რესურსები), ტყის დაცვითი და რეკრეაციული მომსახურების საქმიანობა.

1. ტენდენციები და არსებული ვითარება

ახლო წარსულამდე ევროპის სატყეო სექტორის სანგრძლივადიანი განვითარების ტენდენციები მოლიანობაში სასიათდებოდა სტაბილურობით. თუმცა უკანასკნელ ათწლეულში (იგულისხმება 1990-2000 წლები) მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ძირითადად განაპირობა აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ს სუბრეგიონში მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა. ამავე დროს გარკვეული გავლენა იქონია მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა, ტექნოლოგიურმა გარდაქმნებმა და სატყეო პო-

ლიტიკის სრულყოფის მიზნით სექტორში გატარებულმა ცვლილებებმა.

1.1. ტყის რესურსები (სატყეო მეურნეობა)

სატყეო სექტორის განვითარების ძირითად ფაქტორს, მის მთავარ ძარღვს წარმოადგენს ტყის რესურსები, მათი მოცულობა და ხარისხი. ამასთან ერთად მთავარია ის, თუ როგორ, რა ფორმით და საშუალებით იმართება ბუნების ეს, მართლაც რომ, საოცარი ფენომენი.

1.2. ტყების საერთო ფართობი

უკანასკნელი ოცი წლის მონაცემებით (1980-2000 წლები) ევროპაში მთლიანად ტყების საერთო ფართობი გაიზარდა 3,4%-ით, ანუ 36 მლნ ჰექტრით; მათ შორის 1980-1990 წლებში ზრდის მეტი მაჩვენებელი ჰქონდა დსთ-ს ქვეყნებს, ხოლო 1990-2000 წლებში კი – დასავლეთ ევროპას. მათ შორის პროდუქტული ტყების (ე.ი. მერქნის მწარმოებელი ტყების) ფართობი დასავლეთ ევროპაში 1990 წლის შემდგომ გაიზარდა 11%-ით ანუ 11 მლნ ჰექტრით, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის (ცალკეულ ქვეყნებში შესაბამისმა მაჩვენებელმა მოიმატა 6%-ით (2 მლნ ჰა.), ხოლო რუსეთის ფედერაციაში 5%-ით. ანალიზით მოცულ ქვეყნებს შორის 27 სახელმწიფოში მაჩვენებლის ზრდა არ აღინიშნება. ტყის რესურსებში მომხდარი ცვლილებების გამომწვევი ძირითადი ფაქტორებია:

ა. ცვლილებები სოფლის მეურნეობის პოლიტიკაში: კერძოდ, გარკვეულად გამოიკვეთა მთელ რიგ ქვეყნებში მოთხოვნილების შემცირება შედარებით დაბალნაყოფიერ სასფლო-სამეურნეო სავარგულებზე, რაც იქცა მათი ნაწილის სხვა მიზნით გამოყენების სტიმულად. კერძოდ, დასავლეთ ევროპაში განხორციელდა სოფლის მეურნეობის სუფსიდირება უფრო პროდუქტულ მიწის ფართობებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის და კონცენტრაციის მიზნით. გამონთავისუფლებული, შედარებით ნაკლებპროდუქტული მიწის ფართობების დამუშავება კი მიმართული იქნა უფრო სხვა მიზნით გამო-

ყენებისათვის. ამ თვალსაზრისით ალ-ტერნატიულად მიჩნეული იქნა სატყეო პლანტაციების გაშენება, რამაც შესანიშნავი ეფექტი გამოიღო.

გ. სამრეწველო პოლიტიკა: კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ეკონომიკური განვითარების მთავარი მიმართულება გახდა ინდუსტრიალიზაცია, რის შედეგად შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი თავმოყრილი იქნა მსხვილ სამრეწველო ქალაქებში. ურბანიზაციამ კი გამოიწვია თავის მხრივ სოფლის მოსახლეობის შემცირება და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარკვეული ნაწილის დაუმუშავებლობა (ამოვარდნა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან) და თანდათანობით მათი სატყეო მიწებად და ტყებუჩქნარებად ფორმირება, რაც სამწუხაროდ, არც თუ იშვიათია დღეს საქართველოშიც.

გ. პოლიტიკა გატყევების სფეროში, რაც გამოიხატა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ტყეების გაშენების მიზანდასახული წახალისებით. განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა პპოვა სატყეო პლანტაციების გაშენებამ ბელგიაში, დანიაში, ირლანდიაში, პორტუგალიაში, დიდ ბრიტანეთში და საფრანგეთში. ასევე ინგლენიურად წარიმართა ტყის გაშენების სამუშაოები აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში (მაგ: პოლონეთში 1950-იან და 1960-იან წლებში, ასევე რუსეთში 1960-1970-იან წლებში).

დ. მიწების რესტიტუცია: გარდამავალი ეკონომიკის ზოგიერთ ქვეყნებში ადრე ნაციონალიზირებული მიწის ფართობები დაუბრუნდათ ადრინდელ მფლობელებს (მათ მექანიზებს). ამ მიწებში გარკვეული ფართობები უკვე დაკავებული ჰქონდათ ტყეებს, რომლებიც კვლავ იქნა გადაყვანილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში.

ე. ტყეების გადამეტებული (გადაჭარბებული) დამზადება, რამაც პირუტყვსაქონლის ინგენიურ ძოვებასთან ერთად გამოიწვია (განსაკუთრებით, ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში), ფერ-

დობების გაშიშვლება, მათი გარკვეული ნაწილის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში გადაყვანა და შესაბამისად სატყეო ფართობების შემცირება.

ვ. კვლავ აქილევსის ქუსლად რჩება ტყის სანდრები, რომლებმაც პრობლემები შეუქმნეს ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებს და ისეთ, ტყეებით უმდიდრეს ქვეყანასაც კი, როგორიცაა რუსეთის ფედერაცია.

1.3. მერქნის წარმოებისათვის გამოსადეგი ტყეების მარაგები

1950-2000 წლებში მერქნის მარაგები გაიზარდა თითქმის საანალიზოდ აღებულ ყველა ქვეყანაში ალბანეთის გამოკლებით.

მარაგების ყველაზე დიდი ნაზარდი აღინიშნა დასავლეთ ევროპაში, სადაც 1950 წლის შემდგომ მან შეადგინა 91%. აღმოსავლეთ ევროპის ცალკეულ ქვექნებში ტყის მარაგები გაიზარდა 51%-ით, ხოლო რუსეთის ფედერაციაში – 8%-ით.

მარაგების გადიდება დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში მიღწეული იქნა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე (1950-2000 წწ) სატყეო მეურნეობის ინტენსიფიკაციის საფუძველზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სატყეო პლანტაციების გაფართოება 1960-1970-იან წლებში, ასევე დაბალი წარმადობის ამონაყრით და თესლით წარმოშობის ტყეების მასიური გადაყვანით მაღალღროიან კორომებში (ბელგია, საფრანგეთი და სხვა ქვეყნები). ძალზე ამაღლდა ტყეების პროდუქტულობა იმ სანიმუშო ფართობებზე, სადაც შეტანილი იქნა მინერალები (აზოტი და სხვა).

1950-იან წლებში იტალიაში შემუშავდა ახალი სატყეო-სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც მიზანდ ისახავდა მსხვილ მასშტაბიანი პირწმინდა ჭრების აკრძალვას და უფრო ნაკლები ინტენსივობის თანდათანობითი ჭრების დაწერგვას. ამის შედეგად 50 წლის განმავლობაში შემცირდა ხეტყის დამზადების მოცულობა და გაიზარდა ხეტყის მარაგები.

მთლიანობაში, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, ხეტყის დამზადების მოცულობები ყოველთვის ნაკლები

იყო ტყეების მთლიან შემატებაზე, რამაც განაპირობა მთელი ეკოლოგის მასშტაბით მერქნის მარაგების გადიდება, იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლეთ ეკოლოგის მარაგების ზრდა განაპირობა არა სატყეომეურნეობის ინტენსივობის დონის ამაღლებამ, არამედ ძირითადად კორომების ხელვანებით სტრუქტურაში მომხდარმა ცვლილებებმა.

1.4 ტყეების შემატება

ეკოლოგი 1950 წლის შემდგომ წლიური შემატება გაიზარდა 33%-ით. დასავლეთ ეკოლოგი ამ მაჩვენებელის ზრდამ შეადგინა 234 მლნ, კბმ; აღმოსავლეთ ეკოლოგი - 57 მლნ კბმ; ხოლო რუსეთის ფედერაციაში - 14% (120 მლნ კბმ). ტყეების ერთ პექტარზე წლიური შემატება 50 წლის მანძილზე დასავლეთ ეკოლოგი გაიზარდა 2,8 კბმ-დან 4,7 კბმ-მდე. აღმოსავლეთ ეკოლოგი 1970 წლისათვის მან შეადგინა 4,3 კბმ, მაგრამ შემდგომ 30 წლის მანძილზე მისი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. რუსეთის ფედერაციაში მთელი ამ ხნის მანძილზე წლიურმა შემატებამ შეადგინ დაახლოებით 1 კბმ. დასავლეთ ეკოლოგი ტყეების შემატების მნიშვნელოვანი ზრდა ძირითადად განაპირობა: ა) ეკოლოგის დასავლეთ და სამხრეთ რაიონებში სატყეო პლანტაციების გაშენების გაფართოებამ; ბ) ეკოლოგის ჩრდილოეთ რაიონებში ამორჩევითი ჭრების პირწმინდა ჭრებით ჩანაცვლებამ, რის შედეგად დაბალი შემატების ქონე ძველი ტყეები თანდათან შეცვალა მაღალპროდუქტიული ახალგაზრდა კორომებით. 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან, საქამიან დიდ ფართობებზე, ეს ხახევრადბუნებრივი ტყეები ინტენსიური მეურნეობის წარმოების შედეგად შევიდა სწრაფი ზრდის ფაზაში, რის შედეგად მიღწეული იქნა წლიური ნამატის მნიშვნელოვანი ზრდა. გ) ნორვეგიის და გაერთიანებული სამეფოს ზოგიერთ რაიონებში ნელად მზარდი ფოთლოვანი ტყეები თანდათან შეცვლილ იქნა ინტენსიური ზრდის უნარის ქონე წიწვოვანი კორომებით (1960-1970-იანი წლები).

1.5 ხე-ტყის გამოზიდვის და შემატების მაჩვენებელთა თანაფარდობა

ტყის რესურსების მდგომარეობაზე უკეთეს მნიშვნელოვან ანთროპოგენურ ზემოქმედებას ახდენენ ჭრის მოცულობები. ამ მიმართებით ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვის მოცულობებსა და ტყის წლიური შემატების ოდენობას შორის თანაფარდობა და მისი დინამიკა მეტად საინტერესო ანალიტიკური მაჩვენებელია.

ირკვევა, რომ 1961-2000 წლებში, როგორც მთლიანად ეკოლოგი - ასევე მ. შ. მის სამ საბალიზო სუბრეგიონში, ჭრის წლიური მოცულობები ნაკლებია წლიურ ნამატება. კერძოდ დასავლეთ ეკოლოგი - ფარდობითი მაჩვენებელი, ე.ო. გამოზიდვის მოცულობის განავითი წლიურ შემატებაზე დროის ამ მონაცემთში შემცირდა 90%-დან 70%-მდე, ხოლო აღმოსავლეთ ეკოლოგი - 80%-დან 70%-მდე, რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, აქ აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 50%-ის ფარგლებში იყო სტაბილიზირებული, უკანასკნელ ათწლეულში (1990-2000 წწ) კი შემცირდა 20%-მდე.

1.6. ტყეების ხარისხობრივი მდგომარეობა და ტყეთსარგებლობა

1.6.1. ტყეების სანიტარული მდგომარეობა. ტყეების სანიტარულ მდგომარეობაზე წარმოდგენას გვიქმნის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: მავნებლებისა და პათოგენური ორგანიზმების გავრცელება; დეფოლიაცია და ტყის ხანძრები.

ა) დეფოლიაცია: 1970-იანი წლების დასასრულს ეკოლოგის მთელ რიგ ტყის მასივებში აღინიშნა ხეების ვარჯის ნაწილის მდგომარეობის გაუარესება. დასაწყისში ჩათვალეს, რომ ეს გამოწეული იყო ძირითადად პაერის დაბინძურებით, რისთვისაც 1985 წელში გაეროს ეკოლოგის ეკონომიკური კომისიის ფარგლებში შემუშავებული იქნა საერთაშორისო ერთობლივი პროგრამა ტყეებზე ჰაერის გაბინძურების გავლენის მონიტორინგის და შეფასების მიზნით.

ამჟამად ამ საქმიანობაში მონაწილეობას იღებს ევროპის 36 ქვეყანა, ასევე კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები. პროგრამის ფარგლებში მსხვილმასშტაბიანი მონიტორინგი მოიცავს 6000 უბანს, ხოლო 800-ზე მეტ უბანზე ხორციელდება ინტენსიური მონიტორინგი.

1992-2003 წლების მონაცემებით ევროპის ტყეებში დეფოლიაციის მასშტაბი მთლიანობაში არ გაზრდილა, თუმცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ის ზრდის გარკვეულ ტენდენციას ინარჩუნებს. ბოლო დროის მონაცემებით ირკვევა, რომ დეფოლიაცია მარტო პარეის გაჭუჭყიანების ინტენსივობით ვერ აიხსნება. ის მრავალი, მთელი რიგი სხვადასხვა სინდრომების ერთ-ერთი სიმპტომია, რომელთა შორის კავშირი ჯერჯერობით არასაკმარისადაა გამოკვეთილი.

ბ) ტყის ხანძრები. სტატისტიკური მონაცემების შეკრება ტყის ხანძრების რიცხოვნობის შესახებ იწყება 1950 წლიდან. მაგრამ ხანძრების ოდენობის და ხარისხის მაჩვენებელთა ყოველწლი-

ური აღრიცხვა შემოღებული იქნა 1970 წლიდან.

დასავლეთ ევროპაში 1970-იან წლებში საშუალოდ გადამტვარი ტყეების ფართობი შეადგენდა სულ წელიწადში 330 000 ჰას, ხოლო შემდგომ პერიოდში დაახლოებით 520 ათას ჰას წელიწადში... ეს ზრდა ერთის მხრივ, ალბათ, უნდა აიხსნას რეგრეაციის მიზნით მოსახლეობის მიერ ტყეების გამოყენების გაფართოებით და მისი მიზეზით ხანძრების გახშირებით, ან კიდევ მონიტორინგის და ტყის ხანძრების აღრიცხვის გაუმჯობესებით. ხანძრების ინტენსივობის ზრდაზე უთუოდ იქონია გავლენა კლიმატის ცვალებადობამ. მაგ. 1990-2000 წლებში ევროპის უფრო ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებზე (საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია და ესპანეთი) მოდის ევროპაში გადამტვარი მთელი ტყის ფართობის 95%.

მიმოხილვის მასალები მოამზადეს: რევაზ ობოლაძემ და ია მამულაშვილმა.

(გაგრძელება იქნება).

VIII. ტყის უნიკალური მცენარეებისა

ელდარ ლოგუნიძე, ნინო გარგვალაშვილი,
ბასარიონ ლოგუნიძე, ნონა ლაპაძე

უთხოვრის /TAXUS BACCATA L/: მერქნის ანატომიური სტრუქტურა და ტექნიკური თვისებები



უთხოვრის 800 წლიანი კორომი მდ. ბაწარას ხეობაში

უთხოვრის გვარში / Taxus/ შემავალი წიწვოვანი სახეობები, ხეები ან ბუჩქებია, მათგან ოთხი სახეობა გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში, სამი – აღმოსავლეთ აზიაში, ხოლო ერთი *Taxus baccata* L. – კავკასიასა და ევროპაში. ეს სახეობა, ისევე როგორც ამერიკაში გავრცელებული დასავლური უთხოვარი /*Taxus brevifolia* Natt./ უმველესი დროიდან ცნობილი იყო როგორც ძვირფასი მერქნის წყარო და გამოიყენებოდა სადურგლო, სახარატო, საავეჯო საქმეში, სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სხვა საოჯახო ნივთების (ჭურჭლის) დასამზადებლად.

უთხოვარი საქართველოს ტყეებში გაბნეულია ერთეულებად ან ცალკეულ ბიოჯგუფებთან, წიფელთან, ნეკერჩხალთან, რცხილასთან და სხვა ფოთლოვანებთან შერევით და გავრცელების ფართო არეალით ხასიათდება; შევი ზღვის სანაპიროდან მთაში ზ.დ. 1500 მ-მდე ვრცელდება, თუმცა ოპტიმალური ზრდა 1001200 მ. ფარგლებში ახასიათებს. კავკასიის დენდროფლორის წარმომადგენლებს შორის ყველაზე ჩრდილის ამტანი სახეობაა. მომთხოვნია ტენიანი ჰავისა და ნიადაგის მიმართ. კარგად იზრდება მთის ტყეების ჩრდილოეთ ტენიან ექსპოზიციებზე. საკმაოდ ყინვაგამძლეა,

უძლებს -20° - 25° ყინვას. განსაკუთრებით ნელი ზრდით ხასიათდება პირველი 80-100 წლის მანძილზე. ამ ასაკში ხის სიმაღლე 3-5 მეტრს არ აღემატება, ხოლო დეროს დიამეტრი 8-10 სმ-ს. შემდეგ გაცილებით სწრაფად იზრდება. სამეურნეო მნიშვნელობის მერქანის 250-300 წლის ასაკში იძლევა, როცა მისი დეროს დიამეტრი 28,0-30,0 სმ-ს აღწევს. ცოცხლობს დიდხანს. პროფესორ ა. დოლუხ ხანოვის მიერ შავი ზღვის მიმდებარე რეგიონში (აჭარა) აღწერილია 4000 წლის უთხოვარის ხე სიმაღლით 35მ, დიამეტრით 2,5მ. [6].

უთხოვარი ორსახლიანი სახეობაა, თუმცა მდედრობითი გირჩები არა აქვს. კენკროვანი ნაყოფები ტყბილია და საჭმელად ვარგისი, რის გამოც ამ სახეობას რუსეთში კენკროვან უთხოვარს (Ötən)

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უთხოვარის მკვრივი, მყარი და დრეკადი მერქანი. ხის დეროს ცილა მოყვითალო თეთრია და ვიწრო, შეიცავს 10-12 წლიურ რგოლს. მოწითალო გული ფართოა და ბზინვარე. ჰაერზე უფრო მუქდება ხოლო წყალში – შავდება.

ანატომიური სტრუქტურა. მერქანი შედგება ტრაქეიდებისა და სხივური პარენქიმისაგან. ფისის სავალ მილებს არ შეიცავს, თუმცა ა. იაცენკო-ხმელევსკი აღნიშნავს მათ არსებობას ხის ფესვებში [7]. ვ. ვიხროვის მონაცემებით, მერქანში ზოგჯერ შეიმჩნევა პათოლოგიური ფისის სავალი მილები [4].

უთხოვრის მერქანის ანატომიური ელემენტები ციფრობრივად გამოსახულია №1 ცხრილში.

ცხრილი №1

კაგასიური უთხოვრის მერქნის ანატომიური სტრუქტურის ძირითადი მაჩვენებლები

წლიური რგოლების სიგანე	ტრაქეიდები				რადიალური სხივები			
	სიგრძე მმ	აღრევული ტრაქეიდების დრუ დიამეტრი, მკ.	აღრევული ტრაქეიდების კედლის სისქე, მკ.	გვიანა ტრაქეიდების დრუ დიამეტრი, მკ.	სიმაღლე უკრევებში, მკ.	სიმაღლე უკრევებში, მკ.	სიგანე, მკ.	
0,8-2,0	2,5-3,0	18-20	4-6	10,0	8-10	1-12	40-100	20,0

ესტერნ უწოდებენ. მის ტკბილნაყოფიან თესლებს ფართოდ ავრცელებენ ფრინველები და ცხოველები, რაც ხელს უწყობს მის გამრავლებას. უთხოვარი ითვლება კარგ სანექტრე, თაფლოვან მცენარედ. მისი წიწვები და ქერქი შეიცავს შეამიან ნივთიერებებს, რომელიც სასიკვდილოა ცხოველებისათვის. ცნობილია, რომ წარსულში თევზჭერის მიზნით ბრაკონიერები მისი დანაყილი წიწვებით წამლავდნენ მთის პატარა მდინარეებს [6, 7].

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მერქნის წლიური რგოლები ვიწროა და სიგანით 2 მმ-ს იშეიათად აღმატება. საზღვრები მათ შორის მკვეთრადაა გამოსახული დეროს სამივე ჭრილზე. ადრეული ტრაქეიდები 5-6 წახნაგოვანია, ფართოლურიანი და თხელგარსიანია. გვიანა ტრაქეიდები მეტად ვიწროდრულია და სქელგარსიანი, წაგრძელებულია ტანგენტალურად. ადრეულა ტრაქეიდების დრუს დიამეტრი საშუალოდ შეადგენს 18-20 მკ-ს, გვიანასი – 10 მკ-ს

არ არემატება. მათი გარსების სისქე შესაბამისად შეადგენს 4-6 და 8-10 მკ-ს. ადრეული ტრაქეიდების რადიალურ კედლებზე აღინიშნება ერთორიგიანი მსხვილი გარემოიანი ფორმები, ხოლო გვიანა ტრაქეიდების გარემოიანი ფორმები განლაგებულია ძირითადად ტანგენტალურ გარსებზე.

უთხოვარის მერქნის ტრაქეიდების სიგრძე საშუალოდ 2,5-3,0 მმ-ს შეადგენს. ღეროს ტანგენტალურ ჭრილზე კარგადად გამოსახული გარსების სპირალური გასქელებები (სურ. 1).

მერქნის რადიალური სხივები ძირითადად ერთორიგიანია და სიმაღლეზე უმეტესად შეიცავს 10-12 უჯრედს (40-160 მკ), თუმცა იშვიათად გვხვდება 15-25 უჯრედიანი სხივებიც. სხივების სიგანე 20 მკ-ს იშვიათად აღემატება.

გადასვლა ადრეულა, მერქნიდან გვანაში თანდათანობითია, გვიანა მერქნის რაოდენობა წლიურ რგოლებში შეადგენს 20-25% (სურ. 1).

მერქანი ლამაზი შეფერილობითა და ტექსტურით ხასიათდება. მისი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლები მოცემულია №2 ცხრილში.

თვისებებით უთხოვარი მიეკუთვნება მკრივმერქნიანთა სახეობებს, მერქნის წინაღობის ზღვარი კუმშვაზე ბოჭკოების პარალელურად შეადგენს 635 კგ/სმ², სტატიკურ ღუნგაზე ღეროს ტანგენტალურ სიბრტყეში – 972 კგ/სმ², სტატიკური სიმყარე ღეროს ტორსულ ჭრილში – 895 კგ/სმ², ღეროს რადიალურ სიბრტყეში – 680 კგ/სმ², ტანგენტალურ სიბრტყეში – 645 კგ/სმ², რაც მერქნის მაღალი ტექნიკური თვისებების მაჩვენებელია, მერქანი მძიმეა, მაგარია და მყარი.

უთხოვრის მერქანი ანგისხეპტიკებით გაუძლენთავადაც კი რეზისტენტულია გნტომოფაუნისა, სოკოვანი დაავადებებისა და განსაკუთრებით ლპობის მიმართ. საუკუნეების მანძილზე არ ლპება მიწაში, ამიტომ ძველად კავკასიასა და რუსეთში მას „ულპობელა ხეს“ /ჸაში ასახული არა არა ულპობელა და მის მერქანს ფართოდ იყენებდნენ გემთმშენებლობაში და წყალქვეშა ნაგებობებში. მერქნის ამ თვისების გამო მის კორომებს წარსულში დიდი ზიანი მიადგა, თუნდაც იმიტომ, რომ ამიტერკავკასია მევენახეობის ქვეყანაა და უთხოვრის ახალგაზრდა ხეები დიდი

ცხრილი №2

კავკასიური უთხოვრის მერქნის ფიზიკურ-მექანიკური

თვისებები

წლიური რგოლების საშ. სიგანე, მმ.	მერქნის ტენიანობა, %	სიმკვრივე ანუ მოცულობითი წონა, კგ/მ ³	მერქნის წინაღობის ზღვარი, კგ/სმ ²		მერქნის სიმყარე, კგ/სმ ²	
			კუმშვაზე ბოჭკოების გასავარივ	სტატიკურ ჭრილების	ტორსულ / განივ სიბრტყეში	რადიალურ სიბრტყეში
2,0	12	785	635	972	895	680
						645

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მერქნის სიმკვრივე ანუ მოცულობითი წონა შეადგენს 785 კგ/მ³ და ამ


რაოდენობით იჭრებოდა ვენახების ბოძებად და ჭიგოებად.

კავკასიაში მოღვაწე ცნობილი მერქანტული ანატომი, პროფესორი ა. იაცენკო-ხმელევსკი თავის „შესანიშნავ წიგნში „კავკასიის მერქანი“ (1954) აღნიშნავდა, რომ უთხოვრის ძვირფასი მერქანი კავკასიიდან უძველესი დროიდან დიდი რაოდენობით ექსპორტირდებოდა დასავლეთის ქვეყნებში „წითელი ხის“ სახელით, რაც დიდ ზიანს აყენებდა უთხოვრის კორომებს საქართველოში. რუსეთის არქეოლოგიური განათხვები მოწმობენ, რომ კავკასიიდან გატანილი უთხოვრის მერქანი ფართოდ გამოიყენებოდა რუსეთში X-XII საუკუნეებში, როგორც სადურგლო, სახარატო, სავეჯო საქმეში, ისე ხეზე მხატვრული პეტოლობისთვის. მერქანტული მონაცემებით, უთხოვრისაგან დამზადებული საოჯახო ნივთები აღმოჩენილი იყო ეგვიპტის უძველეს სამარხებში, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვით III საუკუნეს მიეკუთვნება [7].

შენიშვნა: უთხოვრის მერქნის ანატომიური სტრუქტურისა და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევა ჩატარდა ვ. გულისა შვილის სახელობის სამთო მეტყველების ინსტიტუტის მერქანტულდებობის ლაბორატორიაში სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად მერქნის 12% ტენიანობის გათვალისწინებით [5].

კავკასიის მოსახლეობა უძველესი დროიდან სმარობდა უთხოვრის მერქნისგან დამზადებულ საოჯახო ნივთებსა და ჯამჭურჭელს. მართალია, მერქანი მცირე რაოდენობით შეიცავს ალკალიიდ ტაქსინს, მაგრამ ის ადამიანის ორგანიზმზე ჭერჭელის სმარებისას უარყოფითად არ მოქმედებს. თუმცა, მისი მორების დახერხვის დროს, ხის ტოქსიკური მტვერის გამო ზოგჯერ ადამიანებს აღენიშნებათ კანის ანთებითი დაავადება, გამონაყარი და სხვა [7,8].

განსაკუთრებით აღსანიშნავია, უთხოვრის მერქნის კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება – მისი დრეკადობა, რის გამოც, როგორც ლიტერატურულ წყაროებშია აღნიშნული, შეა საუკუნეებში, ცეცხლსასროლი იარაღის მასობრივ შემოღებამდე, უთხოვრის ახალგაზრდა ხე-



სურ. 1. *Taxus baccata* L.

მერქნის ანატომიური სტრუქტურა დეროს განივდა ტანგენტალურ ჭრილში. გადიდ. 75 და 90 X

ები დიდი რაოდენობით გაპქონდათ კავკასიიდან რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში საბრძოლო და სანაღირო შვილდისრების დასამზადებლად, რამაც წარსულში დიდი ზიანი მიაუენა საქართველოს უთხოვრის კორომებს [6, 7].

უთხოვარი მეტად საინტერესო მცენარეა ფარმაკოლოგიური თვალსაზრისითაც. კავკასიაში მისი წიწვების ნახარშს ხალხური მედიცინა იყენებდა გულისა და სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ [3].

ჯ. ფლინი და ჩ. პოლდერი ასევე აღნიშნავენ, რომ კალიფორნიაში გავრცელებული დასავლური უთხოვრის /*axis brevifolia* Natt/. წიწვები და ქერქი მედცინაში გამოიყენება კიბოს სამკურნალოდ [8].

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ბოლო 15-20 წლის მანძილზე საქართველოდან დასავლეთის ქვეყნებში

დიდი რაოდენობით გაპქონდათ უთხოვრის 1-2 წლიანი ტოტები და ქერქი ფარმაცევტულ წარმოებაში გამოყენების მიზნით, რაც ზიანს აყენებდა საქართველოს უთხოვრის ბუნებრივ კორომებს და განაპირობებს ამ მიზნით მისი პლანტაციების გაშენების აუცილებლობას.

უთხოვრის ერთადერთი უნიკალური კორომი, რომელსაც ახალოგი არ გააჩნია მსოფლიოში, ამჟამად შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე ალაზნის სათავეებში, პანკისის ხეობაში, დაცულია ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალში. ეს კორომი გავრცელებულია 400 ჰა ფართობზე ზღვის დონიდან 1000-1300 მ. მანძილზე. მისი საშუალო ხნოვანება 800 წელია. ყველაზე დიდხნოვანი ხე ამ კორომში 2000 წლისაა, მისი სიმაღლე 32,0 მეტრია, ღრეოს დაიამეტრი 1,70 სმ. ამ ხეს მოსახლეობა ტყის „პატრიარქს“ უწოდებს.

ცნობილია, რომ ეს კორომი გადაარჩინა რელიგიურმა კულტმა. ამ რეგიონის – პანკისის ხეობის, მოსახლეობა უთხოვარს უძველესი დროიდან რელიგიური თვალსაზირისით თვლიდა წმინდა, ხელშეუხებელ ხედ და მისი მჭრელი საუკუნეების მანძილზე მკაცრად ისჯებოდა.

ადსანიშნავია, რომ უთხოვარს ქავებასიაში ასევე უწოდებდნენ, როგორც „ულ-

პობედას“, ისე „წითელ ხეს“, თუმცა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ის ძირითადად უთხოვარის სახელითაა ცნობილი. ლეგენდის მიხედვით, XII საუკუნეში საქართველოს მეფე თამარს თხოვნით მიმართეს, რათა ხიდების ასაგაბადად მოექრათ ეს ხები, რაზეც უარი მიიღეს – წმინდა ხის მოსაჭრელად თხოვნა არ შეიძლებაო. ამის შემდეგ დაერქვა ამ სახეობას „უთხოვარი“.

ეს მეტად ლამაზი მარადმწვანე ხე ადვილად იტანს ვარჯის (კრონის) ფორმისაგან (გაკრეჭას). ამიტომ კავკასიის ბალ-პარკების „მწვანე მშენებლობაში“ ფართოდ გამოიყენება მისი მრავალი კულტურული დეკორატიული ფორმა.

მიუხედავად იმისა, რომ უთხოვარი ფართო გავრცელებით ხასიათდებოდა კავკასიასა და ევროპაში, წარსულში, საუკუნეების მანძილზე, ძვირფასი მერქნის მოპოვების მიზნით მისი უსისტემო, დაუზოგავი ჭრების გამო თითქმის განადგურდა. ამჟამად იგი მიეკუთვნება იშვიათ და გადაშენებად მერქნიან სახეობათა კატეგორიას და შეტანილია როგორც ევროპის, ისე კოფილი საბჭოთა კავშირისა (1984)და საქართველოს „წითელ წიგნში“ [2]. მისი შემორჩენილი ეგზემპლარები, ბიოჯგუფები და კორომები აღრიცხულია ყველგან და დაცულია კანონით.

Å. ÆÍÁÆÀÍÈÄÇÅ, Í. ÌÀÐÃÅÅËÀØÅÈÈ, Á. ÆÍPÆÀÍÈÄÇÅ, Í. ËÀÁÀÄÇÅ ÖÈÑÑ/TAXUS BACCATA L./ - ÀÍÀØÌÈ×ÅÑÈÀß ÑÒÐÓÈÒÐÀ È ÒÅÖÍÈ×ÅÑÈÈÅ ÑÂÎÉÑÒÀÀ ÄÐÅÅÅÑÈÍÛ

ÐÅÇPÌÅ

Â წილის შესახებ, 6. ბ. მარბველაშვილი, ბ. ე. ლობშანიძე, 6. ბ. ლაპაძე
უთხოვარი: /TAXUS BACCATA L/ მერქნის ანატომიური სტრუქტურა და
ტექნიკური ტვისებები

რეზიუმე

ნაშრომში აღწერილია კავკასიის დენდროფლორის იშვიათი და გადაშენებადი მერქნიანი სახეობის, - უთხოვარის ბიოეკოლოგიური თავისებურებანი და მისი

თანამედროვე მდგომარეობა საქართველოს ტყეებში. მოცემულია მისი მერქნის ანატომიური სტრუქტურისა და ფიზიკურ-მექნიკური თვისებების კვლევის შედეგები.

ლიტერატურა:

1. აბაშიძე ი. დენდროლოგია მცენარეთა გეოგრაფიის ელემენტებით. I ნაწილი. თბილისი, 1959.
2. საქართველოს სსრ წითელი წიგნი. ცხოველთა და მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობანი. თბილისი, 1982.
3. ხიდაშელი შ., პაპუნიძე ვ. საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები. ბათუმი, 1985.
4. ჰეიდერ ჰ. ჰერცინის ანება იდეცია ებები ადამიანებისათვის. ეცა. ჸ. ს. 1959.
5. ჸ. ნ. 6336-52-1962. ადამიანის ერთობლივი გადამზადების სამკურნალო მცენარეები. ეცა. 1959.
6. ჰერცინის ა. ჰერცინის ანება / Taxus baccata L. ჸ. 1959.
7. ლეიბინის ა. ლეიბინის ანება / Flinn J. H. Holder Ch. D. F Guide to Useful woods of the World (Second edition). Madison, Wisconsin, 2001.
8. Lobjanidze E., Burduly N., Gabunia M., Nakaidze E. Yew in Georgia and Rot-resistant, Elastic Wood. World of Wood, Vol. 61. num. 5. Creencastle, USA, 2008.
9. Panshin A.J., DeZeeuw C. Texbook of Wood Tecnology: Structure, Identification, Properties and Uses of the Commercial Woods. 4th ED. New York, 1980.

ოთარ დვალიშვილი, ვლადიმერ გულაძე,
დავით აუკრაშვილი

სექტორი ბუნების საოცრება



დედამიწაზე გავრცელებული 30 000-მდე სახეობის ხე და ბუჩქიდან გვხვდება როგორც ჯუჯა მცენარეები, რომელთა დანახვა მხოლოდ და მხოლოდ მიკროსკოპის საშუალებით შეიძლება და გიგანტურებიც. სწორედ გიგანტების ჯგუფს მიეკუთვნება სექვოია. თავდაპირველად სექვოიათა გვარში ბოტანიკოსები ორ სახეობას: მარადმწვანესა და გიგანტურს აერთიანებდნენ. 20-ე საუკუნის 30-იან წლებში ბოტანიკოსებმა გიგანტური სექვოია დამოუკიდებელ გვარად გამოჰყეს და მამონტის ხე ანუ გიგანტური სექვოია უწოდეს. ამ ორი გიგანტი ხის მარადმწვანე და სექვოია დენდროს შორის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი წიწვების ფორმა და ზომაა, გირჩის შეფრილობა და სიდიდეა. ძირითადად ეს ხეები თავიანთი ზომით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მათ შორის განმასხვავებელი ნიშანია კიდევ ის, რომ ისინი ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე იზრდებიან. ასე, მაგალითად სექვოიას ტყეები, რომლებიც მსოფლიოში ვრცელდებიან წყნარი ოკეანის ვიწრო სანაპირო ზოლში ზღვის დონიდან 900 მეტრის სიმაღლეზე და სექვია დენდრონის, ანუ მამონტის, გიგანტური სექვოიის ტყეები, რომლებიც გავრცელებულია ზღვის დონიდან 1300-2000 მეტრის სიმაღლეზე. სექვოიის ტყეებს უკავიათ აგრეთვე ტერიტორია კალიფონის სამხერეთ და სამხერეთ დასავლეთ ნაწილში, სან-ფრანცისკოს ჩრდილოეთით და სამხერეთით. ამ ხეების სიმაღლე აქ 80-დან 100 მ-ის სიმაღლესა და მეტრსაც აღწევენ.

მარადმწვანე სექვოიას უყვარს ზომიერად ტენიანი, დრმა ნოყიერი ნიადაგები და ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობა. ეგუებიან კირიან და თხელ ნიადაგებსაც. ცუდად იტანენ გვალვებს, ჩრდილის ამტანი და სწრაფმოზარდი ჯიშია. ჩრდილო აშშ-ში სანფრანცისკოს ჩრდილო დასავლეთით კალიფონიის შტატში იგი ადის ზღვის დონიდან 700 მ-ის სიმაღლეზე და ზემოთაც. მისი ზრდის საუკეთესო პირობებად აქ ხეობათა დაბლობები და დაბალი მთის კალთები ითვლება. თავის სამშობლოში 100-მ-დე ხეა და 6-9 მ. დიამეტრს აღწევს.

მარადმწვანე სექვოიას გაშლილი ლამაზი ვარჯი აქვს. ბოტებულ წიწვებს ქვემოდან ორი თეთრი ზოლი გასდევს და ტოტებზე თრმსერივადად გაწყობილი. კალიფონიისა და სამხრეთ თრიგონის მთებში იგი ტყეებს ჰქმნის.

მარადმწვანე სექვოია დეკორაციული მცენარეა. მოშენებულია ბაღ-პარკებში, დასავლეთ ევროპის სამხერეთ ნაწილში. საქართველოში იგი ბათუმის ბოტანიკურ ბაღშია და 80 წლის ასაკში 40 მ-ის სიმაღლეს აღწევს, აქვს 1,5 მ დიამეტრი. იგი გვხდება სოხუმში, ზუგდიდის, ქუთაისის, წინანდლის ბაღ-პარკებში და ა.შ. იგი სწრაფმოზარდია და ცოცხლობს 4000 წელსა და მეტსაც. დადგენილია, რომ სიერა-ნევადის შტატში 4900 წლის სექვოიაც დაუფიქსირებიათ. ნამარხი სექვოია ნაპოვნია ევროპასა და აზიაში. გათხერებით აღმოჩენილია, რომ აშშ-ს ჩრდილოეთ ტერიტორიაზე 144 და 208 მილიონი წლის წინ სექვოიას აქ ეკავა 6131 კმ² ფართობი, რაც დღეისათვის ამ ხეების საუკეთესო მერქნის გამო, ინტენსიური ჭრების შედეგად მაქსიმალურადაა შემცირებული. სექვოიის მერქანი ფართოდაა გამოყენებული მშენებლობაში, ავეჯის წარმოებაში, განმელების, ასევე ღობის ბოძების დასამზადებლად. დადგენილია, რომ მათ მერქნის დიდი ოდენობით ზეთები გააჩნიათ, რაც ლპობის საწინააღმდეგო თვისებებს მატებს. ზეთების წყალობით ეს ხეები დაცულნი არიან ტერმიტებისაგანაც. ამ ხეებს ზრდის პროცესში განსაკუთრებული თვისებები გააჩნიათ. ინვითარებენ სწორ დეროს როკების გარეშე. ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდობაში ქვედა ტოტები პერიოდულად ცეივათ და ზედა ტოტები ქმნიან შეკრულ ვარჯს, რაც მზის სხივებს პრაქტიკულად არ ატარებს ნიადაგის ზედაპირამდე. ამის გამოა, რომ ამ ტყეების ვარჯის ქვეშ ქვეტყე ცუდადადა განვითარებული, აქ იზრდება გვიმრებიც და ამიტომაც მეტად ცუდია განახლება. მართალია საქვოია იძლევა დიდი ოდენობის თესლს, მაგრამ ვარჯის მიერ ნიადაგის მაქსიმალური დაზრდილვის გამო სექვოიის განახლება ძალიან ცუდია.

სექვოიის ტყეები იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ ამ ტყეების შესანარჩუნებლად და აღწარმოებისთვის ჯერ კიდევ 1864 წელს აშშ-ის მთავრობის გადაწყვეტილებით სიერა-ნევადას მთების დასავლეთ ფერდობებზე არსებული სექვოიის ტყეებში შეიქმნა სახელმწიფო ნაკრძალი, რომლის ფუნქციონირება 1872 წელს დაიწყო. ეს ის პირველი ეროვნული პარკია, რომლის 100 წლისთავიც მთელმა მსოფლიომ აღნიშნა.

სექვოიის ხეების საოცარი სიდიდე, მათი ბიოლოგია ყოველთვის იზიდავდა მსოფლიოს მეცნიერებს, ტურისტებს, სტუმრებს. მის სანახავად მსოფლიოს უკელა კუთხიდან მოდიოდნენ და მოდიან, მათი საოცრებით ტკბებოდნენ და ტკბებიან, ამ ხეების პოპულარიზაციისათვის აქ იჭრებოდა ეს ხეები მსოფლიოს მუზეუმებში გამოსაფენად. ასე, მაგალითად 1893 წელს აქ მოიჭრა 105 მეტრის სიმაღლის მქონე სექვოიის ხე, რომლის დიამეტრი მკერდის სიმაღლეზე 12 მ-ს შეადგენდა. ეს ხე 22 დღის განმავლობაში იჭრებოდა და მოჭრის შემდეგ მისი დეროს ფესვის ყელზე გადანაჭერზე მოაწყეს ესტრადა. კალავაროსის შტატში უკელაზე მაღალ სექვოიას, რომლის სიმაღლეც 120 მეტრი იყო და დიამეტრი მკერდის სიმაღლეზე 12 მ, გარშემოწერილობა ფესვის ყელთან 33 მეტრი „ტყის მამა“ უწოდეს.

მსოფლიოს ხალხების, სტუმრებისა და ტურისტების მოსაზიდად ერთ-ერთ უდიდეს სექვოიის ხეს ინდიელების ენაზე სახელად „ვახვონახა“ დაარქვეს, რაც გრანდიოზულ ხეს ნიშნავდა და მის დეროში 10 მ სიგრძისა და 12,5 მ სიგანის გვირაბი გამოჭრეს. ამ საოცარ გვირაბში ცენტრალური სამანქანო გზა გაიყვანეს, სადაც მოძრაობდა, როგორც მსუბუქი, ასევე სატვირთო ტრანსპორტი (სურ. №1).

მსოფლიოს დენდროლოგთა წმინდა მეორე პარკია, რომელიც 1990 წელს ამავე ადგილებში გენერალ გრანტის მიერ შეიქმნა და მისივე სახელი ეწოდა. აქ არსებულ 90-დან 110 მეტრი სიმაღლის გიგანტურ სექვოიას ხეებს დაერქვა: „პატრიარქი“, „ლინკოლნი“ „ტყის დედა“, „ტყის მამა“.

ამჟამად გავრცელებული აზრის მიხედვით „ტყეების პატრიარქის“, „ტყეების გიგანტის“ სიმაღლე 144 მ-ია, ზოგიერთის აზრით 135 მეტრი, დიამეტრი მეტრის სიმაღლეზე 12,5 მ-ია, ასაკი 4000 წელი. 1900 წელს პარიზში საერთაშორისო გამოფენაზე გამოსატანად აშშ-ში დამზადეს გიგანტური სექვოიას მორისაგან 100 (ასი) მეტრი სიგრძის ფიცარი, მაგრამ მისი გადმოტანა ვერცერთმა გემის კაპიტანმა ვერ იკისრა.

1953 წელს აქ ფესვის ყელზე გიგანტური სექვოიას გადანაჭერზე, კარგადადა გამოსახული წლიური რგოლები. ამ წლიური რგოლებით აღნიშნულია ლირსშესანიშნავი თარიღები, სადაც მინიშნებულია 323 წელი ჩვენს წეთაღრიცხამდე, რაც მიუთითებს ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების თარიღსა და სხვას. აქ მოსული ტურისტები და სტუმრები დიდი დაინტერესებით ათვალიერებენ ამ აღნიშვნებს. დამკვირვებლებს, სტუმრებსა და ტურისტებს აოცებთ არა მარტო ამ ხეების უმეტესი ნაწილის სიმაღლეები 100 მ-დან 144 მ-დეკ, არამედ მათი დიამეტრის სიდიდეები 9-მ-დან 12 მ-მდე და ხის ქერქის სისქე 40-სმ-დან 60-სმ-მდე, რომელიც ფართოდ გამოიყენება ფარმაკოლოგიაში. ამ ხეების გარჯი გადატვირთულია ფრინველებითა და ხეებზე მობინადრე ცხოველებით და ტყის ყოველნაირი არსებებით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ვნახეთ, რომ ბუნების საოცრება – სექვოია საუკეთესოდ იზრდება საქართველოს პირობებში, კერძოდ ბათუმში, წინანდაღში, სოხუმში, ქუთაისსა და სხვ. ზოდაგანვითარების პირობებს და ერთეული ეგზემპლიარები 80 წლის ასაკში, სიმაღლეში უკვე 40 მ-ზე მეტია, დიამეტრი მკერდის სიმაღლეზე 1,5 მ-ს აღემატება. ამიტომ სასწრაფოდ უნდა დავაყენოთ საკითხი სათანადო ორგანოების, მთავრობის, პეტრონალურად საქართველოს პრეზიდენტის ბაზონი მ. სააკაშვილის წინაშე დაიწყოს სექვოიის თესლებისა და ნერგების კალიფორნიიდან, პენსილვანიიდან და ა.შ. სხვა შტატებიდან შემოტანა და საქართველოში მათვების შესაბამის მთის ფერდობებზე, ხეობებში

და ტენიან ადგილებზე, ნიადაგურ-კლი-
მატური პირობების გათვალისწინებით
მათი გაშენება.

აღვნიშნეთ, რომ სექვოია სწრაფ-
მოზარდი ჯიშია, აქვს საუკეთესო მერქა-
ნი და რაც მთავარია სექვოიის ტყეების
სანახავად მსოფლიოს მოსახლეობის
დიდი ნაწილი მიემართება ამერიკაში,
რაც თავისთავად გალუტიას დიდი ოდე-
ნობით იზიდავს შტატებში. ეჭვს არ
იწვევს ის გარემოება, რომ დადგება ის
ნანატრი დრო, როდესაც აშრიალდებიან
სექვოიის ტყეები საქართველოს მთის
შესაბამის ფერდობებზე და უამრავი
სტუმრისა და ტურისტის დასათვალი-

ებედო უაღრესად საინტერესო ობიექტად გადაიქცევიან. მნახველთა მიერ შემოტანილი მილიონობით ვალიუტა საქართველოს, მისი მაცხოვნებლების კეთილდღეობის საქმეს მოხმარდება. ამიტომ უნდა გვჯეროდეს, რომ შთამომავლობა არ გვაპატიჟებს, გაგვიცხავს, თუ ესოდენ სერიოზული, სამომავლო, საშვილიშვილო საქმისადმი გულგრილნი ვიქნებით, სასწრაფოდ არ დავიწყებთ მის მოშენებას, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანასა და ამერიკის შეკრთხულ შტატებს შორის, ასევე სხვა ქვეყნებთან ჯანსაღი დამოკიდებულება დამყარდა.

Î. È. ÄÀÄËÈØÄÈËÈ, Å. Ä ÄÓÄÀÄÇÅ, Ä. Ñ. ÉÓÏÐÀØÄÈËÈ

×ÓÄÎ ÌÐÈÐÎ ÄÛ-ÑÅÊÂÎß

ĐÀO PHÌA

Đàññììòðåí íññáåíññòðè ðññòð à è ðäçâèòðèý â ìèðå åäëéíñðååíññå íññòðè ññòðååà ñåéåíèè, å, iåñòð iðfièçðàñòàíèý à øòàòå ëàéèòíñðíèè è ïñèñèëåáíèè. ïñòðååòåðèçíàíà åå iððæåéåðåéüññòðü è iððøýååðåéüññòðü äëý iððæåé÷åñèý â ýðèò iññòðå ñññòðåé è ðòðññòðå ññ åññåð ñòðåí ìèðå. ïòiåðåíññòðü èåéé iòçåéíññå yéññííåíòå ìèðiññåíçíåýåíèý. ìç-çå òåðåñòðèýåññéí ê åññiñòðü åí 144 ì, åññòðåñòð 4900 èåð, ði ëùèíññå ëiñðü ìò 40 åí 60 ññ è åèàìåðå ñòðåí ëà íà åññòðå åññóå ãí 12á5 ì íà iðåéðåùååòñý iññòðè ðòðññòðå è åññòðåé å ýðèò iññòðåò. ïòiåýåòñý, ÷òi åññå ýðè ìùåéàìèëååþùèå íññáåíññòðè ññåéåíèè åæååññå ññòðåéè åññåååò åññåéè åññååò åññòðåí ù è iññåñøàåòå ðååññåí ÿéí ïññòðè è åéíññå ññòðåí ÿéå íññåéåíèè.

ო. დვალიშვილი, გ. გუდამე, დ. პუკრაშვილი

ՆԵՐՑՈՒՅԱ – ԾԱՌԱՋՈՒՅԱ

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მსოფლიოში საოცარი სიმაღლისა და დიამეტრის მქონე ერთაერთი ხის სექვოიის, აშშ-ში კალიფორნიისა და პენსილვანიის შტატებში ამ ტყების შემქმნელი მთავარი ჯიშის ზრდა-განვითარება და მისი ბიოლოგიური თავისებურებანი. დახასიათებულია მისი მერქნის მაღალი თვისებები და მისი დიდი ღირებულება მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის ტურიზმის განვითარების და ამით დიდი ოდენობით ვალიურის შემოტანის შესაძლებლობები. აღნიშნულია, რომ სექვოიის ხის სიმაღლე 80-დან 100 მეტრია და მეტიც ცოცხლობს 4900 წელი. ხის ქერქის სისქე 40-დან 60 სმ-მდეა და იგი ფართოდ გამოიყენება კულინარიაში და ფარმაკოლოგიაში.

სტატიის ავტორებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ სათანადო ორგანოებისა, მთავრობისა და პირადად საქართველოს პრეზიდენტის წინაშე დაყენება საკითხისა, რათა აშშ-დან შემოტანილი იქნას სექვოიის ნერგები და თესლი, მისი გაშენებისათვის საქართველოს ისეთ რეგიონებში, სადაც სექვოიის გაშენების შესაბამისი ნიადაგურ-კლიმატური პირობებია. ამით საქართველოში შექმნიან სექვოიის მაღალი სიხშირის ტყეებით დაფარული ფერდობებისა და ხეობების ფართობებს, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან მასიურად საქართველოში ამ ტყეების სანახავად, ისე, როგორც ახლა ხდება კალიფორნიაში და პენსილვანიის შტატებში შემოგასაზღვარგარეთის ტურისტები, სტუმრები, შემოიტანენ დიდი ოდენობით ვალუტას, რაც ესოდებ სტატიის საქართველოს, ხალხს.

၁၀၈

IX. სამკურნალო მცენარეები

**ჯამბარ კუჭუნიძე, მალხაზ ჯონაძე, თამაზ
მარტაზაშვილი**

**გვერდი ვერსპის (POPULUS) საქართველოში
გავრცელებული სახეობების პოლიფეოლური
ჟანერთების შესწავლა**



მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ნატურალურ სამკურნალო საშუალებებს ანიჭებს უპირატესობას (12). სინთეზური მონო- და კომბინირებული ქიმიური პრეპარატების მაღალი ფარმაკოლოგიური აქტივობის მიუხედავად, სამკურნალო მცენარე რჩება ახალი პრეპარატების მიღების ძირითად წყაროდ.

ბიოლოგიურ აქტიურ ნივთიერებათა შორის პოლიფენოლები ცნობილია, როგორც ანტიმიკრობული ანალგეზიური, ანთებისსაწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური, ანტიბაქტერიული, ანტიკანცეროვნი და სხვა ფარმაკოლოგიური მოქმედებით (9).

Յոլուցենոլուրո Մյենայրութեծիս
Մյելուցենո մշտարյածիծան աղսանումնազուա
Ջարու զյրեցու (Populus) Տակեռեծիծ.
Տակարտցելու մոտսա ճա չալուս Ծյոյյեծնու
Հյուրեցու 7 Տակեռեծ օթրացիծ. մատ Մորուս
ուցու (P. nigra L.), ոյտրու եզալու (P. alba
L.), աջրացու օնեմրուցնիցուցու Անրամի-
ջուցու զյրեցու (P. pyramidalis L.), Ռոշորչ
ջյուրաբուցու ճա յարսացացու Տակեռեծ
Յարտութագ գանցենեծնուցու. մյըրաց Տայպ-
րացուցու Տակեռեծ Պ. euphratica Olivier, Ռո-
մելուց յօնուցնու գցեցացիծ (Անբումարա,
աւագուսեցու).

საქართველოში გავრცელებული კერძების სახეობებიდან ოფი (P. nigra L.) თავისი ფარმაკოლოგიური თვისებებით გვირფას სამკურნალო მცენარეს წარმოადგენს. ის უძველესი დროიდან გამოიყენება ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში. ოფის კვირტებში დადგენილია ფენოლების გარბონმჟავები და მათი წარმოებულები, ფენოლოგლუპოზიდები – სალიცინი და პოპილინი. ფლავონოიდები: აინობანქსინი, 3-აცეტატ აინობანქსინი, პინოცემბრინი, პინოსტრობინი, ქრიზინი, ტეტრაქრიზინი, გალანგინი, აპიგენინი, ქვერცეტინი, ხალჯონოხრიზინი, დიპიდოროხალკონი (6,11).

აღნიშვნული მცენარიდან მიღებული სამკურნალო საშუალებები ხასიათდება ანტიმიკრობული, ტკიფოლგამაჟუნებელი, ანთების საწინააღმდეგო, პე-

მოსტაზიური, მასტიმულირებელი, იმუნოგენური და ანტიოქსიდანტური მოქმედებით.

ოფის კვირტების სპირტიანი ნაყენი და ექსტრატი სხვა მცენარეებთან ერთად გამოიყენება შიგნით მისაღებად ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ; აგრეთვე ტუბერკულიოზის, რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, სურავადნის, იშიაზის, ცისტიგის, დისმენორეას დროს. კვირტებიდან დებულობენ ფისოვან ბალზამს, ხოლო ექსტრაქტიდან ამზადებენ „ოფის საცხს“, რომელსაც როგორც გარეგან საშუალებას გამოიყენებენ სადეზინფექციოდ, დამარბილებლად ნიკრისის ქარის დროს, რევმატიზმის, ტრაქონომადური კოლპიტის, კანის სტაფილოკოკური და სოკოვანი დაავადებების, ფურუნჯულების, იარების, დამწვრობის, წყლულების, ბუასილის, ალოპეციის სამკურნალოდ (5,8). კვირტების ფიტონცინდების აქროლადი ფრაქცია სასიათდება პროტისტოციდული ოვისებებით. „ოფის საცხი“ და ნედლი კვირტები გერმანულ მედიცინაში გამოიყენება როგორც ბუასილის და იარების სამკურნალო საშუალება. სპირტწყლიანი ნაყენი ანტიამებური თვისებებით სასიათდება. კვირტების წვენი, ყლორტებიდან და ფოთლებიდან მიღებული წვენი და მათი აცეტონიანი და ეთერიანი გამონაწვლილები სასიათდება ანტიბიოტიკური და პროტისტოციდული ოვისებებით. ოფის კვირტების შესქელებული სპირტიანი ექსტრაქტიდან მომზადებულია ბაქტერიული პროსტატიტის სამკურნალო პრეპარატი (7,10,13).

რაც შეეხება გვარი ვერხვის საქართველოში გავრცელებულ დანარჩენ სახეობებს პოლიფენოლუტი შენაერთების შემცველობის თვალსაზრისით ნაკლებად ან სრულად არ არის შესწავლილი, რაც საფუძვლად დაედო ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკვლევებს.

შესწავლით P. euphratica Olivier,
P. nivea (Ait), Willd., P. alba L., P. canescens
(Ait) Smith, P. hyrcana Grossh., P. tremula
L., P. nigra L. საფოთლე კვირტების ფე-
ნოლპარბონმჟავების და ფლავონოლიდე-
ბის შედეგნილობა. კვირტების სპირტიან

ექსტრაქტებზე ჩატარებულია ან-
ტიმიკრობული, ანტიოქსიდანტური (კა-
ნადა, შიკუმიძის უნივერსიტეტი), ფუნგი-
ციდური (საფრანგეთი, მარსელის ხმელ-
თაშვა ზღვის უნივერსიტეტი) და ციტო-
ტოქსიკური (ბელგია, ლიევის უნივერ-
სიტეტი) წინასწარი კვლევები. ექსპე-
რიმენტების შედეგად დადგენილია ექს-
ტრაქტების მკვეთრად გამოხატული
ანტიმიკრობული და ფუნგიციდური
აქტივობა *Candida tropicalis* IP 1275-81,
C. albicans 38248, *C. kefyr* Y 0106, *C. para-*
psilosis ATCC 22019, *Cryptococcus neoformans* და *Staphilococcus aureus*, *S. pne-*
umoniae შტამებზე (მინიმალური ინჰიბი-

ტორული კონცენტრაცია – 0.12-0.5 მგ/
მლ დოზებში) (38), ანტიოქსიდანტური
აქტივობა IC_{50} 9.5-15.8 + 2.12 მგგ/მლ
ფარგლებში და ციტოტოქსიკური აქტი-
ვობა (HELA – საშვილოსნოს ყელის კარ-
ცინომა და CT-116 – სწორი ნაწლავის
კარცინომა სიმსიგნურ უჯრედებზე) IC_{50}
20.2+3.06 მგგ/მლ დოზებში. აღნიშნულ
შედეგებზე დაყრდნობით მიღებულია
ბაქტერიული პროსტატიტის სამკურ-
ნალო სუპოზიტორია (*Sipositoria Populi*)
და პაროდონტიტის სამკურნალო ნაყენი
(*Tinctura Populi*), რომლებზეც საჭარენ-
ების მიერ გაცემულია ოთხი პატენტი
(1,2,3,4).

კ. პუჭუმიძე, მ. ჯოხაძე, თ. მურთაზაშვილი

პოლიფენოლური შენაერთების შესრავლა

რეზიუმე

შესწავლილია საქართველოში გავრცელებული ვერხვის (*Populus*) სახეობები: *P. euphratica* Olivier, *P. nivea* (Ait), Willd., *P. alba* L., *P. canescens* (Ait) Smith, *P. hyrcana* Grosssh., *P. tremula* L., *P. nigra* L. საფოთლე კვირტების ფენოლკარბონმჟავების და ფლავონოიდების შედეგენილობა. დადგენილია აღნიშნული სახეობების კვირტების საირტიანი ექსტრაქტების ანტიმიკრობული, ანტიოქსიდანტური, ფუნგიციდური და ციტოტოქსიკური აქტივობები. შემუშავებულია ბაქტერიული პროსტატიტის სამკურნალო სუპოზიტორისა და პაროდონტიტის სამკურნალო ნაყენის მიღების ხერხი.

ÈÇÓ×ÅÍÍÈÅ ÏÏÈÈÔÅÍÏÈÍÛÖ ÑÎÅÄÈÍÅÍÈÉ ÂÈÄÎÂ ÔÎ Ï ÏÏÜß (POPULUS)
ÐÀÑ Ï ÏÑÒÐÀÍÅÍÛÖ Å ÄÐÓÇÈÈ

ÐÅÇÞÌÅ

Èçó÷åíí ñíäåðæàííèå ôåííëëàðáííòåû ëëñëîò è ôëàâííäâ â ëëñòåû ïí÷êåô
âûäâî â ôî ï íëüy - *P. euphratica* Olivier, *P. nivea* (Ait), Willd., *P. alba* L., *P. canescens* (Ait) Smith,
P. hyrcana Grosssh., *P. tremula* L., *P. nigra* L. Ó èô ñïëðòåû ÿêñòðàéòíâ óñòåâèíåíà
àíòèìëëðíàÿ, àíòèëñëëàíòàÿ, ôóíæëëäíàÿ è òëòòåû ïëè ìàéòèåíñòü. Ðàçðàáîòàí
ñïíñíà ïëó÷åíèÿ ñôïçèòòðèÿ è íàñòåëè äëÿ ëå÷åíèÿ áàéðåðèåëüíàí ïðíñòñòèðà è
ïàðàäíòèðà ñíòååðñòååíí.

J. KUCHUXIDZE, M. JOXADZE, T. MURTAZASHVILI

THE EXAMINATION OF POLYPHENOLIC SUBSTANCES IN THE SPECIES OF THE GENUS POPULUS SPREAD IN GEORGIA

SUMARY

The containance of phenolcarbonacids and flavonoids has been examined in the buds of *Populus* species. Antimicrobial, antioxydative, fungicide and cytotoxic effects of

their ethanolic extracts have been found. Suppositorium and infusum production method has been worked out for the therapy of consequently bacterial prostatitis and paradontosis.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კუჭუხიძე ჯ., ყიფიანი ნ., გაგუა ნ. პარადონტიტის სამკურნალო ექსტრაქტი. პატენტი U 1201. 2004.
2. კუჭუხიძე ჯ., ყიფიანი ნ., მიქია ნ. პაროდონტიტის სამკურნალო საცხო. პატენტი U 1200. 2004.
3. კუჭუხიძე ჯ., ქოჩიაშვილი დ. სამკურნალო სანთელი. პატენტი №272. 1996
4. კუჭუხიძე ჯ., ქოჩიაშვილი დ. ბაქტერიული პროსტატიტის მკურნალობის ხერხი. პატენტი № 245. 1996
5. Alison M. Salicylate and catechol levels are maintained in nahg transgenic Poplar. *Phytochemistry* 68 (2007) 20043-2052
6. Bankov V., Popov S. Isopentyl cinnmates from poplar barks and propolis// *phytochemistry*. 1989. vol. 28,N3. P. 872-873
7. Ferandiz M., Bustos G., Paya M. Hispidulin protection against hepatotoxicity induced by bromobenzen in mice. *Life Sci* 1994; 55: 145-150
8. Marcucci M. Propolis: chemical composition biological properties and therapeutical activities> *Apidologie* 26, 83. 1995
9. Newman D. Clegg C, Snader K. The influence of natural products upon drug discovery *Nat Prod Rep*, 200; 17(3); 215-234
10. Si C, Kim J, Bae Y. Phenolic glycosides with antioxidant activity from the leaves of *Populus* and their antioxidant activities. *Planta Med*. 2009
11. Tomas Berberan F. et al. Flavonoids from *apis mellifera* Natufarsch. C. 1993, Vol 48 N 1-2. P.68-72
12. www.who.int
13. XinFeng Z and all. Anti-inflammatory of flavonoids from *Populus davidiana*. *Archives of Pharm. Research*. Vol. 29. N 12. 2006

X. რეგიონული მოწოდება ული ცენტრები,მრავალებრივი, რეკორდული

უურნალ „სატყეო მოამბის“ მთავარ რედაქტორს ბატონ იამაზ ანიაძეს

მაქვს პატივი გამოვთქვა კმაყოფილება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული უურნალ „სატყეო მოამბის“ გამოცემასთან დაკავშირებით, მე ვფიქრობ ეს უურნალი ერთგვარ წვლილს შეიტანს ჩვენი „დაჩაგრული“ დარგის ერთგვარად წინ წამოწევისა და მისი სრულყოფის საქმეში.

მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს ჩავტარეთ ბორჯომში დაფუძნებული საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გაფართოებული სხდომა, სადაც ესწრებოდნენ საზოგადოების ყველა სპეციალობის წარმომადგენლები, მეტყველებთან (ძველი და „ახალი“, ბიოლოგებთან, ეკოლოგებთან და ბუნების მოყვარულებთან ერთად. მოწვეულნი იყვნენ გარემოს დაცვის სამინისტროს და დეპარტამენტის ხელმძღვანელები, სხდომას ზოგმა თავი აარიდა და ზოგს არ ეცალა, ალბათ.

დღის წესრიგში იყო საკითხი: „ბორჯომის ხეობის ეკოლოგიური მდგრადარეობა და რეფორმის შემდეგ საკურორტო ტყეებში არსებული გარემოებების შესახებ?“.

მომხსენებელი: ლ. გოცირიძე
სხდომაში საინტერესოდ ჩაიარა.

ამასთან დაკავშირებით გიდგენთ დარბაზის სხდომის მასალებს და რეკომენდაციებს, თუ მიზანშეწონილად ჩათვლით გამოაქვეყნეთ თქვენს უურნალში.

გარდა ამისა, თუ თქვენთვის მისაღები იქნება, მაქვს ასეთი წინადაღება – დამფუძნებლისა და პროექტის ავტორის, რედაქტორის, საკონსულტაციო საბჭოს წევრების, რეგიონალური საზოგადოებრივი კორესპონდენტების მონაწილე-

ობით ჩატარდეს რედაქციის მრგვალი მაგიდის სხდომა (ან სხვა რაიმე ფორმა მიეცეს), სადაც მოწვეული იქნებიან გარემოს დაცვის სამინისტროს, მათი დეპარტამენტების, პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის, ვ. გულისაშვილის სატყეო ს/კ ინსტიტუტის, სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის WWF კავკასიის წარმომადგენლები, აგრეთვე ზოგიერთი რაიონიდან შერჩევის წესით გამოცდილი მეტყველებადისტები (თუ ვინმე არ გამოგვრჩა). მერწმუნეთ ეს ღონისძიება გარემოს შედეგს გამოიდებს. უკან დახვება აღარ შეიძლება, ვის ხელშია საქართველოს მწვანე სამოსელი და კიდევ უფრო უარესს უნდა ველოდოთ.


იმედია უურადღებით მოეკიდებით ჩემს თხოვნას.

პატივისცემით

ლევან ბოცირიძე, საქართველოს დამსახურებული მეტყველე, ბიოლოგიის მეცნიერებათა ა/დოქტორი, დირსექტორი, მოქალაქე, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავმჯდომარე.

ვასრულებთ წერილის ავტორის თხოვნას და ბ-ნ ლევან გოცირიძის წერილთან ერთად სრულად ვაქვეყნებთ ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის სხდომის მასალებს, კერძოდ, გაზეთ „ბორჯომში“ ამ საკითხე ვ. ლომიძის მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ ინფორმაციას, ასევე საზოგადოებრივი აზრის ბიუროს მიერ შემოთავაზებულ წინადაღებასა და რეკომენდაციებს ჩვენი უურნალის რედაქციის მინაწერით.

Ճաջազահինոտ ծորչոմօն
Ելոծուն Սայդոնիքը Թէկէնի



ପ୍ରାଚୀନମାତ୍ରାଙ୍କ ଲୋଗଭାବ
ଶବ୍ଦରେଖାଙ୍କ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ
ବ. ପାରାମୁଳ୍ଲାଙ୍କ

ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის ბიუროს მიერ შემოთავაზებული წინადაღებები და რეპორტერების

ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილი და განხილული იქნა საკითხი „ბორჯომის საკურორტო ტყეებში დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ“ – მომსხვენებლებისა და სიტყვაში გამომსვლელების მიერ დაყენებული საკითხებიდან მიღებული იქნა შესაბამისი წინადაღებები და რეკომენდაციები:

1. დაისვას საკითხი მთავრობის წინაშე, რათა აღდგენილი იქნას ბორჯომ-ბაგურიანის სატყეო მეურნეობა, რომელსაც აქვს 155 წლის ისტორია. თანამედროვე ეტაპზე მისი ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს ტყის მეურნეობის წარმოება, ტყის დაცვა, აღდგენა-განახლება, ტყეაფების გამოყოფა, საშეშე ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვა (სანიტარული ჭრით) და მოსახლეობაზე გაცემა;

2. საქართველოს ხელისუფლებამ მხარი უნდა დაუჭიროს გარემოს დაცვის სამინისტროს და ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელობას, რათა ადგილზე თვითონ გადაწყვიტონ კადრების შერჩევა-განაწილება (ნუ ჩაერევიან მაღალზინოსნები), ასევე მოსაგვარებელია ტყით სარგებლობის საკითხები, ამ ხაზით ძალიან ბევრი დარღვევებია;

3. დარგის ხელმძღვანელობამ სამუშაოდ მოიზიდოს გამოცდილი კეთილსინდისიერი, პატრიოტი შეტყვევები, ბიოლოგები, ეკოლოგები. პროფესიონალები და საქმის ერთგული მუშაკები;

4. ბორჯომში 80-იანი წლებიდან
არსებობდა სატყეო ტექნიკუმი, შემდეგ
სატყეო კოლეჯი, რომელიც ამზადებდა
საშუალო განათლების მეტყვევე პრაქტი-
კოსებს, განათლების სამინისტრომ
დღესდღეობით გაუქმა იგი და იქ არსე-
ბული მატერიალური ბაზა ყოველდღე
ნადგურდება, არადა, ბორჯომ-ბაკური-
ანის სატყეოს, ბორჯომ-ხარაგაულის
ეროვნულ პარკს, სამცხე-ჯავახეთის რე-

გიონს და რესპუბლიკის სხვა რეგიონებს ჭირდებათ კალიფიციური რეინჯ ერები. კარგი იქნება, განათლების სამინისტრო ოუ აღადგენს სატყო კოლეჯს.

5. არ შეიძლება რომ სახელმწიფო, ტყის დაცვის მუშაკების შემცირების ხარჯზე ბიუჯეტის დაფიციტს ფარავ-დეს. ამიტომ სატყეო სექტორი უნდა დაუბრუნდეს ქველ ტერიტორიულ და-კოვას და მმართველობის მოდელს. წე-სიერი და პროფესიონალი მეტყველე სპ-ციალისტი უნდა დაგენერიროთ ტყეს.

6. ხე-ტყის დამზადება და პირველადი გადამუშავება უნდა დაეკისროს სატყეო მეურნეობის დირექციის დაქვემდებარებაში მყოფ სატყეო უნძებში შექმნილ ხე-ტყის დამზადების კომპლექსურ ბრიგადებს და სპეციალიზირებულ საწარმოებს, გადამამუშავებელ საამქროებს – და არავის სხვას, ხოლო ტყეკაფების ათვისება მოხდეს დებულების ზუსტი დაცვის საფუძველზე, ტყეპაფების გამოყოფის სამუშაოები უნდა ჩაატარონ მხოლოდ ამ საქმის ზედმიწვნით მცოდნე და გამოცდილმა სპეციალისტებმა. ტყეკაფებზე ტყის საზიდი თუ მორსათრევი გზები დაპროექტებული უნდა იყოს საგზაო მშენებლობის სპეციალისტების მიერ – სატყეო-სამუშაო გზის სახელმოწოდებით.

7. ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობებში – სატყეო უნდები ანუ სატყეოგბი უნდა დაკომპლექტდეს კვალი-ფიციური მეტყევე სპეციალისტებით, რომლებიც თავიანთ სამოქმედო ტერი-ტორიაზე გაუძღვებიან ტყის დაცვას, ტყის აღდგენას, ტვირთსარგებლობის საქმინობას და პასუხს აგებენ მათ ხა-რისხიანად შესრულებაზე.

8. რეფორმა – გარემოს დაცვის სამინისტროს – დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის სისტემაში, მათ შორის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის აღმინისტრირებული 2007 წლის ბო-

ლოს, ნაჩქარევად ჩატარდა. ექვსი რაიონის ბაზაზე შექმნილი ეროვნული პარკი, რომლის საერთო ფართობი 86 000 ჰექტარია დირექციის ფუნქციები შეზღუდულია, დირექციას მოადგილეც არ ჰყავს. ექვს იწვევს ერთი გარემოება, 2007 წელს ხომბერ-დეკემბერში საპრეზიდენტო არჩევნების მთავრების პერიოდში (24.11.07 და 18.12.07) პარლამენტმა კანონში „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ შეიტანა ცვლილებები, კერძოდ, დაამტკიცა მე-18 და 24-ე მუხლები ქვეპუნქტებით, რომლებიც აკნინებს დირექციის საქმიანობას.

9. წაღვერის უნიკალურ ტყის მასივებში გაჩენილმა ხარძარმა მოიცვა დიდი ფართობი, მის გასაწმენდად ნამწვავი ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვის, აღდგენითი სამუშაოს ჩასატარებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს, აღდგეს წაღვერის სატყეო უბანი, დაკომპლექტდეს საშტატო ერთეულებით, დაქირავებული მუშახელით და დაფინანსებით, ვინაიდან ძალიან დიდი ფართობია დასამუშავებელი და აღსადგენი, დღეისათვის წაღვერის 7100 ჰა ტყის ფართობი ერთ რეინჯერს აბარია, როგორც ირკვევა, ხელისუფლება ნახანძრალი ტყებისათვის ჯერჯერობით სახსრებს ვერ იმეტებს?!

10. უნდა შეიქმნას ხანძარგავლილ ფართობებზე ხე-ტყის დამზადებელი ბრიგადები, რათა დროულად მოხდეს ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვა და დაწესებული ფონდების მიხედვით საშეშე და სამასალე მერქნის მოსახლეობაზე გაცემა.

მკაცრი კონგროლი უნდა დაწესდეს ჭრის ადგილების გაწმენდაზე, რათა აღდგენილი სამუშაოების ჩასატარებლად მუშაობა რომ გაადვილდეს. ასევე კონგროლი უნდა გამკაცრდეს, რათა არ მოიჭრას გადარჩენილი საღი ხები.

11. ჭრის ადგილების გაწმენდის პარალელურად უნდა დაიწყოს ტყის აღდგენითი სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტყის ბუნებრივ განახლებას და ტყის ნერგების შეტანას გასატყვევებელ ფართობებზე. მ/წლის შემოგომაზე უნდა მომზადდეს ნიადაგი სანერგისათვის, დაახლოებით

2 პექტარზე. სპეციალურად უნდა გამოიყოს უბნები მთავარი მერქნიანი სახეობების განახლება-უზრუნველსაყოფად და ხარისხიანი, მემკვიდრეობითი ოვისებების მქონე თესლების დასათესად. დაიწყოს ტყის დაკორდებული ნიადაგების გაფხვიერების და სტრუქტურების გაუმჯობესებისათვის მათი აჩიჩქნა. 12. დროის მოგების მიზნით ოქტომბერ-ნოემბრ-დეკემბერში უნდა შეგროვდეს ფიჭვის, ნაძვის, სოჭის, წიფლის, ნეკერხელის გირჩები და თესლები.

ყოველივე ამის შესასრულებლად საჭიროა დაფინანსება, რისთვისაც ხელისუფლება უნდა დაეხმაროს გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს. მ.შ. ბორჯომის ხეობის ობიექტებს – პირველი ორი წელი დააფინანსოს და შემდგომ გადაყვანილი იქნეს თვითდაფინანსებაზე.

შურნალ „სატყეო მოამბის“ რედაქცია

ერთსულოვნად ვიწონებთ ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის მიერ ჩატარებულ ღონისძიებას – საქართველოს მარგალიტის – ბორჯომის ხეობის ტყების და საერთოდ საკითხების ჩამონათვალი ხეობაში ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების თაობაზე.

სასურველია (ალბათ, აუცილებელიც), მსგავსი საქმიანი, ჭეშმარიტად გულთან მიტანილი, პატრიოტული სჯაბაასი ტყების სავალალო მდგომარეობის შესახებ გაიმართოს საქართველოს სხვა რაიონებშიც.

შურნალის რედაქცია მოწადინებულია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, ჩავიდეს ადგილებზე საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან ერთად, შეხვდეს სატყეო დარგის მესვეურებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, სათანადოდ გააანალიზოს ტყების მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები და დროულად, სისტემატურად გააშექოს მასალები შურნალის ფურცლებზე.

შურნალში გამოქვეყნებული მასალები მიეწოდება ზემდგომ ორგანოებს რეაგირებისათვის.

XI. ცნობები

ლერი ჟოვა

საქართველოს ტყის ფონდი (2009 წლის 1 იანვრის მდგრადარღით)

„ტყე გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილია, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით ტყისთვის მიკუთვნებული ხეების, მათი გავრცელების არეალში მოქცეული მიწის, აგრეთვე ბუჩქების, ბალახების, ცხოველებისა და სხვათა ერთობლიობას, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებული არიან ბიოლოგიურად და გავლენას ახდენენ ერთმანეთსა და გარემოზე. იგი ბუნებრივი გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის უმთავრესი ელემენტია. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ბიოსფეროს სტაბილურობის რეგულირებაში, აგრეთვე სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდი შედგება სახელმწიფო ტყის, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული მიწებისა და მისი რესურსების ერთობლიობისაგან“ (საქართველოს ტყის კოდექსი 1999წ).

სატყეო ურთიერთობები ტყის ფონდის და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით, საქართველოს ტყის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა. ტყის ფონდის საერთო ფართობი 2009 წლის 1 იანვრის მდგრადერღობით შეადგენს 3007,6 ათას ჰექტარს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის (6949,4 ათასი ჰექტარი) – 43,2%-ს. ტყის ფონდის საერთო ფართობიდან საკუთრივ ტყეს (ტყით და-

ფარულ მიწებს) უკავია 2822,4 ათასი ჰექტარი, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 40,6% (ტყიანობის პროცენტი). ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მსოფლიოსთვის ეს მაჩვენებელი 27%-ია, ხოლო საქართველოს მეზობელი ქვეყნებისათვის 15%-ს არ აღემატება. ტყეების მერქნის (ხეთა დერობის) საერთო მარაგი შეადგენს 454,5 მლნ ჭ-ს, ხოლო მერქნის მარაგის საშუალო წლიური ნამატი – 4,5 მლნ ჭ-ს.

აკადემიკოს ვ. გულისაშვილის მონაცემებით საქართველოს ტყეები განლაგებულია 6 განსხვავებულ ბუნებრივი სტორიულ ტერიტორიაზე (ტყემცენარეულობის ოლქები). წარმოდგენილია როგორც ნახევრად უდაბნოების არიდული (ნათელი), ასევე კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ტყეები. ტყემცენარეულობის ტიპები განსხვავებულია აგრეთვე ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით, რის გამოც თითოეულ ტყემცენარეულობის ოლქში გამოიყოფა ვერტიკალური სარტყელები. ვერტიკალური სარტყლიანობის მიხედვით ტყეები იწყება უშუალოდ შავი ზღვის პირიდან და გრცელდება ზღვის დონიდან 2600 მ სიმაღლემდე (სუბტროპიკული ზონიდან ალპურ მდელოებამდე).

ტყის ფონდის 60% განეკუთვნება შავი ზღვის აუზს, 40% – კასპიის ზღვის აუზს. ტყის ფონდის 97% წარმოდგენილია მთის ტყეებით და განლაგებულია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის განშტოებათა ფერდობებზე (69% – მათ შორის 1,4% წყალგამყოფი ქედის ჩრდილო განშტოებებზე) და მცირე კავკასიონის და სამხრეთ კავკასიის ვულკანური მთანენდების მთათა სისტემების ფერდობებზე (28%), ხოლო 3% განეკუთვნება ბარის ტყეებს, აქედან 2% განლა-

გებულია კოლხეთის დაბლობზე, 1% – აღმოსავლეთ საქართველოს მინიარეგბის – მტკვრის, ქციის, ივრის და ალაზნის ქვემო დინებების (ზღვის დონიდან 500 მ-ზე ქვემო) მიმდებარე ვაკე რელიეფის ტერიტორიებზე.

თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა ამჟამად (ისევე, როგორც წარსულში) საქართველოს ტყის ფონდი არის სახელმწიფო საკუთრება და მმართველობისათვის დაქვემდებარებულია შემდეგ უწყებებზე:

1. სატყეო დეპარტამენტი – 2523.6 ათასი ჰა, 83.9%;
2. დაცული ტერიტორიების სააგენტო – 312.9 ათასი ჰა, 10.4%;
3. გ. გულისაშვილის სამთო მეტყველების ინსტიტუტი – 10 ჰა;
4. ადგილობრივი ოკითმმართველობის ორგანოები – 171.1 ათასი ჰა, 5.7%.

სულ 3007.6 ათასი ჰა.

სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობები ერთიანი სამეურნეო მიზნების, ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური მნიშვნელობის და სხვა მახასიათებლების მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიები – 312.9 ათასი ჰა, 10.4%;
მათ შორის:
 - ა) სახელმწიფო ნაკრძალები – 136.6 ათასი ჰა, 46%;
 - ბ) ეროვნული პარკები – 134.8 ათასი ჰა, 4.5%;
 - გ) ბუნების ძეგლები – 0.3 ათასი ჰა;
 - დ) ადგვეთილები – 33.7 ათასი ჰა, 11%;
 - ე) დაცული ლანდშაფტები – 7.5 ათასი ჰა, 0.2%.
2. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი – 2694.7 ათასი ჰა, 89.6%. მათ შორის:
 - ა) საქურორტო ტყები – 119.4 ათასი ჰა, 4.0%;
 - ბ) მწვანე ზონის ტყები – 276.5 ათასი ჰა, 9.2%;
 - გ) ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყები – 2298.8 ათასი ჰა, 76.4%.

საკურორტო ტყებს განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით დადგე-

ნილი კურორტების სანიტარული დაცვის პირველ და მეორე ზონაში მოქცეული ტყეები.

მწვანე ზონის ტყეებს განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით ქალაქების, სამრეწველო ობიექტების და დასახლებული პუნქტების მიმდებარე ტყეები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება და მოსახლეობის დასვენების და გართობის პირობების უზრუნველყოფა.

ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყეების კატეგორია მოიცავს სამეურნეო საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის განსაკუთრებული ფუნქციონალური დანიშნულების და ლანდშაფტურ უბნებს, რომელთა საერთო ფართობი აღემატება 1 მლნ ჰექტარს (რელიქტური, ენდემური და წითელი ნუსხის სახეობებით გაბატონებული ტყის უბნები, სუბალკური სარტყლის მიმდებარე 300 მეტრიან ზოლში არსებული ტყის უბნები. 350-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე განლაგებული ტყის უბნები, მდინარეთა ნაპირების და გზების დაცვითი ტყის უბნები და სხვა).

ტყის ფონდი შედგება ტყეებისა და ტყის ფონდის მიწებისაგან, რომლებიც შემდეგნაირად ნაწილდება:

ტყეები სულ – 93.8%;

აქედან ხელოვნური ტყეები – 2.0%;

ტყის ფონდის მიწები სულ – 6.2%;

აქედან: სატყეო მიწები – 1.0%;

სასოფლო-სამეურნეო მიწები – 2.4%;

საეციალური დანიშნულების მიწები – 0.3%;

გამოუყენებელი მიწები – 2.5%.

საქართველოს განსაკუთრებული ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალფეროვანი კლიმატური პირობების, სხვადასხვა გენეზისის ფოტოლანდშაფტების შესაყარზე არსებობა განაპირობებს მცენარეული საფარის, მ.შ. ტყეების შემაღებელი მერქნიანი სახეობების იშვიათ მრავალფეროვნებას. ტყეებში ბუნებრივად გავრცელებულია 300-ზე მეტი მერქნიანი სახეობა. ტყეებისათვის დამახასიათებელია რელიქტურ სახეობათა სიუხვე და მერქნიან

მცენარეთა მაღალი ენდემიზმი. ტყეებში წარმოდგენილია წიწვოვანი და ფოთლოვანი, მარადმწვანე და ფოთოლმცვენი მერქნიანი სახეობები, მიწაზე გართხეული ბუჩქები და გიგანტი ხეები (60 მეტრამდე სიმაღლის და 2 მეტრამდე დიამეტრის), ლიანები, პარაზიტი მცენარეები. ტყეებში უხვადაა სხვადასხვა სახეობის სოკოები, ველური ხილი და კენკრა, სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის მომცემი მცენარეები. ჭირფასი სამასალე და სარეზონანსო მერქნიანი სახეობები. ტყის ფონდში წარმოდგენილია 40-მდე სახეობის ინტროდუცირებული ხეები და ბუჩქები, რომელთაგან ზოგიერთი სახეობა (მაგალითად: ამორფა) გარემოზე უარყოფითი ზეგავლენით ხასიათდება.

ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანი სახეობებით გაბატონებული კორომების ფართობების და მარაგების პროცენტული განაწილება შემდეგია:

ფართობი	მარაგი
წიფელი	42.6%;
მუხა	10.3%;
რცხილა	10.3%;
თხმელა	10.3%;
სოჭი	7.2%;
ნაძვი	5.0%;
ფიჭვი	4.2%;
წაბლი	3.8%;

დანარჩენი მერქნიანი სახეობებით (40-მდე სახეობის ხეები და ბუჩქები) გაბატონებული კორომების ფართობები შეადგენს 6.3%-ს, მარაგი – 3.4%-ს.

კორომების საშუალაო ბონიტეტია III, საშუალო სიხშირე – 0.6, საშუალო ხნოვანება – 99 წელი.

ტყეების 70%-ზე მეტი განლაგებულია ხდვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე ზევით, 80%-ზე მეტი – 20°-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე. ანალოგიურად მცენარეთა სამყაროსი მრავალეროვანია

ტყეებში არსებული ცხოველთა სამყარო, რაც ქმნის სამონადირეო მეურნეობის განვითარების ხელსაყრელ პირობებს.

არსებული ხორმატივებით და წესებით გათვლილი მერქნით სარგებლობის უველვლიური ოდენობა მთლიანად ქვეყნის ტყეებიდან შეადგენს 1.0 მლნ მ³-ს, აქედან მთავარი ჭრებით – 670 ათას მ³-ს, მოვლითი ჭრებით – 330 ათას მ³-ს.

როულ რელიეფურ პირობებში განლაგების გამო ტყეების ძირითადი დანიშნულებაა ნიადაგდაცვითი და წყალმარებულიორებელი ფუნქციების შესრულება. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ტყეების რეკრეაციულ, ესოებიკურ, სამეცნიერო, ისტორიულ, შემცენებით და სხვა ფუნქციებს. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტყეებს მერქნული და არამერქნული რესურსებით ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში. ტყით სარგებლობა ქვეყანაში ემყარება მდგრადი განვითარების, სასარგებლო ფუნქციების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების და გაუმჯობესების პრინციპებს.

თანახმად საქართველოს კანონმდებლობისა ხორციელდება დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება ტყის ფონდში (გათვალისწინებულია 2010 წლამდე. დაცული ტერიტორიების სხვადასხვა კატეგორიებმა ტყის ფონდში შეადგინა ტყის ფონდის 15%), ხანგრძლივადიანი სარგებლობისათვის ტყის რესურსების გადაცემა (სამონადირეო სავარგულების შექმნა, მერქნული და არამერქნული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სარგებლობისათვის ტერიტორიების გამოყოფა და სხვა), ტყის ფონდის ტერიტორიების მიხენა (მართვაში გადაცემა) ეკლესია-მონასტრებისათვის.

აღსანიშნავია ქართველი ხალხის ტრადიციულად ჩამოყალიბებული ფრთხილი და გონიერი დამოკიდებულება ტყისადმი, რაც გამოიხატება სიმღერად ქვეულ ხალხურ მოწოდებაში „ტყე შექნახე შვილებსა, მამა ხარ შენი გალია“.

სატარ მაურნეობა საზღვარგარეთის პაკებაში

გერმანია

გერმანიის ფედერაციული ოქსპუბლიკა მდებარეობს დასავლეთ ევროპის ცენტრალურ ნაწილში, რომელსაც ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ბალტიის ზღვა.

ქვეყნის საერთო ფართობია 356,2 ათასი კვადრატული მეტრი; მისი მოსახლეობა დაახლოებით 85 მლნ-ია; მოსახლეობის 70% ცხოვრობს ქალაქში.

აქ შედარებით მცირე ტერიტორიაზე გხვდებით ბუნებრივი ლანდშაფტების დიდ მრავალფეროვნებას.

ტრაპოგრაფიულად ქვეყანა იყოფა 3 ნაწილად: ჩრდილოეთ გერანიის დაბლობი (მოიცავს ძირითადად ზღვისპირეთს), შემდეგ მოდის დაბალი მთებისა და გორაკების ზონა, ხოლო სამხრეთი ნაწილი უჭირავს მაღალმთიანეთს.

ჰავის თვალსაზრისით, ქვეყნის ჩრდილოეთით ზღვიური ჰავაა ბალტიის ზღვის წყალობით, რომელიც სამხრეთისაკენ თანდათანობით გადადის კონტინენტურში.

გერმანია, სატყეო მეურნეობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში. საკმარისია ითქვას, რომ აქ საფუძველი ჩაეყარა კლასიკურ მეტყველებას და ტყეობრივნარეობას – დამუშავდა და გამოიცადა სატყეო მეურნეობის გაძლიერის სხვადასხვა ხერხები, ტყის ჭრების კლასიკური წესები, ხელოვნური ტყეების გაშენების მეთოდები და ა.შ.

ამჟამად, ტყით დაფარულია ქვეყნის ტერიტორიის, დაახლოებით 30% და სატყეო ფონდის საერთო ფართობი შეადგენს 11,3 მლნ ჰა-ს, საიდანაც საექსპლოატაციოა 10,2 მლნ ჰა. ტყეების 56,4% წიწვიან სახეობებს ეკუთვნის, ფოთლოვანებია – 25,2%, ხოლო შერეული ტყეებია – 18,4%

წიწვიანებიდან ჭარბობს ნაძვნარები და ფიჭვნარები, შემდეგ მოდის სოჭნარები; რაც შეეხება ფოთლოვანების, აქ ძირითადად ჩვეულებრივი წიფლის, კლდის მუხისა და ზაფხულის მუხის ტყეებია, ხოლო ჭალის ტყეებში გვხვდება გერხები, ტირიფები და დამახასიათებელი სახეობები.

ადრე გერმანია უფრო მდიდარი ყოფილა ტყეებით. აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნემდე ქვეყნის ტერიტორიის 80% ტყით ყოფილა დაფარული; ძირითადად ისეთი ფოთლოვანი სახეობებით, როგორებიცაა – ჩვეულებრივი წიფელი (*Fagus sylvatica*) და მუხები (*Quercus petraea*, *Q. robur*); მთებში კი გავრცელებული ყოფილა წიწვიანები – ნაძვი (*Picea abies*), სოჭი (*Abies celba*) და ფიჭვები (*Pinus sylvestris*, *P. mugo*), მაგრამ ბოლო ორასი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა.

გერმანიის ტყეებმა დიდი დარტყმა განიცადა მე-18 საუკუნის ბოლოდან, რომელიც ორმა გარემოებამ განაპირობა – სამრეწველო კაპიტალიზმის აღმაფლობამ და ამის პარალელურად მოსახლეობის რიცხოვნობის სწრაფმა ზრდამ.

სწრაფგანვითარებული ინდუსტრია და სწრაფმზარდი მოსახლეობა მოითხოვდა დიდი რაოდენობით სამშენებლო და საწვავ მერქანს, რამაც მოკლე დროში კატასტროფულად შეიმცირა ტყის ფართობები ისე, რომ დღის წესრიგში დადგა სატყეო მეურნეობის მოწესრიგების საკითხი.

თავიდანვე პრიორიტეტი მიენიჭა პირწმინდა ჭრებს, რის შედეგადაც ტყეები გაიჩეხა დიდ ფართობებზე; ამიტომ, მე-19 საუკუნეში შეიმუშავეს დოქტრინა ერთხოვანი ტყეების შექმნის შესახებ.

ამგვარად, ადრინდელი ფოთლოვანი ტყეების ადგილას დაიწყეს ნაძვისა და ფიჭვის კულტურების გაშენება, ერთხოვანი, მაღალპროდუქტიული კორომების მისაღებად და დღეს გერმანიის მთელი ტყეების ორი მესამედი წიწვიანებს უკავიათ, რაც განაპირობებს ქვეყნის ტყეების უადრესად მაღალ პროდუქტიულობას.

გერმანიის სატყეო მეურნეობის მართვა ემყარება ტყის მაღალი ხნოვანებითი კლასის სისტემას, რადგან ათეული წლების მანძილზე პირწმინდა ჭრებისა და შემდგომში მონოკულტურების გაშენების გამო ჩამოყალიბდა ერთხნოვანი კორომები, ძირითადად ნაძვნარები და ფიჭვნარები.

ამჟამად ქვეყნის ტყეების მხოლოდ 2%-ია ნაირხნოვანი. 1995 წლის მონაცემებით, გერმანიის ტყეების საერთო მარაგი უდრიდა 2,9 მლრ კბმ-ს, მათ შორის წიწვიანებისა – 2,0 მლრდ კბმ, ხოლო ფოთლოვანებისა – 0,9 მლრდ კბმ.

საშუალო მარაგი 1 პა-ზე შეადგენს 270 კბმ-ს, ხოლო წლიური საშუალო შემატება – 6 კბმ-ს. ერთ სულ მოსახლეზე მოდის, დაახლოებით, 0,14 პა ტყე. გერმანიის ტყეების საშუალო წლიური შემატება უდრის დაახლოებით, 79 მლნ კბმ-ს, ხოლო ყოველწლიურად იჭრება დაახლოებით 43,0 მლნ კბმ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ტყეებში ყოველწლიურად გროვდება მერქნის საკმაოდ დიდი მარაგი.

ერთხნოვან ნაძვნარებსა და სოჭნარებში ტარდება ძირითადად პირწმინდა ან ზოლისებრი ჭრები. ამასთან ერთად, მეორეს მხრივ, ატარებენ ამორჩევით ჭრებსაც, განსაკუთრებით შერტელ ტყეებში, ნაირხნოვან კორომებსა და მთებში მცხოვრები ფერმერების კუთვნილ წიწვიანებში.

2002 წლის მონაცემებით, მრგვალი მორის დამზადებამ შეადგინა 42,4 მლნ კბმ. მრგვალი მორების ექსპორტმა 4,5 მლნ კბმ, ხოლო იმპორტმა – 2,5 მლნ კბმ.

დამზადებული მერქნის საერთო რაოდენობიდან შეშის მოცულობა იყო

10,86%; მათ შორის ორი მესამედი წიწვიანებზე მოდის.

დამზადებული მერქნიდან, დაახლოებით, 25% მიღის ქადალდის წარმოებაზე, 17% – მშენებლობაზე, 3% – შესაფუთ მასალებზე და ა.შ.

ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ტყის უწყვეტი სარგებლობის პრინციპების დაცვით, რასაც ჩვენში ტერმინოლოგიური აღრევით, შეცდომით უწოდებენ ტყის მეურნეობის მდგრად განვითარებას, ჭრების რაოდენობა გერმანიაში შეიძლება ავიდეს 57 მლნ კბმ-მდე.

ტყეები ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ქვეყანაში დაყოფილია 3 ნაწილად: ეკონომიკური მნიშვნელობისა, (მერქნის მიღება), დაცვითი და რეკრეაციული მნიშვნელობის, ინდუსტრიულ და დიდი სიმჭიდროვით დასახლებულ ზონებში კი საერთო დაცვითი ფუნქციების მატარებელი – წყლის რეგულირება, ნიადაგის დაცვა, ლანდშაფტები, მნიშვნელოვანი ბიოტოპები და სახეობები და სხვ.

გერმანიაში მოქმედებს ე.წ. „მრავალმხრივი გამოყენების სატყეო მეურნეობის“ პრინციპი, რაც გულისხმობს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ეკონომიკური, დაცვითი და რეკრეაციული ფუნქციების შესრულებას.

ადსანიშნავია, რომ გერმანიის შიდაპროდუქტში ტყის ინდუსტრიის წილი შეადგენს, დაახლოებით, 1,3%-ს.

სატყეო მეურნეობის სისტემაში ღონისძიებათა მრავალფეროვნებას ფესვები წარსულში აქვს გადგმული და ემყარება, ერთის მხრივ, ტყის მერქნიანი სახეობების ბიოეკოლოგიურ თავისებურებებს.

რაც შეეხება საკუთრების ფორმებს, 2000 წლის მონაცემებით ასეთი სურათი გვაქვს: კერძო საკუთრებაში იყო ტყეების 46%, სახელმწიფო საკუთრებაში 34%, კომუნალური – 20%.

კერძო ტყეები ძლიერ დანაწევრებულია პატარა ფართობებად – 1998 წლის მონაცემებით, 1 მლნ-ზე მეტ მესაკუთრეს პერიოდი 1 პა-ზე ნაკლები ტყე, კერძო ტყეები ძირითადად გვხვდება

ბავარიაში, ვესტფალიასა და ბრანდენ-ბურგში.

სახელმწიფო ტყეებიდან, 30%-ს ფლობენ ფედერალური ოლქები, 4%-ს კი ფედერალური მთავრობა (ძირითადად სამხედრო მიზნით).

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სწორედ გერმანიაში შემუშავდა კლასიკური მეტყევეობის ჭრის სისტემები.

ჯერ კიდევ, მე-18 საუკუნეში პარტიგმა აღწერა თანდათანობით ჭრის სისტემები; შემდეგ მე-19 საუკუნეში ვაგნერმა შეიმუშავა არშიისებური ჭრები, ხოლო ებერჰარტმა – სოლისებური ჭრები და ა.შ. უკელაფერმა ამან თავი მოიყარა მიოლერის მიერ შემუშავებულ „დაუერვალდში“ ანუ „უწყვეტი სარგებლობის მეუ-

რნეობაში, რომელიც ავტორმა 1920 წელს გამოაქვეყნა და რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია მეტყევეობაში. თუმცა ეს სისტემა მსოფლიომ დიდხანს არ მიიღო, რადგან ტყეების მარაგი გამოულეველი ეგონათ; ეს სისტემა დღის წესრიგში დადგა მე-20 საუკუნის ბოლოს, როცა მსოფლიოს, ტყეების შემცირების გამო, ეკოლოგიური კრიზისი და ემუქრა და ამჟამად მთელი მსოფლიო ცდილობს როგორმე გადავიდეს ტყის უწყვეტი სარგებლობის პრინციპებზე, რაც გულისხმობს ისეთ სატყეო მეურნეობას ანუ ისეთი დონისძიებების გატარებას, რომლის დროსაც ტყეს არ მიაღება და მუკულუკელი ზიანი და იგი შეენახება მომავალ თაობებსაც.

ბამოქანებული ლიტერატურა – References

1. Forestry in Changing Societies in Europe. Silva Natwozki, 1999-480p.
2. Forest Resources of Europe, CIS, North America, Australia, Japan and New Zealand. Geneva Timber and Forest Study Papers No. 17, United Nations, New York and Geneva, 2000-445p.
3. Ådås Å. Å. Ådås P. E., Ådås Å. Å. Ådås I. I., 1981-147p.
4. Forest Products Statistics, Timber Bulletin, Volume LVI (2003) No 2, United Nations, New York and Geneva, 2004-124p.
5. 3. გულისაშვილი – ზოგადი მეტყევეობა. თბ. 1957.

ОАÀÀÄÇÅ Á È.

Èåñ í îå õîçýéñòåå çàðóååæíûõ ñòðàí - Ååðì àíè ý

ДÀÇРÌÅ

Å ñòàòüå íðèååååíû íå ëî òîðûå åàííûå í èåñ í îå õîçýéñòåå Ååðì àíè è.

TAVADZE B. L. Forestry of foreign countries - Germany

SUMMARY

In this paper are given some data about of forestry of Germany.

XII. ლვანელმოსილ მეზეპევთა

ხერვნის აღსანიშნავად

გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი, საზოგადო მოღვაწე

გასილ ზაქარიას ძე გულისაშვილი (გარდაცვალებიდან 30 წლისთავის გამო)



მადგენლის, მწერალ ზაქარია გულისაშვილის ოჯახში. ვასილ გულისაშვილის სიყვარულის სათავეები ქართული ბუნების მიმართ მისი ოჯახის ტრადიციებში უნდა ვეძიოთ.

პროფესიული განათლება ვასილ გულისაშვილმა მიიღო სანკტ-პეტერბურგის სატექნიკურ-ტექნიკურ აკადემიაში, სადაც 1926 წელს ჯერ სატექნიკურნეო ფაკულტეტი დაამთავრა, ხოლო 1930 წელს – მერქნის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი.

ვ. გულისაშვილი საქართველოში დაბრუნდა 30-იან წლებში და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა საქართველოს ბუნების კვლევასა და დაცვას. 1935-1936 წლებში იგი ამიერკავკასიის სატექნიკურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა. 1935 წლიდან 1945 წლამდე განაგებს ბოტანიკის ინსტიტუტის ეკოლოგიის განყოფილებას, 1937-1939 წლებში მუშაობს თბილისის სატექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. 1937-1960 წლებში საქართველოს სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ზოგადი მეტყველების კათედრის გამგეა, ხოლო 1944 წლიდან 1952 წლამდე პარალელურად მუშაობდა თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორად.

1944 წელს მას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს – ნამდვილ წევრად. 1945 წელს მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემი-

მიმდინარე წლის ოქტომბერში შესრულდება 30 წელი გამოჩენილი ქართველი მეტყველე-მეცნიერის, გეობორანიკოსისა და ეკოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ვასილ გულისაშვილის გარდაცვალებიდან.

ვასილ გულისაშვილი დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგი-წმინდაში, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის, ქართველ ხალხოსანთა მოძრაობის თვალსაჩინო წარმო-

ასთან შეიქმნა სატყეო ინსტიტუტი, რომლის უცვლელი დირექტორიც იყო სიკვდილამდე. დღეს ეს ინსტიტუტი მის სახელს ატარებს.

ვ. გულისაშვილის უშუალო ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით აღიზარდა მეტყველე-ინჟინერთა, ბიოლოგთა და ეკოლოგთა მრავალი თაობა, მათ შორის მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი. ვ. გულისაშვილის მეცნიერებლის სკოლის არაერთმა წარმომადგენელმა დირექტორად დაიმსახურა საერთაშორისო აღიარება.

აკად. ვ. გულისაშვილის ხელმძღვანელობით სატყეო ინსტიტუტმა გამოსცა სამეცნიერო მრომათა ოცდაათამდე ტომი, სადაც გაშუქებულია სატყეო ნიადაგ-მცოდნეობის, ტყის სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების, მერქნიან მცენარეთა აკლიმატიზაცია-ინტროდუქციის, ბიოეკოლოგიის, ანატომია-ფიზიოლოგიის, მერქანტოდნეობისა და მთის ტყეებში მეურნეობის გაძლოლის საკითხები. უკადღების ღირსია ვ. გულისაშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით გამოცემული – „კავკასიის დენდროფლორის“ ექვსტომეული.

ვ. გულისაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი, სახელმძღვანელოები უმაღლესი სკოლებისათვის, 22 მონოგრაფია, მათ შორის ადსანიშნავია „ზოგადი მეტყველების“ ორგომეულის არაერთი გამოცემა და „სამთო მეტყველება“ (1956), რომელიც ძირითად სახელმძღვანელოდ იქცა არა მარტო კავკასიის, არამედ ყირიმის, კარპატებისა და საერთოდ მთის ტყეებისათვის, ამიტომაც მოიპოვა ამ წიგნმა დიდი საერთაშორისო აღიარება და 1959 წელს ჩინურ ენაზეც კი გამოიცა.

საყურადღებოა ა. შუკოვის რედაქციით გამოქვეყნებული „სსრკ ტყეების“ III ტომში მოთავსებული ვ. გულისაშვილის „საქართველოს ტყეები“ (1966) და პროფ. ლ. მახათაძისა და ლ. პროლიპკოს თანაავტორობით გამოცემული წიგნი „კავკასიის მცენარეულობა“ (1975 წ.).

უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის ქართულ ენაზე პირველად გამოცემულმა ვ. გულისაშვილის სახელმძღვანელოებმა „მცენარეთა ეკოლოგიამ“ (1960) და „ბუნების დაცვის საფუძვლებმა“ (1973, 1983წწ.) დიდი როლი შეასრულეს როგორც სტუდენტითა ახალგაზრდობის, ისე საქართველოს მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების საქმეში.

ვ. გულისაშვილი იყო ბუნების დაუღალავი მქონეარი-მოგზაური, მას ფეხით ჰქონდა შემოვლილი ამიერ და იმიერ კავკასიის მთის ტყეები, ამ კვლევების შედეგები აისახა მის მონოგრაფიაში „კავკასიის ისტორიული ოლქები და ბუნებრივი ზონები“ (1964), სადაც საფუძვლიანადა დასაბუთებული კავკასიის ტყეების დაყოფა 14 ბუნებრივისტორიულ ოლქად.

ფასდაუდებელია ვ. გულისაშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწის როლი. ის იყო ინიციატორი არაერთი სამთავრობო ლონისძიებისა, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვას ემსახურებოდა.

ვასილ გულისაშვილი იყო საქართველოს ბუნების დიდი მესაიდუმლე, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართულ პრესაში გარეჯელ (საგარეჯოელ) „მინდიად“ მოიხსენიებოდა. მინდია, მოგეხსენებათ, ქართული ეპოსის გრძელები გმირი იყო, რომელსაც ბუნების, მცენარეთა და ცხოველთა ენა ეხმოდა. ზეპირსიტყვიერებიდან მინდიას თემა აიტაცეს ქართველმა კლასიკოსებმა და ამ თემაზე შექმნეს შესანიშნავი ნაწარმოებები. გავისხენოთ ქართული ბუნების დიდი მეხოტების ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“ და დიდი კონსტანტინეს „ხოგაის მინდია“.

დიახ, ქართული ტყის ბერმუხას, „გარეჯელ მინდიას“ – ბატონ ვასილსაც ასევე ესმოდა ხისა და ქართული ბუნების კვნესა, ამიტომაც იყო მისი დიდი გულშემატკიცარი და ჭეშმარიტი ჭირისუფალი, მუდამ ხმალშემართული რაინდი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე თავგამოდებით იცავდა ქართულ ბუნებას ხელყოფისაგან.

თუ წარსულში საქართველოს მთის ტყეებში პირწმინდა ჭრები არ ჩატარებულა, ეს ვასილ გულისაშვილის ერთი მრავალთაგანი დამსახურება იყო ქვების წინაშე; რომ გაიგებდა მუხა მოიჭრა, ქვეყანას შესძრავდა – „ქართული მუხა ხომ საქართველოს ძლიერების სიბოლოა, ბუნება უდიერ მოპყრობას არ გვაპარიებსო“, – ხშირად გვეტყოდა.

გარდაიცვალა ბატონი ვასილი და დაობდება კიდევ საქართველოს ბუნება. აგვისედა ბრძენებაცის წინასწარმეტყველება, ბუნებამ შური იძია ადამიანზე უდიერი მოპყრობისთვის. პოსტსაბჭოთა საქართველოში მთის ტყეების უსისტემო ჭრების შედეგად ქვეყნის მთა-ბარი მოიცვა სტიქიურმა კატასტროფებმა, ღვარცოფებმა, ზვავებმა, წყალდიდობებმა, გრიგალმა, გვალვებმა. დაინგრა გზები, ხიდები, სახლები. მთის სოფლების ათასობით უსახლკარო ოჯახი ეკომიგრანტად იქცა.

სამწუხაროდ, ეს პროცესი არ შეჩრებულა. ბოლო ორ ათწლეულში, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის წლებში, გახშირდა მთის ტყეების ინტენსიური, მტაცებლური ჭრის ფაქტები, რაც ჩვენი მცირებიწიანი და მთაგორიანი ქვეყნის მიწა-წყლის მოსპობის ტოლფასია. ამ ფაქტით ადშფოთებული ერის მოჭირნა-ხულე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ასე მიმართავდა მოსახლეობას: „მინდა გულისტკივილით ადგიშნო, რომ ბოლო დროს ჩვენს ქვე-ყანაში მიმდინარე მოვლენები, რომელიც ხე-ტყის მოჭრასთან და მის საზღვარგარეთ გატანასთან არის დაკავშირებული, ბოროტად იქცა საქართველოს მოსახლეობის მიმართ. თუ ეს პროცესი არ აღიკვეთა, ჩვენ მოწმენი გავხდებით

დიდი ეკოლოგიური კატასტროფისა... ტყეების გაჩეხვა უნდა შეჩერდეს“.

ვასილ გულისაშვილი იყო დიდად ერუდირებული, იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული, კეთილი ბუნების ადამინი, სტუმართმოყვარე, გულუხვი, მასაინძელი, მიმზიდველი თანამოსაუბრებას უვარდა კლასიკური ლიტერატურა, პოეზია და მუსიკა, ხელოვნება. ამ სტრიქონების აგზორებს არასოდეს დააგიწყდებათ ის სითბო და მზრუნველობა, რომელსაც იჩენდა ვასილ გულისაშვილი თავისი სტუდენტების, ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკების მიმართ აღზრდა-ჩამოყალიბების პროცესში.

„ქართული ხასიათი, სტუმრისა და პურმარილის დიდი მოტრფიალე, შემტევი სული, საოცარი შემწყნარებელი, გულაჯილი, ბავშვივით გულუბრყვილო, მეცნიერული ცოდნისა და მოღვაწეობის ფართო სივრცე შეადგენდა მისი ადამიანური ბუნების მიზანსა და დანიშნულებას“, – ასე ახასიათებს ვასილ გულისაშვილს მისი მოწაფე, პროფ. რევაზ გოცირიძე, რომელთა გვარში მეტყველოთ თახი თაობა აღიზარდა.

დიახ, 1979 წლის ოქტომბერში, შემოდგომის ხეთა ფოთოლცვენისას, წაიქცა ქართული ტყის ბერმუხა, საქართველოს ბუნების დიდი მკვლევარი, მოამაგე და გულშემატკივარი. მახსოვს, მისი დაკრძალვის დღეს საშინლად წვიმდა, ბუნებაც ტიროდა და ეთხოვებოდა თავის ერთგულ ამაგდარს.

დიდი ერისკაცის, პედაგოგის, მეცნიერისა და მამულიშვილის, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მის მოწაფეთა, ქართველ მეტყველოთა, ბუნების მკვლევართა და ქომაგთა გულებში.

ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის სახელით
ელდარ ლობჟანიძე და როარ ლვალიშვილი

თენიზ ჯაფარიძე

გამოჩენილი მაცნიერი, პროფესორი, ლიტერატურის მარტინილი



ქართულ მეტყველთა რიგებს უდროდ გამოაკლდა ლვაწლმოსილი მეცნიერი, ლირსეული მამულიშვილი, პროფესორი თენიზ ჯაფარიძე.

დაიბადა 1938 წელს თბილისში. 1956 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, 1961 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი. 1962-1991 წლებში მუშაობდა ვასილ გულისაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყველეობის ინსტიტუტში: ლაბორანტად, უფროს ინჟინრად, უმცროს მეცნიერ მუშაკად, სწავლულ მდიგნად, ლაბორატორიის ხელმძღვანელად. 1991-1992 წლებში იყო საქართველოს სოფლისა და სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე. 1993 წლიდან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეტყველეობის და ბუნების დაცვის კათედრის პროფესორი, ხოლო 1995 წლიდან

2005 წლამდე ამავე კათედრის გამგე-შემდეგ სრული პროფესორი.

2005 წელს ინიშნება ვასილ გულიშვილის მეტყველეობის ინსტიტუტის დირექტორად.

1967 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1984 წელს სადოქტორო დისერტაცია. იყო ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 110 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ორი მონოგრაფიისა და სამი სახელმძღვანელოს ავტორი.

1975-1999 წლებში კითხულობდა ლექციების ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში იყო საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მეცნიერ-კონსულტანტი. მინიჭებული პრინციპი საქართველოს დამსახურებული მეტყველის საპატიო წოდება, იყო ლირსების ორდენის კავალერი.

ცხოვრების ყველა ეტაპზე, სამსახურსა თუ მის მიღმა დირსეული მამულიშვილის სახელით იცხოვრა. განუმეორებელი იყო მისი გამორჩეული ალგილი მეგობრების წრეში. მისი ძარღვიანი, მართალი სიტყვა, ლამაზი სიმდერა თუ ერთი ამოსუნთქვით ნათქვამი ლექსი განუმეორებელ ელფერს ასხივებდა ირგვლივ. ასეთ კაცზე ამბობენ: აქ იყო და სიცოცხლეს გვილამაზებდა, იქ წავიდა და სიკვდილს გვიიოდებს...

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის, ჩვენო თენიზიზე, შენი საფიცარი თბილისის მიწა.

გასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტისა და მეტყველთა საზოგადოების სახელით პროფესორი რჩავაზ ჩაბეჭიმვილი.

სარჩევი

I. ტყეთმცოდნეობა

გიორგი გვარი მარაბ სვანიძე, მთის ტყების ბიომრავალფეროვნების არსი
ÆÄÀÓÐÈ ÄÁÍÐÄÈÉ, ÑÂÀ Í È ÄÇÀ ÌÅÐÀÁ, Ñó ù í ïñòü àèïðàçíñáðàçèý ãíðíûõ ëåññâ..... 3
GIGAURI GIORGI, SVANIDZE MERAB, ssence of a biodiversity of mountain woods

II. მეტყველეობა

Î. È. ÄÅÀËÈØÂÈËÈ, ĐÃ×ÀÅÄËÈØÂÈËÈ, È. Ø. ÄÏËÈÄÇÅ, Ç. È. ÌÀÍÅÄËÈÄÇÅ

Í î áâððíñðúé ñòðè â áñðíûð áóëñâûð ëåñàð Áäæàðèè íïå áëýíéåì ðàçíûùè ñèñðåàìà ìè
áóáîé áëàùíâï íïëüçí áàíèý

O. DVALISHVILI, R. CHAGELISHVILI, L. DOLIDZE, Z. MANVELIDZE, Superficial drain in mountain beechen woods Adjara under influence by different systems of sponges of the main using

O.I. DVALISHVILI, R. G. CHAGELISHVILI, L.T. DOLIDZE, Water regulating and ant erosive functions. The basic types of woods around Lajanuri and Builded reservoir Namakhvani

III. ტყის აღდგენა

განო პაპუნიძე, აჭარის მთის დევრადირქული ტყეების აღდგენის ტექნოლოგიების
შემუშავება 23

ÅÄIÎ ïÄIÓÍEÄÇÅ, Đàçðåäåðêà òåðñíëîâèé âîññòåíâëåfèý àïðíûô ååäðåäèðîâåñûô èåññâ Äåæàðèé

VANO PAPUNIDZE, Working out of technologies of restoration of the mountain degraded woods of Adjaria

L. GVAZAVA, T. GVAZAVA, The way of rescue of the world from ecological accident passes on a green cover - or wood.

IV. ტყის რესურსის გამოყენება

მოთა ჯარშვილი, პეტრე ღუდეულა, ეროვნული სატყეო სტანდარტების შემუშავება
და დანერგვა – რაციონალური ტყითსარგებლობის საფუძველი. 32
Ø Î ØÀ ÅÆÅÍØÅÈÈ, ïÅØÐÅ ÅÓÍÅØ, Ðàçðåáîòèå è áâiaäðåíèå ðåöèíïàëüíû ëänïíû
ñðåáäðåíà ðòòïå - íñíïâà ðåöèíïàëüíâà è âñïíïèéçâàíèÿ

SHOTAJAOSHVILI, PETRE DUNDUA, Working out and introduction of national wood standards - a basis rational woodprofit

VII. საერთაშორისო ორგანიზაციათა გამოკვლევების მიმოხილვა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვეროპას ეკონომიკური კომისიის და FAO-ს
ერთობლივი გამოკვლევა ევროპაში სატყეო სექტორის განვითარების
ტენდენციების შესახებ (რუსულ ენაზე) 96
Nîâi ân ði iâi eññëâäi ââiéâ Åâðiiâéñëéé yéi i ñi è ÷ âñëéé Èi ièññèè Îðââièçâöëè
Î aúââeâiâiñû ñâoëè è FAO i ñâiââiöëyö ñâçâëöëy èâñi iññi ñâêñðà Åâðiiñ
(iâ ñóññëi i ýçñüââ). Aëiâiââ. 2005 ã êðâðëi âiâiç ñâiéâ
Joint research of the European economic commission of the organisation united
the nations and FAO about tendencies of development of wood sector europas
(in Russian). Geneva. 2005 a short review

VIII. ტყის უნიკალური მცენარეულობა

მდლარ ლობშანიძე, ნინო მარგავლაშვილი, ბესარიონ ლობშანიძე,
ნონა ლაპაძე, უთხოვარი /Taxus baccata L/: მერქნის ანატომიური სტრუქტურა
და ტექნიკური თვისებები 101
Å. ÈIÁÆAÍEÄÇÅ, I. IÀÐÄÂÄEÀØÀÈËÈ, Å. ÈIÁÆAÍEÄÇÅ, I. ÈÀÄÄÄÇÅ,
Öeññ /Taxus baccata L./ - Åfâòi i è ÷ âñëây ñòðóëðòðà è ñâoïè ÷ âñëèâ ñâiéñòââ äðâââñ è i û
E. LOBJANIDZE, N. MARGVELASHVILI, B. LOBJANIDZE, N. LABADZE, Anatomic
structure and technical properties of wood

ოთარ დვალიშვილი, ვლადიმერ გუდამე, დავით კუპრაშვილი,
სექვია – ბუნების საოცრება 107
I. E. ÄÀÄEÈØÀÈËÈ, Å. Å. ÖOÄÄÄÇÅ, Å. N. ÈÓÏÐÀØÀÈËÈ, xóâi i ðeðiäü-ñâêâi ý
O. DVALISHVILI, V. GUDADZE, D. KUPRASHVILI, Nature miracle ñâêâi ý

IX. სამკურნალო მცენარეები

ჯუბაზე კუჭუნიძე, მაღაზაზ ჯოსეაძე, თამაზ მურთაზაშვილი, გვარი
ვერხვის (populus) საქართველოში გავრცელებული სახეობების
პოლიფენოლური შენაერთების შესწავლა 112
ÄÆÓIÀÅÐ ÈÓxÖOÈÄÇÅ, IÀËÖAÇÄEÎ ÖÀÄÇÅ, ÖÀIÀÇ IÓÐÒÀÇÀØÀÈËÈ, Èçó ÷ âiíèâ
i iè ë ñâiâi è iññ ñâiââi è iññ è ñâiââi ñâiââi ñâiââi ñâiââi ñâiââi ñâiââi ñâiââi ñâiââi ñâiââi
J. KUCHUXIDZE, M. JOXADZE, T. MURTAZASHVILI, The examination of polyphenolic
substances in the species of the genus Populus spread in Georgia

X. რეპიონალურ მოწოდებული ფერილები, მოსაზრებები, რეკომენდაციები
ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის ბიუროს მიერ შემოთავაზებული წინადაღებები
და რეკომენდაციები 116

XI. ცნობები

ლეინ ჭოჭუა, საქართველოს ტყის ფონდი (2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) 120
E. x ïxÖA, Èâñi ié ôiââ Äðóçèè (iñ ñiññi ýièþ 1 ýiââðý 2009 ãi äâ)
L. CHOCHUA, Wood fund of Georgia (on a condition on January, 1st, 2009)
ბიძება თავაძე, სატყეო მურნეობა საზღვარგარეთის ქვეყნებში (გერმანია) 123
ÖÀÄÄÄÇÅÄ. Èâñ iâ ñiçjéññòâi çâððåâæiñû ñòðâi - Åâði àiè ý
TAVADZE B. L. Forestry of foreign countries - Germany

XII. დვალიშვილ მეტყველთა ხსოვნის აღსანიშნავად

გამოჩენილი მუცნიერი, აკადემიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ვასილ ზაქარიას ძე
გულისაშვილი (გარდაცვალებიდან 30 წლისთავის გამო) გახილ გულისაშვილის
სატყეო ინსტიტუტის სახელით მდლარ ლობშანიძე და მისარ დვალიშვილი 126
თხების ჯავარიძე, გამოჩენილი მუცნიერი, პროფესორი, ლირსეული მატ-ულიშვილი
გ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტისა და მეტყველთა ხსახელმიწის
სახელით პროფესორი რმაზ ჩაბეჭიშვილი 129

საბერძნებრივი კონსტიტუცია

საირთაშორისო სამეცნიერო-პრაკტიკული ჟურნალი

ତଥାପିତ୍ରମାଲା

ჩვენი ავტორები

- ლოპშანიძე ელდარი – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საერთაშორისო დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიის (JAWA, აშშ) აკადემიკოსი.
- ჯავარიძე თმებიზი – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს კოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი.
- ჩაგლიძე გვილი რევაზი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.
- ხარავა გვილი გმრონტი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო და ეკოლოგიური აკადემიების აკადემიკოსი.
- ჩერქეზი გვილი ტრისტანი – საქართველოს დამსახურებული მეტყველე.
- ობრლაძე რევაზი – ეკონომიკის მეცნიერებათა ა/დოქტორი, საქართველოს კვების მრეწველობის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
- ბერიზა გვილი ტოგო – ბიოლოგის მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- შურლიანი თამაზი – საქართველოს დამსახურებული მეტყველე.
- გაგნიძე გოგი – მეტყველე-ინჟინერი.
- კაჭარავა ვილი** – ფილოსოფიის მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- თავაძე ბიძინა – ბიოლოგის მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- ღუდუა პეტრე – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- ჯარავილი გრიგორი – საინჟინრო მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- ბოქოლიძე გრიგორი – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- ბალამარავალი ზაური – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- ჩიტიძე ზაური – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- ნაჭყებია დავითი – საინჟინრო მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- დვალიშვილი როთარი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ა/დოქტორი, რუსეთის ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი.
- გუდაძე ვლადიმერი – რუსეთის ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი.
- გურაძეშვილი დავითი – რუსეთის ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი.
- გაბუნია მაია – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ა/დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.
- ლოპშანიძე ბესარიონი – ბიოლოგის მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- მარგალაშვილი ნინო – ბიოლოგის მეცნიერებათა ა/დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.
- ჭყოიძე მანანა – ბიოლოგის მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- სხირტლაძე ილინე – სწავლული აგრონომი.
- გოცირიძე ლევანი – ბიოლოგის მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- კოპაია გიორგი – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- გელაშვილი იგორი – საინჟინრო მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- სუპატაშვილი არჩილ – ბიოლოგიურ მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- გოგინაშვილი ნანა – ბიოლოგიურ მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- თვარაძე მერი – ბიოლოგიურ მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- სამხარაძე ნოდარი – ეკონომიკის მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- გმრსამია ნუგაზარი – საქართველოს დამსახურებული მეტყველე.
- კუჭუხეძე ჯუმაშერი – ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- არაბული ალექსი – ბიოლოგის მეცნიერებათა ა/დოქტორი.
- არგანაშვილი ლამარა – საინჟინრო მეცნიერებათა ა/დოქტორი.

ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი

